

ISSN 0135-0765

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის

არჩილ ელიაშვილის მართვის სისტემების ინსტიტუტი

შრომათა კრებული

ARCHIL ELIASHVILI INSTITUTE OF CONTROL SYSTEMS
OF THE GEORGIAN TECHNICAL UNIVERSITY
PROCEEDINGS

ИНСТИТУТ СИСТЕМ УПРАВЛЕНИЯ АРЧИЛА ЭЛИАШВИЛИ
ГРУЗИНСКОГО ТЕХНИЧЕСКОГО УНИВЕРСИТЕТА

СБОРНИК ТРУДОВ

№17, 2013



თბილისი * TBILISI * ТБИЛИСИ

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
არჩილ ელიაშვილის მართვის სისტემების ინსტიტუტი

შრომათა კრებული

ARCHIL ELIASHVILI INSTITUTE OF CONTROL SYSTEMS
OF THE GEORGIAN TECHNICAL UNIVERSITY

PROCEEDINGS

ИНСТИТУТ СИСТЕМ УПРАВЛЕНИЯ АРЧИЛА ЭЛИАШВИЛИ
ГРУЗИНСКОГО ТЕХНИЧЕСКОГО УНИВЕРСИТЕТА

СБОРНИК ТРУДОВ

№17, 2013

თბილისი * TBILISI * ТБИЛИСИ

შრომათა კრებული ძირითადად მოიცავს ინსტიტუტის მეცნიერ-მუშაკთა მიერ 2013 წელს ჩატარებული კვლევების შედეგებს. შრომები ეხება ინსტიტუტის სამ მთავარ მიმართულებას: მართვის თეორიას, მართვის სისტემების დამუშავებას, მათ შორის მართვის პროცესებს ენერგეტიკულ სისტემებში და ინფორმატიკას.

მართვის თეორიის მიმართულებით განხილულია ვექტორული ოპტიმიზაციის, მათემატიკური დაპროგრამების, არაწრფივი იდენტიფიკაციის და სხვა პრობლემები.

კრებულში გაშუქებულია მართვის კონკრეტული სისტემების მოდელირებისა და აგების პრინციპები, მათ შორის დღეისათვის ისეთ აქტუალურ დარგში, როგორცაა ენერგეტიკა.

ინფორმატიკის მიმართულებით წარმოდგენილია ხელოვნური ინტელექტის პრობლემებთან დაკავშირებული საკითხები, სხვადასხვა ტიპის ინფორმაციული სისტემები, ლინგვისტიკური ცოდნის კომპიუტერული წარმოდგენის ამოცანები, ტექსტური კორპუსების ანოტირების საკითხები და სხვ.

აგრეთვე წარმოდგენილია სადისკუსიო ნაშრომი თემაზე: “მატრიცული ცალმხრივი ფუნქციის ანალიზი და ფუნქციის იმპლემენტაციის ორი ვარიანტი”.

The research results carried out mainly by the Institute’s scientists through 2013 year are given in the proceedings. The presented papers are related to three basic scientific topics: control theory, development of control systems including control processes in energy systems, and Informatics.

The problems of vector optimization, mathematical programming, nonlinear identification etc. are considered in the control theory sphere.

Some problems of simulation and of construction of concrete control systems are presented, including such a topical sphere, as a power engineering.

In the field of Informatics some problems connected with artificial intelligence, different types of Information systems, computer representation of linguistic knowledge, as well as issues of text corpora annotation are considered.

The work “Analysis of the matrix one-way function and two variants of its implementation” for discussion is presented.

Настоящий сборник трудов в основном содержит результаты исследований, проведенных научными сотрудниками института в 2013 году. Труды отражают три главных научных направления исследований института: теорию управления, разработку систем управления, в том числе управление в энергетических системах, и информатику.

В области теории управления рассмотрены проблемы векторной оптимизации, математического программирования, нелинейной идентификации и др.

В сборнике освещены задачи моделирования и построения конкретных систем управления, в том числе в такой актуальной области, каковой является энергетика.

В сфере информатики рассмотрены вопросы связанные с проблемами искусственного интеллекта, информационные системы различного типа, задачи компьютерного представления лингвистических знаний, вопросы анотирования текстовых корпусов и др.

А также представлена дискуссионная работа на теме «Анализ матричной однонаправленной функции и два варианта ее осуществления».

შრომათა კრებული გამოდის წელიწადში ერთხელ.

კრებული იბეჭდება ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს გადაწყვეტილებით.

მ თ ა ვ ა რ ი რ ე დ ა ქ ტ ო რ ი

აკად. მ. სალუქვაძე

ს ა რ ე დ ა ქ ც ი ო კ ო ლ ე გ ი ა

ტ.მ.დ. აბარდაველიძე, ტ.მ.კ. ვგაბისონია (მთ. რედაქტორის მოადგილე), ტ.მ.დ. ზ. გასიტაშვილი,

მ. გეგეჭკორი (პასუხისმგებელი მდივანი), ტ.მ.დ. ო. ლაბაძე, ტ.მ.დ. თ. მაგრაქველიძე,

ფ.მ.დ. ლ. მარგველიანი, ფ.-მ.მ.კ. ვ. მაისურაძე, ტ.მ.კ. მ. მიქელაძე, დ. სინარულიძე (ტექ. რედაქტორი),

ტ.მ.კ. თ. ტროყაშვილი, აკად. ა. ფრანგიშვილი, ტ.მ.კ. ნ. ყავლაშვილი, ტ.მ.დ. ბ. შანშიაშვილი,

ფ.მ.დ. გ. ჩიკოიძე, ტ.მ.კ. ზ. წვერაიძე, აკად. ვ. ჭიჭინაძე, ნ. ჯავაშვილი, ტ.მ.დ. ნ. ჯიბლაძე.


ინსტიტუტის მისამართი:

0186 თბილისი, ე. მინდელის ქ. №10

ტელ.: (+995 32) 319871

ფაქსი: (+995 32) 319871

ელ.ფოსტა: ics@gtu.ge



ჟურნალის ეს ნომერი ეძღვნება აკადემიკოს
ვახტანგ ჭიჭინაძის
დაბადებიდან 95 წლისთავს

Этот выпуск посвящается 95-летию со дня рождения
академика **Вахтанга Чичинадзе**

The issue of journal is devoted to the 95th anniversary of full
Member of the Academy **Vakhtang Chichinadze**

ვახტანგ ჭიჭინაძე

ქართული სამეცნიერო-ტექნიკური ინტელიგენციის თვალსაჩინო წარმომადგენელს, გამორჩენილ მეცნიერს, აკადემიკოს ვახტანგ ჭიჭინაძეს 95 წელი შეუსრულდა.

ვახტანგ ჭიჭინაძე დაიბადა 1918 წლის 23 სექტემბერს ქ. თბილისში. მამა – კონსტანტინე ჭიჭინაძე ექიმი გახლდათ, დედა – ალექსანდრა გოცირიძე – დიასახლისი.

ბატონმა ვახტანგმა 1936 წელს დაამთავრა თბილისის პირველი საცდელ-საწვებელი სკოლა. იმავე წელს იგი საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ელექტროტექნიკური ფაკულტეტის სტუდენტი გახდა.

ბატონი ვახტანგი ჯერ კიდევ სტუდენტი იყო, როდესაც მეორე მსოფლიო ომი დაიწყო. იგი სამხედრო სამსახურში გაიწვიეს ქ. ბაქოში, სადაც მან საზენიტო არტილერიის სამხედრო სკოლა დაამთავრა და ლეიტენანტის წოდება მიიღო.



თბილისის აეროკლუბის კურსანტი ვახტანგ ჭიჭინაძე. 1941 წ.

ბატონი ვახტანგი სრული ოთხი წელი თავდადებით იბრძოდა სამამულო ომის ფრონტზე, საბრძოლო ნათლობა კი ქ. ბრიანსკში მიიღო. იგი გერმანელ ფაშისტ დამპყრობლებს ებრძოდა ქ. ორიოლთან, მედგარი ბრძოლით გაიარა ბელორუსია, პოლონეთის მიწა-წყალი და შემდეგ გერმანია, აგრეთვე იბრძოდა ბერლინის მისადგომებთან, მდინარე ოდერზე.

აი, რას წერდა 1945 წლის 20 ნოემბერს გაზეთი “კომუნისტი” სტატიის “სახელოვანი მეზენიტე”:

“ეს მოხდა ფაშისტი მხეცის ბუნაგზე უკანასკნელი იერიშების დღეებში. გერმანელთა თვითმფრინავები ბომბებს უშენდნენ, ცდილობდნენ გაენადგურებინათ გადასასვლელი, რომელსაც უფროსი ლეიტენანტ ვახტანგ ჭიჭინაძის ბატარეა იცავდა.

ჩვენმა მეზენიტეებმა წარმატებით მოიგერიეს ფაშისტი ავაზაკების რამდენიმე იერიში. მაშინ გერმანელთა თვითმფრინავებმა გააფთრებული იერიში მიიტანეს თვით ბატარიაზე, რათა მოესპოთ მისი საბრძოლო წყებები. მაგრამ, ამჯერადაც, ჩვენმა არტილერისტებმა მოიგერიეს მოპიკირე თვითმფრინავთა თავდასხმა. სამი დღის განმავლობაში ბატარეამ მტრის ოთხი თვითმფრინავი ჩამოაგდო.

მამაცობის გამოჩენისათვის უფროსი ლეიტენანტი ვახტანგ ჭიჭინაძე სარდლობამ დააჯილდოვა წითელი ვარსკვლავის ორდენით. უმაღლესმა ჯილდომ ადაფრთოვანა ახალგაზრდა ქართველი მეომარი...”

ომის დამთავრების შემდეგ ბატონმა ვახტანგმა სწავლა განაგრძო საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში, რომელიც 1946 წელს დაამთავრა. იმავე წლის სექტემბერში მუშაობა დაიწყო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ენერგეტიკის ინსტიტუტში.

ბატონმა ვახტანგმა 1949 წელს წარმატებით ჩააბარა გამოცდები საკავშირო მეცნიერებათა აკადემიის მოსკოვის ავტომატიკისა და ტელემექანიკის (ამჟამად მართვის პრობლემების) ინსტიტუტის ასპირანტურაში, სადაც მისი სამეცნიერო ხელმძღვანელი გახლდათ დ. ზორნოვი. ასპირანტურის დამთავრებისთანავე, 1952 წელს, მოსკოვში წარმატებით დაიცვა დისერტაცია ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად. სადისერტაციო ნაშრომი ამპრავის ელექტრონული რეგულირების საკითხებს შეეხებოდა.

1952 წელს ბატონი ვახტანგი დაბრუნდა საქართველოში და მუშაობა გააგრძელა ზემოთ მითითებულ ენერგეტიკის ინსტიტუტში.

1956 წელს ბატონი ვახტანგი გადაიყვანეს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ახლად დაარსებულ ელექტრონიკის, ავტომატიკისა და ტელემექანიკის (ამჟამად საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის არჩილ ელიაშვილის მართვის სისტემების) ინსტიტუტში, რომლის დამაარსებელი და პირველი დირექტორი გახლდათ ცნობილი მეცნიერი და შესანიშნავი მამულიშვილი – ბატონი არჩილ ელიაშვილი. ბატონი ვახტანგი დაინიშნა დირექტორის მოადგილედ სამეცნიერო მუშაობის დარგში. სწორედ ამ ორი პიროვნების ძალისხმევით აღნიშნული ინსტიტუტი ჩამოყალიბდა როგორც ერთ-ერთი გამორჩეული სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი საქართველოში, რომლის წარმატებებიც ოპტიმალურ სისტემებში, სტოქასტურ პროცესებში, სამეტყველო სახეთა გამოცნობასა და მანქანურ თარგმანში გასცდა რესპუბლიკის ფარგლებს და მათ უცხოელ სპეციალისტთა ღირსეული შეფასებები დაიმსახურეს.



ინსტიტუტის დირექტორთან ბატონ არჩილ ელიაშვილთან და ამერიკელ მეცნიერებთან ერთად მცხეთაში ექსკურსიაზე

უნდა აღინიშნოს, რომ ახალი ინსტიტუტის ფორმირებისას კარგად გამოჩნდა ბატონი ვახტანგის ნიჭი და ენთუზიაზმი ინსტიტუტში ახალი სამეცნიერო მიმართულებების დანერგვასა და განვითარების საქმეში.

1968 წელს ბატონმა ვახტანგმა მოსკოვის მართვის პრობლემების ინსტიტუტში წარმატებით დაიცვა დისერტაცია ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად, რომელიც ძირითადად მართვის თეორიის ოპტიმალური ამოცანების გადაწყვეტის ახალ მეთოდს მიეძღვნა. 1968 წლიდან იგი პროფესორია.

1971 წელს ბატონი ვახტანგი დაინიშნა ყოფილი საბჭოთა კავშირის ელექტრონული მრეწველობის დაქვემდებარებაში მყოფ სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება “მიონის” დირექტორად, სადაც მან სამი წელი იმუშავა. ამ პერიოდში განსაკუთრებით

წარმოიხინდა ბატონი ვახტანგის ორგანიზატორული ნიჭი. იგი ენერგიულად შეუდგა ორგანიზაციულ-ტექნიკური საკითხების გადაწყვეტას, რომლებიც სამინისტროს მთავარი მოთხოვნის – ინტეგრალური მიკროსქემების დამუშავებაზე იყო ორიენტირებული. გაერთიანებასთან არსებული ქარხნის სასწრაფოდ ექსპლუატაციაში შეყვანისათვის მიღებულ იქნა ზომები და, მართლაც, სულ მალე სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება “მიონი” მთელი ძალით ამუშავდა და ქარხანამაც დაიწყო სერიული პროდუქციის გამოშვება.

1972 წელს ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი ვახტანგ ჭიჭინაძე აირჩიეს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტად.

1974 წელს ბატონი ვახტანგი გადაიყვანეს საქართველოს უმაღლესი და საშუალო-სპეციალური განათლების მინისტრის პირველ მოადგილედ.

1978 წელს იგი საკუთარი სურვილით სამუშაოდ გადავიდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გამოთვლით ცენტრში მანქანური დაპროექტების განყოფილების გამგედ.

1982 წელს ბატონი ვახტანგი დაბრუნდა თავის მშობლიურ ინსტიტუტში, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის არჩილ ელიაშვილის სახელობის მართვის სისტემების ინსტიტუტში დირექციის მრჩეველად. 2006 წლიდან კი იგი ინსტიტუტის მთავარი მეცნიერი თანამშრომელია.

1983 წელს ბატონი ვახტანგი აირჩიეს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრად, აკადემიკოსად.

ბატონი ვახტანგის სამეცნიერო ინტერესების სფერო მრავალმხრივი და მრავალფეროვანია. სამეცნიერო ასპარეზზე მისი მოღვაწეობა, თუ არ ჩავთვლით საკანდიდატო დისერტაციაზე მუშაობას, ძირითადად სამ პერიოდს მოიცავს. პირველ ეტაპზე, მან, მსოფლიოში ერთ-ერთმა პირველმა, შეისწავლა მართვის სისტემებისა და დანადგარების მანქანური დაპროექტების განხორციელების შესაძლებლობა, რის შედეგადაც შემუშავებულ და პრაქტიკულად რეალიზებულ იქნა სპეციალიზებული გამოთვლელი მანქანა – კომპოსტატი, რომელიც შემთხვევითი ძებნის საფუძველზე ახორციელებდა მართვის ახალი სისტემების დაპროექტების პროცედურებს. აღნიშნული სამუშაო მან 1960 წელს წარადგინა IFAC-ის I მსოფლიო კონგრესზე ქ. მოსკოვში.

1962 წელს ბატონი ვახტანგი ქ. რომში საერთაშორისო სიმპოზიუმზე გამოვიდა მოხსენებით, რომელიც ეხებოდა მართვის ოპტიმალური და ადაპტური სისტემების პრობლემებს. სამუშაომ დიდი ინტერესი გამოიწვია უცხოელ სპეციალისტებს შორის (პროფ. ს. დრაიპერი, პროფ. ჰ. შაკი და სხვა). მათი ინიციატივით 1964 წელს ბატონი ვახტანგი ამერიკის შეერთებული შტატების სამეცნიერო ცენტრებსა და პრობლემურ ლაბორატორიებში ლექციების წასაკითხად ოფიციალურად მიიწვიეს.

პირველი შეხვედრა ამერიკელ მეცნიერებთან და ინჟინრებთან შედგა იმ დროისათვის ამერიკის უმსხვილესი ფირმის “ზელ-ლაბორატორის” სამეცნიერო ცენტრში, სადაც ავტომატური მართვის სისტემების მანქანური დაპროექტების საკითხებზე ბატონმა ვახტანგმა ლექცია ინგლისურ ენაზე წაიკითხა.

ანალოგიური ლექციებით ბატონი ვახტანგი გამოვიდა, აგრეთვე, ამერიკის სხვადასხვა მნიშვნელოვან სამეცნიერო ცენტრებში, როგორებიცაა მასაჩუსეტის ტექნოლოგიური ინსტიტუტი, კლივლენდის კეიზის ტექნოლოგიური ინსტიტუტი, პიცბურგის კარნეგის ტექნოლოგიური ინსტიტუტი, კალიფორნიის ტექნოლოგიური ინსტიტუტი, ნიუ-იორკის უნივერსიტეტი, ბრუკლინის პოლიტექნიკური ინსტიტუტი და სხვა. ყველგან, სადაც კი გამოვიდა ბატონი ვახტანგი, ადგილი ჰქონდა ამერიკელი მეცნიერების უდიდეს დაინტერესებას.

ბატონი ვახტანგის სამეცნიერო მოღვაწეობის მეორე პერიოდი მიეძღვნა ოპტიმალური პრობლემების გადაწყვეტის სრულიად ახალი, ორიგინალური მათემატიკური მეთოდის შექმნას. მან შეიმუშავა ცნობილი ψ-გარდაქმნის მეთოდი, რომელიც გლობალური ექსტრემუმის მოძებნის საშუალებას იძლევა. აღსანიშნავია, რომ ამ მეთოდის გამოყენების შედეგად შესაძლებელია ისეთი ამოცანების ამოხსნა და შესაბამისი ოპტიმალური გადაწყვეტილებების მიღება, რომელთა ამოხსნაც, მანამდე არსებული სხვა მეთოდების საშუალებით, შეუძლებელი იყო. რთული ოპტიმალური ამოცანების “ჭიჭინაძის მეთოდით”, ანუ ψ-გარდაქმნის მეთოდით გადაწყვეტის შესაძლებლობამ უცხოელ მეცნიერთა შორის დიდი ინტერესი გამოიწვია და აღნიშნული მეთოდი მათი დაწვრილებითი შესწავლისა და განხილვის საგანი გახდა (იხ. 1. Towards Global

Optimization. Editors L.C.W. Dixon and G.P.Szego, North-Holland Publishing Company, 1975, 472 pp.; 2. M. Aoki. Introduction to Optimization Techniques. University of California, Los Angeles, The Macmillan Company, New York, 1977, 344 pp.; 3. Numerical Optimization of Dynamic Systems. Edited by L. C. W. Dixon and G.P. Szego, Hort-Holland Publishing Company, 1980, 410 pp.; 4. E.A. Galperin, Q. Zheng. New Theory of Continuous Games. Montreal, 1990, 84 pp.; 5. E.A. Galperin, Q. Zheng. Global Solutions in Optimal Control and Games. Montreal, 1991, 281 pp. და სხვა).

ψ-გარდაქმნის მეთოდთან დაკავშირებით ორი მეტად არაორდინარული ფაქტია აღსანიშნავი:

1) კალიფორნიის უნივერსიტეტის ცნობილი პროფესორის მ. აოკის სახელმძღვანელოში “შესავალი ოპტიმიზაციაში” დაწერილია ადრეული “ჭიჭინადის მეთოდი”. როგორც ავტორი აღნიშნავს, სახელმძღვანელო შედგენილია იმ ლექციების საფუძველზე, რომელსაც ბატონი ვახტანგი კალიფორნიის უნივერსიტეტის სტუდენტებს უკითხავდა. მსგავსი შემთხვევა, რომ ქართველი მეცნიერის მიერ მიღებულ შედეგებზე ლექციებს უკითხავდნენ ამერიკელ სტუდენტებს, დაგვეთანხმებით, იშვიათი მოვლენაა.

2) “ჭიჭინადის მეთოდს” კარგად იცნობენ იტალიაშიც. იტალიელი მეცნიერების ნაშრომების განხილვის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ მილანის უნივერსიტეტის მათემატიკის ინსტიტუტის ძირითადი თემატიკა გლობალურ ოპტიმიზაციაში ეყრდნობა ბატონი ვახტანგის შრომებს.

ბატონი ვახტანგის სამეცნიერო მოღვაწეობის მესამე პერიოდი ადმინისტრაციული სისტემების მართვის საკითხებს შეეხება. მის მიერ შემუშავებული მათემატიკური აპარატი გამოყენებულ იქნა ისეთი რთული სისტემების მართვისათვის, როგორცაა სახელმწიფო, კომპანია, ფირმა ან ნებისმიერი დაწესებულება. ამავე დროს, თამაშთა თეორიისა და სისტემური ანალიზის მეთოდების გამოყენების საფუძველზე, ბატონმა ვახტანგმა შეისწავლა კონფლიქტების პროცესები, რის შედეგადაც შესაძლებელია ამ კონფლიქტების მართვა და სათანადო ოპტიმალური ან სუბოპტიმალური გადაწყვეტილებების მიღება. მან განიხილა კონკრეტული მაგალითები მსოფლიოში მიმდინარე სხვადასხვა სახელმწიფოებსა თუ ცალკეული სახელმწიფოების ეთნიკურ ჯგუფებს შორის კონფლიქტების შესახებ და დაადგინა მოქმედებების ოპტიმალური კანონები ისეთი კონფლიქტებისათვის, როგორებიც იყო კუბის კრიზისი, სუეცის არხის კონფლიქტი და ეთნიკური კონფლიქტი აფხაზეთში.

ბატონ ვახტანგს გამოქვეყნებული აქვს 100-მდე სამეცნიერო ნაშრომი ავტომატური მართვის სისტემების ანალიზისა და სინთეზის, ოპტიმალური და ადაპტური სისტემების თეორიისა და პრაქტიკის, სტატიკური და დინამიკური ოპტიმიზაციის, თამაშთა თეორიის, ადმინისტრაციული მართვისა და კონფლიქტური სიტუაციების ანალიზის საკითხებზე, აგრეთვე, ექვსი მონოგრაფია და ოთხი სახელმძღვანელო (თანაავტორებთან ერთად) საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტებისათვის.

ერთ-ერთი სახელმძღვანელოსათვის “ოპტიმალური და ადაპტური სისტემები” (სამტოშვილი, 1000 გვერდზე მეტი) ბატონ ვახტანგს თანაავტორებთან ერთად (პროფ. ა. გუგუშვილი, აკად. მ. სალუქვაძე) 2004 წელს მეცნიერებისა და ტექნიკის დარგში საქართველოს სახელმწიფო პრემია მიენიჭა.

ბატონი ვახტანგი წლების მანძილზე ეწეოდა პედაგოგიურ მოღვაწეობას თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში და სახალხო მეურნეობის მართვის ინსტიტუტში. იგი იყო საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სადისერტაციო საბჭოს წევრი.

ბატონი ვახტანგის ხელმძღვანელობით დაცულია მრავალი სადოქტორო და საკანდიდატო დისერტაცია.

ბატონი ვახტანგი დიდი პოპულარობით სარგებლობს საზღვარგარეთაც. მას ახლაც ხშირად მიმართავენ კონსულტაციებისათვის. მის შესახებ ინფორმაცია განთავსებულია მარკუსის ცნობილ ცნობარში “Who is Who in the World”, რომელიც შეერთებულ შტატებში გამოდის. იგი არის ამერიკის ელექტრონიკისა და ელექტროტექნიკის ინსტიტუტის საპატიო წევრი, ამერიკის პლანეტარული საზოგადოების წევრი, ამერიკის გეოგრაფიული საზოგადოებისა და ბიოგრაფიული საზოგადოების საპატიო წევრი.

ბატონი ვახტანგი, ასევე, არჩეულია საქართველოს საინჟინრო აკადემიის ნამდვილ წევრად, აკადემიკოსად, სადაც იგი ნაყოფიერად მოღვაწეობს.

სიკეთით, დიდსულოვნებითა და პრინციპულობით გამორჩეულ კაცს ჰყავს ასეთივე ბუნების ერთგული და მზრუნველი თანამეცხედრე – ქეთევან გაჩეხილაძე, ექიმი-მიკრობიოლოგი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, მუშაობს თბილისის ვაქცინებისა

და შრატების სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში (“ბაქტერიოფაგი”). ჰყავს ორი შვილი: ელისო – მიკრობიოლოგი, რევაზი – კომპანიებისა და ფირმების საფინანსო მოდერნიზაციის ანალიზის სპეციალისტი. მისი შვილიშვილი ვახტანგი – ახალგაზრდა სპეციალისტია მართვის დარგში.

ბატონი ვახტანგი დაჯილდოებულია ღირსების ორდენით, მრავალი სიგელითა და დიპლომით და, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, ბატონი ვახტანგი დაჯილდოებულია მრავალი შვილიშვილით.

ჯანმრთელობას და დიდხანს სიცოცხლეს გისურვებთ, ბატონო ვახტანგ!
ღმერთმა გაგაძლიეროს!

მინდია სალუქვაძე
აკადემიკოსი

სარჩევნო – CONTENTS – СОДЕРЖАНИЕ

მართვის თეორია – CONTROL THEORY - ТЕОРИЯ УПРАВЛЕНИЯ

| | |
|--|----|
| არასკალარული ოპტიმიზაციის ამოცანების აპროქსიმაციისა და სკალარიზაციის შესახებ..... 13 გ. მაისურაძე, მ. სალუქვაძე, ვ. გაბისონია | 13 |
| MODEL VALIDATION AT IDENTIFICATION OF ONE CLASS OF NON-STATIONARY SYSTEMS 27 B. Shanshiashvili, M. Salukvadze | 27 |
| სავაჭრო ფირმის ოპტიმალური გეგმის განაზოგადება სიმალეს მეთოდით..... 34 დ. სისარულიძე, ვ. მაისურაძე | 34 |
| ამონახსნების არაინტეგრალური შეფასების შესახებ ვექტორული ოპტიმიზაციის ამოცანის ამონახსნის იტერაციულ მეთოდში 39 ნ. კილასონია | 39 |
| ეკონომიკის ციკლების და კრიზისების კვლევა MATLAB-ის გამოყენებით..... 42 ა. ბარდაველიძე, ხ. ბარდაველიძე | 42 |

მართვის სისტემები - CONTROL SYSTEMS - СИСТЕМЫ УПРАВЛЕНИЯ

| | |
|---|-----|
| A SIMPLE QUANTITATIVE MODEL FOR EVALUATION OF THE SUSTAINABLE DEVELOPMENT INDEX AND ITS CORRELATION WITH THE KNOWLEDGE SOCIETY INDEX (K-INDEX) 49 Z. Buachidze, A. Gigineishvili, A. Chirakadze, N. Kavlashvili, I. Khomeriki, Z. Sikmashvili, M. Wireman | 49 |
| ПРИЁМЫ КОМПЕНСАЦИИ ПАРАЗИТНЫХ СОСТАВЛЯЮЩИХ СИГНАЛОВ ПРИ ПОСТРОЕНИИ ВЗАИМОИНДУКТИВНЫХ ПЕРВИЧНЫХ ПРЕОБРАЗОВАТЕЛЕЙ ТИПА - 3D 55 O. Labadze, M. Cerqvadze, T. Labadze, P. Mandzhavidze | 55 |
| PRINCIPLES OF CONSTRUCTION OF INTER-INDUCTIVE PRIMARY CONVERTERS 58 O. Labadze | 58 |
| მრავალსახსრული სამრეწველო მანიპულიატორის თითოეული სახსრის და ჩამჭერის სივრცული კოორდინატების უკონტაქტო განსაზღვრის პრინციპი..... 63 ო. ლაბაძე | 63 |
| უკონტაქტო სამოციციური დინამიური ინდიკატორის მართვის მეთოდი..... 66 ო. ლაბაძე | 66 |
| ხელოვნური მიკროკლიმატის პარამეტრების მართვის კომპინირებული ადაპტური სისტემა..... 71 ლ. გვარამაძე, ო. ლაბაძე, ნ. ყავლაშვილი, თ. საანიშვილი, გ. კიკნაძე | 71 |
| ელექტროენერგეტიკის განვითარების თანამედროვე ტენდენციები და საქართველოს ენერგორესურსების ოპტიმალურად გამოყენების პრობლემები 75 თ. მაგრაქველიძე, ვ. ჭიჭინაძე, ხ. ლომიძე, ნ. ბანცაძე, ა. მიქაშვილი, მ. ჯანიკაშვილი, ი. არჩუაძე | 75 |
| კედლისპირა ზონაში ტურბულენტური დინების ზოგიერთი საკითხის შესახებ..... 81 თ. მაგრაქველიძე | 81 |
| ენერგიის არატრადიციული, განახლებადი რესურსების ათვისების პერსპექტივები საქართველოში..... 89 ნ. მირიანაშვილი, ნ. გელიშვილი, ვ. ხათაშვილი | 89 |
| მომკრავი მქანოზემების რხევების ანალიზი და მათი გამოყენება..... 94 თ. ტროყაშვილი | 94 |
| ატომური ზოლვანი ფილტრების გადაწყობა რეზონანსულ სიხშირეზე..... 98 თ. ტროყაშვილი, გ. ურუშაძე, ნ. შენგელია | 98 |
| დინამიკური სისტემების მოდელირება კომპიუტერების ბაზაზე..... 101 დ. ცინცაძე | 101 |
| მოზილური ტოპოტიის მართვის სისტემა..... 105 დ. ფურცხვანიძე | 105 |

ინფორმატიკა – INFORMATICS - ИНФОРМАТИКА

| | |
|--|------------|
| ქართული წინადადების რეგულაციის სტრუქტურა..... | 111 |
| გ. ჩიკოიძე | |
| სამართაშორისო სტანდარტი EAGLES ქართული ტექსტური კორპუსის ანოტირებისთვის..... | 118 |
| ლ. ლორთქიფანიძე, ნ. ჯავაშვილი | |
| დროის დეინჟინერი ქართულში..... | 131 |
| ა. ჩუტკერაშვილი | |
| კოდირების სტანდარტული სისტემა CES და ქართული ლინგვისტური კორპუსი..... | 136 |
| ნ. ამირეხაშვილი, ლ. სამსონაძე | |
| ნაწილობრივი მონაცემების მოდელირების გამოყენების შესახებ..... | 141 |
| მ. სურგულაძე | |
| დრუგლოვანი გამოთვლების განვითარების აქტივობები საბანკო-საბიზნესო სფეროში..... | 145 |
| თ. ლომინაძე, მ. გეგეჭკორი, ვ. ბახტაძე, მ. არჩუაძე, ნ. ნარიშვილი | |
| ელექტრონული სახელმწიფოს შესახებ..... | 148 |
| თ. ბახტაძე, ი. მარგალიტაძე, მ. გეგეჭკორი | |
| К ВОПРОСУ О БИНАРИЗАЦИИ КОЛИЧЕСТВЕННЫХ ПРИЗНАКОВ ДЛЯ ЛОГИЧЕСКИХ МЕТОДОВ РАСПОЗНАВАНИЯ..... | 152 |
| М. Микеладзе | |
| სამედიცინო დიაგნოსტიკის არაფორმალური ამოცანის გადაწყვეტის კუჭის ბასტირის კლასის დაგეგმვათა მახასიათებელი..... | 157 |
| ვ. რაძიევსკი, მ. მიქელაძე, ნ. ჯალიაბოვა, დ. რაძიევსკი | |
| სიტუაციითა კლასების განვითარებული აღწერა და შესაძლო გადაწყვეტილებათა სიმრავლის გაფართოება რეალური სისტემების მართვისას..... | 163 |
| ვ. რაძიევსკი | |
| ПРОДУКЦИОННЫЕ МОДЕЛИ ЗНАНИЙ В ЗАДАЧАХ МЕДИЦИНСКОЙ ДИАГНОСТИКИ И ПРОГНОЗИРОВАНИЯ..... | 169 |
| В. Радзиевский, Д. Радзиевский | |
| СИСТЕМА ПРИЧИННОГО АНАЛИЗА СОСТОЯНИЯ НАБЛЮДАЕМОГО ОБЪЕКТА НА ПРИМЕРЕ АНАЛИЗА ЭКОЛОГИЧЕСКОЙ ИНФОРМАЦИИ..... | 175 |
| Д. Радзиевский | |
| კონცეპტუალური დაფუძნებული ცოდნის ამოკრეფის მეთოდი შიფრების ტექსტებისა და..... | 180 |
| მ. ხაჩიძე, მ. არჩუაძე, ვ. ბესიაშვილი | |
| სიმნიშვნელოვანი დაგეგმვათა მიკროკალკულირებული დიაგნოსტიკის მხარდაჭერი სინფორმაციო სისტემის ლობიკური სქემა..... | 185 |
| დ. ხაჩიძე, მ. ხაჩიძე, ნ. ხაჩიძე | |
| HEARING FUNCTION IN INDUSTRIAL WORKERS: OCCUPATIONAL NOISE INFLUENCE..... | 191 |
| M. Tushishvili, N. Sharashenidze, A. Tushishvili, Z. Kevanishvili | |
| ტუბრიკა: თემა დისკუსიისთვის | |
| ANALYSIS OF THE MATRIX ONE-WAY FUNCTION AND TWO VARIANTS OF ITS IMPLEMENTATION..... | 198 |
| R. Megrelishvili | |
| სსოფსა – MEMORY - ПАМЯТЬ | |
| ლამარა მარბეშვილი..... | 205 |

მართვის თეორია

CONTROL THEORY

ТЕОРИЯ УПРАВЛЕНИЯ

**არასკალარული ოპტიმიზაციის ამოცანების აპროქსიმაციისა და
სკალარიზაციის შესახებ**

ვ. მაისურაძე, მ. სალუქვაძე, ვ. ბაბისონია

wmaisuradze@yahoo.com

1. სიმრავლის ეფექტურ წერტილთა აპროქსიმაცია

ეთქვას, Y არის წრფივი ტოპოლოგიური სივრცე, Ω არის არაცარიელი ქვესიმრავლე Y -ში, $B \subset Y$, $\text{int } B \neq \emptyset$, $0 \in \text{fr } B$ და $k^0 \in Y \setminus \{0\}$ ვექტორი აკმაყოფილებს პირობას:

$$clB + (0, \infty)k^0 \subset \text{int } B. \quad (1.1)$$

ჩავთვალოთ, რომ ε არის არაუარყოფითი ნამდვილი რიცხვი.

განსაზღვრა 1.1. $y_\varepsilon \in \Omega$ ელემენტს ეწოდება Ω სიმრავლის ε, k^0 - ეფექტური წერტილი B სიმრავლის მიმართ, თუ სრულდება პირობა:

$$\Omega \cap (y_\varepsilon - \varepsilon k^0 - B \setminus \{0\}) = \emptyset. \quad (1.2)$$

განსაზღვრის სახით მივიღოთ, რომ

$$\text{eff}(\Omega, B_{\varepsilon, k^0}) = \{y_\varepsilon \in \Omega \mid \Omega \cap (y_\varepsilon - \varepsilon k^0 - B \setminus \{0\}) = \emptyset\}. \quad (1.3)$$

თუ $\varepsilon = 0$. მაშინ სიმრავლე $\text{eff}(\Omega, B)$, განსაზღვრული ტოლობით

$$\text{eff}(\Omega, B) = \{y_0 \in \Omega \mid \Omega \cap (y_0 - B \setminus \{0\}) = \emptyset\} = \text{eff}(\Omega, B_{0, k^0}), \quad (1.4)$$

არის Ω სიმრავლის ეფექტურ წერტილთა ერთობლიობა B სიმრავლის მიმართ.

რადგან $B \subset clB$, ამიტომ (1.1) -ის თანახმად, $B + (0, \infty)k^0 \subset \text{int } B \subset B \setminus \{0\}$. მეორე მხრივ, $B \setminus \{0\} \subset B$, ამიტომ

$$B \setminus \{0\} + (0, \infty)k^0 \subset B + (0, \infty)k^0 \subset clB + (0, \infty)k^0 \subset \text{int } B \subset B \setminus \{0\},$$

ანუ $-(0, \infty)k^0 - B \setminus \{0\} \subset -B \setminus \{0\}$, საიდანაც გამომდინარეობს, რომ

$$y - (0, \infty)k^0 - B \setminus \{0\} \subset y - B \setminus \{0\}, y \in Y.$$

ამრიგად, მართებულია ჩართვა:

$$y - [0, \infty)k^0 - B \setminus \{0\} \subset y - B \setminus \{0\}, y \in Y. \quad (1.5)$$

თუ $0 \leq \varepsilon_1 \leq \varepsilon_2$, (1.5) - დან გამომდინარეობს, რომ

$$y - (\varepsilon_2 - \varepsilon_1)k^0 - B \setminus \{0\} \subset y - B \setminus \{0\}, y \in Y,$$

ანუ მართებულია ჩართვები: $y - \varepsilon_2 k^0 - B \setminus \{0\} \subset y - \varepsilon_1 k^0 - B \setminus \{0\} \subset y - B \setminus \{0\}, y \in Y$.

უკანასკნელიდან ვასკენით, რომ თუ $y_\varepsilon \in \text{eff}(\Omega, B)$, მაშინ $y_\varepsilon \in \Omega$ და $\Omega \cap (y_\varepsilon - B \setminus \{0\}) = \emptyset$. რადგან მართებულია ჩართვა $y_\varepsilon - \varepsilon_1 k^0 - B \setminus \{0\} \subset y_\varepsilon - B \setminus \{0\}$, ამიტომ $\Omega \cap (y_\varepsilon - \varepsilon_1 k^0 - B \setminus \{0\}) = \emptyset$. ეს ნიშნავს, რომ $y_\varepsilon \in \text{eff}(\Omega, B_{\varepsilon_1, k^0})$. რადგან

$$y_\varepsilon - \varepsilon_2 k^0 - B \setminus \{0\} \subset y_\varepsilon - \varepsilon_1 k^0 - B \setminus \{0\},$$

ამიტომ მართებულია ტოლობაც $\Omega \cap (y_\varepsilon - \varepsilon_2 k^0 - B \setminus \{0\}) = \emptyset$, ანუ $y_\varepsilon \in \text{eff}(\Omega, B_{\varepsilon_2, k^0})$, რაც თავისთავად ნიშნავს, რომ სინამდვილეში მართებულია ჩართვათა ჯაჭვი:

$$\text{eff}(\Omega, B) \subset \text{eff}(\Omega, B_{\varepsilon_1, k^0}) \subset \text{eff}(\Omega, B_{\varepsilon_2, k^0}), 0 \leq \varepsilon_1 \leq \varepsilon_2. \quad (1.6)$$

პუბლიკაცია [1]- ში D არაცარიელი საკუთრივი ქვესიმრავლისა და $k^0 \in Y \setminus \{0\}$ ვექტორისათვის, რომლებიც ამაყოფილებენ $D + tk^0 \subset D, \forall t \geq 0$ პირობას, $\varphi: Y \rightarrow \bar{R}$

ფუნქციონალი განისაზღვრება ტოლობით $\varphi(y) = \inf\{t \in R \mid y \in tk^0 - D\}$. თუ B არის საკუთრივი არაცარიელი ქვესიმრავლე Y - ში, მაშინ $D = clB$ არის საკუთრივი არაცარიელი ჩაკეტილი ქვესიმრავლე Y - ში და $\varphi: Y \rightarrow \bar{R}$ ფუნქციონალი განისაზღვრება ტოლობით:

$$\varphi(y) = \inf\{t \in R \mid y \in tk^0 - clB\}. \quad (1.7)$$

თეორემა 1.1. ვთქვათ, $\Omega, B \subset Y$ არის არაცარიელი საკუთრივი ქვესიმრავლეები, $\text{int } B \neq \emptyset, 0 \in frB$, $C \subset Y$ არის კონუსი, $\text{int } C \neq \emptyset$, $k^0 \in \text{int } C$ და $\varepsilon \geq 0$. ჩავთვალოთ, რომ $clB + \text{int } C \subset \text{int } B$, $y_\varepsilon \in \text{eff}(\Omega, B_{\varepsilon, k^0})$, ხოლო $\omega: Y \rightarrow \bar{R}$ ფუნქციონალი განისაზღვრულია ტოლობით:

$$\omega(y) = \varphi(y - y_\varepsilon) = \inf\{t \in R \mid y - y_\varepsilon \in tk^0 - clB\}. \quad (1.8)$$

მაშინ ω ფუნქციონალი არის სასრული მნიშვნელობების მქონე უწყვეტი და მკაცრად $\text{int } C$ - მონოტონური, რომელიც აკმაყოფილებს პირობას:

$$\omega(y_\varepsilon) \leq \omega(y) + \varepsilon, \forall y \in \Omega. \quad (1.9)$$

გარდა აღნიშნულისა, თუ $clB + C \setminus \{0\} \subset \text{int } B$, მაშინ ω არის მკაცრად C - მონოტონური.

დამტკიცება. რადგან B არაცარიელი საკუთრივი ქვესიმრავლეა Y - ში, ამიტომ clB აგრეთვე არის არაცარიელი, საკუთრივი და ჩაკეტილი ქვესიმრავლე Y - ში. მართლაც, საკმარისია ვაჩვენოთ, რომ clB არის საკუთრივი ქვესიმრავლე Y - ში. დაეუშვათ წინააღმდეგი, ეი დაეუშვათ, რომ $clB = Y$, მაშინ უნდა სრულდებოდეს პირობა $Y + \text{int } C \subset \text{int } B$. რადგან $Y + \text{int } C = Y$, ამიტომ უკანასკნელი ჩართვიდან ვღებულობთ, რომ $Y \subset \text{int } B$. რადგან $\text{int } B \subset B$, ამიტომ $Y \subset B$. რადგან $B \subset Y$, ამიტომ $B = Y$. ეს ეწინააღმდეგება პირობას იმის შესახებ, რომ B არის საკუთრივი ქვესიმრავლე Y - ში. მიღებული წინააღმდეგობა ამტკიცებს, რომ $clB \neq Y$, ანუ $Y \setminus clB \neq \emptyset$, რაც თავისთავად ნიშნავს, რომ clB არის საკუთრივი ქვესიმრავლე Y - ში. რადგან $\text{int } B \subset clB$ და $clB + \text{int } C \subset \text{int } B$, ამიტომ $clB + \text{int } C \subset clB$. რადგან $C \subset Y$ არის კონუსი და $k^0 \in \text{int } C$, ამიტომ პუბლიკაცია [1]- ის ლემა 1.10 - ის პირველი პუნქტის თანახმად, სრულდება პირობები:

$$\begin{aligned} \forall z \in Y, \exists t \in R: z + tk^0 &\notin clB, \\ Rk^0 - clB &= Y, \\ clB + tk^0 &\subset \text{int}(clB), \forall t \in (0, \infty). \end{aligned} \quad (1.10)$$

პუბლიკაცია [1]- ის თეორემა 1.11 -ის (b) და (c) პუნქტების თანახმად, უკანასკნელი ნიშნავს, რომ φ ფუნქციონალი არის სასრული მნიშვნელობების მქონე, ხოლო ამავე თეორემის (f) პუნქტის თანახმად φ ფუნქციონალი უწყვეტია Y - ზე. რადგან $\text{int } C = \text{int } C \setminus \{0\}$, $\text{int } B \subset \text{int}(clB)$ და $clB + \text{int } C \subset \text{int } B$, ამიტომ

$$clB + \text{int } C \setminus \{0\} \subset \text{int}(clB).$$

უკანასკნელი, პუბლიკაცია [1]- ის თეორემა 1.11 -ის (g) პუნქტის 2 ქვეპუნქტის თანახმად ნიშნავს, რომ φ ფუნქციონალი არის მკაცრად $\text{int } C$ - მონოტონური.

თუ სრულდება პირობა $clB + C \setminus \{0\} \subset \text{int } B$, მაშინ $clB + C \setminus \{0\} \subset \text{int}(clB)$ და ისევ პუბლიკაცია [1]- ის თეორემა 1.11 -ის (g) პუნქტის 2 ქვეპუნქტის თანახმად, φ ფუნქციონალი არის მკაცრად C - მონოტონური. მეორე მხრივ, (1.8) განსაზღვრის თანახმად, გვაქვს:

$$\omega(y) = \varphi(y - y_\varepsilon) = \inf\{t \in R \mid y - y_\varepsilon \in tk^0 - clB\}.$$

რადგან $y - y_\varepsilon \in Y, \forall y \in Y$ და φ ფუნქციონალი მხოლოდ სასრულ მნიშვნელობებს ღებულობს Y -ზე, ამიტომ $\omega(y) = \varphi(y - y_\varepsilon) \in R, \forall y \in Y$, ე.ი. ω არის სასრული მნიშვნელობების მქონე ფუნქციონალი Y -ზე. თუ $\{y_n\}, n=1, 2, \dots$ არის $y \in Y$ ელემენტისაკენ კრებადი მიმდევრობა Y -ში, მაშინ $\omega(y_n) = \varphi(y_n - y_\varepsilon)$ და φ ფუნქციონალის უწყვეტობის გამო მართებულია ტოლობები:

$$\lim_{n \rightarrow \infty} \omega(y_n) = \lim_{n \rightarrow \infty} \varphi(y_n - y_\varepsilon) = \varphi(y - y_\varepsilon) = \omega(y).$$

უკანასკნელი ნიშნავს, რომ ω არის უწყვეტი ფუნქციონალი Y სივრცეზე. ვთქვათ, რომ $y_1, y_2 \in Y$ ელემენტები აკმაყოფილებენ $y_2 - y_1 \in \text{int } C \setminus \{0\} = \text{int } C$ პირობას. მაშინ ცხადია, რომ $(y_2 - y_\varepsilon) - (y_1 - y_\varepsilon) = y_2 - y_1 \in \text{int } C$ და, რადგან φ არის მკაცრად $\text{int } C$ -მონოტონური, ამიტომ $\varphi(y_1 - y_\varepsilon) < \varphi(y_2 - y_\varepsilon)$, ანუ $\omega(y_1) < \omega(y_2)$. ეს უკანასკნელი ნიშნავს, რომ ω ფუნქციონალი არის მკაცრად $\text{int } C$ -მონოტონური. ანალოგიურად მტკიცდება, რომ თუ φ არის მკაცრად C -მონოტონური, მაშინ ω ფუნქციონალი აგრეთვე არის მკაცრად C -მონოტონური.

ვანვენოთ ახლა, რომ მართებულია (1.9) უტოლობა. დავეშვათ წინააღმდეგი. მაშინ მოინახება $y \in \Omega$, რომლისთვისაც შესრულდება მკაცრი უტოლობა $\omega(y) + \varepsilon < \omega(y_\varepsilon)$. მეორე მხრივ, $\omega(y) = \varphi(y - y_\varepsilon)$, ამიტომ $\varphi(y - y_\varepsilon) + \varepsilon < \omega(y_\varepsilon)$ და $\omega(y_\varepsilon) = \varphi(0)$. ეს ნიშნავს, რომ უნდა სრულდებოდეს უტოლობა: $\varphi(y - y_\varepsilon) < \varphi(0) - \varepsilon$. ამიტომ, მოიძებნება ნამდვილი რიცხვი $t < \varphi(0) - \varepsilon$, რომელიც დააკმაყოფილებს უტოლობას $\varphi(y - y_\varepsilon) \leq t$, ანუ, პუბლიკაცია [1]-ის თეორემა 1.11-ის თანახმად, მართებული იქნება ჩართვა $y - y_\varepsilon \in tk^0 - clB$. გვაქვს:

$$y \in y_\varepsilon + (t + \varepsilon)k^0 - \varepsilon k^0 - clB = y_\varepsilon - \varepsilon k^0 - (clB + (-\varepsilon - t)k^0). \quad (1.11)$$

მეორე მხრივ, $t + \varepsilon < \varphi(0)$. (1.1) პირობის თანახმად, რადგან $clB + (0, \infty)k^0 \subset \text{int } B$, ამიტომ $clB + (0, \infty)k^0 \subset \text{int}(clB)$. უკანასკნელიდან, პუბლიკაცია [1]-ის თეორემა 1.11-ის (f) პუნქტისა და $fr(clB) = fr(B)$ ტოლობის გათვალისწინებით ვღებულობთ:

$$\{y \in Y \mid \varphi(y) = t\} = tk^0 - frB, \forall t \in R,$$

საიდანაც გამომდინარეობს, რომ $\{y \in Y \mid \varphi(y) = 0\} = -frB$. რადგან $0 \in frB$, ამიტომ $\varphi(0) = 0$, ე.ი. $(-t - \varepsilon) > 0$. (1.1) პირობის თანახმად, $clB + (-\varepsilon - t)k^0 \subset \text{int } B$. რადგან $\text{int } B \subset B \setminus \{0\}$, ამიტომ სამართლიანია ჩართვა

$$clB + (-\varepsilon - t)k^0 \subset B \setminus \{0\}.$$

(1.11) - ის თანახმად, უკანასკნელი ნიშნავს, რომ $y \in y_\varepsilon - \varepsilon k^0 - B \setminus \{0\}$. რადგან $y \in \Omega$, ამიტომ $\Omega \cap (y_\varepsilon - \varepsilon k^0 - B \setminus \{0\}) \neq \emptyset$. ამით მივიღეთ წინააღმდეგობა იმ ფაქტთან დაკავშირებით, რომ $y_\varepsilon \in \text{eff}(\Omega, B_{\varepsilon, k^0})$, ანუ მართებულია (1.9) უტოლობა #

განსაზღვრა 12. ვთქათ, რომ C არის კონუსი Y -ში, ხოლო $\omega: Y \rightarrow R$ - ნებისმიერი C -მონოტონური ფუნქციონალი, ე.ი. : $y_2 - y_1 \in C \Rightarrow \omega(y_1) \leq \omega(y_2)$. მაშინ $\text{eff}(\Omega, C_{\varepsilon, \omega})$ სიმრავლეს, განსაზღვრულს ტოლობით

$$\text{eff}(\Omega, C_{\varepsilon, \omega}) = \{y_\varepsilon \in \Omega \mid \omega(y_\varepsilon) \leq \omega(y) + \varepsilon, \forall y \in \Omega\},$$

ეწოდება Ω სიმრავლის ε - ეფექტურ წერტილთა ერთობლიობა ω ფუნქციონალის მიმართ.

თუ თეორემა 1.1 – ში ჩავთვლით, რომ $B = C$, მაშინ ავტომატურად სრულდება პირობა $0 \in frC$ და აღნიშნული თეორემა ჩამოყალიბდება შემდეგი სახით:

თეორემა 12. ვთქვათ, რომ $\Omega \subset Y$ არის არაცარიელი საკუთრივი ქვესიმრავლე, $C \subset Y$ – საკუთრივი კონუსი, $\text{int } C \neq \emptyset, k^0 \in \text{int } C, clC + \text{int } C \subset \text{int } C, \varepsilon \geq 0, \omega: Y \rightarrow \bar{R}$ ფუნქციონალი განსაზღვრულია ტოლობით

$$\omega(y) = \varphi(y - y_\varepsilon) = \inf\{t \in R \mid y - y_\varepsilon \in tk^0 - clC\}$$

და $y_\varepsilon \in \text{eff}(\Omega, C_{\varepsilon, k^0})$. მაშინ ω არის სასრული მნიშვნელობების მქონე, უწყვეტი და მკაცრად $\text{int } C$ - მონოტონური ფუნქციონალი, რომელიც აკმაყოფილებს პირობას

$$\omega(y_\varepsilon) \leq \omega(y) + \varepsilon, \forall y \in \Omega.$$

თუ სრულდება პირობა $clC + C \setminus \{0\} \subset \text{int } C$, მაშინ ω არის მკაცრად C - მონოტონური.

ვთქვათ ახლა, რომ $\forall y \in \Omega$ ელემენტისათვის მართებულია ჩართვა $y_\varepsilon - y \in C$. მაშინ აღვნიშნავთ შეიძლება ჰქონდეს ერთ შემთხვევას შემდეგი სახით: $y_\varepsilon - y = 0, y_\varepsilon - y \in \text{int } C, y_\varepsilon - y \in C \setminus \{0\}$. პირველ შემთხვევაში მართებულია ტოლობა $\omega(y) = \omega(y_\varepsilon)$, ხოლო მეორე და მესამე შემთხვევაში, თეორემა 12 –ის თანახმად, მართებულია მკაცრი უტოლობა $\omega(y) < \omega(y_\varepsilon)$. ეს ნიშნავს, რომ $y_\varepsilon - y \in C$ ჩართვიდან ყოველთვის გამომდინარეობს რომ $\omega(y) \leq \omega(y_\varepsilon)$, ანუ თეორემა 12. –ის თანახმად, $\omega: Y \rightarrow R$ არის C - მონოტონური ფუნქციონალი და სრულდება უტოლობა $\omega(y_\varepsilon) \leq \omega(y) + \varepsilon, \forall y \in \Omega$. რადგან $y_\varepsilon \in \Omega$, მოყვანილი მსჯელობიდან გამომდინარეობს, რომ $y_\varepsilon \in \text{eff}(\Omega, C_{\varepsilon, \omega})$. ამით სინამდვილეში დამტკიცდა, რომ მართებულია ჩართვა

$$\text{eff}(\Omega, C_{\varepsilon, k^0}) \subset \text{eff}(\Omega, C_{\varepsilon, \omega}).$$

თეორემა 13. ვთქვათ, რომ $\Omega, B \subset Y$ არის არაცარიელი საკუთრივი ქვესიმრავლეები, $\text{int } B \neq \emptyset, C \subset Y$ არის კონუსი, $\text{int } C \neq \emptyset, k^0 \in \text{int } C$ და $\varepsilon \geq 0$. ჩავთვალოთ, რომ $clB + C \setminus \{0\} \subset \text{int } B$. დავუშვათ, რომ $y_\varepsilon \in \Omega$ ელემენტი აკმაყოფილებს პირობას:

$$\varphi(y_\varepsilon) \leq \varphi(y) + \varepsilon, \forall y \in \Omega. \quad (1.12)$$

მაშინ არსებობს ღია ქვესიმრავლე $D \subset Y$ ისეთი, რომ $0 \in frD, clD + C \setminus \{0\} \subset \text{int } D$ და მართებულია ჩართვა $y_\varepsilon \in \text{eff}(\Omega, D_{\varepsilon, k^0})$.

დამტკიცება. პირველ რიგში ვაჩვენოთ, რომ მოცემულ პირობებში clB არი საკუთრივი, ე.ი. $clB \neq Y$ და $0 \notin \text{int } C$. მართლაც, თუ $clB = Y$, მაშინ უნდა სრულდებოდეს პირობა $Y + C \setminus \{0\} \subset \text{int } B$. რადგან $Y + C \setminus \{0\} = Y$, ამიტომ უკანასკნელი ჩართვიდან ვღებულობთ, რომ $Y \subset \text{int } B$. რადგან $\text{int } B \subset B$, ამიტომ $Y \subset B$. რადგან $B \subset Y$, ამიტომ $B = Y$. ეს ეწინააღმდეგება პირობას იმის შესახებ, რომ B არის საკუთრივი ქვესიმრავლე Y - ში. მიღებული წინააღმდეგობა ამტკიცებს, რომ $clB \neq Y$, ე.ი. $Y \setminus clB \neq \emptyset$, ე.ი. clB არის საკუთრივი ქვესიმრავლე Y - ში. თუ $0 \in \text{int } C$, მაშინ არსებობს $0 \in Y$ წერტილის მიდამო V ისეთი, რომ $V \subset \text{int } C$ [2]. უკანასკნელიდან გამომდინარეობს, რომ $V \subset C$. ამიტომ ნებისმიერი $y \in Y$ ელემენტისათვის მოიძებნება $t > 0$ ისეთი, რომ $ty \in V \subset C$, ე.ი. $y \in t^{-1}C$. რადგან C არის კონუსი და $t^{-1} > 0$, ამიტომ

$t^{-1}C \subset C$, ანუ $y \in C$, ე.ი. $Y \subset C$. რადგან $C \subset Y$, ამიტომ $C = Y$. აქედან გამომდინარეობს, რომ $\text{int } C = \text{int } Y = Y$. რადგან $\text{int } C \subset C \setminus \{0\}$, ამიტომ $Y \subset C \setminus \{0\}$, ანუ $clB + Y \subset clB + C \setminus \{0\} \subset \text{int } B$. ეს ნიშნავს, რომ $clB + Y \subset \text{int } B \subset B$. რადგან $clB + Y = Y$, ამიტომ უკანასკნელიდან ვასკენით, რომ $Y \subset B$. მეორე მხრივ, $B \subset Y$, ამიტომ $B = Y$. ეს ეწინააღმდეგება პირობას იმის შესახებ, რომ B არის საკუთრივი ქვესიმრავლე Y - ში. მიღებული წინააღმდეგობა ამტკიცებს, რომ $0 \notin \text{int } C$. რადგან $\text{int } B \subset clB, \text{int } C \subset C \setminus \{0\}$ და $clB + C \setminus \{0\} \subset \text{int } B$, ამიტომ $clB + \text{int } C \subset clB$, რადგან $C \subset Y$ არის კონუსი და $k^0 \in \text{int } C$, ამიტომ პუბლიკაცია [1]- ის ლემა 1.10 - ის 1 პუნქტის თანახმად, სრულდება პირობები:

$$\forall z \in Y, \exists t \in R : z + tk^0 \notin clB,$$

$$Rk^0 - clB = Y,$$

$$clB + tk^0 \subset \text{int}(clB), \forall t \in (0, \infty).$$

ისევე პუბლიკაცია [1]- ის თეორემა 1.11 -ის (b) და (c) პუნქტების თანახმად, უკანასკნელი ნიშნავს, რომ φ ფუნქციონალი არის სასრული მნიშვნელობების მქონე, ხოლო ამავე თეორემის (f) პუნქტის თანახმად φ ფუნქციონალი უწყვეტია Y - ზე. რადგან $clB + C \setminus \{0\} \subset \text{int } B$, აღნიშნული 1.11 -თეორემის (g) პუნქტის 2 ქვეპუნქტის თანახმად, φ ფუნქციონალი არის მკაცრად C - მონოტონური. განვიხილოთ სიმრავლე:

$$D = \{y \in Y \mid \varphi(y_\varepsilon - y) < \varphi(y_\varepsilon)\}.$$

რადგან სრულდება პირობა (1.1), ანუ $clB + (0, \infty)k^0 \subset \text{int } B$, ამიტომ პუბლიკაცია [1]- ის თეორემა 1.11 -ის (f) პუნქტის თანახმად მართებულია ტოლობები:

$$\{y \in Y \mid \varphi(y) < t\} = tk^0 - \text{int } B, \forall t \in R, \quad (1.13)$$

$$\{y \in Y \mid \varphi(y) = t\} = tk^0 - frB, \forall t \in R. \quad (1.14)$$

(1.13) -დან გამომდინარეობს, რომ თუ $t_\varepsilon = \varphi(y_\varepsilon)$, მაშინ მართებულია ექვივალენტობა:

$$y \in D \Leftrightarrow y_\varepsilon - y \in t_\varepsilon k^0 - \text{int } B \Leftrightarrow y \in y_\varepsilon - t_\varepsilon k^0 + \text{int } B.$$

აღნიშნული ექვივალენტობა ნიშნავს, რომ მართებულია ტოლობა: $D = y_\varepsilon - t_\varepsilon k^0 + \text{int } B$. რადგან $\text{int } B$ არის ღია ქვესიმრავლე Y - ში, ამიტომ D აგრეთვე არის ღია ქვესიმრავლე Y - ში. მეორე მხრივ, clB არის ჩაკეტილი ქვესიმრავლე Y - ში, ამიტომ [1]- ში დასაბუთებული (1.20) ტოლობის თანახმად, მართებულია ტოლობა

$$\{y \in Y \mid \varphi(y) \leq t\} = tk^0 - clB, \forall t \in R,$$

საიდანაც, ისევე როგორც ზემოთ, φ ფუნქციონალის უწყვეტობის გათვალისწინებით, უშუალოდ გამომდინარეობს, რომ ადგილი აქვს ტოლობებს:

$$clD = \{y \in Y \mid \varphi(y_\varepsilon - y) \leq \varphi(y_\varepsilon)\} = y_\varepsilon - t_\varepsilon k^0 + clB.$$

(1.14) - დან ანალოგიურად ვღებულობთ, რომ მართებულია ატოლობებიც:

$$frD = fr\{y_\varepsilon - t_\varepsilon k^0 + clB\} = \{y \in Y \mid \varphi(y_\varepsilon - y) = \varphi(y_\varepsilon)\}.$$

უკანასკნელი ტოლობიდან უშუალოდ გამომდინარეობს, რომ $0 \in frD$, რადგან $\varphi(y_\varepsilon - 0) = \varphi(y_\varepsilon)$. მეორე მხრივ, გვაქვს $clD + C \setminus \{0\} = y_\varepsilon - t_\varepsilon k^0 + clB + C \setminus \{0\}$. რადგან $clB + C \setminus \{0\} \subset \text{int } B$, ამიტომ $clD + C \setminus \{0\} = y_\varepsilon - t_\varepsilon k^0 + clB + C \setminus \{0\} \subset y_\varepsilon - t_\varepsilon k^0 + \text{int } B$. რადგან $y_\varepsilon - t_\varepsilon k^0 + \text{int } B = D$, უკანასკნელი ჩართვიდან ვღებულობთ: $clD + C \setminus \{0\} \subset D$. გავიხსენოთ ახლა, რომ $y_\varepsilon \in \Omega$ ელემენტი აკმაყოფილებს (1.12) პირობას, საიდანაც გამომდინარეობს,

რომ, რომ მართებულია უტოლობა $\varphi(y) \geq \varphi(y_\varepsilon) - \varepsilon, \forall y \in \Omega$, ანუ $\varphi(y) \geq t_\varepsilon - \varepsilon, \forall y \in \Omega$.

ეს უკანასკნელი ნიშნავს, რომ არცერთი $y \in \Omega \subset Y$ ელემენტისათვის არ სრულდება მკაცრი უტოლობა $\varphi(y) < t_\varepsilon - \varepsilon$, რაც (1.13)-ის თანახმად, თავისთავად ნიშნავს, რომ $y \notin (t_\varepsilon - \varepsilon)k^0 - \text{int } B$. ამით სინამდვილეში დამტკიცდა, რომ მართებულია ტოლობა $\Omega \cap ((t_\varepsilon - \varepsilon)k^0 - \text{int } B) = \emptyset$. რადგან $y_\varepsilon - t_\varepsilon k^0 + \text{int } B = D$, ამიტომ სამართლიანია ტოლობა $(t_\varepsilon - \varepsilon)k^0 - \text{int } B = y_\varepsilon - \varepsilon k^0 - D$, საიდანაც უშუალოდ გამომდინარეობს, რომ $\Omega \cap (y_\varepsilon - \varepsilon k^0 - D) = \emptyset$. რადგან $y_\varepsilon - \varepsilon k^0 - D \setminus \{0\} \subset y_\varepsilon - \varepsilon k^0 - D$, ამიტომ

$$\Omega \cap (y_\varepsilon - \varepsilon k^0 - D \setminus \{0\}) = \emptyset.$$

1.1 განსაზღვრის თანახმად, უკანასკნელი ტოლობა ნიშნავს, რომ $y_\varepsilon \in \text{eff}(\Omega, D_{\varepsilon, k^0}) \#$

2. არასკალარული ოპტიმიზაციის სკალარიზაციის ზოგადი მეთოდები

ვექტორული მინიმიზაციის ამოცანის სკალარიზაცია ნიშნავს აღნიშნული ამოცანის დაყვანას ჩვეულებრივი ერთი ნამდვილი ფუნქციონალის მინიმიზაციაზე, ანუ ასეთ ამოცანათა ერთობლიობაზე დაყვანას. სკალარიზაცია მნიშვნელოვანია იმ აზრით, რომ ერთი ფუნქციონალის მინიმიზაციისათვის არსებობს რიცხვით მეთოდთა სოლიდური არსენალი. გასაგებია, რომ ვექტორული მინიმიზაციის ამოცანის სკალარიზაცია უშუალოდ გულისხმობს გარკვეული სიმრავლის ეფექტურ წერტილთა განსაზღვრას სტანდარტულ ექსტრემალურ ამოცანათა ამოხსნის საფუძველზე.

თეორემა 2.1. ვთქვათ, რომ Y არის წრფივი სივრცე, რომელიც ნაწილობრივ დალაგებულია არატრივიალური ამოხსნეილი მახვილი $C \subset Y$ კონუსით, $\Omega \subset Y$ არის არაცარიელი ქვესიმრავლე, ხოლო $\omega: Y \rightarrow \bar{R}$ - საკუთრივი ფუნქციონალი, რომლისთვისაც $\Omega \cap \text{dom } \omega \neq \emptyset$. დაუშვათ, რომ $y_0 \in \Omega$ ელემენტი აკმაყოფილებს პირობას:

$$\omega(y_0) \leq \omega(y), \forall y \in \Omega. \quad (2.1)$$

მაშინ $y_0 \in \text{eff}(\Omega, C)$, თუ სრულდება ერთი პირობა შემდეგი ორიდან:

1. $\omega: Y \rightarrow \bar{R}$ არის C - მონოტონური და $y_0 \in \Omega$ - ერთადერთი წერტილი, რომელიც აკმაყოფილებს (2.1) პირობას.
2. $\omega: Y \rightarrow \bar{R}$ არის მკაცრად C - მონოტონური $\Omega \cap \text{dom } \omega$ სიმრავლეზე.

დამტკიცება. წინასწარ შევნიშნოთ, რომ რადგან $\Omega \cap \text{dom } \omega \neq \emptyset$, ამიტომ მოიძებნება $\bar{y} \in \Omega \cap \text{dom } \omega$ ელემენტი, რომელისთვისაც $\omega(\hat{y}) < \infty$. რადგან $\hat{y} \in \Omega$, ამიტომ (2.1) - ის თანახმად $\omega(y_0) \leq \omega(\hat{y})$. ეს ნიშნავს, რომ $\omega(y_0)$ არის სასრული ნამდვილი რიცხვი, ე.ი. $y_0 \in \text{dom } \omega$. ვთქვათ, რომ $y_0 \notin \text{eff}(\Omega, C)$. მაშინ $\Omega \cap (y_0 - C) \neq \emptyset$, ე.ი. მოიძებნება ელემენტი $\bar{y} \in \Omega$ ისეთი, რომ $y_0 - \bar{y} \in C$. ვთქვათ, რომ $y_0 \neq \bar{y}$, ანუ $y_0 - \bar{y} \in C \setminus \{0\}$. დაუშვათ, რომ სრულდება 1 პუნქტის პირობები. მაშინ ω ფუნქციონალის C - მონოტონურობის გამო $\omega(\bar{y}) \leq \omega(y_0)$. უკანასკნელიდან, (2.1) -ის გათვალისწინებით, გამომდინარეობს, რომ ნებისმიერი $y \in \Omega$ ელემენტისათვის მართებულია უტოლობა $\omega(\bar{y}) \leq \omega(y)$. ეს ეწინააღმდეგება პირობას იმის შესახებ, რომ (2.1) უტოლობას ერთადერთი $y_0 \in \Omega$ ელემენტი აკმაყოფილებს. მიღებული წინააღმდეგობა ამტკიცებს, რომ $y_0 \in \text{eff}(\Omega, C)$. მეორე მხრივ, რადგან $\omega(\bar{y}) \leq \omega(y_0)$, ამიტომ $\bar{y} \in \text{dom } \omega$, ე.ი. სრულდება პირობები: $y_0, \bar{y} \in \Omega \cap \text{dom } \omega, y_0 - \bar{y} \in C \setminus \{0\}$. ამიტომ, თუ სრულდება 2 პუნქტის პირობა, ადგილი უნდა ჰქონდეს $\omega(\bar{y}) < \omega(y_0)$ მკაცრ უტოლო-

ბას, რაც ეწინააღმდეგება (2.1) პირობას. მიღებული წინააღმდეგობა ამტკიცებს, რომ ამ შემთხვევაშიც მართებულია ჩართვა $y_0 \in \text{eff}(\Omega, C) \#$

შენიშვნა 2.1. ცხადია, თეორემა 2.1 მართებულია Ω სიმრავლის როლში განხილული ნებისმიერი $\Omega \cap (v-C)$ ტიპის სიმრავლისთვისაც, სადაც $v \in Y$ ელემენტი $\Omega \cap (v-C) \neq \emptyset$ პირობას აკმაყოფილებს. კერძოდ, რადგან $\Omega \neq \emptyset$ და $0 \in C$, ამიტომ ნებისმიერი $v \in \Omega$ ელემენტისათვის $\Omega \cap (v-C)$ სიმრავლე არ არის ცარიელი, ამიტომ თეორემა 2.1 მართებულია იმ შემთხვევაშიც, როცა Ω სიმრავლის როლში განიხილება სიმრავლე $\Omega \cap (v-C), v \in \Omega$. ამ შემთხვევაში პირობა (2.1) დებულობს სახეს:

$$\omega(y_0) \leq \omega(y), \forall y \in \Omega \cap (v-C). \quad (2.2)$$

გავიხსენოთ, რომ თუ Y არის ლოკალურად ამოხსნეილი წრფივი ტოპოლოგიური სივრცე, ხოლო C - კონუსი Y -ში, მაშინ C კონუსის შეუღლებული C^* კონუსი განისაზღვრება ტოლობით [3]:

$$C^* = \{y^* \in Y^* \mid \langle y^*, y \rangle \geq 0, \forall y \in C\}. \quad (2.3)$$

C^* კონუსის კვაზი შიგა ნაწილი $C^\#$ განისაზღვრება ტოლობით:

$$C^\# = \{y^* \in C^* \mid \langle y^*, y \rangle > 0, \forall y \in C \setminus \{0\}\}. \quad (2.4)$$

გასაგებია, რომ ნებისმიერი $\omega \in C^*$ ფუნქციონალი არის C - მონოტონური, რადგან თუ $y_2 - y_1 \in C$, მაშინ, C^* სიმრავლის განსაზღვრის თანახმად, გვაქვს: $\omega(y_2 - y_1) = \omega(y_2) - \omega(y_1) \geq 0$, ანუ $\omega(y_1) \leq \omega(y_2)$. ანალოგიურად, ნებისმიერი $\omega \in C^\#$ ფუნქციონალი არის მკაცრად C - მონოტონური, რადგან თუ $y_2 - y_1 \in C \setminus \{0\}$, მაშინ $C^\#$ სიმრავლის განსაზღვრის თანახმად გვაქვს: $\omega(y_2 - y_1) = \omega(y_2) - \omega(y_1) > 0$, ანუ $\omega(y_1) < \omega(y_2)$.

ლემა 2.1. ვთქვათ, რომ Y არის ჰუსდორფის ტიპის ლოკალურად ამოხსნეილი წრფივი ტოპოლოგიური სივრცე, $C \subset Y$ - ამოხსნეილი კონუსი არაცარიელი კვაზი შიგა ნაწილით და $\Omega \subset Y$ - არაცარიელი ქვესიმრავლე. მაშინ მართებულია ექვივალენტობა:

$$y_0 \in \text{eff}(\Omega, C) \Leftrightarrow \exists v \in \Omega, \omega \in C^\# : \min_{y \in \Omega \cap (v-C)} \langle \omega, y \rangle = \langle \omega, y_0 \rangle. \quad (2.5)$$

დამტკიცება. თუ $y_0 \in \text{eff}(\Omega, C)$, მაშინ მართებულია ტოლობა $\Omega \cap (y_0 - C \setminus \{0\}) = \emptyset$, მაგრამ $\Omega \cap (y_0 - C) = \{y_0\}$, რადგან $y_0 \in \Omega$ და $y_0 \in y_0 - 0 \in y_0 - C$. ამიტომ $v = y_0 \in \Omega$ ელემენტისა და ნებისმიერი $\omega \in C^\#$ ფუნქციონალისათვის გვაქვს:

$$\min_{y \in \Omega \cap (v-C)} \langle \omega, y \rangle = \min_{y \in \Omega \cap (y_0 - C)} \langle \omega, y \rangle = \min_{y \in \{y_0\}} \langle \omega, y \rangle = \langle \omega, y_0 \rangle.$$

ეს, ცხადია, ნიშნავს, რომ $y_0 \in \text{eff}(\Omega, C) \Rightarrow \exists v \in \Omega, \omega \in C^\# : \min_{y \in \Omega \cap (v-C)} \langle \omega, y \rangle = \langle \omega, y_0 \rangle$.

პირიქით, თუ არსებობს ელემენტები $v \in \Omega, \omega \in C^\#$, რომელთათვისაც

$$\min_{y \in \Omega \cap (v-C)} \langle \omega, y \rangle = \langle \omega, y_0 \rangle,$$

მაშინ სრულდება პირობა $\langle \omega, y_0 \rangle \leq \langle \omega, y \rangle, y \in \Omega \cap (v-C)$, ანუ სრულდება პირობა (2.2), ანუ მართებულია უტოლობა $\omega(y_0) \leq \omega(y), y \in \Omega \cap (v-C)$. რადგან $\omega \in C^\#$ არის მკაცრად C - მონოტონური, ამიტომ თეორემა 2.1 -დან შენიშვნა 2.1 -ს გათვალისწინებით ვასკენით, რომ $y_0 \in \text{eff}(\Omega, C)$. ამრიგად, მართებულია შებრუნებული იმპლიკაციაც:

$\exists v \in \Omega, \omega \in C^\# : \min_{y \in \Omega \cap (v-C)} \langle \omega, y \rangle = \langle \omega, y_0 \rangle \Rightarrow y_0 \in \text{eff}(\Omega, C)$, ანუ მართებულია (2.5) ექვი-

ვალენტობა #

განსაზღვრა 2.1. ვთქვათ, რომ Ω არის ქვესიმრავლე Y წრფივ სივრცეში, ხოლო C - ამოზნექილი კონუსი Y -ში. ვიტყვი, რომ Ω არის C -ამოზნექილი, თუ $\Omega + C$ არის ამოზნექილი ქვესიმრავლე Y -ში.

თეორემა 2.2. ვთქვათ, რომ Y არის ჰუსდორფის ტიპის ლოკალურად ამოზნექილი წრფივი ტოპოლოგიური სივრცე [4], $C \subset Y$ - არაცარიელი ამოზნექილი მახვილი კონუსი, ხოლო Ω - არაცარიელი C -ამოზნექილი ქვესიმრავლე Y -ში, რომლისთვისაც $\text{int}(\Omega + C) \neq \emptyset$. მაშინ $y_0 \in \text{eff}(\Omega, C)$ ელემენტისათვის მოინახება ფუნქციონალი $y^* \in C^* \setminus \{0\}$, რომელიც აკმაყოფილებს პირობას:

$$\langle y^*, y_0 \rangle \leq \langle y^*, y \rangle, \forall y \in \Omega. \quad (2.6)$$

დამტკიცება. წინასწარ შევნიშნოთ, რომ რადგან $y_0 \in \text{eff}(\Omega, C)$, ამიტომ სამართლიანია ტოლობა $\Omega \cap (y_0 - C) = \{y_0\}$. ვახვეთ, რომ სამართლიანია აგრეთვე ტოლობაც

$$(\Omega + C) \cap (y_0 - C) = \{y_0\}. \quad (2.7)$$

გასაგებია, რომ რადგან $0 \in C$, ამიტომ სამართლიანია ჩართვა $y_0 \in (\Omega + C) \cap (y_0 - C)$. ვახვეთ, რომ $(\Omega + C) \cap (y_0 - C)$ სიმრავლე არ შეიცავს y_0 ელემენტისაგან განსხვავებულ ელემენტს. დაუშვათ წინააღმდეგი. მაშინ მოიძებნება ელემენტი $\bar{y} \in Y$, რომელიც დააკმაყოფილებს პირობებს: $\bar{y} \neq y_0, \bar{y} \in \Omega + C, \bar{y} \in y_0 - C$. ეს ნიშნავს, რომ არსებობს ელემენტები $\hat{y} \in \Omega, c_1, c_2 \in C$, რომეთათვისაც სამართლიანი იქნება ტოლობები:

$$\bar{y} = \hat{y} + c_1, \bar{y} = y_0 - c_2.$$

რადგან $\bar{y} \neq y_0$, ამიტომ $c_2 \neq 0$ და სამართლიანია ტოლობა $\hat{y} = y_0 - (c_1 + c_2)$. რადგან C კონუსი არის ამოზნექილი, ამიტომ $c = c_1 + c_2 \in C$. გარდა აღნიშნულისა, $c \neq 0$. მართლაც, თუ $c = 0$, მაშინ $c_1 = -c_2 \in -C \setminus \{0\}$. რადგან $c_1 \in C$, უკანასკნელიდან გამომდინარეობს, რომ $c_1 \in (-C \cap C) \setminus \{0\}$. უკანასკნელი ჩართვა ეწინააღმდეგება იმ გარემოებას, რომ C არის მახვილი კონუსი. ამრიგად, დადგინდა, რომ მართებულია თანადობები $\hat{y} = y_0 - c \in y_0 - C, \hat{y} \in \Omega, \hat{y} \neq y_0$, რაც თავისთავად ნიშნავს, რომ $\Omega \cap (y_0 - C)$ სიმრავლე შეიცავს Ω სიმრავლის y_0 ელემენტისაგან განსხვავებულ \hat{y} ელემენტს, რაც თავისთავად ეწინააღმდეგება იმ ფაქტს, რომ $y_0 \in \text{eff}(\Omega, C)$. მიღებული წინააღმდეგობა ამტკიცებს (2.7) ტოლობის სამართლიანობას, რომელიც, თავის მხრივ, ნიშნავს, რომ $y_0 \in \text{eff}(\Omega + C, C)$. მოცემულობის თანახმად $\Omega + C$ არის ამოზნექილი ქვესიმრავლე ლოკალურად ამოზნექილ Y წრფივ ტოპოლოგიურ სივრცეში, ამასთან $\text{int}(\Omega + C) \neq \emptyset$. ცნობილი ფაქტის თანახმად, $\text{int}(\Omega + C)$ არის ამოზნექილი $\Omega + C$ სიმრავლის ამოზნექილობის გამო. მეორე მხრივ, $\{y_0\} \cap \text{int}(\Omega + C) = \emptyset$, რადგან $y_0 \in \text{eff}(\Omega + C, C)$. გეომეტრიული ფორმით ფორმულირებული ხანი-ბანახის თეორემის გამოყენებით [5], შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მოიძებნება არანულოვანი წრფივი და უწყვეტი ფუნქციონალი $y^* \in Y^* \setminus \{0\}$, რომელიც დააკმაყოფილებს პირობებს:

$$\langle y^*, y_0 \rangle \leq \langle y^*, y + c \rangle, \forall y \in \Omega, \forall c \in C. \quad (2.8)$$

რადგან $y_0 \in \Omega$, ამიტომ (2.8)- დან უშუალოდ გამომდინარეობს, რომ სამართლიანია უტოლობა $\langle y^*, y_0 \rangle \leq \langle y^*, y_0 \rangle + \langle y^*, c \rangle, \forall c \in C$, რაც თავისთავად ნიშნავს, რომ მართებულია აგრეთვე უტოლობა $\langle y^*, c \rangle \geq 0, \forall c \in C$, ე.ი. $y^* \in C^*$. რადგან $y^* \neq 0$, ამიტომ $y^* \in C^* \setminus \{0\}$. რადგან $0 \in C$, ამიტომ (2.8) უტოლობიდან უშუალოდ გამომდინარეობს, რომ $\langle y^*, y_0 \rangle \leq \langle y^*, y \rangle, \forall y \in \Omega$, ე.ი. სამართლიანია უტოლობა (2.6) #

თეორემა 2.3. ვთქვათ, რომ Y არის წრფივი ტოპოლოგიური სივრცე, $\Omega, B \subset Y$ - არაციკლიკური კვესიმრავლეები, ხოლო $\omega: Y \rightarrow R$ - მკაცრად B - მონოტონური ფუნქციონალი. ვთქვათ, რომ $y_0 \in \Omega$ ელემენტი აკმაყოფილებს პირობას

$$\omega(y_0) \leq \omega(y), \forall y \in \Omega, \quad (2.9)$$

ხოლო $H = \{y \in Y \mid \omega(y_0 - y) < \omega(y_0)\}$. მაშინ $B \setminus \{0\} \subset H$ და $y_0 \in \text{eff}(\Omega, H)$. კერძოდ, $y_0 \in \text{eff}(\Omega, B)$. გარდა აღნიშნულისა, სამართლიანია დებულებები:

1. თუ ω ამოხსნეკილია, მაშინ H არის მკაცრად ამოხსნეკილი;
2. თუ $0 \in \text{cl}(B \setminus \{0\})$, მაშინ $0 \in \text{fr}H$.
3. თუ ω უწყვეტია, მაშინ H არის ღია და $\text{cl}H + (B \setminus \{0\}) \subset H$;
4. თუ ω არის წრფივი ფუნქციონალი, მაშინ $H \cup \{0\}$ არის ამოხსნეკილი კონუსი;

დამტკიცება. შევნიშნოთ, რომ $0 \notin H$, რადგან არ სრულდება მკაცრი უტოლობა $\omega(y_0 - 0) = \omega(y_0) < \omega(y_0)$. უკანასკნელიდან გამომდინარეობს, რომ სამართლიანია იგივეობა $H \equiv H \setminus \{0\}$. განვიხილოთ ნებისმიერი ელემენტი $y \in B \setminus \{0\}$. მაშინ $y \in Y$ და $y_0 - (y_0 - y) = y \in B \setminus \{0\}$. რადგან $\omega: Y \rightarrow R$ არის მკაცრად B - მონოტონური ფუნქციონალი, ამიტომ $\omega(y_0 - y) < \omega(y_0)$. ეს, ცხადია, ნიშნავს, რომ $y \in H$. ამით დამტკიცდა ჩართვა $B \setminus \{0\} \subset H$. ვაჩვენოთ, რომ სამართლიანია ტოლობა $\Omega \cap (y_0 - H) = \emptyset$. დავუშვათ წინააღმდეგი. მაშინ არსებობს $\bar{y} \in \Omega$, რომელიც წარმოიადგინებს $\bar{y} = y_0 - h$ ტოლობის სახით, სადაც $h \in H$ და $h \neq 0$, რადგან $0 \notin H$. ამრიგად, $h = y_0 - \bar{y} \in H$. უკანასკნელი ნიშნავს, რომ $\omega(y_0 - (y_0 - \bar{y})) < \omega(y_0)$. ე.ი. სამართლიანი უნდა იყოს უტოლობა $\omega(\bar{y}) < \omega(y_0)$. რადგან $\bar{y} \in \Omega$, მიღებული უტოლობა ეწინააღმდეგება (2.9) პირობას, ე.ი. მართებულია ტოლობა $\Omega \cap (y_0 - H) = \emptyset = \Omega \cap (y_0 - H \setminus \{0\})$. ამით დამტკიცდა $y_0 \in \text{eff}(\Omega, H)$ ჩართვაც. დავუშვათ, რომ $\omega: Y \rightarrow R$ ფუნქციონალი არის ამოხსნეკილი. ვაჩვენოთ, რომ ამ შემთხვევაში H სიმრავლე არის მკაცრად ამოხსნეკილი. მართლაც. ვთქვათ, რომ $y_1, y_2, \alpha \in (0, 1)$. მაშინ სამართლიანია უტოლობები:

$$\begin{aligned} \alpha \omega(y_0 - y_1) &< \alpha \omega(y_0), \\ (1 - \alpha) \omega(y_0 - y_1) &< (1 - \alpha) \omega(y_0), \\ \forall \alpha &\in (0, 1), \end{aligned}$$

საიდანაც უშუალოდ გამომდინარეობს, რომ

$$\begin{aligned} \alpha \omega(y_0 - y_1) + (1 - \alpha) \omega(y_0 - y_1) &< \alpha \omega(y_0) + (1 - \alpha) \omega(y_0) = \omega(y_0), \\ \forall \alpha &\in (0, 1) \end{aligned}$$

$\omega: Y \rightarrow R$ ფუნქციონალის ამოხსნეკილობის გამო მართებულია უტოლობა

$$\begin{aligned} \alpha\omega(y_0 - y_1) + (1-\alpha)\omega(y_0 - y_1) &\geq \omega(\alpha(y_0 - y_1) + (\forall \alpha \in (0,1)1-\alpha)(y_0 - y_1)) = \\ &= \omega(y_0 - (\alpha y_1 + (1-\alpha)y_2)), \forall \alpha \in (0,1). \end{aligned}$$

ამრიგად, ადგილი აქვს მკაცრ უტოლობას: $\omega(y_0 - (\alpha y_1 + (1-\alpha)y_2)) < \omega(y_0), \forall \alpha \in (0,1)$. რადგან $\alpha y_1 + (1-\alpha)y_2 \in H, \forall \alpha \in (0,1)$, უკანასკნელი უტოლობა ნიშნავს, რომ $\forall \alpha \in (0,1)$ ელემენტისათვის მართებულია ჩართვა $\alpha y_1 + (1-\alpha)y_2 \in H$, ე.ი. H არის მკაცრად ამოხსნეკილი, ანუ მართებულია დებულება 1. რადგან $B \setminus \{0\} \subset H$, ამიტომ $cl(B \setminus \{0\}) \subset clH$ [6]. უკანასკნელიდან გამომდინარეობს, რომ $0 \in cl(B \setminus \{0\})$, მაშინ $0 \in clH$. რადგან $0 \notin H$, ამიტომ $0 \in clH \setminus H = frH$. ამით დამტკიცდა დებულება 2 -ს მართებულობაც. ვახვენოთ ახლა დებულება 3-ის სამართლიანობა. განვიხილოთ სიმრავლე $Y \setminus H = \{y \in Y \mid \omega(y_0 - y) \geq \omega(y_0)\}$. დავუშვათ, რომ $\{y_n\}_1^\infty \subset Y \setminus H$ არის $\bar{y} \in Y$ ელემენტისაკენ კრებადი მიმდევრობა. მაშინ სამართლიანია უტოლობები $\omega(y_0 - y_n) \geq \omega(y_0), n = 1, 2, \dots$ რადგან ω არის უწყვეტი ფუნქციონალი, უკანასკნელი უტოლობიდან ვღებულობთ: $\lim_{n \rightarrow \infty} \omega(y_0 - y_n) = \omega(y_0 - \bar{y}) \geq \omega(y_0)$, ანუ $\bar{y} \in Y \setminus H$.

უკანასკნელი ნიშნავს, რომ $Y \setminus H$ არის ჩაკეტილი ქვესიმრავლე Y სივრცის ტოპოლოგიაში, ე.ი. H არის ღია ქვესიმრავლე Y -ში. მეორე მხრივ, სამართლიანია ჩართვა $H \subset \{y \in Y \mid \omega(y_0 - y) \leq \omega(y_0)\}$, ამიტომ $clH \subset cl\{y \in Y \mid \omega(y_0 - y) \leq \omega(y_0)\}$. ω ფუნქციონალის უწყვეტობის გამო, $\{y \in Y \mid \omega(y_0 - y) \leq \omega(y_0)\}$ არის ჩაკეტილი ქვესიმრავლე Y -ში, ე.ი. $cl\{y \in Y \mid \omega(y_0 - y) \leq \omega(y_0)\} = \{y \in Y \mid \omega(y_0 - y) \leq \omega(y_0)\}$. ამრიგად, სამართლიანია ჩართვა $clH \subset \{y \in Y \mid \omega(y_0 - y) \leq \omega(y_0)\}$. ვახვენოთ, რომ მართებულია აგრეთვე ჩართვა $clH + (B \setminus \{0\}) \subset H$. ვთქვათ, რომ $u \in clH + (B \setminus \{0\})$. მაშინ მოინახება $y \in clH$ და $v \in B \setminus \{0\}$ ელემენტები, რომელთათვისაც $u = y + v$. გვაქვს: $(y_0 - y) - (y_0 - y - v) = v \in B \setminus \{0\}$. რადგან ω არის მკაცრად B -მონოტონური, ამიტომ მართებულია მკაცრი უტოლობა $\omega(y_0 - y - v) < \omega(y_0 - y)$. რადგან $y \in clH$ და $clH \subset \{y \in Y \mid \omega(y_0 - y) \leq \omega(y_0)\}$, ამიტომ $y \in \{y \in Y \mid \omega(y_0 - y) \leq \omega(y_0)\}$, ანუ მართებულია არამკაცრი უტოლობა $\omega(y_0 - y) \leq \omega(y_0)$. ამრიგად, მართებულია უტოლობები: $\omega(y_0 - y - v) < \omega(y_0 - y) \leq \omega(y_0)$, ანუ $\omega(y_0 - (y + v)) < \omega(y_0)$, რაც თავისთავად ნიშნავს, რომ $u = y + v \in H$ ე.ი. მართებულია ჩართვა $clH + (B \setminus \{0\}) \subset H$. ამით დამტკიცდა დებულება 3 -ის მართებულობა. თუ ω არის წრფივი ფუნქციონალი, მაშინ სამართლიანია ტოლობა

$$\begin{aligned} H &= \{y \in Y \mid \omega(y_0 - y) < \omega(y_0)\} = \{y \in Y \mid \omega(y_0) - \omega(y) < \omega(y_0)\} = \\ &= \{y \in Y \mid \omega(y) > 0\}. \end{aligned}$$

რადგან წრფივი ფუნქციონალი ამოხსნეკილიც არის და $y \in H, t > 0$ ელემენტებისათვის სამართლიანია უტოლობა $t\omega(y) = \omega(ty) > 0$, ამიტომ $ty \in H$, ხოლო $H \cup \{0\}$ არის ამოხსნეკილი კონუსი. ამით დამტკიცდა მე - 4 დებულების სამართლიანობა #

თეორემა 24. ვთქვათ, რომ Y არის ჰუსდორფის ტიპის ლოკალურად ამოხსნეკილი წრფივი ტოპოლოგიური სივრცე, $B \subset Y$ - საკუთრივი ჩაკეტილი ქვესიმრავლე არაცარიელი შიგა ნაწილით, $0 \in frB$, ხოლო $\Omega \subset Y$ - არაცარიელი ქვესიმრავლე. დავუშვათ, რომ სრულდება ერთი პირობა მაინც შემდეგი ორიდან:

- a. არსებობს კონუსი $C \subset Y$ არაცარიელი შიგა ნაწილით, რომლისთვისაც მართებულია ჩართვა $B + \text{int } C \subset B$;
- b. B არის ამოხსნეკილი და არსებობს ელემენტი $k^0 \in Y \setminus \{0\}$, რომელიც აკმაყოფილებს პირობებს: $B + R_+ k^0 \subset B, B + Rk^0 = Y$.

მაშინ $y_0 \in Y$ ელემენტი არის $\Omega \subset Y$ სიმრავლის სუსტად ეფექტური წერტილი B სიმრავლის მიმართ მაშინ და მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებობს უწყვეტი ფუნქციონალი $\omega: Y \rightarrow R$, რომელიც აკმაყოფილებს პირობებს:

$$\omega(y_0 - y) < 0 = \omega(y_0) \leq \omega(v), \forall y \in \text{int } B, \forall v \in \Omega. \quad (2.10)$$

დამტკიცება. ვთქვათ, რომ $D \subset Y$ არის არაცარიელი საკუთრივი და ჩაკეტილი ქვესიმრავლე არაცარიელი შიგა ნაწილით, ხოლო არაცარიელი ქვესიმრავლე $\Omega \subset Y$ აკმაყოფილებს $\Omega \cap (-\text{int } D) = \emptyset$ პირობას. ჩავთვალოთ, რომ სრულდება ერთი მაინც შემდეგი ორიდან:

1. არსებობს კონუსი $C \subset Y$, რომლისთვისაც $k^0 \in \text{int } C$ და $D + \text{int } C \subset D$;
2. D არის ამოხსნეკილი და სრულდება პირობები:

$$D + tk^0 \subset D, \forall t \geq 0, Rk^0 - D = Y, k^0 \in Y \setminus \{0\}. \quad (2.11)$$

მაშინ $\varphi(u) = \inf \{t \in R \mid u \in tk^0 - D\}$ ტოლობით განსაზღვრული $\varphi: Y \rightarrow \bar{R}$ ფუნქციონალი არის უწყვეტი და სასრული მნიშვნელობების მქონე [1], რომელიც აკმაყოფილებს პირობებს:

$$\varphi(-u) < 0 \leq \varphi(v), \forall u \in \text{int } D, \forall v \in \Omega. \quad (2.12)$$

ვთქვათ, რომ $y_0 \in Y$, $B \subset Y$ ქვესიმრავლე აკმაყოფილებს თეორემა (2.4)-ში მოთხოვნილ პირობებს და $D \subset Y$ განისაზღვრება ტოლობით $D = B - y_0$. რადგან B არის საკუთრივი ქვესიმრავლე Y -ში, ამიტომ $D = B - y_0 \neq Y$, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში სამართლიანი იქნებოდა ტოლობები $B = y_0 + Y = Y$, რაც ეწინააღმდეგება პირობას იმის შესახებ, რომ B არ არის საკუთრივი ქვესიმრავლე Y -ში. აღნიშნულიდან გამომდინარეობს, რომ D აგრეთვე არის საკუთრივი ქვესიმრავლე Y -ში. სამართლიანია ტოლობა $\text{int}(B - y_0) = \text{int } B - y_0$. მართლაც, მართებულია ჩართვა $\text{int } B - y_0 \subset B - y_0$. რადგან $\text{int } B$ არის არაცარიელი ღია ქვესიმრავლე Y -ში, ამიტომ $\text{int } B - y_0$ აგრეთვე არის არაცარიელი ღია ქვესიმრავლე Y -ში. რადგან $\text{int}(B - y_0)$ არის მაქსიმალური ღია ქვესიმრავლე $B - y_0$ -ში, ამიტომ $\text{int } B - y_0 \subset \text{int}(B - y_0)$. თუ $y \in \text{int}(B - y_0)$, მაშინ მიიწინააღმდეგება ელემენტი $b \in B$ და $0 \in Y$ წერტილის ღია მიდამო U , რომლებიც დააკმაყოფილებენ პირობებს: $y = b - y_0, y + U = b + U - y_0 \subset B - y_0$. უკანასკნელიდან უშუალოდ გამომდინარეობს, რომ $b + U \subset B$, ე.ი. $b \in \text{int } B$, რაც თავისთავად ნიშნავს, რომ მართებულია ჩართვა $y \in \text{int } B - y_0$, ანუ $\text{int}(B - y_0) \subset \text{int } B - y_0$. ამრიგად მართებულია ტოლობა $\text{int}(B - y_0) = \text{int } B - y_0$. უკანასკნელიდან უშუალოდ გამომდინარეობს, რომ $\text{int } D = \text{int } B - y_0 \neq \emptyset$. გასაგებია, რომ $D = B - y_0$ ქვესიმრავლე ჩაკეტილიც არის B სიმრავლის ჩაკეტილობის გამო. ამრიგად, $D = B - k^0$ არის არაცარიელი საკუთრივი ჩაკეტილი ქვესიმრავლე არაცარიელი შიგა ნაწილით Y -ში. თუ სრულდება პირობა a, მაშინ არსებობს კონუსი $C \subset Y$ არაცარიელი შიგა ნაწილით, რომლისთვისაც მართებულია ჩართვა $B + \text{int } C \subset B$; ეს ნიშნავს, რომ არსებობს ელემენტი $k^0 \in \text{int } C$ და მართებულია ჩართვა $B - y_0 + \text{int } C \subset B - y_0$, ე.ი. $D + \text{int } C \subset D$, ანუ სრულდება პირობა 1. თუ სრულდება პირობა b, მაშინ $D = B - y_0$ აგრეთვე არის ამოხსნეკილი B სიმრავლის ამოხსნეკილობის გამო და სრულდება პირობები

$$B - y_0 + R_+ k^0 \subset B - y_0, B - y_0 + Rk^0 = Y - y_0 = Y, k^0 \in Y \setminus \{0\},$$

რაც თავისთავად ნიშნავს, რომ $D + tk^0 \subset D, \forall t \geq 0, -D - Rk^0 = -Y, k^0 \in Y \setminus \{0\}$. რადგან $R = -R, Y = -Y$, ამიტომ $Rk^0 - D = Y$. ამით დამტკიცდა, რომ აღნიშნულ შემთხვევაში სრულდება პირობა 2.

ვთქვათ, რომ $y_0 \in Y$ ელემენტი არის $\Omega \subset Y$ სიმრავლის სუსტად ეფექტური წერტილი B სიმრავლის მიმართ, ე.ი. სრულდება ტოლობა $\Omega \cap (y_0 - \text{int } B) = \emptyset$. ეს ნიშნავს, რომ მართებულია ტოლობა $\Omega \cap (-\text{int } D) = \emptyset$. მოყვანილი მსჯელობიდან გამომდინარეობს, რომ აღნიშნული a და b პირობებიდან ერთის ან ერთდრულად ორივეს შესრულების შემთხვევაში მოიძებნება $k^0 \in Y \setminus \{0\}$ ელემენტი და უწყვეტი ფუნქციონალი $\omega = \varphi: Y \rightarrow R, \omega(y) = \inf \{t \in R \mid y \in tk^0 + y_0 - B\}$, რომელიც აკმაყოფილებს პირობებს (2.12) პირობებს: $\omega(-u) < 0 \leq \omega(v), \forall u \in \text{int } B - y_0, \forall v \in \Omega$. მეორე მხრივ, გვაქვს: $\omega(y_0) = \inf \{t \in R \mid y_0 \in tk^0 + y_0 - B\} = \inf \{t \in R \mid 0 \in tk^0 - B\}$. რადგან $0 \in \text{fr } B$, ამიტომ ცხადია, რომ $0 \in Y$ არის $(-B)$ სიმრავლის საზღვრის წერტილიც, ამიტომ ნებისმიერი $tk^0 \neq 0$ არანულოვანი ვექტორით წაძრული $(-B)$ სიმრავლე, ანუ $tk^0 - B$ ქვესიმრავლე არ შეიძლება შეიცავდეს Y სივრცის ნულოვან წერტილს. ეს ნიშნავს, რომ $0 \in tk^0 - B$ ხართვა სამართლიანია ერთადერთ შემთხვევაში, როდესაც $t = 0$. ამით ფაქტიურად დამტკიცდა, რომ $\omega(y_0) = \inf \{t \in R \mid 0 \in tk^0 - B\} = 0$. მოყვანილი მსჯელობიდან ვსკვნით, რომ სრულდება (2.10) პირობები, ე.ი. სრულდება პირობები:

$$\omega(y_0 - y) < 0 = \omega(y_0) \leq \omega(v), \forall y \in \text{int } B, \forall v \in \Omega.$$

ვთქვათ, ახლა, რომ სრულდება პირობა (2.10). მაშინ ცხადია, რომ მართებულია მკაცრი უტოლობა $\omega(y_0 - y) < \omega(v), \forall y \in \text{int } B, \forall v \in \Omega$. უკანასკნელი, ცხადია, ნიშნავს, რომ მოიძებნება ნამდვილი რიცხვი τ , ისეთი, რომ შესრულდება უტოლობები:

$$\omega(y_0 - y) \leq \tau, \forall (y_0 - y) \in y_0 - \text{int } B, < \omega(v) > \tau, \forall v \in \Omega,$$

რაც, თავის მხრივ, ნიშნავს, რომ $y_0 - \text{int } B$ და Ω სიმრავლეებს საერთო ელემენტები არა აქვთ, ანუ $\Omega \cap (y_0 - \text{int } B) = \emptyset$. რადგან $y_0 \in \Omega$, უკანასკნელი ნიშნავს, რომ $y_0 \in Y$ არის Ω სიმრავლის სუსტად ეფექტური წერტილი B სიმრავლის მიმართ #

ნაშრომში მიღებული შედეგების ანალიტიკური დებულებები სასრულ განზომილებიანი $Y = R^n$ სივრცის, $C = R_+^n$ კონუსისა და სპეციფიკური $\omega: Y \rightarrow R$ ფუნქციონალი-სათვის დასაბუთებულია პუბლიკაცია [7] - ში.

შენიშვნა 2.2. გასაგებია, რომ არასკალარული ოპტიმიზაციის ამოცანებისათვის $\Omega \subset Y$ არაცარიელი ქვესიმრავლე განისაზღვრება ტოლობით

$$\Omega = F(U) = \{y \in Y \mid y = F(x), x \in U\},$$

სადაც U არის დასაშვებ ალტერნატივათა არაცარიელი ერთიბლიობა X წრფივ ტოპოლოგიურ სივრცეში, ხოლო F - ასახვა X ტოპოლოგიური სივრციდან კონუსით ნაწილობრივ დალაგებულ Y წრფივ ტოპოლოგიურ სივრცეში. აქედან გამომდინარეობს, რომ Ω სიმრავლის სტრუქტურა არსებითად განისაზღვრება $F: X \rightarrow Y$ ასახვის სტრუქტურით. გარდა აღნიშნულისა, თუ $B = C$, სადაც C არის ამოზნექილი, ჩაკეტილი მახვილი კონუსი არაცარიელი შიგა ნაწილით, მაშინ ყოველთვის სრულდება $0 \in \text{fr } B$ და $c \in B + \text{int } C \subset \text{int } B$ პირობები, რადგან სრულდება ტოლობა $C \cap (-C) = \{0\}$ და მართებულია ხართვა $C + \text{int } C \subset \text{int } C$.

**არასკალარული ოპტიმიზაციის ამოცანების აპროქსიმაციისა და
სკალარიზაციის შესახებ**

ვ. მაისურაძე, მ. სალუკვაძე, ვ. გაბისონია

რეზიუმე

ნაშრომში განსაზღვრულია კრიტერიალურ სივრცეში მოცემული ქვესიმრავლის მიახლოებითი ეფექტური წერტილის ცნება. შესწავლილია აღნიშნული სიმრავლის ეფექტურ წერტილთა მიახლოებით ეფექტურ წერტილთა სიმრავლით აპროქსიმაციის საკითხები. გარდა აღნიშნულისა, განხილულია ეფექტურ წერტილთა სიმრავლის აგების მეთოდები სტანდარტული ექსტრემალური ამოცანების ამოხსნის საფუძველზე. მიღებულია თეორიული შედეგები, რომლებიც არსებითად ეყრდნობა ავტორების მიერ ადრე ჩატარებულ გამოკვლევებს არააუცილებლად ამოხსნილ სიმრავლეთა განცალკევადობის შესახებ, არსებითად გამოიყენება არასკალარული ოპტიმიზაციის ამოცანების აპროქსიმაციისა და სკალარიზაციისათვის.

**TO APPROXIMATION AND SCALARIZATION OF NONSCALAR
OPTIMIZATION PROBLEMS**

V. MAISURADZE, M. SALUKVADZE, V.GABISONIA

Summary

The concept of approximate effective point of given subset of criterial space is defined in the paper. The approximation issues of the set of effective points of reference set by the set of approximate effective points are studied. Besides foregoing, the methods of generation of the set of effective points on the basis of standard extremal problems solution are considered. Obtained theoretical results, which substantially rely on preceding investigations of the authors about separability of nonnecessarily convex sets are substantially applied to approximation and scalarization of the problems of nonscalar optimization.

**ОБ АПРОКСИМАЦИИ И СКАЛЯРИЗАЦИИ ЗАДАЧ НЕСКАЛЯРНОЙ
ОПТИМИЗАЦИИ**

В. МАЙСУРАДЗЕ, М. САЛУКВАДЗЕ, В. ГАБИСОНИЯ

Резюме

В работе определено понятие приближенной эффективной точки множества, заданного в критериальном пространстве. Изучены вопросы аппроксимации множества эффективных точек заданного множества множеством приближенных эффективных точек. Кроме вышесказанного, рассмотрены методы построения множества эффективных точек на основе решения стандартных экстремальных задач. Полученные теоретические результаты, которые существенно опираются на исследования о разделимости необязательно выпуклых множеств, проведенные ранее авторами, существенно используются для аппроксимации и скаляризации задач несклярной оптимизации.

ლიტერატურა – REFERENCES - ЛИТЕРАТУРА

1. ვ.მაისურაძე, მ.სალუქვაძე, ვ.გაბისონია. არააუცილებლად ამონეკილ სიმრავლეთა განცალკევადობა. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის არჩილ ელიაშვილის მართვის სისტემების ინსტიტუტის შრომათა კრებული. 2012 წ. №16, გვ.7-30.
2. Рудин У. Функциональный анализ. Москва, Мир, 1975.
3. Экланд И., Темам Р. Выпуклый анализ и вариационные проблемы. Москва, Мир, 1979.
4. Варга Дж. Оптимальное управление дифференциальными и функциональными уравнениями. Москва, Наука, 1977.
5. Алексеев В. М., Тихомиров В.М., Фомин С.В. Оптимальное управление. Москва, Наука, 1979.
6. Колмогоров А.Н., Фомин С.В. Элементы теории функций и функционального анализа. Москва, Наука, 1972.
7. Майсурадзе В.Г., Чернявский И.В. Аппроксимация парето-оптимальных решений (Препринт). Тбилиси : Мецниერება. - 1991.

MODEL VALIDATION AT IDENTIFICATION OF ONE CLASS OF NONSTATIONARY SYSTEMS

B. SHANSHIASHVILI, M. SALUKVADZE

besoshan@hotmail.com, msaluk@science.org.ge

1. Introduction

Existing methods of identification of non-stationary systems, which can be divided into two principal parts, i.e. approximating and direct methods [1-2], for the estimation of unknown parameters basically use recurrent algorithms and procedures of the methods of the least squares, Kalman filter, the determined and stochastic optimization (for example [3-10]).

In some works [11-13] the problem of parametric identification of linear dynamic systems with variable parameters is considered at the determined input influences. The system of the linear ordinary differential equations of a normal kind is considered as a structure of model of the linear dynamic systems.

The problem of parametric identification is set as inverse problem of Cauchy's problem [10-11], in certain sense, for linear ordinary differential equations with variable coefficients. It is supposed that by the results of the observation of the systems input-output, the input vector and the output vectors, which are the solutions of the matrix differential equation at different initial conditions, are known. It is required to determine unknown matrix of coefficients. Thus, it is meant that fundamental matrix of the solutions of homogeneous system which corresponds to non-homogeneous system of equations, is unknown.

In this work [13] more complex structure of linear dynamic non-stationary system is considered, when direct observation of the state vector of system is not possible. The developed algorithm of parametrical identification is used for identification of non-stationary system of the second order.

In the given work the question of the model validation which is constructed by means of identification method developed in work [13] is investigated.

In the work the following designations are used: R - set of real numbers; $I = [a, b]$ ($a, b \in R$) - the closed interval; $R^n = R \times R \times \dots \times R$ (n -time) - n -dimensional Euclidean space; $R^{n \times n}$ - space of n -dimensional square real matrices; $C(I, R^n)$ - set of continuous vector functions $x: I \rightarrow R^n$; $C^k(I, R^n)$ - set of n -dimensional vector functions, whose components are k times continuously differentiable functions.

2. Parametric identification

Let's consider the observable dynamic system which is described by the system of linear ordinary differential equations of a normal form [14] which is represented in the state space equations form:

$$\begin{aligned} \dot{\mathbf{x}}(t) &= \mathbf{A}(t)\mathbf{x} + \mathbf{u}(t), \\ \mathbf{y} &= \mathbf{C}\mathbf{x}, \end{aligned} \quad (1)$$

where

$$\begin{aligned} \mathbf{u}(t) &= (u_i(t))_{i=1}^n, \\ \mathbf{x}(t) &= (x_i(t))_{i=1}^n, \\ \mathbf{y}(t) &= (y_i(t))_{i=1}^n, \\ \mathbf{A}(t) &= (a_{ik}(t))_{i,k=1}^n, \\ \mathbf{C} &= (c_{ik})_{i,k=1}^n, \end{aligned} \quad (2)$$

u_i and y_i ($i = 1, 2, \dots, n$) are input and output variables of the systems, correspondingly, x_i ($i = 1, 2, \dots, n$) are state variables, a_{ik} and c_{ik} ($i, k = 1, 2, \dots, n$) - variable coefficients.

If \mathbf{C} is nonsingular matrix, then

$$\mathbf{x} = \mathbf{C}^{-1}\mathbf{y}. \quad (3)$$

Considering (3) in (1), we shall receive:

$$\dot{\mathbf{y}} = \mathbf{A}^*(t)\mathbf{y} + \mathbf{u}^*(t), \quad (4)$$

where

$$\begin{aligned} \mathbf{A}^*(t) &= \mathbf{CA}(t)\mathbf{C}^{-1}, \\ \mathbf{u}^*(t) &= \mathbf{Cu}(t). \end{aligned} \quad (5)$$

Admit that by the results of a priori information and observation of the system's input –output is known: matrix \mathbf{C} , the input vector $\mathbf{u}: I \rightarrow R^n$ and the output vectors $\mathbf{y}_k: I \rightarrow R^n$ ($k=1,2,\dots,n$) which are the solutions of the system (5) at different initial conditions. It is required to determine an unknown continuous matrix $\mathbf{A}: I \rightarrow R^{n \times n}$. Thus, it is meant that fundamental matrix of the solutions of homogeneous system which corresponds to non-homogeneous system (5)

$$\dot{\mathbf{y}} = \mathbf{A}^*(t)\mathbf{y} \quad (4_0)$$

is unknown.

As $\mathbf{y}_k: I \rightarrow R^n$ ($k=1,2,\dots,n$) - the solution of the equation (4), we have:

$$\dot{\mathbf{y}}_k = \mathbf{A}^*(t)\mathbf{y}_k + \mathbf{u}^*(t) \quad (k=1,2,\dots,n) \quad (6)$$

We shall compose a matrix $\mathbf{Y}(t)$, columns of which are $\mathbf{y}_k(t)$ ($k=1,2,\dots,n$):

$$\mathbf{Y}(t) = (y_{k,i}(t))_{k,i=1}^n \quad (7)$$

and a matrix $\mathbf{U}^*(t)$:

$$\mathbf{U}^*(t) = (u_{ik}^*(t))_{i,k=1}^n = (u_i^*(t)). \quad (8)$$

Then the system (3) can be rewritten as the matrix algebraic equation:

$$\dot{\mathbf{Y}}(t) = \mathbf{A}^*(t)\mathbf{Y}(t) + \mathbf{U}^*(t). \quad (9)$$

For determining $\mathbf{A}(t)$ from (9) it is enough, that $\mathbf{Y}(t)$ matrix be nonsingular.

It is true [13]:

Theorem. If $\mathbf{u} \in C(I, R^n)$, $\mathbf{y}_k \in C(I, R^n)$ ($k=1,2,\dots,n$) there exists interval $I_0 \subset I$ such that $\det \mathbf{Y}(t) \neq 0 \quad \forall t \in I_0$, and in I_0 the matrix $\mathbf{A}(t)$ is determined single-valued, in particular

$$\mathbf{A}(t) = \mathbf{C}^{-1}((\dot{\mathbf{Y}}(t) - \mathbf{U}^*(t))\mathbf{Y}^{-1}(t))\mathbf{C}, \quad \forall t \in I_0. \quad (10)$$

Proof of this theorem is given in [13].

The algorithm of identification of variable parameters of the linear dynamic systems described by the system of differential equations (1) consists in the following:

- we approximate experimental data received, by the results of the observation of the system's input – output, by continuous and continuously differentiated functions;
- we make vectors $\mathbf{u}(t)$, and $\mathbf{y}_k(t)$ ($k=1,2,\dots,n$);
- we compose matrix $\mathbf{Y}(t)$ as (7), and matrix $\mathbf{U}^*(t)$ as (8);
- we calculate a determinant of the matrix $\mathbf{Y}(t)$ and we determine an interval I_0 , where $\det \mathbf{Y}(t) \neq 0$;
- we determine a matrix of variable coefficients $\mathbf{A}(t)$ in I_0 by the formula (10).

In the work [13] peculiarities of the parametric identification by the developed algorithm on the example of a system of the second order is considered. System with two inputs and two outputs is described by the following system of the differential equations:

$$\begin{aligned}\dot{x}_1 &= a_{11}(t)x_1 + a_{12}(t)z + u_1(t), \\ \dot{x}_2 &= a_{21}(t)x_2 + a_{22}(t)z + u_2(t).\end{aligned}\tag{16}$$

$$\begin{aligned}y_1 &= c_{11}x_1 + c_{12}x_2, \\ y_2 &= c_{21}x_1 + c_{22}x_2.\end{aligned}\tag{11}$$

Here

$$\mathbf{u}(t) = \begin{pmatrix} u_1(t) \\ u_2(t) \end{pmatrix}, \mathbf{x}(t) = \begin{pmatrix} x_1(t) \\ x_2(t) \end{pmatrix}, \mathbf{A}(t) = \begin{pmatrix} a_{11}(t) & a_{12}(t) \\ a_{21}(t) & a_{22}(t) \end{pmatrix},\tag{12}$$

$$\mathbf{y}(t) = \begin{pmatrix} y_1(t) \\ y_2(t) \end{pmatrix}, \mathbf{C} = \begin{pmatrix} c_{11} & c_{12} \\ c_{21} & c_{22} \end{pmatrix}.\tag{13}$$

It is supposed, that after system's input - output observation it is received

$$\mathbf{u}(t) = \begin{pmatrix} 3-2t \\ -4+3t \end{pmatrix},\tag{14}$$

$$\mathbf{y}_1(t) = \begin{pmatrix} 1+t \\ t+t^2 \end{pmatrix},\tag{15}$$

$$\mathbf{y}_2(t) = \begin{pmatrix} 2t \\ 1+t^2 \end{pmatrix},\tag{16}$$

and a priori is known:

$$\mathbf{C} = \begin{pmatrix} 3 & 2 \\ 4 & 3 \end{pmatrix}.\tag{17}$$

Using the formula (10), as a result of some calculations, it is received, that:

$$\mathbf{A}(t) = \begin{pmatrix} \frac{6-t}{1-t^2} & \frac{5}{1-t^2} \\ \frac{7}{1-t^2} & -\frac{6+t}{1-t^2} \end{pmatrix}\tag{18}$$

and

$$I_0 = I =]-\infty, -1[\cup]-1, 1[\cup]1, +\infty[.\tag{19}$$

Thus, the model constructed by means of developed identification algorithm, is represented by the system of equations:

$$\dot{x}_1 = \frac{6-t}{1-t^2}x_1 + \frac{5}{1-t^2}x_2 + u_1(t),\tag{20}$$

$$\dot{x}_2 = -\frac{7}{1-t^2}x_1 - \frac{6+t}{1-t^2}x_2 + u_2(t),$$

$$y_1 = 3x_1 + 2x_2,\tag{21}$$

$$y_2 = 4x_1 + 3x_2.$$

3. Model validation

Construction of a model by methods of system identification is reduced to several stages [12]. A stage of model's check and confirmation follows stages of the model's structure choice and parameter estimation. Check and confirmation of the model are closely connected with the estimation: upon termination of the procedure estimation within the limits of the fixed model structure, and definition of the "best" model it is necessary to find out, in what degree the model really "explains" the behavior of the system, i.e. adequately represents the system.

The model can be confirmed by some methods [15]. The principal method among them is comparison of output signals of the system and of the model, and introduction of a certain formal measure of the received mistake when the same signal influences on the inputs of system and on the model.

In the given work, on the basis of the developed algorithm [13], the model of the non-stationary system of the second order at the certain input and output variables of the system have been constructed. With a view to confirm the model we shall determine output variables of the constructed model at the same input signals acting on the system.

We shall present model (20), (21) in the matrix form (1), where the matrix $A(t)$ is defined by the expression (18):

$$\begin{pmatrix} \dot{x}_1(t) \\ \dot{x}_2(t) \end{pmatrix} = \begin{pmatrix} \frac{6-t}{1-t^2} & \frac{5}{1-t^2} \\ -\frac{7}{1-t^2} & -\frac{6+t}{1-t^2} \end{pmatrix} \begin{pmatrix} x_1(t) \\ x_2(t) \end{pmatrix} + \begin{pmatrix} 3-2t \\ -4+t \end{pmatrix}, \quad (22)$$

$$\begin{pmatrix} y_1(t) \\ y_2(t) \end{pmatrix} = \begin{pmatrix} 3 & 2 \\ 4 & 3 \end{pmatrix} \begin{pmatrix} x_1(t) \\ x_2(t) \end{pmatrix}.$$

Taking into account (3), (5), (14), (17), let's rewrite system (22) in the equations form (4):

$$\begin{pmatrix} \dot{y}_1(t) \\ \dot{y}_2(t) \end{pmatrix} = \begin{pmatrix} 3 & 2 \\ 4 & 3 \end{pmatrix} \begin{pmatrix} \frac{6-t}{1-t^2} & \frac{5}{1-t^2} \\ -\frac{7}{1-t^2} & -\frac{6+t}{1-t^2} \end{pmatrix} \begin{pmatrix} y_1(t) \\ y_2(t) \end{pmatrix} + \begin{pmatrix} 3 & 2 \\ 4 & 3 \end{pmatrix} \begin{pmatrix} 3-2t \\ -4+t \end{pmatrix}. \quad (23)$$

As a result of some calculations, we receive, that:

$$\begin{pmatrix} \dot{y}_1(t) \\ \dot{y}_2(t) \end{pmatrix} = \begin{pmatrix} -\frac{t}{1-t^2} & \frac{1}{1-t^2} \\ \frac{1}{1-t^2} & -\frac{t}{1-t^2} \end{pmatrix} \begin{pmatrix} y_1(t) \\ y_2(t) \end{pmatrix} + \begin{pmatrix} 1 \\ t \end{pmatrix}. \quad (24)$$

We shall solve Cauchy's problem for the equation (24) by the method of arbitrary constants variation at initial conditions:

$$\mathbf{y}(t_0) = \mathbf{c}_0, \quad \mathbf{c}_0 \in R^2. \quad (25)$$

The solution of this problem is defined by Cauchy's formula:

$$\mathbf{y}(t) = \mathbf{C}(t, t_0)\mathbf{c}_0 + \int_{t_0}^t \mathbf{C}(t, \tau)\mathbf{u}(\tau)d\tau, \quad (26)$$

where matrix function $\mathbf{C}(t, t_0)$ is Cauchy's matrix of the homogeneous system, which corresponds to the non-homogeneous system (24).

It is known, that

$$\mathbf{C}(t, \tau) = \mathbf{Y}_0(t)\mathbf{Y}_0^{-1}(\tau), \quad (27)$$

where the fundamental matrix $\mathbf{Y}_0(t)$ of the homogeneous system is defined as:

$$\mathbf{Y}_0(t) = \begin{pmatrix} 1 & t \\ t & 1 \end{pmatrix} \quad (28)$$

and

$$\mathbf{Y}_0^{-1} = \begin{pmatrix} \frac{1}{1-t^2} & -\frac{t}{1-t^2} \\ -\frac{t}{1-t^2} & \frac{1}{1-t^2} \end{pmatrix}. \quad (29)$$

Since

$$\det \mathbf{Y}_0(t) \neq 0 \quad \forall t \in I, \quad (30)$$

therefore

$$I =]-\infty, -1[\cup]-1, 1[\cup]1, +\infty[\quad (31)$$

and input and output variables are determined in the interval (31).

Substituting expression (27) in (26), we shall receive:

$$\mathbf{y}(t) = \mathbf{Y}_0(t)\mathbf{Y}_0^{-1}(t_0)\mathbf{c}_0 + \int_{t_0}^t \mathbf{Y}_0(t)\mathbf{Y}_0^{-1}(\tau)\mathbf{u}(\tau)d\tau. \quad (32)$$

At $t_0 = 0$ and $\mathbf{c}_0 = \begin{pmatrix} c_1 \\ c_2 \end{pmatrix}$, from (32), after series of calculations, we shall receive:

$$\mathbf{y}(t) = \begin{pmatrix} c_1 + c_2 t + t \\ c_1 t + c_2 + t^2 \end{pmatrix}. \quad (33)$$

Determining output vectors of the model (24) with the help (33) at initial conditions

$$\mathbf{y}(0) = \begin{pmatrix} 1 \\ 0 \end{pmatrix} \quad (34)$$

and

$$\mathbf{y}(0) = \begin{pmatrix} 0 \\ 1 \end{pmatrix}, \quad (35)$$

we shall receive, that they are defined by the expressions (15) and (16).

To initial conditions (34), (35) of an output vector corresponds initial conditions of a state vector:

$$\mathbf{x}(0) = \begin{pmatrix} 3 \\ -4 \end{pmatrix}, \quad (36)$$

$$\mathbf{x}(0) = \begin{pmatrix} -2 \\ 3 \end{pmatrix} \quad (37)$$

and to the expressions (15) and (16) of the output vector correspond expressions of a state vector:

$$\mathbf{x}_1(t) = \begin{pmatrix} 1 + 3t - 2t^2 \\ -1 - 4t + 3t^2 \end{pmatrix}, \quad (38)$$

$$\mathbf{x}_2(t) = \begin{pmatrix} -3 + 6t - 2t^2 \\ 3 - 8t + 3t^2 \end{pmatrix}. \quad (39)$$

Thus, the output vectors of the model (22), at the matrix of coefficients (18), at the input vector (14), at the initial conditions (36) and (37), are defined by the expressions (15) and (16) and exactly coincide

with the output vectors of the system when giving on the system and the model one and the same input signals.

4. Conclusion

In the given work the question of the model validation which is constructed by means of identification method developed in the earlier work [13] is investigated.

In that work the problem of parametric identification is set, as in the certain sense, an inverse problem of Cauchy's problem for linear ordinary differential equations.

The submitted method of parametric identification of non-stationary systems, as a model's structure of which is considered a system of linear non-homogeneous ordinary differential equations of a normal kind, which is represented in the state space equations form, does not demand knowledge of the fundamental system of solutions of the corresponding system of homogeneous equations.

Application of the algorithm of parameter identification, made by the developed method, for non-stationary system of the second order and investigation of the question of the model validation has shown, that at the existence of the exact information on input and output variables of the system, the output signals of the system and of the model coincide when the same signals are given on their inputs.

მოდელის დადასტურება ერთი კლასის არასტაციონარული სისტემების იდენტიფიკაციისას

ბ. შანშიაშვილი, მ. სალუკვაძე

რეზიუმე

განხილულია წრფივი არასტაციონარული დინამიკური სისტემების მოდელის დადასტურების საკითხი მეორე რიგის სისტემების იდენტიფიკაციის მაგალითზე. პარამეტრული იდენტიფიკაციის ამოცანა დასმულია როგორც წრფივი ჩვეულებრივი დიფერენციალური განტოლებების კომის ამოცანის გარკვეული აზრით შებრუნებული ამოცანა ნახევნობა, რომ სისტემის შესავალ და გამოსავალი ცვლადების შესახებ არსებული ზუსტი ინფორმაციის არსებობისას აგებული მოდელის გამოსავალი სიგნალები ემთხვევა სისტემის გამოსავალ სიგნალებს მათ შესავალზე ერთი და იგივე სიგნალების მიწოდებისას.

MODEL VALIDATION AT IDENTIFICATION OF ONE CLASS OF NONSTATIONARY SYSTEMS

B. SHANSHIASHVILI, M. SALUKVADZE

Summary

The problem of model validation of linear nonstationary dynamic systems is considered on the example of the second order system identification. The problem of parametric identification is stated as, in a certain sense, an inverse problem of Cauchy's problem for linear ordinary equations. It is shown, that at the existence of the exact information on input and output variables of the system, the output signals of model coincide with output signals of system when the same signals are given on their inputs.

ПОДТВЕРЖДЕНИЕ МОДЕЛИ ПРИ ИДЕНТИФИКАЦИИ ОДНОГО КЛАССА НЕСТАЦИОНАРНЫХ СИСТЕМ

В. ШАНШИАШВИЛИ, М. САЛУКВАДЗЕ

Резюме

Рассматривается задача подтверждения линейных нестационарных динамических систем на примере идентификации системы второго порядка. Задача параметрической идентификации ставится как, в определенном смысле, обратная задача задачи Коши для линейных обыкновенных дифференциальных уравнений. Показано, что при существовании точной информации о входных и выходных переменных системы, выходные сигналы модели совпадают с выходными сигналами системы при подаче на их входах одних и тех же сигналов.

ლიტერატურა - REFERENCES –ЛИТЕРАТУРА

1. Клейман Е.Г., Мочалов Н.А. Идентификация нестационарных объектов // АиТ. 1994. № 2 с. 3-22.
2. Rurua A., Lototsky V., Chadeev V. Identification of non-stationary plants: state-of-art and recent results // Georgian Foundation of Sciences Revival. Periodical Scientific Journal. Intellecti. 1999. No. 3(6), pp. 64-71.
3. Deller J.R., Nageri M., Odeh S.F. Least-square identification with error bounds for real-time processing and control // Proc. IEEE. 1993. Vol. 81. No. 6, pp. 815-849.
4. Kuntsevich A.V., Kuntsevich V.M. Linear adaptive control for nonstationary uncertain system under bounded noise // Syst. and Control Letters. 1997. Vol. 31. No. 1, pp. 33-40.
5. Li Y., Chen H.-F. Robust adaptive pole placement for linear time-varying systems // IEEE Trans. Autom. Control. 1996. Vol. 41. No. 5, pp. 714-719.
6. Lorito F. Dynamical properties of the recursive maximum likelihood algorithm for frequency estimation // Proc. 5th IFAC Symp. on Adaptive Systems in Control and Signal Proc. Budapest, 1995. Vol. I, pp. 143-148.
7. Tsytkin Ya. Z., Polyak B.T. Optimal recurrent algorithms for identification of nonstationary plants // Comput. and Electr. Eng. 1992. Vol. 18. No. 5, pp. 365-371.
8. Wang Z.-O., Zhang J. A Kalman filter algorithm using a moving window with applications // Int. J. Syst. Sci. 1995. Vol. 26. No. 8, pp.1465-1478.
9. Гайшун И. В. Идентификация линейных нестационарных систем по реакции на обобщенные управления. Дифференциальные уравнения. 2008. Т. 44. № 3, с. 301-307.
10. Niedzwiecki, M. Locally Adaptive Cooperative Kalman Smoothing and its Application to Identification of Nonstationary Stochastic Systems. Signal Processing, IEEE Transactions on. 2012, Vol. 60, No. 1, pp. 48-59.
11. Shanshiashvili B.G. On identification of linear multidimensional non-stationary systems // Bulletin of the Georgian Academy of Sciences. 1998. 158. No. 3, pp. 482-484.
12. Шаншиашвили В.Г. Идентификация одного класса нестационарных линейных динамических систем. Труды VI международной конференции “Идентификация систем и задачи управления” (Москва, Россия, 29 января -1 февраля 2007). SICPRO '07. М., Институт проблем управления им. В.А. Трапезникова РАН, 2007, с. 370-378.
13. Shanshiashvili B. Parametric identification of one class of the linear nonstationary systems. Archil Eliashvili Institute of control systems. Georgian Technical University Proceedings. Tbilisi, 2012, № 16, pp. 37-42.
14. Кигурадзе И. Начальные и краевые задачи для систем обыкновенных дифференциальных уравнений. Том I. Линейная теория. Тбилиси: Мецниереба, 1997. 214 с.
15. Льюнг Л. Идентификация систем. Теория для пользователя. М.: Наука, 1991.

სავაჭრო ფირმის ოპტიმალური გეგმის გაანგარიშება სიმაღლეს მეთოდით

დ. სინარაძე, ვ. მაისურაძე

dali_sx@yahoo.com; wmaisuradze@yahoo.com

სავაჭრო ფირმის ოპტიმალური გეგმის გაანგარიშების დროს მთავარი ამოცანაა გასაყიდი საქონლის სახეობის და საერთო მოცულობის განსაზღვრა იმ მოსაზრებით, რომ ხარჯების გაწევის რისკი იყოს მინიმალური. ჩამოვყალიბოთ ეს ამოცანა მათემატიკურად. შემოვიღოთ შემდეგი აღნიშვნები: იყოს $x_i, i = 1, 2, \dots, n$, i -ური საქონლის მოცულობა, რომელიც უნდა განისაზღვროს წინასწარ მოცემული შემდეგი პარამეტრების მნიშვნელობებისათვის [1]:

a_{ki} - k - ური კვალიფიკაციის შრომის დანახარჯების ნორმატივები i -ური

საქონლის ერთეულზე, $k = 1, \dots, K; i = 1, 2, \dots, n$;

a_k - k - ური კვალიფიკაციის შრომითი რესურსების მოცულობა, $k = 1, \dots, K$;

s_i -სავაჭრო დარბაზების ფართობის დანახარჯების ნორმატივი i -ური საქონლის ერთეულზე;

S - ფირმის სავაჭრო დარბაზების საერთო ფართობი;

p_i - i -ური საქონლის ერთეულის საშუალო ფასი;

P - ფირმის შემოსავლის ქვედა ზღვარი;

q_i - i -ური საქონლის მოცულობის ქვედა ზღვარი;

c_i -დანახარჯები i -ური საქონლის ერთეულზე

α -ფიქსირებული გადასახადი დაქირავებულ ფართზე;

ამ აღნიშვნებში სავაჭრო ობიექტის ოპტიმალური დაგეგმვის ამოცანა შეიძლება ჩაიწეროს, როგორც წილად-წრფივი პროგრამირების ამოცანა შემდეგნაირად:

$$z = \frac{\sum_{i=1}^n (p_i - c_i)x_i - \alpha}{\sum_{i=1}^n c_i x_i + \alpha} \rightarrow \max \quad (1)$$

შემდეგ შეზღუდვებში:

$$\begin{aligned} \sum_{i=1}^n a_{ki} x_i &\leq a_k, k = 1, \dots, K \\ \sum_{i=1}^n s_i x_i &\leq S, \\ \sum_{i=1}^n p_i x_i &\geq P, \\ x_i &\geq q_i \geq 0, i = 1, \dots, n. \end{aligned} \quad (2)$$

(1) ფუნქციონალის მაქსიმიზაცია ეკონომიკური თვალსაზრისით ნიშნავს, რომ საქონლის შერჩევა მოხდეს ისე, რომ მოგების შეფარდება დანახარჯებთან იყოს მაქსიმალური, რაც ამცირებს რისკს კაპიტალის დაბანდების დროს. (1) ფუნქციონალის მნიშვნელოვანი დადებითია, ამიტომ მისი ნებისმიერი დონის წირი წრფივია დასაშვებ ამონახსნთა (2) სიმრავლეზე და, როგორც ცნობილია, თუ წილად-წრფივი პროგრამირების ამოცანას აქვს ოპტიმალური ამოხსნა, მაშინ (2)-ის ერთ-ერთი კიდურა წერტილი მაინც იქნება ოპტიმალური.

შემოვიღოთ აღნიშვნები:

$$A = \|a_{ki}\|,$$

$$p = (p_1, p_2, \dots, p_n)^T, q = (q_1, q_2, \dots, q_n)^T, s = (s_1, s_2, \dots, s_n)^T, x = (x_1, x_2, \dots, x_n)^T,$$

$$c = (c_1, c_2, \dots, c_n)^T, a = (a_1, a_2, \dots, a_n)^T; d = p - c;$$

$$k = 1, \dots, K; i = 1, \dots, n;$$

ამ აღნიშვნებში ამოცანა ჩაიწერება შემდეგნაირად:

$$\max \left\{ \frac{d^T x - \alpha}{c^T x + \alpha} \right\},$$

$$x \in M = \left\{ x \in R^n; Ax \leq a; p^T x \geq P; s^T x \leq S; x_i \geq 0; \right\}$$

მოვახდინოთ ცვლადთა გარდაქმნა [2]:

$$\rho = \frac{1}{c^T x + \alpha}$$

ამის შემდეგ მიზნის ფუნქციას ექნება სახე:

$$\sum_{i=1}^n d_i x_i \rho - \alpha \rho.$$

თუ შევასრულებთ კიდევ ერთ გარდაქმნას $y_i = x_i \rho, i = 1, 2, \dots, n$, მაშინ ელემენტარული გარდაქმნების შედეგად წილად-წრფივი პროგრამირების ამოცანას ექნება შემდეგი სახე:

$$\max \{ d^T y - \alpha \rho \},$$

სადაც

$$Ay - a\rho \leq 0,$$

$$c^T y + \alpha\rho = 1,$$

$$0 \leq y \in R^n, 0 \leq \rho \in R$$

ეს კი წრფივი პროგრამირების ამოცანაა $n+1$ ცვლადის მიმართ, იგი შეიძლება ამოიხსნას სიმპლექს-მეთოდით. (1)-(2) სახით დასმული ამოცანის ამოხსნა გვაძლევს პასუხს ორ კითხვაზე: 1) საქონლის რომელი სახეობის არჩევა არის ნაკლებად სარისკო; 2) რა მოცულობით უნდა იყოს აღებული საქონელი, რომ მოგების შეფარდება დანახარჯთან იყოს მაქსიმალური.

მაგალითად, ფირმამ უნდა აირჩიოს სავაჭრო ობიექტის პროფილი-უნდა გადაწვევტოს, რომელი ტიპის საქონლით ივაჭროს-ტანსაცმლით, თუ სარეცხი საშუალებებით. ორივე შემთხვევაში ჩავწერთ ამოცანას (1)-(2) სახით, ამოვხსნით და ფუნქციონალის მაქსიმალური მნიშვნელობების შედარებით მივიღებთ გადაწყვეტილებას.

განვიხილოთ მაგალითი. სიმარტივისათვის ვთქვათ, სავაჭრო ფირმამ უნდა განსაზღვროს სამი სხვადასხვა საქონლის გასაყიდი საერთო მოცულობა x_1, x_2, x_3 . ვთქვათ, თითოეული სახეობისთვის საჭიროა ორი სხვადასხვა კვალიფიკაციის შრომითი რესურსი-გადატან-გადმოტანა ფირმის კუთვნილ ტერიტორიაზე და მოტანა ტრანსპორტით სხვა ობიექტებიდან. x_1 საქონლის საქონელბრუნვის ერთეულის შესანახად საჭიროა $0,5 \text{ მ}^2$ ფართობი, x_2 -თვის -1 მ^2 , x_3 -თვის $-0,25 \text{ მ}^2$.

შრომის დანახარჯების მატრიცა $A = \begin{pmatrix} 5 & 6 & 4 \\ 10 & 20 & 100 \end{pmatrix}$,

საქონელბრუნვის ერთეულის ფასების ვექტორი იყოს $p = \begin{pmatrix} 100 \\ 120 \\ 200 \end{pmatrix}$

დანახარჯების ვექტორი $c = \begin{pmatrix} 80 \\ 90 \\ 180 \end{pmatrix}$; $a = \begin{pmatrix} 1800 \\ 5000 \end{pmatrix}$; $q = \begin{pmatrix} 25 \\ 20 \\ 15 \end{pmatrix}$; $\alpha = 1200$; $P = 7900$; δ

მონაცემებით ამოცანა დებულობს სახეს:

$$\begin{aligned} & \frac{20x_1 + 30x_2 + 20x_3 - 1200}{80x_1 + 90x_2 + 180x_3 + 1200} \rightarrow \max \\ & 5x_1 + 6x_2 + 4x_3 \leq 1800 \\ & 10x_1 + 20x_2 + 100x_3 \leq 5000 \\ & 0,5x_1 + x_2 + 0,25x_3 \leq 500 \\ & 100x_1 + 120x_2 + 200x_3 \geq 7900 \\ & x_1 \geq 25 \\ & x_2 \geq 20 \\ & x_3 \geq 15 \end{aligned} \quad (3)$$

(3) შეიძლება ჩაიწეროს შემდეგი სახით:

$$\begin{aligned} & -5x_1 - 6x_2 - 10x_3 + 395 \leq 0 \\ & 5x_1 + 6x_2 + 4x_3 - 1800 \leq 0 \\ & x_1 + 2x_2 + 10x_3 - 500 \leq 0 \\ & x_1 \geq 25 \\ & x_2 \geq 20 \\ & x_3 \geq 15 \end{aligned} \quad (4)$$

გასაგებია, რომ თუ $x_1 \geq 0, x_2 \geq 0, x_3 \geq 0$, მაშინ

$$\begin{aligned} & (x_1 + 2x_2 + 10x_3) - (0,5x_1 + x_2 + 0,25x_3) = \\ & = 0,5x_1 + x_2 + 9,75x_3 \geq 0, \end{aligned}$$

საიდანაც გამომდინარეობს, რომ $(x_1 + 2x_2 + 10x_3) \geq (0,5x_1 + x_2 + 0,25x_3)$. ამიტომ, თუ სრულდება პირობა $x_1 + 2x_2 + 10x_3 - 500 \leq 0$, რომელიც (3) სისტემის მეორე უტოლობის შეკვეციით მიიღება, მაშინ ავტომატურად სრულდება $0,5x_1 + x_2 + 0,25x_3 - 500 \leq 0$ პირობაც. აქედან გამომდინარეობს, რომ (3) უტოლობებიდან უნდა გამოირიცხოს უტოლობა

$$0,5x_1 + x_2 + 0,25x_3 - 500 \leq 0.$$

ცხადია, რომ

$$f(x) = \frac{20x_1 + 30x_2 + 20x_3 - 1200}{80x_1 + 90x_2 + 180x_3 + 1200} = \frac{2x_1 + 3x_2 + 2x_3 - 120}{8x_1 + 9x_2 + 18x_3 + 120}. \quad (5)$$

შემოვიღოთ ახალი ცვლადი:

$$y_4 = \frac{1}{8x_1 + 9x_2 + 18x_3 + 120}. \quad (6)$$

მაშინ ცხადია, რომ $x_1 \geq 0, x_2 \geq 0, x_3 \geq 0$ პირობებში სამართლიანია უტოლობა $y_4 > 0$. გარკვეულობისათვის ჩავთვალოთ, რომ $y_4 \geq 0,001$, რაც ეკონომიკურად იმას ნიშნავს, რომ საქონლის რაოდენობა შემოსაზღვრულია ზემოდანაც. ასევე შეგვიძლია

მოვითხოვთ, რომ სრულდებოდეს უტოლობა $y_4 \leq \frac{1}{120}$, რადგან ჩვენს შემთხვევაში მართებულია უტოლობა

$$\frac{1}{8x_1 + 9x_2 + 18x_3 + 120} \leq \frac{1}{120}. \quad (7)$$

შემოვიღოთ ცვლადები:

$$y_1 = x_1 y_4, y_2 = x_2 y_4, y_3 = x_3 y_4.$$

ამრიგად, აღნიშნულ პირობებში უნდა სრულდებოდეს უტოლობები:

$$y_1 \geq 0, y_2 \geq 0, y_3 \geq 0, y_4 > 0.$$

მიღებულ აღნიშვნებში ვღებულობთ წრფივი პროგრამირების ამოცანას, რომელიც ჩაიწერება შემდეგნაირად:

$$\begin{aligned} & \min_{(y_1, y_2, y_3, y_4) \in Y} (-2y_1 - 3y_2 - 2y_3 + 120y_4), \\ & Y = \left\{ y \in \mathbb{R}^4 \left| \begin{array}{l} -5y_1 - 6y_2 - 10y_3 + 395y_4 \leq 0 \\ 5y_1 + 6y_2 + 4y_3 - 1800y_4 \leq 0 \\ y_1 + 2y_2 + 10y_3 - 500y_4 \leq 0 \\ -y_1 + 25y_4 \leq 0 \\ -y_2 + 20y_4 \leq 0 \\ -y_3 + 15y_4 \leq 0 \\ 8y_1 + 9y_2 + 18y_3 + 120y_4 = 1 \\ 0 \leq y_1 \\ 0 \leq y_2 \\ 0 \leq y_3 \\ 0.001 \leq y_4 \leq 1/120 \end{array} \right. \right\} \end{aligned} \quad (8)$$

ვთქვათ,

$$y = (y_1, y_2, y_3, y_4)^T, c = (-2, -3, -2, 120), b = (0, 0, 0, 0, 0, 0)^T$$

$$A = \begin{pmatrix} -5 & -6 & -10 & 395 \\ 5 & 6 & 4 & -1800 \\ 1 & 2 & 10 & -500 \\ -1 & 0 & 0 & 25 \\ 0 & -1 & 0 & 20 \\ 0 & 0 & -1 & 15 \end{pmatrix},$$

$$\partial = (0, 0, 0, 0.001)^T, \gamma = (\infty, \infty, \infty, 1/120)^T, r = (8, 9, 18, 120)$$

მაშინ ამოცანა (8) ჩაიწერება შემდეგი სახით:

$$\begin{aligned} & \min_{y \in Y} \langle c, y \rangle, \\ & Y = \{ y \in \mathbb{R}^4 \mid Ay \leq b, ry = 1, \partial \leq y \leq \gamma \}. \end{aligned} \quad (9)$$

ცხადია, რომ თუ $\bar{y} = (\bar{y}_1, \bar{y}_2, \bar{y}_3, \bar{y}_4)^T$ არის (9) ამოცანის ამონახსნი, მაშინ საწყისი ამოცანის ოპტიმალური ამონახსნი $\bar{x} = (\bar{x}_1, \bar{x}_2, \bar{x}_3)^T$ განისაზღვრება ტოლობით:

$$\bar{x} = (\bar{x}_1, \bar{x}_2, \bar{x}_3)^T = \left(\frac{\bar{y}_1}{\bar{y}_4}, \frac{\bar{y}_1}{\bar{y}_4}, \frac{\bar{y}_1}{\bar{y}_4} \right)^T.$$

ჩვენ ამოვხსენით (9) ამოცანა პროგრამა MATLAB-ის საშუალებით. მიღებული ოპტიმალური ამონახსნია $x_1 = 25; x_2 = 410/9; x_3 = 15$.

სავაჭრო ფირმის ოპტიმალური გეგმის ბაანბარიშება სიმპლექს მეთოდით

დ. სიხარულიძე, ვ. მაისურაძე

რეზიუმე

სავაჭრო ფირმის ოპტიმალური პროფილის განსაზღვრის ამოცანა დაყვანილია წილად-წრფივი პროგრამირების ამოცანაზე, რომელიც გარკვეული გარდაქმნებით [2] დაიყვანება წრფივი პროგრამირების ამოცანაზე. ამოხსნის ალგორითმი ილუსტრირებულია მარტივი მაგალითით.

COMPUTATION OF COMMERCIAL FIRM OPTIMAL PLAN BY SIMPLEX-METHOD

D. SIKHARULIDZE, W. MAISURADZE

Summary

The problem of commercial firm optimal type determination is turned to the problem of linear-fractional programming, which by certain transformations [2] is turned to the linear programming problem. The solution algorithm is illustrated by simple example.

РАСЧЕТ ОПТИМАЛЬНОГО ПЛАНА ТОРГОВОЙ ФИРМЫ СИМПЛЕКС-МЕТОДОМ

Д. СИХАРУЛИДЗЕ, В. МАЙСУРАДЗЕ

Резюме

Задача определения оптимального профиля торговой фирмы сведена к задаче дробно-линейного программирования, которая определенными преобразованиями [2] сводится к задаче линейного программирования. Алгоритм решения задачи иллюстрируется на простом примере.

ლიტერატურა-REFERENCES-ЛИТЕРАТУРА

1. იოსავა ჯ., დავითაია ა. ეკონომიკურ-მათემატიკური მეთოდების გამოყენება ვაჭრობის მართვასა და დაგეგმვაში. თბილისი, თსუ-ს გამომცემლობა, 1985.
2. Штойер Р. Многокритериальная оптимизация: теория, вычисления и приложения. М.: Радио и связь, 1992.

**ამონახსნების არაინტერაქტიული შეფასების შესახებ ვიქტორული
ამჟამად მსოფლიოში ელექტროენერჯის წლიური გამომუშავება შეადგენს დაახლოებით 20×10^{12} კვტ.სთ-ს. თუ გავითვალისწინებთ, რომ მსოფლიოს მოსახლეობა ამჟამად არის დაახლოებით 7 მილიარდი, ერთ სულ მოსახლეზე მოსული წლიურად გამომუშავებული ელექტროენერჯია 3000 კვტ.სთ-ს უტოლდება. სწორედ ერთ სულ მოსახლეზე მოსული წლიურად გამომუშავებული ელექტროენერჯია წარმოადგენს ქვეყნის ეკონომიკური განვითარების ერთ-ერთ მნიშვნელოვან ინდიკატორს. ცხრილ 1-ში ლიდერი ქვეყნები რანჟირებულია ამ სიდიდის მიხედვით (2012 წლის მონაცემები) [1].

ცხრილი 1


მსოფლიო ქვეყნების რეიტინგი ელექტროენერჯის მოხმარების დონის მიხედვით

| | ქვეყანა | ერთ სულ მოსახლეზე წლიურად მოხმარებული ელექტროენერჯია (კვტ.სთ) |
|----|---------------------------------|---|
| 1 | ისლანდია | 51439.909 |
| 2 | ნორვეგია | 25175.221 |
| 3 | კუვეიტი | 18319.660 |
| 4 | ლუქსემბურგი | 16833.908 |
| 5 | ფინეთი | 16482.789 |
| 6 | კანადა | 15137.424 |
| 7 | კატარი | 14997.217 |
| 8 | შვეცია | 14939.232 |
| 9 | ამერიკის შეერთებული შტატები | 13393.901 |
| 10 | არაბთა გაერთიანებული საემიროები | 11044.385 |
| 11 | ავსტრალია | 10285.652 |
| 12 | ბახრეინი | 9814.278 |
| 13 | ჩრდილოეთკორეა | 9744.465 |
| 14 | ახალი ზელანდია | 9565.914 |
| 15 | ბრუნეი | 8758.648 |
| 16 | იაპონია | 8394.124 |
| 17 | ბელგია | 8387.617 |

| | | |
|----|----------------|----------|
| 18 | ავსტრია | 8356.128 |
| 19 | სინგაპური | 8306.774 |
| 20 | შვეიცარია | 8174.664 |
| 21 | საუდის არაბეთი | 7967.004 |
| 22 | საფრანგეთი | 7728.553 |
| 23 | გერმანია | 7215.421 |
| 24 | ნიდერლანდები | 7009.524 |
| 25 | ისრაელი | 6856.078 |

ცხრილში ჩამოთვლილი ყველა ქვეყანა ეკონომიკის განვითარების უაღრესად მაღალი დონით ხასიათდება. როგორც ანალიზმა გვჩვენა, მსოფლიოში დაახლოებით 200 ქვეყნიდან არ არსებობს არცერთი, რომელიც სუსტი ელექტროენერგეტიკული ბაზით ეკონომიკური განვითარების მაღალ დონეზე იმყოფება.


ინტერესს იმსახურებს მსოფლიოში ელექტროენერჯის გამომუშავების სტრუქტურა, რომელიც წარმოდგენილია ნახ.1-ზე [2].



ნახ.1. ელექტროენერჯის გამომუშავების სტრუქტურა

როგორც აღნიშნული ნახაზიდან ჩანს, მსოფლიოში მოხმარებული ელექტროენერჯის 63.2% გამომუშავდება თბოელექტროსადგურებში, 19.5% ჰიდროელექტროსადგურებში, 16.4% ატომურ ელექტროსადგურებში. მიუხედავად იმისა, რომ უკანასკნელ წლებში უაღრესად დიდი მნიშვნელობა ენიჭება ე.წ. ალტერნატიული წყაროების ათვისებას (ქარი, მზე, ბიომასა, გეოთერმული წყლები და სხვა), ამ წყაროების საფუძველზე მიღებული ელექტროენერჯის წილი არ აღემატება 0.9%-ს (ნახ.1). როგორც ანალიზი გვიჩვენებს, უახლოესი ორი ათეული წლის განმავლობაში ამ მიმართულებით რაიმე მკვეთრი ცვლილება არც არის მოსალოდნელი.

ელექტროენერჯის გამომუშავების სტრუქტურა რეგიონების მიხედვით წარმოდგენილია ნახ.3-ზე [3].



ნახ.3. ელექტროენერჯის გამომუშავების სტრუქტურა რეგიონების მიხედვით.
 1 – მსოფლიო, 2 – ევროპა, 3 – ყოფილი საბჭოთა ქვეყნები, 4 – აზია,
 5 – აფრიკა, 6 – ჩრდილოეთი ამერიკა, 7 – სამხრეთი ამერიკა, 8 – ავსტრალია.

როგორც ნახაზიდან ჩანს, მთელი მსოფლიოსთვის ელექტროენერჯის გამომუშავების სტრუქტურა წარმოდგენილი ნახ.2-ზე გარკვეული ვარიაციებით შენარჩუნებულია ევროპაში, ყოფილ საბჭოთა ქვეყნებში, აზიაში, აფრიკასა და ჩრდილოეთ ამერიკაში. განსხვავებული სურათი გვაქვს სამხრეთ ამერიკის შემთხვევაში, სადაც გამომუშავებული ელექტროენერჯის 75% მოდის ჰესებზე. ავსტრალიაში კი დღეისათვის არ არსებობს ატომური ელექტროსადგური. ამ განსხვავების გათვალისწინებით, სხენეული სტრუქტურა (ნახ.2, ნახ.3) შენარჩუნებულია ცალკეული ქვეყნების უმეტესობაში. თუმცა, არსებობს რადიკალურად განსხვავებული გამოწვევებიც. ასე მაგალითად, ნორვეგიაში გამომუშავებული ელექტროენერჯის 99% მოდის ჰიდროელექტროსადგურებზე. ისრაელში კი – გამომუშავებული ელექტროენერჯის პრაქტიკულად 100% მოდის თბოელექტროსადგურებზე, საფრანგეთში მთელი ენერჯის დაახლოებით 80% გამომუშავდება ატომურ ელექტროსადგურებში.

ასე რომ, ყოველი ქვეყანა ელექტროენერჯეტიკას ავითარებს საკუთარი შესაძლებლობებიდან გამომდინარე, ცხადია, ენერგოუსაფრთხოების საკითხების გათვალისწინებით.

რაც შეეხება საქართველოს, ელექტროენერჯეტიკის განვითარების მხრივ მსოფლიო ქვეყნებს შორის ჩვენი ქვეყანა უაღრესად არასახარბიელო მდგომარეობაშია. ერთ სულ მოსახლეზე მოსული ელექტროენერჯის წლიური მოხმარების ოდენობა ამჟამად შეადგენს 2000 კვტ.სთ-ს, რაც მსოფლიო საშუალო დონეზე 1,5-ჯერ ნაკლებია. ამ მონაცემით საქართველო მსოფლიო ქვეყნების ასეულის ბოლოშია. ასევე არასახარბიელოა საქართველოს მდგომარეობა ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებს შორის. ვუსწრებთ მხოლოდ უზბეკეთს და მოლდავეთს. ყოველივე ეს, ცხადია, აისახება ქვეყნის ეკონომიკის განვითარების დონეზე. აქედან გამომდინარე, აუცილებელია საქართველოს ელექტროენერჯეტიკული ბაზის მკვეთრი განვითარება ადგილობრივი ენერგორესურსების მაქსიმალურად გამოყენებით.

იმისათვის, რომ მოსახლეობის ცხოვრების პირობები პასუხობდეს თანამედროვე, თუნდაც საშუალოდ განვითარებული ქვეყნების დონეს, აუცილებელია თითოეულ ოჯახში საშუალოდ მოხმარებული ელექტროენერჯია შეადგენდეს არა უმცირეს 5000

კვტ.სთ-ს წელიწადში, რაც ქვეყნის მასშტაბით შეადგენს დაახლოებით 10 მლრდ კვტ.სთ-ს წელიწადში. მსოფლიოს ქვეყნების პრაქტიკიდან გამომდინარე, კომუნალურ მომსახურებაზე მოსული ელექტროენერჯია შეადგენს დაახლოებით 25%-ს. ამასთან, თუ გავითვალისწინებთ, რომ უახლოეს ათწლეულებში მოსალოდნელია მრეწველობისა და ტრანსპორტის მკვეთრი განვითარება, საქართველომ უნდა მიაღწიოს ელექტროენერჯის სულ მცირე 40 მლრდ. კვტ.სთ-ს წლიური გამომუშავების დონეს.

არაერთხელ აღნიშნულა, რომ, რესურსებიდან გამომდინარე, საქართველოს ელექტროენერჯეტიკის განვითარება უპირატესად დაფუძნებულ უნდა იყოს ჰიდროენერჯეტიკაზე. ცხადია, გამოყენებულ უნდა იქნეს ორგანული სათბობებისა და ე.წ. არატრადიციული (ქარი, მზე და ა.შ.) ენერჯორესურსებიც, რომელიც საქართველოს გააჩნია. ამ რესურსების ოპტიმალურად ათვისების შემთხვევაში, როგორც ეს ავტორთა მიერ სათანადო მათემატიკური მოდელისა და ოპტიმიზაციის ამოცანის ამოხსნის შედეგად იყო ნაჩვენები ადრე გამოქვეყნებულ შრომებში [4,5], საქართველოს შეუძლია ელექტროენერჯიაზე მოთხოვნილება დააკმაყოფილოს 40-45 მლრდ კვტ.სთ. წელიწადში გამომუშავების დონეზე. ამავე შრომებში ნაჩვენები იყო, რომ არატრადიციული ენერჯორესურსების წილი საერთო ელექტროენერჯეტიკულ ბალანსში ვერ გადააჭარბებს 10%-ს. აუცილებლად მხედველობაშია მისაღები ის გარემოებაც, რომ საქართველოს მდინარეები დიდი უთანაბრობით ხასიათდება. კერძოდ, შემოდგომა-ზამთრის ჩამონადენი 3-ჯერ და უფრო მეტჯერ ნაკლებია გაზაფხული-ზაფხულის ჩამონადენთან შედარებით. აქედან გამომდინარე, სასიცოცხლო აუცილებლობას წარმოადგენს ჰიდროენერჯორესურსების ათვისება როგორც უწყალსაცავო, ისე წყალსაცავიანი ჰიდროსადგურების მეშვეობით [6].

სოციალურ და ეკოლოგიურ პრობლემებს რაც შეეხება (რომლის გარშემოც უკანასკნელ წლებში, ისევე როგორც 80-იანი წლების ბოლოს, ატეხილია ხმაური), მათი გადაჭრისათვის აუცილებელია: ჰიდროსადგურების მშენებლობის ადგილებში მოსახლეობის სოციალური პირობები დაკმაყოფილდეს მსოფლიო სტანდარტების უმაღლეს დონეზე, ყველა ღონისძიება გატარდეს იმისათვის, რომ მაქსიმალურად ნაკლები ზიანი მიაღდეს ბუნებას. ამასთან, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ადამიანი წარმოადგენს ეკოსისტემის უპირველეს რგოლს და მისი კეთილდღეობა უნდა გახდეს უპირველესი საზრუნავი, მათ შორის მწვანე მოძრაობის მესვეურთათვისაც.

რაც შეეხება ე.წ. გიგანტომანიას. ხუდონჰესის დადგმულმა სიმძლავრემ, როგორც ცნობილია, უნდა შეადგინოს 700 მგვტ. ამ პარამეტრით ხუდონჰესი ვერაფრით ვერ თავსდება გიგანტური ჰესების რიგში. თვალსაჩინოებისათვის ქვემოთ წარმოდგენილია მსოფლიო გიგანტური ჰესების არასრული ნუსხა:

| | |
|--------------------------------|----------------|
| სამი ხევი (ჩინეთი) | – 22 500 მგვტ; |
| იტაიპუ (ბრაზილია-პარაგვაი) | – 12 600 მგვტ; |
| სილოდუ (ჩინეთი-მშენებარე) | – 13 860 მგვტ; |
| ბაჰეტანი (ჩინეთი-მშენებარე) | – 13 050 მგვტ; |
| ბელუმონტი (ბრაზილია-მშენებარე) | – 11 230 მგვტ; |
| გრანდ-კული (აშშ) | – 10 800 მგვტ; |
| გურიი (ვენესუელა) | – 10300 მგვტ; |
| უდუნდე (ჩინეთი-მშენებარე) | – 8 700 მგვტ; |
| ტუკურუი (ბრაზილია) | – 8 000 მგვტ; |

ჩამოთვლილთაგან თითოეული ჰიდროსადგურის სიმძლავრე 10-ჯერ და მეტად აღემატება ხუდონჰესის საპროექტო სიმძლავრეს. ამასთან ერთად, თუ მხედველობაში მივიღებთ იმას, რომ ამჟამად კონგოს რესპუბლიკაში მდინარე კონგოზე იგეგმება ჰიდროელექტროსადგურ “გრანდ-ინგა”-ს მშენებლობა, რომლის საპროექტო სიმძლავრე შეადგენს 39 000 მგვტ-ს, ხუდონჰესის გიგანტურ ჰესებში მოხსენიება გაუგებრობად უნდა ჩაითვალოს. ამასთანავე, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მსოფლიოში ისეთი ჰიდროელექტროსადგურების რაოდენობა, რომელთა დადგმული სიმძლავრე მნიშვნელოვნად აღემატება ხუდონჰესის საპროექტო სიმძლავრეს, ერთ ასეულზე მეტია. ასეთ ჰიდროელექტროსადგურთა შორის არის სადგურები, რომლებიც განთავსებულია საქართველოს თანაზომადი ქვეყნების ტერიტორიებზე (შვეიცარია, ტაჯიკეთი, მოზამბიკი და სხვა).

ყოველად მიუღებელია არაკომპეტენტური მოსაზრებები იმის თაობაზე, რომ ხულონჰესის, ისევე როგორც სხვა წყალსაცავიანი ჰესების, ალტერნატივა შეიძლება იყოს მცირე ჰესების, ქარისა და სხვა არატრადიციული ენერგორესურსების ბაზაზე მოქმედი ელექტროსადგურების გამოყენება. ერთადერთი ალტერნატივა, რომელიც შეიძლება გააჩნდეს წყალსაცავიან ჰესებს, საქართველოსთვის არის ატომური ელექტროსადგურის აშენება, რაც, ცხადია, ასევე მიუღებელია მსოფლიოში ასეთი სადგურების მიმართ განვითარებული სკეპტიციზმის გამო.

ქვეყნის ენერგეტიკული უსაფრთხოების საკითხებიდან გამომდინარე, აგრეთვე მიუღებლად მიგვაჩნია ელექტროენერჯის იმპორტი მეზობელი ქვეყნებიდან.

ასე რომ, ხულონჰესის, ისევე როგორც მდინარე ენგურზე და სხვა მდინარეებზე დაგეგმილი ჰიდროელექტროსადგურების, მშენებლობას, არც მათი სიდიდის, არც სოციალური და ეკოლოგიური საკითხების მხრივ, გადაუჭრელი პრობლემები არ უნდა გადაეღობოს წინ. სხვა საკითხია ჰიდროელექტროსადგურების პროექტების სრულყოფა, რომელთა გარშემოც მსჯელობა მეცნიერთა ვიწრო წრეში უნდა მიმდინარეობდეს და არა საჯაროდ, სატელევიზიო შოუებში. ამასთან, მიგვაჩნია, რომ ქვეყნის ხელისუფლებამ უნდა მიაღწიოს, რომ ხულონჰესის და სხვა ელექტროსადგურების, როგორც სტრატეგიული ობიექტების, 50%-ზე მეტი იყოს საქართველოს მფლობელობაში.

როგორც ცნობილია, არსებობს სხვადასხვა წინადადება ამა თუ იმ ჰიდროელექტროსადგურის პროექტის გაუმჯობესების შესახებ, რომელთაგანაც არ არის გამორიცხული, რომ ზოგიერთი მისაღებიც იყოს. ჩვენი აზრით, ასეთი წინადადებების განხილვა აუცილებელია სამეცნიერო კონფერენციაზე, რომელიც უნდა ჩატარდეს საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის, საქართველოს საინჟინრო აკადემიისა და საქართველოს ენერგეტიკის აკადემიის თაოსნობითა და ენერგეტიკის სამინისტროს აქტიური ხელშეწყობით. კონფერენციის მუშაობაში, ცხადია, მონაწილეობა უნდა მიიღონ სხვა დაინტერესებულმა ორგანიზაციებმაც.

კარგი იქნება, თუ ასეთი კონფერენცია ჩატარდება 2014 წლის სექტემბერ-ოქტომბერში და მიეძღვნება გამოჩენილი ქართველი ენერგეტიკოსის, დეაწლმოსილი მეცნიერისა და მამულიშვილის, აკადემიკოს ვახტანგ გომელაურის დაბადების მე-100 წლისთავს.

ელექტროენერგეტიკის განვითარების თანამედროვე ტენდენციები და საქართველოს ენერგორესურსების ოპტიმალურად გამოყენების პრობლემები

თ. მამრაკველიძე, ვ. ჭიჭინაძე, ხ. ლომიძე, ნ. ბანცაძე, ა. მიქაშავიძე, მ. ჯანიკაშვილი, ი. არჩუაძე

რეზიუმე

სტატიაში განხილულია მსოფლიოში ელექტროენერგეტიკის განვითარების ტენდენციები. მოყვანილია და გაანალიზებულია სათანადო მონაცემები. ნახვენებია, რომ საქართველოს ეკონომიკურად მდგრადი განვითარებისათვის აუცილებელია უახლოეს ათწლეულებში მიღწეულ იქნეს ელექტროენერჯის წლიური გამომუშავების დონე 40-45 მლრდ კვტ.სთ-მდე. საქართველოში არსებული ენერგეტიკული რესურსების გათვალისწინებით ძირითადი აქცენტი უნდა გაკეთდეს ჰიდროენერგორესურსების ათვისებაზე როგორც უწყალსაცავო, ისე წყალსაცავიანი ჰესების ათვისებით. ცხადია, მაქსიმალურად უნდა იქნეს გამოყენებული ე.წ. ალტერნატიული ენერგორესურსები. თუმცა, ეს რესურსები მეტისმეტად მცირეა იმისათვის, რომ მათზე დამყარდეს ელექტროენერგეტიკული სისტემის განვითარება.

MODERN TRENDS OF POWER ENGINEERING DEVELOPMENT AND THE PROBLEMS OF OPTIMAL USAGE OF GEORGIAN ENERGY RESOURCES

T. MAGRAKVELIDZE, V. CHICHINADZE, KH. LOMIDZE, N. BANTSADZE, A. MIKASHVIDZE, M. JANIKASHVILI, I. ARCHUADZE

Summary

Modern trends of power engineering development worldwide are reviewed in the paper. The appropriate data is presented and analyzed. It is shown that power generation in Georgia should reach 40-

50 billion kw. h within nearest decades for sustainable development of the economics. Taking into account resources of Georgia, the main priority should be done to the hydro power generation, both with or without reservoir power plants. It is obvious that so called alternative power resources should be developed as much as possible. However, these resources are not too much to be the base of power engineering development in Georgia.

СОВРЕМЕННЫЕ ТЕНДЕНЦИИ РАЗВИТИЯ ЭЛЕКТРОЭНЕРГЕТИКИ И ПРОБЛЕМЫ ОПТИМАЛЬНОГО ИСПОЛЬЗОВАНИЯ ЭНЕРГОРЕСУРСОВ ГРУЗИИ

*Т. МАГРАКВЕЛИДЗЕ, В. ЧИЧИНАДЗЕ, Х. ЛОМИДЗЕ, Н. БАНЦАДЗЕ,
А. МИКАШАВИДЗЕ, М. ДЖАНИКАШВИЛИ, И. АРЧУАДЗЕ*

Резюме

В статье рассмотрены тенденции развития электроэнергетики мира. Приведены и проанализированы соответствующие данные. Показано, что для устойчивого экономического развития Грузии, необходимо достичь в ближайшие десятилетия уровня выработки электроэнергии до 40-45 млрд квт.ч. Учитывая имеющиеся энергетические ресурсы страны, основной акцент должен быть сделан на освоение гидроэнергоресурсов при помощи ГЭС, как с водохранилищами, так и без них. Очевидно, что должны быть максимально использованы т.н. альтернативные энергоресурсы. Однако эти ресурсы, ввиду их сравнительно незначительного количества, не могут стать основой развития электроэнергетической системы.

ლიტერატურა – REFERENCES – ЛИТЕРАТУРА

1. <http://gtmarket.ru/ratings/electric-power-consumption/info>
2. <http://www.myshared.ru/slide/365841/#>
3. <http://ppt4web.ru/fizika/ehlektroehnergetika-mira0.html>
4. ჭიჭინაძე ვ., მაგრაქველიძე თ., ლომიძე ხ., არჩუაძე ი. საქართველოს ელექტროენერგეტიკული სისტემის ოპტიმალური სტრუქტურის დადგენა ელექტროენერგიაზე მოთხოვნილებისა და მდინარეთა ჩამონადენის სეზონური ცვლილებების გათვალისწინებით. არჩილ ელიაშვილის მართვის სისტემების ინსტიტუტი. შრომათა კრებული. თბილისი, 2007, გვ.111-118.
5. მაგრაქველიძე თ., ჭიჭინაძე ვ., ლომიძე ხ., ჯანიკაშვილი მ., არჩუაძე ი., კურკუმული ნ. საქართველოს ენერგეტიკული რესურსების ოპტიმალურად გამოყენებისა და ენერგეტიკული უსაფრთხოების პრობლემების შესახებ. არჩილ ელიაშვილის მართვის სისტემების ინსტიტუტი. შრომათა კრებული. თბილისი, 2010, გვ. 131-136.
6. მაგრაქველიძე თ., ჭიჭინაძე ვ., ლომიძე ხ., არჩუაძე ი., ჯანიკაშვილი მ. მდინარე ენგურის ენერგეტიკული პოტენციალის ათვისების აუცილებლობისა და მასთან დაკავშირებული სოციალური და ეკოლოგიური პრობლემების შესახებ. არჩილ ელიაშვილის მართვის სისტემების ინსტიტუტი. შრომათა კრებული. თბილისი, 2012, გვ.105-111.

კედლისპირა ზონაში ტურბულენტური დინების ზოგიერთი საკითხის
შესახებ

01. მებრაჰმელიძე

qvelit@rambler.ru

ტურბულენტური დინება, სითხის (აირის) მოძრაობის ერთ-ერთი ურთულესი მოვლენა, ო. რეინოლდსის მიერ [1] მისი აღმოჩენის დღიდან მეცნიერთა განუხრეველ ინტერესს იმსახურებს. როგორც ცნობილია, ნავიე-სტოქსის ისედაც უაღრესად რთული (სრული სახით პრაქტიკულად დღემდე ამოუხსნელი) განტოლებები ო. რეინოლდსის მიერ ტურბულენტური დაძაბულობების შეტანის შედეგად კიდევ უფრო გაართულდა. გაჩნდა განტოლებათა სისტემის ჩაკეტილობის პრობლემა, რის გამოც საჭირო გახდა დამატებითი, ნახევრად ემპირიული და ემპირიული გამოსახულებების შემოტანა. თუმცა, უნდა ითქვას, რომ ამით აღნიშნული სირთულეები მხოლოდ ნაწილობრივ იქნა დაძლეული. ტურბულენტური დინების შესწავლაში უდიდესია ლ. პრანდტლის დამსახურება, რომელმაც სასაზღვრო შრის ცნების შემოტანასა და, ამის შედეგად, ნავიე-სტოქსის განტოლებების მნიშვნელოვან გამარტივებასთან ერთად ე.წ. შერევის მანძილის თეორია [2] შექმნა. ეს თეორია შემდგომ განავითარა თ. კარმანმა [3]. დიდია ი. ნიკურადის დამსახურება ტურბულენტური დინების შესწავლის საქმეში. მან ექსპერიმენტულად დაადასტურა პრანდტლ-კარმანის ჰიპოტეზების ვარჯისიანობა [4]. სწორედ ი. ნიკურადის მიერ გეტინგენის ჰიდრომექანიკის ინსტიტუტში ჩატარებული უნიკალური ექსპერიმენტების შედეგები დაედო საფუძვლად ტურბულენტური დინების ე.წ. სამშრიან მოდელს და ამ მოდელის საფუძველზე მიღებულ განტოლებებს, რომლებიც პრანტლ-კარმან-ნიკურადის განტოლებების სახელითაა ცნობილი. შემდგომში მრავალი გამოკვლევა მიედგინა ტურბულენტური დინების ბუნების შესწავლას. ამ გამოკვლევათა შედეგები გადმოცემულია საყოველთაოდ ცნობილ ფუნდამენტურ სტატიებსა და მონოგრაფიებში [5-8]. მიუხედავად ამისა ჯერ კიდევ რჩება პრობლემები, რომელთა გადაჭრის ცდა უდაოდ აუცილებელია.

ქვემოთ მოკლედ აღვწერთ სამშრიან მოდელის რაობას და ამ მოდელთან დაკავშირებულ პრობლემებს.

კედლისპირა ზონაში მოძრაობის გამარტივებულ განტოლებას, როგორც ცნობილია, აქვს შემდეგი სახე:

$$\tau_y = \rho v \frac{du}{dy} - \rho u'v' \quad (1)$$

სადაც τ_y არის სრული მხევი ძაბვა კედელზე, ρ - სითხის სიმკვრივე, v - სიბლანტის კინემატიკური კოეფიციენტი, u - სიჩქარე, y -კოორდინატა, u' , v' - შესაბამისად სიჩქარის გრძივი და განივი პულსაციები.

(1) განტოლების მარჯვენა მხარის პირველი შესაკრები წარმოადგენს მხევი ძაბვის იმ ნაწილს, რომელიც აღიძვრება ნაკადში სითხის სიბლანტის შედეგად. ცხადია, რომ იგი წარმოადგენს ნიუტონის კანონის გამოსახულებას, რომელიც სამართლიანია სითხის ლამინარული დინების შემთხვევაში. ამასთან ერთად, ექსპერიმენტულად დადასტურებულია, რომ ეს წვერი ტურბულენტური დინების დროს პრევალირებს კედლის უშუალო მახლობლობაში (ბლანტ ქვეშრეში) და მკვეთრად მცირდება კედლიდან მანძილის ზრდით. (1) განტოლების მარჯვენა მხარის მეორე წვერი, რომელიც ასახავს სიჩქარის პულსაციების გავლენას მხევი ძაბვაზე, მაქსიმალურია ტურბულენტური ნაკადის ბირთვში, ხოლო ბლანტ ქვეშრეში იგი პრაქტიკულად უმნიშვნელო ხდება. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ $-\rho u'v'$ ნულის ტოლი ხდება უშუალოდ კედელზე. მიუხედავად ამისა, ბლანტ ქვეშრეში სიჩქარეთა განაწილებაზე გადაამწვევტ როლს თამაშობს სიბლანტის ძალებით აღძრული მხევი ძაბვა. ამასთან ერთად, ტურბულენტურ ბირთვში სიჩქარეთა განაწილება მთლიანად განისაზღვრება $-\rho u'v'$ -ით, რომელიც რეინოლდსის დაძაბულობის, ანუ ტურბულენტური დაძაბულობის სახელითაა ცნობილი. აღსანიშნავია, რომ ტურბულენტური დინების აღსაწერად სწორედ ამ დაძაბულობის, ანუ პრაქტიკულად u' და v' პულსაციების განსაზღვრა ქმნის რთულ პრობლემებს.

პრანდტლის შერევის მანძილის თეორიის თანახმად, სიჩქარის პულსაციები u' და v' გამოწვეულია ტურბულენტურ ნაკადში გრივების ერთი შრიდან მეორე შრეში გადახტომით, და, შესაბამისად, იმპულსის გადატანით. პრანდტლის თანახმად u' და v' ერთი რიგის სიდიდეებია:

$$u' \approx v' \approx l \frac{du}{dy} . \quad (2)$$

პრანდტლის ჰიპოტეზის თანახმად შერევის (გადახტომის) მანძილი

$$l = k y , \quad (3)$$

სადაც k კარმანის მუდმივაა და რიცხობრივად სხვადასხვა ავტორთა მონაცემებით იცვლება $0.38 \div 0.42$ ფარგლებში. [9] გამოკვლევაში ნახვენები იყო, რომ $k=e^{-1}$. პრანდტლის შერევის მანძილის თეორიის თანახმად u' და v' დადებით მნიშვნელობას შეესაბამება v' უარყოფითი მნიშვნელობა, რის გამოც მათი ნამრავლი ყოველთვის უარყოფითი სიდიდეა. სწორედ ამით არის გამოწვეული უარყოფითი ნიშანი (1) განტოლების მარჯვენა მხარეს მეორე შესაკრების წინ.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულის გათვალისწინებით, (1) განტოლება ასე ჩაიწერება:

$$\frac{\tau_{\perp}}{\rho} = \left(v + k^2 y^2 \left| \frac{du}{dy} \right| \right) \frac{du}{dy} . \quad (4)$$

(4) განტოლება შეიძლება ჩაიწეროს აგრეთვე φ ბუსინესკის ფორმით [7]:

$$\frac{\tau_{\perp}}{\rho} = (v + v_{\delta}) \frac{du}{dy} ,$$

ან უგანზომილებო ფორმით

$$\left(1 + \frac{v_{\delta}}{v} \right) \frac{d\varphi}{d\eta} = 1 , \quad (5)$$

სადაც $\varphi = u/u_{\tau}$, v_{δ} არის ტურბულენტური სიბლანტის კოეფიციენტი.

$$v_{\delta} = l^2 \frac{du}{dy} \quad \text{ან} \quad v_{\delta} = l v' . \quad (6)$$

როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, ტურბულენტური დინების აღსაწერად ძირითად პრობლემას წარმოადგენს სიჩქარის პულსაციური მდგენელების განსაზღვრა. ამასთან, გასათვალისწინებელია ისიც, რომ აღნიშნული პულსაციები სტატისტიკური ხასიათისაა და, ამის გამო, მათი ნამრავლის გაანგარიშებისას აუცილებელია კორექციის კოეფიციენტის გათვალისწინება:


$$\psi = \frac{u' v'}{\sqrt{u'^2} \sqrt{v'^2}} . \quad (7)$$

როგორც ცნობილია, არსებობს გარკვეული ანალოგია ტურბულენტურ დინებასა და აირებში მოლეკულურ მოძრაობას შორის. ეს ანალოგია გამოიხატება იმაში, რომ ისევე როგორც მოლეკულების მოძრაობა, ტურბულენტურ ნაკადში გრივების მოძრაობაც სტატისტიკურ ხასიათს ატარებს. ამასთანავე, არის ფუნდამენტური განსხვავებაც. კერძოდ, აირებში მოლეკულების სიჩქარე ძალზე დიდია, ხოლო თავისუფალი გარბენის სიგრძე – ძალზე მცირე. ტურბულენტური დინების შემთხვევაში კი გვაქვს საწინააღმდეგო სურათი: პულსაციური სიჩქარეები, სულ მცირე, ერთი რიგით ნაკლებია საშუალო სიჩქარეზე. ხოლო შერევის (გადახტომის) მანძილი სასაზღვრო შრის მასშტაბისაა. მიუხედავად ამ განსხვავებისა, შესაძლებელია ტურბულენტური დინების შემთხვევაში გამოყენებულ იქნეს სტატისტიკური სიდიდეების განაწილების მეთოდები, კერძოდ, χ . გიბსის ცნობილი განაწილება გარკვეული მოდიფიკაციით.

ტურბულენტური მოძრაობა რაიმე ზედაპირის გასწვრივ შეიძლება წარმოვიდგინოთ როგორც გრივების ერთობლიობის დინება რაიმე \bar{U} სიჩქარით (ნახ.1). ამასთან,

გრიგალების ზომა დამოკიდებულია მანძილზე კედლიდან, რომლის გასწვრივაც მოძრაობს ნაკადი. რაც უფრო მეტია აღნიშნული მანძილი, მით უფრო მეტია გრიგალების დიამეტრი. კედლის უშუალო მახლობლობაში, ძალზე თხელ შრეში, სადაც დომინირებს სითხის სიბლანტის ძალები, ცხადია, გრიგალების წარმოქმნა პრაქტიკულად შეუძლებელია. ასე, რომ შემოთავაზებული მოდელის თანახმად კედლიდან რაიმე y_1 შრეში მოძრაობენ გრიგალები, რომელთა ზომები, და შესაბამისად, ენერგია პროპორციულია კედლიდან y_1 მანძილისა. იმისათვის, რომ აღნიშნული შრიდან გრიგალი გადახტეს მეზობელ y_1+1 (ან y_1-1) შრეში, საჭიროა მან შეიძინოს (ან დაკარგოს) ე.წ. აქტივაციის ენერგია. ალბათობა იმისა, რომ გრიგალი გადახტება y_1 შრიდან მეზობელ l მანძილით დაშორებულ შრეში, ტოლია

$$P_{\delta} = A_{\delta} e^{-\frac{\varepsilon_{\delta}}{E}} \quad (8)$$



ნახ.1. ტურბულენტური დინების მოდელი

როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, გრიგალის ენერგია - E პროპორციულია კედლიდან მანძილისა, ხოლო აქტივაციის ენერგია ε_{δ} შეიძლება ჩაითვალოს ტურბულენტობის მასშტაბის პროპორციულ სიდიდედ, ანუ

$$E = c_1 y, \quad \varepsilon_{\delta} = c_2 \frac{v}{u_{\tau}} \quad (9)$$

სადაც $u_{\tau} = \sqrt{\tau_s / \rho}$ არის დინამიკური სიჩქარე (სიჩქარის მასშტაბი).

(9)-ის გათვალისწინებით

$$P_{\delta} = A_{\delta} e^{-\frac{c_2 v}{c_1 y u_{\tau}}} = A_{\delta} e^{-\frac{c}{\eta}} \quad (10)$$

სადაც $\eta = \frac{y u_{\tau}}{v}$ არის უგანზომილებო მანძილი კედლიდან.

მეორე მხრივ, იმისათვის, რომ y_1 შრიდან გადახტარმა გრიგალმა დაიკავოს ადგილი y_1+1 (ან y_1-1) შრეში, საჭიროა ამ შრეში სათანადო პირობების (ანუ ვაკანსიის) არსებობა. ალბათობა ასეთი ვაკანსიის არსებობისა იქნება:

$$P_{\delta} = A_{\delta} e^{-\frac{c'}{\eta}} \quad (11)$$

ე. ი. საბოლოოდ, გრიგალის y_1 შრიდან y_1+1 (ან y_1-1) შრეში გადახტომის ალბათობა იქნება:

$$P = P_{\delta} P_{\delta} = A_{\delta} A_{\delta} e^{-\frac{c+c'}{\eta}} \quad (12)$$

ანუ

$$P = A e^{-C/\eta} \quad (12)$$

ცხადია, რომ გრიგალების გადახტომის სისშირე პროპორციულია გადახტომების ალბათობისა:

$$P = \frac{1}{t} = A e^{-\frac{C}{\eta}} \quad (13)$$

ბუნებრივია, მივიღოთ, რომ ნორმირების კოეფიციენტი

$$A = \frac{u_\tau}{l} \quad (14)$$

(14)-ის გათვალისწინებით (13) ასე ჩაიწერება:

$$\frac{l}{t} = u_\tau e^{-\frac{C}{\eta}} \quad (15)$$

ზემოთქმულის თანახმად $\frac{l}{t}$ ტურბულენტური დინების განივი პულსაციური სინქარეა.


ამის გათვალისწინებით:

$$v' = u_\tau e^{-\frac{C}{\eta}} \quad (16)$$

ვინაიდან (16) ფორმულის C კოეფიციენტი პრაქტიკულად არის გრიგალების აქტივაციის ენერჯის პროპორციული სიდიდე, იგი ისეთივე რიგის იქნება, როგორც არის ე.წ. ბლანტი ქვეშის უგანზომილებო სისქე. ექსპერიმენტების შედეგები ადასტურებს, რომ C=7.8. ამის გათვალისწინებით, ტურბულენტური დინების განივი პულსაციური სინქარე იქნება:

$$v' = u_\tau e^{-\frac{7.8}{\eta}} \quad (17)$$

ნახ.2-ზე წარმოდგენილია (17) ფორმულის შედარება ჯ. ლაუფერის ექსპერიმენტულ მონაცემებთან. როგორც აღნიშნული ნახაზიდან ჩანს, ფორმულის თანხედრა ექსპერიმენტულ მონაცემებთან ძალზე კარგია.



ნახ.2. განივი პულსაციის დამოკიდებულება კელიდან მანძილზე

- 1 - ჯ. ლაუფერის ექსპერიმენტული მონაცემები, Re= 50 000;
- 2 - ჯ. ლაუფერის ექსპერიმენტული მონაცემები, Re= 500 000;
- 3 - (17) ფორმულის მიხედვით.

(17) ფორმულის ჩასმით (6) ფორმულაში მივიღებთ, რომ

$$v_{\delta} = lu_{\tau} e^{-7.8/\eta} \quad (18)$$

ცხადია, რომ პრანდტლის ჰიპოტეზა (ფორმულა (3)) სამართლიანია მხოლოდ ტურბულენტური ბირთვისათვის. ბლანტი ქვეშრისა და ბუფერული ზონისათვის შემოაქვთ ე.წ. მადემპფირირებელი ფაქტორი n , რომელიც ასევე ემპირიული და ნახევრად ემპირიული გამოსახულებებითაა წარმოდგენილი [11-13].

გვაქვს საფუძველი ვივარაუდოთ, რომ ზემოთ მიღებული ფუნქცია - $e^{-7.8/\eta}$ ატარებს უნივერსალურ ხასიათს და იგი შეიძლება გამოყენებულ იქნეს ტურბულენტური დინების დროს სტატისტიკური ბუნების აღსაწერად. l კი სწორედ ასეთ სიდიდეს წარმოადგენს. ზემოთქმულის გათვალისწინებით შეიძლება დავწეროთ:

$$l = k y n = k y e^{-7.8/\eta}. \quad (19)$$

(19) ფორმულის ჩასმით (18)-ში მივიღებთ:

$$v_{\delta} = k y u_{\tau} e^{-15.6/\eta} \quad (20)$$

ან

$$\frac{v_{\delta}}{v} = k \eta e^{-15.6/\eta}. \quad (21)$$

(21) ფორმულის ჩასმით (5)-ში მივიღებთ:

$$(1 + k \eta e^{-15.6/\eta}) \frac{d\varphi}{d\eta} = 1, \quad (22)$$

საიდანაც ტურბულენტურ ნაკადში უგანზომილებო სინქარის განაწილება ფორმალურად ასე გამოისახება:

$$\varphi = \int_0^{\eta} \frac{d\eta}{(1 + k \eta e^{-15.6/\eta})}. \quad (23)$$

ინტეგრეს იმსახურებს შემდეგი საკითხი. თუ დავუშვებთ, რომ

$$n = \frac{e^{-7.8/\eta} \left(1 + \frac{7.8}{\eta} \right)}{1 + k \eta e^{-7.8/\eta} \left[1 - e^{-7.8/\eta} \left(1 + e^{-7.8/\eta} \right) \right]}, \quad (24)$$

მაშინ (5)-ის ინტეგრება (19)-ის და (25)-ის გათვალისწინებით და სასახდვრო პირობით $\varphi = 0$, როცა $\eta = 0$, მოგვცემს:

$$\varphi = \frac{1}{k} \ln(1 + k \eta e^{-7.8/\eta}) + \eta(1 - e^{-7.8/\eta}). \quad (25)$$

(25) ფორმულა სამართლიანია როგორც ბლანტი ქვეშრის, ისე ბუფერული ზონისა და ტურბულენტური ბირთვისათვის. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ (24)-ის თეორიული დასაბუთება მეტისმეტად რთულ პრობლემას წარმოადგენს.

ნახ.3-ზე წარმოდგენილია (25) ფორმულის შედარება ი. ნიკურადის, ჯ. ლაუფერისა და კ. რეიჰარდტის ექსპერიმენტულ მონაცემებთან. ამავე გრაფიკზე წარმოდგენილია პრანდტლ-კარმან-ნიკურადის სამშრიანი მოდელის საფუძველზე მიღებული ფორმულების


შესაბამისი მრუდები. კერძოდ, II, III და IV მრუდები შეესაბამება სიჩქარეთა განაწილების ფორმულებს:

ბლანტ ქვეშრეში - $\varphi = \eta$ (26)

ბუფერულ შრეში - $\varphi = 5 \ln \eta - 3.05$ (27)

ტურბულენტურ ბირთვში - $\varphi = 2.5 \ln \eta + 5.5$ (28)

მიზეზი იმისა, რომ (28) ფორმულა სამართლიანია არა მარტო კედლისპირა ზონის, არამედ მთელი ტურბულენტური ბირთვისათვის განხილული იყო [14]-ში. ამავე მიზეზით (25) ფორმულა სამართლიანია მთელი ტურბულენტური ბირთვისათვის.



ნახ.3. სიჩქარეთა განაწილება ტურბულენტურ ნაკადში
 I – (25) ფორმულის მიხედვით, II - (26) ფორმულის მიხედვით,
 III - (27) ფორმულის მიხედვით, IV - (28) ფორმულის მიხედვით.
 ექსპერიმენტული მონაცემები:
 1, 2 – ჯ. ლაუფერი [6], 3 – კ. რეიჰარდტი [10], 4 – ი. ნიკურაძე [4].

როგორც ნახ.3-დან ჩანს (25) ფორმულის თანხვედრა, ისევე როგორც (26), (27), (28) ფორმულებისა, დამაკმაყოფილებელია. მაგრამ, ამასთან აღსანიშნავია, რომ (25) ფორმულა, სამშრიანი მოდელის საფუძველზე მიღებული ფორმულებისაგან განსხვავებით, სამართლიანია როგორც ბლანტ და ბუფერულ ქვეშრეებში, ისე ტურბულენტურ ბირთვში სიჩქარეთა განაწილებისათვის.

კედლისპირა ზონაში ტურბულენტური დინების ზოგიერთი საკითხის შესახებ

თ.მამბრაძევილიძე

რეზიუმე

სტატიაში განხილულია კედლის მახლობელ ზონაში ტურბულენტური დინების ზოგიერთი პრობლემატური საკითხი. გამოთქმულია მოსაზრება იმის თაობაზე, რომ

ტურბულენტური პულსაციების აღსაწერად შეიძლება გამოყენებულ იქნეს ჯ. გიფსის ცნობილი განაწილება მოდიფიცირებული სახით. ამის საფუძველზე მიღებულია ტურბულენტურ ნაკადში განივი პულსაციების საანგარიშო ფორმულა

$$v' = u_\tau e^{-7.8/\eta},$$

სადაც u_τ არის დინამიური სიჩქარე, η - უგანზომილებო მანძილი კედლიდან. მიღებული ფორმულა კარგ თანხვედრაშია ჯ. ლაუფერის ექსპერიმენტულ მონაცემებთან.

შემოთავაზებულია სიჩქარეთა განაწილების ერთიანი ფორმულა, რომელიც სამართლიანია როგორც ბლანტი და ბუფერული შრეების, ისე ტურბულენტური ბირთვისათვის.

ABOUT SOME ISSUES OF TURBULENT FLOW IN BOUNDARY LAYER

T. MAGRAKVELIDZE

Summary

Some problematic issues in the boundary layer of turbulent flow are considered in the paper.

It is suggested that modified G. Gips distribution can be used to describe turbulent pulsations. Way pulsations in the turbulent flow are obtained on the basis of the formula for calculation side:

$$v' = u_\tau e^{-7.8/\eta},$$

where u_τ is a dynamic velocity, η - dimensionless distance from the wall. Obtained formula is in a good agreement with J. Laufer experimental data.

Velocity distribution unified formula is offered both for turbulent bulk and viscous/buffer layers.

О НЕКОТОРЫХ ВОПРОСАХ ТУРБУЛЕНТНОГО ТЕЧЕНИЯ В ПРИСТЕННОЙ ЗОНЕ

T. МАГРАКВЕЛИДZE

Резюме

Рассмотрены некоторые проблематичные вопросы турбулентного движения в пристенной зоне. Высказаны соображения о том, что для описания пульсаций скорости возможно использовать распределение Дж.Гиббса в модифицированном виде. На этой основе получена расчетная формула для распределения поперечной пульсации, которая имеет вид

$$v' = u_\tau e^{-7.8/\eta},$$

где u_τ - динамическая скорость, η - безразмерное расстояние от стенки. Полученная зависимость очень хорошо согласуется с экспериментальными данными Дж.Лауфера.

Предложена единая формула для расчета распределения скоростей, которая справедлива как для вязкого и буферного слоев, так и для турбулентного ядра потока.

ლიტერატურა – REFERENCES – ЛИТЕРАТУРА

1. Reynolds O. On the Experimental investigation of the circumstances which determine whether the motion of water resistance in parallel channels philosophical transactions of the Royal Satiety, v.174. 1883, pp.935-982.
2. Прандтль Л. Гидродинамика. Изд. ИЛ, М. 1949, 520 ст.

3. Карман Т. Механическое подобие и турбулентность. В кн. Проблемы турбулентности. Гостехиздат, М. 1936, с. 271-286.
4. Никурадзе И. Закономерности турбулентного движения жидкостей в гладких трубах. В кн.: Проблемы турбулентности. Гостехиздат, М. 1936.с.75-150.
5. Колмогоров А.Н. Локальная структура турбулентности в несжимаемой жидкости при очень больших числах Рейнольдса. Доклады АН СССР, 30, №4, стр.290-303, 1941.
6. Laufer J. The structure of turbulence in fully developed pipe flow. NACA Rep. 1174, 1-18 (1964).
7. Шлихтинг Г. Теория пограничного слоя. Изд. Наука. М., 1969, 742с.
8. Кутателадзе С. Пристенная турбулентность. Наука. Новосибирск, 1973, 227с.
9. Маграквелидзе Т.Ш. //О распределении скоростей в ядре турбулентного потока в круглой трубе. Институт системы управления им. А.И. Элиашвили. Сборник трудов. 2000, Тбилиси, с.73-78.
10. Reichardt Н. Volständige darstellung der turbulenten geschwindigkeits verteilung latten leitungen. ZAMM 31, 1951, pp.208-219.
11. Ротта И. Турбулентный пограничный слой в несжимаемой жидкости. Изд. Судостроение. Ленинград. 1967.
12. Жукаускас А., Шланчаускас А. Теплоотдача в турбулентном потоке жидкости. Изд. Минтис. Вильнюс, 1973. 327с.
13. Лойцианский Л. Механика жидкости и газа. М. Наука. 1973, 847 ст.

**ენერჯის არატრადიციული, განახლებადი რესურსების ათვისების
პროექტი/პროგრამის საქართველოში**

6. მირიანაშვილი, 6. ბელიშვილი, 3. ხათაშვილი

საქართველოს სეკ-ის (სათბობ-ენერგეტიკული კომპლექსის) თანამედროვე მდგომარეობა ხასიათდება სათბობისა და ელექტროენერჯის მოხმარების არასაკმარისი ზრდით, ამასთან სათბობის ადგილობრივი წარმოება (მოპოვება) მოთხოვნათა 10-15%-ს აკმაყოფილებს. საჭირო სათბობის უმეტესი ნაწილი (14 მლნ ტპ.ს.) იმპორტირებულია და მათი ტრანსპორტირება რამდენიმე ათასი კმ-დან ხდება. ეს კი ქვეყანაში სათბობის მიწოდების გართულებას იწვევს და მეტისმეტად აძვირებს მას. საქართველოს მეურნეობის სხვადასხვა დარგში მოხმარებული სათბობის დინამიკა გვიჩვენებს, რომ მთელი გამოთქმული სითბოს 45% იხარჯება საყოფაცხოვრებო-კომუნალური და დაბალტემპერატურული ტექნოლოგიური პროცესების განსახორციელებლად. ყოველივე ზემოთქმული ადასტურებს იმას, რომ საჭიროა სეკ-ში ადგილობრივი, მათ შორის, ენერჯის არატრადიციული, განახლებადი ენერჯორესურსების (გეოთერმული, მზის, ქარის) ჩართვა და თვით სეკ-ის ცალკეული დარგების ოპტიმიზაცია.

1. გეოთერმული რესურსები

საქართველოში თერმული წყლების საერთო პროგნოზირებადი მარაგი შეადგენს 230-270 მლნ მ³ წელიწადში ტემპერატურით 50-110⁰ C, რაც პოტენციურად შეესაბამება 1,8-2,3 მლრდ ტპ.ს-ს. თერმული წყლების სადღეღამისო მარაგი 200 ათასი მ³ –ია. 1990 წლის დასაწყისში საქართველოში არსებობდა 59 წყალშემკრები ჭაბურღილი, რომელთა საერთო სადღეღამისო სიმძლავრე 60 ათას მ³-ს აღემატებოდა. საქართველოში თერმული წყლების 23 საბადოა. მათგან მუშავდება რეჩხის, საბერიოს, ზუგდიდ-ცაიშის, ქვალონის, მენჯის, სამტრედიის, ვანის, თბილისის, ბიჭვინთის, ალაზნის, ხარაგაულის, კარდანახის, ჯანდარის, ყვარლის, ენისელის და ოხურეის საბადოები. გეოთერმული წყლების მარაგების 70% განლაგებულია დასავლეთ საქართველოში [2].

საქართველოს თერმულ წყლებს დიდი თბური პოტენციალი გააჩნია, დადებითია მათი ხარისხობრივი მაჩვენებლები და მცირე მინერალიზაცია და მარილდანაღვლი აქვთ. ამის მიუხედავად, თერმული წყლების ამოდების დონე საგრძნობლად შემცირებულია. მაგალითად, თუ 1985 წელს მოპოვებული იყო 23მლნ მ³ წყალი 1993 წელს 8,1 მლნ მ³-მდე შემცირდა. დღეისათვის თერმული წყლების მოქმედი ჭაბურღილების სიმძლავრის გამოყენების დონე არ აღემატება 30%-ს. ქვეყანაში თერმული წყლების გამოყენებას აფერხებს: არასრულყოფილი მოწყობილობა და თბომომარაგების სქემები, სარგებლობისათვის წყლის მომზადებისა და ასეთი თბორესურსების გამოყენებისათვის მომხმარებლების მომზადების დაბალი დონე. თბომომარაგების (გათბობა, ცხელწყადმომარაგება) სისტემებში თერმული წყლების გამოყენებით დაიზოგება მნიშვნელოვანი ოდენობის გაზი და ელექტროენერჯია.

ამჟამად, გეოთერმული რესურსების წილი საქართველოს სეკ-ში შეადგენს მხოლოდ 0,4%-ს. თერმული წყლების კომპლექსურად გამოყენების შემთხვევაში ეს მაჩვენებელი შესაძლებელია გაიზარდოს 2018 წლისათვის 3,0-3,5%-მდე, ხოლო 2020 წლისათვის – 5,0-5,5%-მდე. უნდა აღინიშნოს, რომ თერმული წყლების 100% გამოყენება ხდება მხოლოდ თბილისის საბადოზე. თბილისის საბადოს საექსპლუატაციო ჭაბურღილების საერთო დებიტი დღე-ღამეში შეადგენს 3760 მ³. კერძოდ, ვაკისა და საბურთალოს რაიონების დაახლოებით 10 000 მოსახლეს დღე-ღამეში მიეწოდება 3 000 მ³ თერმული წყალი 56-70⁰ C ტემპერატურით, რის შედეგადაც წელიწადში იზოგება 100 000 კვადრატული მეტრი და აგრეთვე 1,5 მლნ მ³ სასმელი წყალი.

ცხრილში 1 მოყვანილია თბილისის გეოთერმული წყლების გამოყენების სქემების ტექნიკურ-ეკონომიკური ანალიზი (7).

თბილისის გეოთერმული წყლების რაციონალურად გამოყენების სქემების ტექნიკურ-ეკონომიკური ანალიზი

ცხრილი 1

| დასახელება | ინვესტიცია, ათასი აშშ დოლ. | სითბოს წლიური გამოშვება, ათასი მეტსთ/წლ | ორგანული სათბობის ეკონომია, ათასი ტ.პ.ს. | სითბოს თვითღირებულება, აშშ დოლ/მეტსთ | ინვესტიციების უკუგების ვადა, წლ | CO ₂ -ის ემისიის შემცირება, ათასი ტონა |
|-------------------------|----------------------------|---|--|--------------------------------------|---------------------------------|---|
| ლისის გცს-ის I კონტური | 2621 | 175,4 | 25,2 | 5,26 | 1,3 | 71,6 |
| ლისის გცს-ის II კონტური | 7098 | 350,8 | 50,4 | 8,25 | 6,5 | 143,1 |
| საბურთალოს გეოთს | 780 | 54,6 | 9,1 | 2,61 | 0,8 | 25,7 |

ცხრილში მოყვანილი აღნიშვნები:

გცს - გეოთერმული ცირკულაციური სისტემა;
გეოთს - გეოთერმული თბოსადგური.

გეოთერმული წყლით შენობების გათბობისას მისი საშუალებით ხდება მხოლოდ გათბობის ბაზისური ნაწილის დატვირთვის დაფარვა, რაც მთლიანი დატვირთვის 55-60%-ს შეადგენს, დარჩენილი 40-45%-ის დაფარვა (პიკური ნაწილი) ხორციელდება ბუნებრივ აირზე ან ელექტროენერგიაზე მომუშავე თბოენერგეტიკული დანადგარების გამოყენებით. თერმული წყლების მნიშვნელოვანი მარაგებია სამეგრელოში, რომელიც ცნობილია როგორც ზუგდიდ-ცაიშის საბადო. ამ რეგიონში არსებული ჭაბურღილების მდგომარეობისა და მათი პროდუქტიულობის ანალიზის საფუძველზე საბადოს მთელი ტერიტორია პირობითად დაყოფილია ორ ნაწილად – „ზუგდიდის“ უბანი და „ცაიშის“ უბანი.

1979 წლიდან 1992 წლამდე ზუგდიდ-ცაიშის საბადოზე გაიბურღა 18 ჭაბურღილი. 1272-2820 მ სიღრმიდან მიწის ზედაპირზე ამოყვანილ იქნა 82-98⁰ C ტემპერატურის მქონე თერმული წყალი. 1984 წელს დამტკიცებულ იქნა მისი საექსპლუატაციო მარაგები, ოდენობით -14300მ³ /დღე-ღამეში [6]. ზუგდიდ-ცაიშის საბადოს ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლები წარმოდგენილია ცხრილში 2 (6).

2. მზის ენერგეტიკული რესურსები

მზის ენერჯის უშუალოდ ელექტროენერგიად გარდაქმნის ფოტოელექტრული ხერხი უკვე 21-ე საუკუნის პირველი ათწლეულებისათვის სპეციალისტების მიერ განიხილება როგორც პრიორიტეტული ტექნოლოგია. ყველაზე უფრო იაფი და ხელმისაწვდომია პასიური პელიოსისტემები, ე.წ. „მზის სახლები“, რომლებმაც ფართო გავრცელება ჰპოვეს როგორც სასოფლო, ისე საქალაქო მშენებლობაში.

გაზრდილი თბოიზოლაციის მქონე სამშენებლო მასალების გამოყენების, შემიწვის ფართობის, მისი ოპტიმალური ორიენტაციისა და ფორმის ხარჯზე შესაძლებელია ცივ სეზონში შენობათა თბური დანაკარგების და ზაფხულში შიგა სათავსოთა გადახურების 2-3-ჯერ შემცირება.

ზუგდიდ-ცაიშის საბადოს ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლები

ცხრილი 2

| დასახელება | განზომილება | რაოდენობა |
|------------------------------|----------------|-----------|
| თბური სიმძლავრე | მგტ | 65,0 |
| სითბოს წლიური გამომუშავება | ათასი მგტსთ | 246,6 |
| სითბოს თვითღირებულება | აშშ დოლ/მგტსთ | 5,12-6,3 |
| ინვესტიციები | მლნ \$ | 7,51 |
| ინვესტიციების უკუგდების ვადა | წელი | 3,5-4,9 |
| ორგანული სათბობის ეკონომია | ათასი ტპ.ს/წელ | 57,7 |

ბოლო წლებში ნიდერლანდებში, შვედეთსა და ფინეთში აშენებული შენობების გათბობაში მზის ენერჯის წილი 30-40%-ს აღწევს. შენობის აღჭურვა აქტიური მზის სისტემით, კერძოდ თბური ან ფოტოელექტრული მზის კოლექტორით, კიდევ უფრო ამცირებს ტრადიციული თბური და ელექტრული ენერჯების მოხმარებას, ხოლო ცენტრალიზებული თბომომარაგების არარსებობის შემთხვევაში მნიშვნელოვნად ამცირებს სათბობზე დანახარჯებს.

საქართველოში მეტად ეფექტურია მზის ენერჯიაც, რომელიც ენერჯის არატრადიციულ, განახლებად წყაროებს შორის ყველაზე მაღალეფექტურია. ქვეყნის უმეტეს რაიონებში მზის ნათების წლიური ხანგრძლივობა საკმაოდ დიდია და 200-250 დღე გრძელდება, რაც დღის ხანგრძლივობის მიხედვით შეადგენს 1900-2200 საათს. ქვეყნის ტერიტორიაზე მოსული მზის მთლიანი პოტენციალი 10¹⁴ კვტსთ-ის ექვივალენტურია, ანუ 32,5 მლრდ ტპ.ს წელიწადში. ზაფხულში მზის ნათების მრავალწლიური საშუალო პერიოდი თვეში შეადგენს 225-300 სთ-ს, ხოლო ზამთარში – 60-75 სთ-ს. ამასთან, აღმოსავლეთ საქართველო გაცილებით მზიანია, ვიდრე დასავლეთ საქართველო.

ორგანიზაცია „სპეცველიომონტაჟმა“ 1987 წელს სოხუმთან ახლოს დაამონტაჟა 40 ათასი მ² ფართობის მზის თბური კოლექტორები, რომლებიც ზოგადად 10 ათას ტპ.ს-ს წელიწადში და აუმჯობესებდა რეგიონის ეკოლოგიურ პირობებს [4].

თანამედროვე მაღალმწარმოებლური მზის თბური კოლექტორების გამოყენების შემთხვევაში შესაძლებელია მიღებულ იქნეს დაბალპოტენციური (40-60⁰ C) თბური ენერჯია, რომელიც შემდგომ თბური ტუმბოს დანადგარებთან ერთად გამოყენებული იქნება ცხელი წყალმომარაგების მიზნებისათვის, სოფლის მეურნეობის პროდუქტების გასაშრობად და სხვ. იმ შემთხვევაში, როდესაც მზის კოლექტორის საშუალო წლიური მ.კ.კ. 20-25 %-ის ტოლია, თითოეული კვადრატული მეტრიდან, საქართველოს სხვადასხვა რეგიონის მიხედვით, წელიწადში შესაძლებელია 300-600 კვტსთ ენერჯის მიღება.

თუ შენობა აღჭურვილია მზის კოლექტორებით და თბური ენერჯის ავზ-აკუმულატორებით, მაშინ მოხმარებული სათბობის ეკონომიამ, რომელიც აუცილებელია შენობის გათბობისა და ცხელი წყალმომარაგებისათვის, შეიძლება შეადგინოს წელიწადში 40-60%. 1მ² მზის კოლექტორების გამოყენებით წელიწადში შესაძლებელია მიღებულ იქნეს 120-150 კგ პირობითი სათბობის ექვივალენტური თბური ენერჯია.

3. ქარის ენერჯეტიკული რესურსები

საქართველო ქარის მნიშვნელოვან რესურსებს ფლობს, რომელიც პრაქტიკულად არ გამოიყენება. ქარის ენერჯის თეორიული პოტენციალი შეადგენს 10¹³ კვტსთ-ს წელიწადში, ხოლო წამში 4,0 მ-ზე მეტი სიჩქარის ქარის ენერჯის მარაგი ცალკეულ ზონებში წლიურად თითქმის 4,5 მლრდ კვტსთ-ს აჭარბებს.

ქარის ენერჯეტიკის განვითარებისათვის საქართველოში ყველა წინაპირობა არსებობს. ამ კუთხით ქვეყნის ტერიტორია საკმაოდ კარგად არის შესწავლილი. ქარის ენერჯის გამოყენების პერსპექტივების შეფასებისას უმნიშვნელოვანეს ფაქტორს

წარმოადგენს ქარის საშუალო წლიური სიჩქარეები, ქარის მუშა ანუ აქტიური სიჩქარეების განმეორებადობა და მისი ხანგრძლივობა წლის განმავლობაში [1].

მიუხედავად იმისა, რომ ქარის ენერჯის გამოყენება ეკოლოგიურად სუფთაა, ვინაიდან არ არის დაკავშირებული ტერიტორიის დატბორვასთან, არ გააჩნია მყარი, თხევადი, აირადი ან რადიოაქტიური ნარჩენები, აგრეთვე თბური გამოსხივება, არსებობს ნეგატიური ასპექტები, რომლებიც გადაწყვეტას საჭიროებენ ქარის ენერჯეტიკული დანადგარის (ქედ) დაპროექტების, მათი შექმნისა და განლაგების სტადიაზე. მათ მიეკუთვნება:

- მიწის დაუბრუნებელი დანაკარგები, რაც ფასდება საერთო ფართობის 20%-ის ფარგლებში და რომელიც ქედ-ის მიერ არის დაკავებული.
- დანადგარების მონტაჟისა და ექსპლუატაციის პერიოდში მექანიკური და აეროდინამიკური ხასიათის დაბალი და მაღალი სიხშირის ხმაურის წარმოშობა.

დღეისათვის ქარის ელექტროსადგურების მშენებლობის პირველი რიგის ობიექტებად საქართველოში განიხილება მთა-საბუეთის, ჭოროხის რიყეზე “კაპანდობის”, დაბა ბაკურიანთან, ცხრაწყაროზე და ფოთის ნავსადგურის მეჩხეზე ქარის ელექტრო-დანადგარების აგება [5].

4. ბიოგაზი

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში ენერჯეტიკული კრიზისი პრაქტიკულად დაძლეულია, მაღალმთიან რეგიონებში მოსახლეობა საყოფაცხოვრებო საჭიროებისათვის, საჭმლის მოსამზადებლად და გასათბობად მაინც ტრადიციულად იყენებს ბიომასას შეშის სახით. ოჯახს წელიწადში საშუალოდ 30 მ³ შეშა სჭირდება. ხეების უკანონო ჭრამ მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენა ბუნებას და ეკოლოგიური კატასტროფის საშიშროება წარმოშვა.

ამავდროულად, საბაზრო ეკონომიკისა და ფერმერული მეურნეობების განვითარების შედეგად, მნიშვნელოვნად მატულობს საქონლის რიცხოვნობაც. შესაბამისად იზრდება ექსკრემენტების რაოდენობაც. ბიომეთანოგენეზის შედეგად ბიოგაზის პარალელურად მიიღება საკმაოდ ძვირფასი ორგანული სასუქი, რომელზეც მოთხოვნილება ნიადაგის გაღარიბების გამო ყოველწლიურად მატულობს [3].

აშშ-სა და ევროპაში სამრეწველო ბიოენერჯეტიკული დანადგარები შენდება დიდი აგლომერაციების მახლობლად. ქალაქის ჩანადვრებისა და მყარი ნარჩენების უტილიზაციის შედეგად მიღებული ენერჯია ისევე უბრუნდება ქალაქს.

სამხრეთ კავკასიის ქვეყნების წვრილი კერძო მეურნეობებისათვის, სადაც ამჟამად კონცენტრირებულია მეცხოველეობის დიდი რესურსი, ყველაზე საინტერესოა ინდოეთისა და ჩინეთის გამოცდილება. განსაკუთრებული წარმატება ამ მიმართულებით მიღწეულია ჩინეთში, სადაც ბიოდანადგარების რაოდენობამ უკვე გადააჭარბა 100 მილიონს.

მე-20 საუკუნის 80-იანი წლების დასასრულისათვის გამოთვლილი იყო, რომ საქართველოს მეცხოველეობის ყველა საწარმოს ორგანული ნარჩენების გადამუშავების შედეგად შესაძლებელი იქნებოდა მიღებული ყოფილიყო $2,1 \times 10^6$ ტ მშრალი ნივთიერება. იმის გათვალისწინებით, რომ ერთი ტონა მშრალი ნივთიერება დაახლოებით გამოყოფს 300 მ³ ბიოგაზს, შეგვიძლია შევაფასოთ საქართველოს მაშინდელი ბიოგაზის რესურსი, რომელიც შეადგენდა – $0,63 \times 10^9$ მ³, რაც $0,5 \times 10^6$ ტ პირობითი საწვავის, ან $0,32 \times 10^6$ ტ ბენზინის ექვივალენტურია. ერთი პირობითი მსხვილი რქოსანი საქონელი დღე-ღამეში იძლევა 30 კგ ნახევრად თხიერ ორგანულ ნივთიერებას. თითოეული კილოგრამიდან ბიოგაზის გამოსავალი შეადგენს 0,35 მ³. სოფლად ოჯახი, რომელსაც ჰყავს 5-6 ძროხა, ღორი, სხვა შინაური ცხოველი და ფრინველი, ბიოგაზის დანადგარის გამოყენების შემთხვევაში, მთელი წლის განმავლობაში უბრუნველყოფილი იქნება როგორც ბუნებრივი აირით, ასევე ეკოლოგიურად სუფთა ორგანული სასუქით.

ამრიგად, ენერჯის არატრადიციული, განახლებადი რესურსების გამოყენების შემთხვევაში მნიშვნელოვნად მცირდება ძვირადღირებული ორგანული სათბობის მოხმარება და ხე-ტყის ჩეხვა, უმჯობესდება რეგიონის ეკოლოგიური მდგომარეობა.

**ენერჯის არატრადიციული, განახლებადი რესურსების ათვისების
პროსპექტივები საქართველოში**

ნ. მირიანიშვილი, ნ. გძელიშვილი, ვ. ხათაშვილი

რეზიუმე

სტატიაში გაანალიზებულია საქართველოში არატრადიციული, განახლებადი ენერჯორესურსების რაციონალური და კომპლექსური გამოყენების თანამედროვე მდგომარეობა და პერსპექტივები.

**PROSPECTS OF UNCONVENTIONAL RENEWABLE ENERGY RESOURCES
OF GEORGIA**

N. MIRIANASHVILI, N. GDZELISHVILI, V. KHATASHVILI

Summary

The current state and prospects of sustainable and integrated use of non-traditional, removable Energy Resources of Georgia are analyzed in the paper.

**ПЕРСПЕКТИВЫ ОСВОЕНИЯ НЕТРАДИЦИОННЫХ ВОЗОБНОВЛЯЕМЫХ
ЭНЕРГОРЕСУРСОВ ГРУЗИИ**

Н. МИРИАНИШВИЛИ, Н. ГДЗЕЛИШВИЛИ, В. ХАТАШВИЛИ

Резюме

В статье проанализированы современное состояние и перспективы рационального и комплексного использования нетрадиционных возобновляемых энергетических ресурсов Грузии.

ლიტერატურა – REFERENCES – ЛИТЕРАТУРА

1. გელოვანი მ., ერისთავი ვ., ზედგენიძე ა., და სხვ. საქართველოს ქარის ენერჯექტიული ატლასი. 2994. 193 გვ.
2. საქართველოს მცირე ენერჯექტიკისა და არატრადიციული ენერჯექტიკის განვითარების კონცეფცია. სსიპ “ენერჯორენერჯია”. თბილისი. 2003. 146 გვ.
3. ბიწაძე ა. ბიოგაზის დანადგარის აშენება და ექსპლუატაცია (მე-2 გამოცემა). თბილისი. 2004. 80 გვ.
4. მელაძე ნ. მზის ენერჯის გამოყენება და თბოეფექტურობა. ენერჯია. 2000, №3. გვ. 21-23.
5. მირიანიშვილი ნ. ვეზირიშვილი ქ. გძელიშვილი ნ. ხათაშვილი ვ. ქარის ენერჯორესურსების გამოყენების მასშტაბები საქართველოში. 21-ე საუკ. მეცნ. და ტექნოლ. განვით. ძირით. პარადიგმები. სტუ-ს დაარს. 90 წლისთ. მიძღვ. საერთ. სამეცნ. კონფერ. შრომები. თბილისი, 2012, №1. გვ. 308-311.
6. ვეზირიშვილი ქ., მირიანიშვილი ნ. მეურნეობის სხვადასხვა დარგის თბოსიცივით მომარაგების ახალი კომპლექსური სისტემების დამუშავება გეოთერმული ენერჯის გამოყენებით. ენერჯია 2010. №1 (53). გვ. 36-43.
7. ვეზირიშვილი-ნოზაძე ქ., ჟორდანიას ი., ვეზირიშვილი ო ენერჯის განახლებადი რესურსების გამოყენება საქართველოს მდგრადი განვითარებისათვის. ენერჯია №2(58), 2011, გვ. 32-37.

მოძრავი მექანიზმების რხევების ანალიზი და მათი გამოყენება

თ. ტროყაშვილი

tmt-10@mail.ru

ავტომატური მართვის სისტემებში სამართი პარამეტრების ცდომილება დამოკიდებულია შერჩეული მართვის კანონზე და ამ კანონის ასაგებად საჭირო მოწყობილობების სიზუსტეზე.


მრავალ შემთხვევაში ნაკლებია ინფორმაცია იმ პარამეტრებზე, რომლებიც მართვის კანონის ასაგებადაა საჭირო. მაგალითისათვის შეიძლება დავასახელოთ ჰიდროაგრეგატების სიხშირის რეგულატორები, სადაც მართვაში გამოიყენება სიხშირის ცდომილება Δf და მისი პირველი წარმოებული. გამოიყენება აგრეთვე ე.წ. იზოდრომული უკუკავშირი, რომელიც გარკვეული სახით შეიცავს ინფორმაციას Δf -ისა და მისი წარმოებულის შესახებ.

Δf -ისა და მისი წარმოებულის მისაღებად, როგორც წესი, გამოიყენება ჰიდროაგრეგატების გამოსავალი ძაბვის სიდიდე $U=U_0 \sin 2\pi ft$. შესაბამისი აპარატურა წარმოადგენს საკმაოდ რთულ მოწყობილობას.

ყოველ ჰიდროაგრეგატს, ისევე როგორც თითქმის ყველა მოძრავ მექანიზმს, მუშაობის პროცესში გააჩნია საკუთარი ხმაური, რომელიც ხასიათდება რთული სახის ბგერითი სიხშირეებით.


ხმაურის მიხედვით ადვილი დასადგენია მანქანა ბრუნავს ნელა თუ ჩქარა. ასეთი ეფექტი მიგვანიშნებს იმაზე, რომ შესაძლებელია დავაფიქსიროთ მბრუნავი მექანიზმის საკუთარი ხმაური, რომელიც შესაძლებელია გაიზომოს სხვადასხვა მოწყობილობებით. მაგალითად: ტენზო გადამწოდი, მიკროფონი და სხვა.

ნახ.1-ზე ნაჩვენებია მუდმივი დენის რეგულატორიანი ძრავის მახასიათებელი დატვირთვის გარეშე, რომელიც განსაზღვრავს მისი ხმაურის შესაბამისი სიხშირის დამოკიდებულებას ძაბვისაგან.



ნახ. 1

ნახ.1 მოყვანილი მახასიათებელი აგებულია იმ სქემის მიხედვით, რომელიც ნაჩვენებია ნახ.2-ზე.




ნახ. 2

M – მიკროფონი აფიქსირებს იმ რხევებს, რომელიც ძრავას ბრუნვის პროცესში გააჩნია. მიკროფონიდან გამოსული სიგნალი გაძლიერების შემდეგ მიეწოდება Φ – ფილტრს, შემდეგ კი კომპარატორს. კომპარატორი უზრუნველყოფს ძირითადი სიხშირის გაზომვას S_{Φ} – სიგნალის ამპლიტუდისაგან დამოუკიდებლად. II ინდიკატორის საშუალებით, რომელიც შესაძლებელია იყოს სიხშირმზომი ან ოსცილოგრაფი, ხდება სიხშირის რეგისტრაცია.

მიკროფონიდან მიღებული სიგნალი წარმოადგენს საკმაოდ რთულ რხევას, (ძრავის ხმაური), ამიტომ სიხშირის გაზომვისათვის საჭიროა მისგან ძირითადი სიგნალის გამოყოფა. ამ მიზნით სქემაში ჩართულია Φ – ფილტრი, რომელიც შესაძლებელია იყოს დაბალი სიხშირის ან ზოლოვანი ფილტრი. დაბალი სიხშირის ფილტრებიდან უკეთესია გამოვიყენოთ ბესელის ფილტრი, რომელსაც შერჩეული სიხშირის გატარების ზოლში გააჩნია გაძლიერების კოეფიციენტი $K=1$. სხვაობა $S_{\gamma}-S_{\Phi}=S_{III}$ მოგვცემს იმ სიგნალს, რომელიც ძირითად სიგნალშია შერეული. ამრიგად, ნახ.2 მოყვანილი სქემის მიხედვით შესაძლებელია რთული რხევებიდან S_{γ} გამოვყოთ ძირითადი მდგენელი S_{Φ} და მასთან შერეული მაღალი სიხშირის სიგნალი S_{III} .

განვიხილოთ რეაქტორიანი ძრავის ბრუნთა რიცხვის სტაბილიზაციის ამოცანა. ნახ.1-ის მიხედვით ჩავთვალოთ, რომ $U=200$ ვოლტ ძაბვას შეესაბამება ნომინალური სიხშირე $f_0=220$ ჰერცი.



ნახ. 3

ძრავის ბრუნთა რიცხვის (სიხშირის) ცვლილება ხდება დატვირთვის მომატებით ან დაკლებით. ნახ.3-ზე ნაჩვენებია Δf სიდიდის ცდომილების მიღების დიაგრამა. ცდომილების მისაღებად გამოყენებულია ორი რეზონანსული კონტური. ამ კონტურების პარამეტრების დასადგენად შერჩეულია სიხშირის რეგულირების დიაპაზონი, მაგალითად 180-260 ჰერცი. ფილტრების პარამეტრების განსაზღვრა ხორციელდება შემდეგნაირად:


1. შერჩევა პირველი და მეორე ფილტრების რეზონანსული სიხშირეები. $f_{10}=180$ ჰერცს, $f_{20}=260$ ჰერცს.
2. შერჩევა $\Phi 1$ და $\Phi 2$ ფილტრების გატარების ზოლი $\Delta f_1=\Delta f_2$ 80 ჰერცს.
3. შერჩეული პარამეტრების f_{10} , f_{20} , Δf_{10} , Δf_{20} -ის მიხედვით იანგარიშება $\Phi 1$ და $\Phi 2$ ფილტრების ვარგისიანობა.

$$Q_1 = \frac{f_{10}}{\Delta f_{10}}, \quad Q_2 = \frac{f_{20}}{\Delta f_{20}}$$

$\Phi 1$ და $\Phi 2$ ფილტრების აგების ერთ-ერთი ვარიანტი ნაჩვენებია ნახ.4-ზე, სადაც გამოყენებულია აქტიური ზოლოვანი ფილტრები. ზოგადად ამ ფილტრების პარამეტრები იანგარიშება ცნობილი [1] ფორმულებით:

$$R_2 = \frac{Q}{\Pi f_0 C}, \quad R_1 = \frac{-A_0 R_1}{2}, \quad R_3 = \frac{-A_0 R_1}{2Q^2 + A_0}$$


სადაც Q - შერჩეული კონტურის ვარგისიანობაა, f_0 - რეზონანსული სიხშირეა, A_0 - ფილტრის გაძლიერების კოეფიციენტი რეზონანსულ სიხშირეზე, C - კონტურის ტევადობაა, რომელიც შეირჩევა წინასწარ.



ნახ. 4

თუ შევარჩევთ, რომ Φ_1 და Φ_2 ფილტრებისათვის გაძლიერების კოეფიციენტი $A_{10} = -1$, $A_{20} = -1$ (ნიშანი (-) განპირობებულია ოპერაციული გამაძლიერებლის გამო) და $C = 0,1$ მკფ, მაშინ ზემოთ მოყვანილი ფორმულების მიხედვით ადვილია R_1 , R_2 , R_3 წინააღობების გამოთვლა.

Φ_1 და Φ_2 ფილტრების საშუალებით Δf სიდიდის გამოთვლის სქემა ნაჩვენებია ნახაზზე 5.



ნახ. 5

კომპარატორიდან მიღებული სიგნალი U_k მიეწოდება Φ_1 და Φ_2 ფილტრებს. ფილტრების გამოსასვლელი გამართვის შემდეგ მიეწოდება ამჯამავე მოწყობილობას, რომლის გამოსასვლელზეც მიიღება სიგნალი $\Delta f = A_2(f) - A_1(f)$. როდესაც ძრავის სიხშირე (ბრუნთა რიცხვი) $f_0 = 220$ კერცს, მაშინ $\Delta f = 0$. სიხშირის მომატების შემთხვევაში $\Delta f > 0$, ხოლო დაკლების შემთხვევაში $\Delta f < 0$.

განხილული სტრუქტურით გამოთვლილი Δf - სიდიდე შესაძლებელია გამოვიყენოთ სხვადასხვა მანქანებში, გენერატორებში, ძრავებში სიხშირის ან ბრუნთა რიცხვის მართვისა და სტაბილიზაციისათვის.

სიგნალი $U_\phi - U_\gamma$ შესაძლებელია გამოვიყენოთ დიაგნოსტიკაში.

მოძრავი მექანიზმების რხევების ანალიზი და მათი გამოყენება

თ. ტროკაშვილი

რეზიუმე

სტატიაში განხილულია ძრავის მუშაობის პროცესში მისი ხმაურის სიხშირული მახასიათებელი. ნაჩვენებია ხმაურის ძირითადი სიგნალის გამოყოფის სქემა. გამოკვლევა ნატარებულია მუდმივი დენის რელუქტორიანი ძრავის მაგალითზე. ნაჩვენებია, რომ ძრავის ხმაურიდან შესაძლებელია ძირითადი სიხშირის, (ბრუნთა რიცხვის) f -ისა და შეცდომის სიგნალის Δf -ის განსაზღვრა. მიღებული შედეგები შესაძლებელია გამოვიყენოთ დიაგნოსტიკაში, ძრავებისა და გენერატორების მართვაში.

THE ANALYSIS OF MOVABLE DEVICE VIBRATIONS AND THEIR UTILIZATION

T.TROKASHVILI

Summary

The paper presents frequency characteristic feature of the noise while engine processing. The scheme of the main signal of noise is shown in the work. Research is carried out on the example of the reduction engine. It is shown that it's possible to define the main frequency (number of rotations) f and the signal of errors Δf . The results can be utilized in diagnostics, in the engine and generator managing.

АНАЛИЗ КОЛЕБАНИЙ МЕХАНИЗМОВ И ИХ ИСПОЛЬЗОВАНИЕ

Т. ТРОКАШВИЛИ

Резюме

В статье рассматривается частотная характеристика шумов двигателя в процессе работы. Дается схема выделения основного сигнала шума. Исследование проведено на примере двигателя с редуктором постоянного тока. Показано, что по шуму двигателя возможно определение основной частоты f (число оборотов) и сигнала погрешности Δf . Полученные результаты можно использовать в диагностике и управлении двигателями и генераторами.

ლიტერატურა – REFERENCES - ЛИТЕРАТУРА


1. Титце У., Шенк К. Полупроводниковая схемотехника. Москва, 1983г.
2. Фолкенберри Л. Применение операционных усилителей и линейных ИС. Мир, 1985г.
3. Трокашвили Т. Активные полосовые фильтры. Сборник докладов международной конференции «Проблемы Управления и Энергетики». ИСУ АН Грузии 2004г.

აქტიური ზოლოვანი ფილტრების გადაწყობა რეზონანსულ სიხშირეზე


თ. ტროყაშვილი, ბ. შრუშაძე, ნ. შენგელია

tmt-10@mail.ru

მრავალი ტექნიკური ამოცანის გადაწყვეტის დროს საჭირო ხდება რთული სიგნალის განცალკევება ძირითადი და მასზე დადებული სხვა - უფრო მაღალი სიხშირის სიგნალებისაგან. ნახ.1-ზე წარმოდგენილია ამ ამოცანის შესაბამისი დროითი დიაგრამები.



ნახ.1



ნახ.2

რთული სიგნალის განცალკევებისათვის ფართოდ გამოიყენება აქტიური ზოლოვანი ფილტრი [1] რომლის ელექტრული სქემა ნაჩვენებია ნახ 2-ზე.

ფილტრის პარამეტრები იანგარიშება ცნობილი ფორმულებით:

$$R_2 = \frac{Q}{\Pi f_0 C}, \quad R_1 = \frac{-A_0 R_1}{2}, \quad R_3 = \frac{-A_0 R_1}{2Q^2 + A_0}.$$

ამ პარამეტრების შერჩევა ხორციელდება მოცემული შემავალი რეზონანსული სიხშირისათვის f_0 , ფილტრის გაძლიერების კოეფიციენტის - A_0 და ვარგისიანობის - Q შერჩევით [1].

განიხილება ამოცანა, რომლის შინაარსი მდგომარეობს შემდეგში: მოცემულია დაბალი სიხშირის რთული სიგნალი, რომელიც შედგება ძირითადი სიგნალისაგან და ამ სიგნალზე დადებულია შედარებით მაღალი სიხშირის სიგნალი. ამავე დროს ძირითადი სიგნალის სიხშირე შესაძლებელია იცვლებოდეს გარკვეულ ფარგლებში.

აღნიშნული პირობების გათვალისწინებით საჭიროა სიგნალის ძირითადი სიხშირის ცვლილების დროს ყოველთვის განისაზღვროს მისი მნიშვნელობა და ამავე დროს გამოიყოს ის რთული სიგნალი, რომელიც მასზე დადებული. სტრუქტურულად ეს ამოცანა შემდგენიარად შეიძლება ჩამოყავალიბოთ: მოცემულია რთული სიგნალი, რომლის ძირითადი სიხშირე შესაძლებელია იცვლებოდეს დიაპაზონში f_{10} -დან f_{20} -მდე, ნახ.3. საჭიროა აღნიშნულ დიაპაზონში სიგნალის ცვლილების დროს მოიძებნოს რეზონანსული სიხშირე და ამავე დროს გამოიყოს რთული სიგნალის შემადგენელი ნაწილი. ამ ამოცანის გადაწყვეტა ხორციელდება შემდგენიარად:

1. შერჩევა ფილტრების რეზონანსული სიხშირეები: f_{10} და f_{20} .

2. f_{10} და f_2 რეზონანსული სიხშირეების მიხედვით შეირჩევა სიხშირე, რომელიც არის აღნიშნული სიხშირეების გადაკვეთის წერტილი.
3. შეირჩევა პირველი ფილტრის გატარების ზოლი $f_0 - f_1$.
4. შეირჩევა მეორე ფილტრის გატარების ზოლი $f_2 - f_0$.
5. შერჩეული f_{10} , f_{20} , f_0 , $f_0 - f_1$ და $f_2 - f_0$ პარამეტრების მიხედვით იანგარიშება პირველი $\Phi 1$ და მეორე $\Phi 2$ ფილტრების პარამეტრები.


ნახ.4-ზე ნაჩვენებია ამოცანის გადაწყვეტის სტრუქტურული სქემა, რომლის ფუნქციონირება შეესაბამება ნახ.3 მოყვანილ დიაგრამას. $\Phi 1$ და $\Phi 2$ ფილტრები აწყობილია რეზონანსულ სიხშირეებზე f_{10} და f_{20} .

ამ ფილტრების რეზონანსული სიხშირეების ცვლილება შესაძლებელია R_3^1 და R_3^2 წინაღობების საშუალებით.


ფილტრებიდან გამოსული სიგნალები გამართვის შემდეგ მიეწოდება ამჯამად მოწყობილობას, რომლის გამოსავალზეც მიიღება სიგნალი Δf .

როდესაც შემავალი სიგნალის სიხშირე არის f_0 , მაშინ $\Delta f = 0$, ამიტომ ინტეგრატორი არის გაჩერებული.

Δf სიგნალის გაჩენის შემთხვევაში, მაგალითად, როდესაც $\Delta f < 0$, მოძრაობას იწყებს ინტეგრატორი, რომელიც შეცვლის R_3^2 წინაღობას, ანუ გადააწყობს მეორე ფილტრს იმ მომენტამდე, ვიდრე Δf არ გახდება ნულის ტოლი. ინტეგრატორის გამოსავალი ძაბვის მიხედვით შესაძლებელია ვიმსჯელოთ შემავალი სიგნალის სიხშირეზე.



ნახ. 3



ნახ. 4

აქტიური ზოლოვანი ფილტრების ბალანსობა რეზონანსულ სიხშირეზე

თ. ტროყაშვილი, ბ. ურუშაძე, ნ. შენბელია

რეზიუმე

სტატიაში განხილულია დაბალი სიხშირის რთული სიგნალის დაშლა შემადგენელ ნაწილებად. მაგალითის სახით ნაჩვენებია სქემა, რომელიც აგებულია აქტიური ზოლოვანი ფილტრის გამოყენებით. ამ სქემის გამოყენებით შესაძლებელია ძირითადი სიგნალის გამოყოფა. ძირითადი სიგნალის სიხშირე შესაძლებელია იცვლებოდეს

გარკვეულ დიაპაზონში. ნაჩვენებია ფილტრის გადაწყობის სქემა რეზონანსული სიხშირის ცვლილებისას.

**THE ACTIVE LINEAR FILTERS SHIFTING INTO THE RESONANCE
FREQUENCY**

T. TROKASHVILI, G. URUSHADZE, N. SHENGELIA

Summary

The paper presents the analysis of the complex signal into constituents. The scheme that is constructed using the active linear filter is shown in the paper. It's possible to single out the main signal. The frequency of the main signal can be changed in a certain range. The scheme of filter shifting into resonance frequency is also shown in the work.

**НАСТРОЙКА АКТИВНОГО ПОЛОСОВОГО ФИЛЬТРА НА РЕЗОНАНСНУЮ
ЧАСТОТУ**

Т. ТРОКАШВИЛИ, Г. УРУШАДЗЕ, Н. ШЕНГЕЛИЯ

Резюме

Рассматривается выделение основного сигнала из сложного низкочастотного сигнала. В качестве примера показана схема, которая построена с использованием активного полосового фильтра. Схема дает возможность выделить основной сигнал. Частота основного сигнала может меняться в определенных пределах. Показана схема настройки фильтра при изменении резонансной частоты.

ლიტერატურა – REFERENCES - ЛИТЕРАТУРА

1. Титце У., Шенк К. Полупроводниковая схемотехника. Москва, 1983г.
2. Фолкенберри Л. Применение операционных усилителей и линейных ИС. Мир, 1985г.
3. Трокашвили Т. Активные полосовые фильтры. Сборник докладов международной конференции «Проблемы Управления и Энергетики». ИСУ АН Грузии 2004г.

დინამიკური სისტემების მოდელირება კომპიუტერების ბაზაზე

დ. ცინცაძე

დინამიკური სისტემები ობიექტების ან ბუნებაში მიმდინარე პროცესების ცვალებადობას შეისწავლის დროის მიხედვით სივრცეში მათი საწყისი მდგომარეობის გათვალისწინებით. ობიექტის ან პროცესის მდგომარეობის შემდგომი ცვალებადობა დამოკიდებულია მათ საწყის, ანუ ნულთან მდგომარეობაზე, რომელიც ობიექტების ან პროცესთა ცვლილების განვითარების ათვლის წერტილებად შეიძლება მივიჩნიოთ. ობიექტის ან პროცესის ცვალებადობა აღიწერება მათემატიკური კანონებით და ამოცანის შინაარსიდან გამომდინარე საქმე გვაქვს სხვადასხვა პარამეტრების ერთობლიობასთან.

დინამიკური სისტემების აღწერის მათემატიკური კანონები სხვადასხვა სახისაა: დიფერენციალური განტოლებები, დისკრეტული სისტემები, გრაფთა თეორია და სხვა.

რთული დინამიკური სისტემების ანალიზის პროცესში ხშირად ადგილი აქვს სპეციფიკური (ამოცანიდან გამომდინარე) ფაქტორების არსებობას, რომელთა გათვალისწინება სხვა მოდელის შექმნის აუცილებლობას ან არსებულის შევსებას იწვევს.

ასეთ რთულ დინამიკურ სისტემებს მიეკუთვნება ფრენის დინამიკა, რომელიც საფრენი აპარატების მოძრაობის კანონზომიერებას აღწერს. თავისთავად ეს ამოცანა, სირთულის გარდა, გადაწყვეტის პროცესში ბევრი სხვა საკითხის გადაჭრის აუცილებლობას წარმოშობს: აეროდინამიკური მახასიათებლებისა და ფრენის დინამიკაზე ატმოსფეროს ზეგავლენის გათვალისწინებას, სხვადასხვა ექსპერიმენტული სიდიდეების შემოტანას და ა.შ., რომელთა გადაჭრა აუცილებელია სასურველი შედეგის მისაღებად, გარკვეული მიახლოებითი სიზუსტით მაინც.

რთული დინამიკური პროცესები კერძო წარმოებულებიანი დიფერენციალური განტოლებებით აღიწერება. მათ მიეკუთვნება ფრენის დინამიკა, რომელიც ძირითადად შემდეგი მიმართულებებით განისაზღვრება:

1. საფრენი აპარატების ტრაექტორიის გამოკვლევა.
2. საფრენი აპარატების მოძრაობის გამოკვლევა ატმოსფეროს პირობებში.
3. საფრენი აპარატების მოძრაობის გამოკვლევა ჰორიზონტალურ სიბრტყეში.

პირველი მიმართულება თავისთავად მოიცავს ისეთი საკითხების განხილვას, როგორებიცაა: ფრენის დროს აპარატზე მოქმედი ძალები, მოძრაობის განტოლებები ინერციული და არაინერციული ათვლის სისტემების დროს, აეროდინამიკური სიდიდეების განსაზღვრა, საწყისი სიდიდეები და ა.შ.

მეორე და მესამე მიმართულებებისათვის ძირითადად განიხილება საფრენი აპარატის მოძრაობის განტოლებები.


როგორც ასეთი რთული ამოცანების გადაწყვეტისას ხდება, მიზანშეწონილია ამოცანა დაიყოს სხვადასხვა სპეციფიკურ ბლოკებად, გამოიყოს უმთავრესი, მოხდეს მათი მათემატიკური მოდელის აგება (მათ შორის მეორეხარისხოვანი ბლოკებისა), და შემუშავდეს საერთო კანონზომიერება მათ დასაკავშირებლად.

საფრენი ობიექტის მოდელირების ამოცანა დროის რეალურ მასშტაბში უნდა გადაიჭრას. რეალურ დროში მოდელირებისას გამომთვლელი მანქანა მუშაობს ბიჯებით. ბიჯის ხანგრძლივობა განისაზღვრება აუცილებლობით, რათა უზრუნველყოფილი იყოს დიფერენციალურ განტოლებათა ინტეგრირების სიზუსტე. ყოველ ბიჯზე გამოთვლების მთელი ციკლი სრულდება. ერთი ჯგუფის გამოთვლების შედეგები წარმოადგენს საწყის მონაცემებს სხვა ჯგუფის გამოთვლებისათვის. გამოთვლების კარგი ორგანიზაციის შესაძლებლობა გადამწყვეტი ფაქტორია რეალურ დროში გამოთვლების მაღალი სიზუსტით ჩატარებისათვის.

ბოლო დროს პერსონალური კომპიუტერების პოტენციალური შესაძლებლობების გაზრდამ ხელი შეუწყო მომხმარებლის მიერ მათ ფართო გამოყენებას. მიუხედავად აპარატული კომპონენტების სრულყოფილებისა, რაც საკმაოდ დიდ სწრაფქმედებას იძლევა, ერთი კომპიუტერის გამოყენება რეალურ დროში მუშაობის პირობებში შეუძლებელია. ამიტომ საფრენი აპარატის მოდელირების ამოცანის გადასაწყვეტად

გამოყენებული იქნება რამდენიმე კომპიუტერი, რომლებზეც გადანაწილება გამოთვლითი ფუნქციები.

ნახ.1-ზე მოცემულია კომპლექსის სტრუქტურა, რომელშიც შედის სამი კომპიუტერი. ისინი იმართებიან შეუღლების (იტერფეისი) მოწყობილობით და მათთან დაკავშირებული არიან მონაცემთა სალტით (შემყვან-გამომყვანი სალტე გაფართოების "სლოტით").



ნახ. 1

წარმოდგენილ კონფიგურაციაში მონაცემთა გაცვლის ინტერფეისმა უნდა უზრუნველყოს:

1. აუცილებელი სწრაფქმედება რეალურ დროში მუშაობისათვის,
2. კომპიუტერების გაერთიანების შესაძლებლობა ამოცანების მიხედვით,
3. კომპიუტერების დამოუკიდებელი მუშაობის პირობები.

ნახ. 2-ზე მოცემულია ინტერფეისის ფუნქციონალური სქემა. სქემის მთავარი ნაწილია ოპერატიული მეხსიერება. მისთვის გამოიყოფა ერთი პორტი. მისამართის ორი ბლოკი A_0 და A_1 განსაზღვრავს მიმართვის რეჟიმებს:

- 00 – ჩაწერა მისამართის მთვლელში.
- 01 – ჩაწერა ოპერატიულ მეხსიერებაში.
- 10 – ამოკითხვა მისამართის მთვლელიდან.
- 11 – ამოკითხვა ოპერატიული მეხსიერებიდან.

რამდენიმე კომპიუტერი უკვე ქმნის გამოთვლელ სისტემას. მათ კომპონენტებს შორის კავშირის დასამყარებლად გამოიყენება უნიფიცირებული სისტემა – პროგრამული ინტერფეისი, რომელიც აუცილებელი პროცედურების, პარამეტრების, მიმართვის ხერხების საშუალებაა.


მულტიპლექსორი შესაბამის მთვლელს და მონაცემებს ირჩევს როგორც მისამართებს, გადასცემს ოპერატიულ მეხსიერებას. პროგრამული ინტერფეისის გავლით თითოეული მთვლელი კომპიუტერიდან იღებს მეხსიერების მისამართს, საიდანაც იწყება გაცვლითი მონაცემების ჩაწერა-ამოკითხვა.

მართვის ბლოკი და ბიჯის გენერატორი გამოიმუშავენ მთავარ ტაქტურ იმპულსებს, რომელთა განმეორების სიხშირე განსაზღვრავს მიღება-გაცემის ტაქტს და

მათგან დამოკიდებულებით – მართვის სიგნალებს, რომლებიც მთლიანი მოწყობილობის სინქრონული მუშაობის პირობებს უზრუნველყოფენ.

ბიჯის გენერატორის სიხშირე იცვლება $1 \div 100$ მლწმ-ის ფარგლებში. იმპულსები ერთდროულად შედის კომპიუტერებში და უშვებს პროგრამებს, რომლებიც გამოთვლების ყოველ ბიჯზე უნდა შესრულდეს.

თითოეულმა კომპიუტერმა უნდა უზრუნველყოს გამოთვლების დასრულება ბიჯის შემდეგი იმპულსის მოსვლამდე და ამ პირობის შესრულების შემოწმება.



ნახ. 2

კომპიუტერებს შორის მონაცემების გაცვლის დროს შესაძლებელია წარმოიშვას პრობლემა – პირველ კომპიუტერში გამოთვლების შედეგად მიღებული მონაცემები მეორე კომპიუტერს უნდა მიეწოდოს უფრო ადრე. თუ ეს პირობა არ იქნა შესრულებული, კომპიუტერი ძველი მონაცემებით იმუშავებს.

სწორ შემთხვევაში ეს დაყოვნება ერთ ბიჯზე მოდელირების სიზუსტეს არ ამცირებს. იმ შემთხვევაში, როცა ეს დაყოვნება დაუშვებელია, მთვლიანი სისტემის გამართვის დროს სინქრონიზაცია პროგრამულად შეიძლება განხორციელდეს.

დინამიკური სისტემების მოდელირება კომპიუტერების ბაზაზე

დ. ცინცაძე

რეზიუმე

სტატიაში განხილულია რამდენიმე კომპიუტერზე განხორციელებული დინამიკური ობიექტების მოდელირების საკითხები და ამ მიზნით პროგრამული ინტერფეისის გამოყენების შესაძლებლობა.

MODELING OF DYNAMIK SYSTEMS BASED ON COMPUTERS

D. TSINTSADZE

Summary

The paper represents the issues of dynamic object simulation based on several computers and possibility of using the software interface.

МОДЕЛИРОВАНИЕ ДИНАМИЧЕСКИХ СИСТЕМ НА БАЗЕ КОМПЬЮТЕРОВ

Д. ЦИНЦАДЗЕ

Резюме

В статье рассмотрены вопросы моделирования динамических объектов на базе нескольких компьютеров и возможность использования программного интерфейса с этой целью.

ლიტერატურა – REFERENCES – ЛИТЕРАТУРА

1. Остославский И.В., Стражева И.В. – Динамика полёта. Москва, изд. «МАШИНОСТРОЕНИЕ» 1969г.
2. Айден К., Фибельман Х., Крамер М. – Аппаратные средства РС. «ВНУ – Санкт-Петербург», 1996г.
3. Мюллер Скотт – Модернизация и ремонт персональных компьютеров. Москва, ЗАО «Издательство БИНОМ», 1998г.

მობილური რობოტის მართვის სისტემა

დ. შურცხვანიძე


mshoblebi@posta.ge

ხელით შრომის ავტომატიზაციის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ასპექტს წარმოადგენს რობოტებისა და მანიპულატორების შექმნა ტექნოლოგიური ოპერაციების შესასრულებლად ისეთ გარემოში, რომელიც სახიფათოა ადამიანის ჯამრთელობისათვის ან საერთოდ მიუწვდომელია მისთვის.

რობოტი – ესაა ავტომატიზაციის საშუალება, განკუთვნილი ავტომატური მანიპულატორების მეშვეობით შრომის ობიექტზე მიზანმიმართული ზემოქმედებისათვის, რომელსაც გააჩნია გარემოს მდგომარეობის აღქმის საკუთარი სისტემა და საკუთარი მოქმედების ავტომატური დაგეგმვის უნარი. რობოტების სხვადასხვა კლასებს შორის, მნიშვნელოვან თანამედროვე კლასს მიეკუთვნება მანიპულატორი რობოტები, განთავსებულნი მოძრავ საფუძველზე, რომლებიც საყოფაცხოვრებო დანიშნულებით გამოიყენება წარმოებაში, ეკოლოგიაში, სამხედრო საქმეში.

განსახილველი კლასის მობილური რობოტების უმრავლესობა წარმოადგენს მანიპულატორს, განთავსებულს ბორბლებიან ბაზაზე. ამასთანავე მამოძრავებლები ბორბლებიან პნევმატური საღებრებით, ან მუხლუხები. ამ ტიპის მამოძრავებლების გამოყენება განპირობებულია მათი ტექნიკური რეალიზაციისა და მოძრაობის მართვის ალგორითმის სიმარტივით, რომელიც ბევრად არ განსხვავდება ავტომობილის ან მუხლუხა სატრანსპორტო საშუალების მართვის ალგორითმისგან. ამასთანავე ბორბლებიანი მანქანების მოძრაობის ალგორითმის რეალიზაციისათვის გამოყენებული იქნება მინიმალური გამოთვლითი და სხვა რესურსები.

რობოტის, როგორც ავტომატიზაციისა და მართვის ობიექტის, ფუნქციონალური სქემა წარმოდგენილია ნახ.1-ზე.



ნახ.1 მობილური რობოტის ფუნქციონალური სქემა

მობილური რობოტი მოიცავს ექვს სისტემას: გადაადგილების, მანიპულაციურს, ინფორმაციულ-გამზომ და მმართველ სისტემას, ტექნიკური მხედველობის, მართვის პუნქტთან კავშირის და ენერგეტიკულს.

გადაადგილების სისტემა მოიცავს ენერგეტიკულ დანადგარს, ტრანსმისიას, მამოძრავებლებს. ენერგეტიკული დანადგარის სახით მობილურ რობოტებში შეიძლება გამოყენებული იქნეს შიგაწვის ძრავი ან ელექტროძრავი. ტრანსმისიის მოწყობილობას განსაზღვრავს გადაადგილების სისტემაში გამოყენებული ენერგეტიკული მოწყობილობის ტიპი. თუ ძრავის სახით გამოიყენება შიგაწვის ძრავა, მაშინ, მისი ჩქაროსნული მახასიათებლების თავისებურებებიდან გამომდინარე, ტრანსმისიის შემადგენლობაში უნდა შედიოდეს გადაბმულობა და გადაცემათა კოლოფი. ამასთანავე, ტრანსმისიის მოწყობილობა დამოკიდებულია აგრეთვე გამოყენებული მამოძრავებლების ტიპზე.

შიგაწვის ძრავაზე მომუშავე ბორბლებიან სატრანსპორტო საშუალებებში გამოიყენება დიფერენციალი. შიგაწვის ძრავის მქონე მუხლუხა მოძრავ რობოტში გამოიყენება გადაცემათა კოეფიციენტების ვარიატორი ან განცალკევებული გადაცემათა კოლოფები მარჯვენა და მარცხენა მამოძრავებლებისათვის. ენერგეტიკული დანადგარის სახით მუდმივი დენის ელექტრო ძრავის გამოყენებისას ზემოთ ჩამოთვლილი კვანძები გასწვრივი მოძრაობის და მობრუნების შესასრულებლად საჭირო არაა, რაც მნიშვნელოვნად ამარტივებს როგორც კონსტრუქციას, ასევე რობოტის მართვის პროცესს.


მობილური რობოტის ძირითადი სისტემა, რომელიც მისი სხვა სისტემების ორგანიზებას ახდენს, არის ინფორმაციულ-გამზომი და მმართველი სისტემები (Oზ და მს). Oზ და მს შედგებიან ორი დიდი ქვესისტემებისაგან: სენსორული და მმართველი.

მობილურ ბორბლებიან რობოტში Oზ და მს-ის ფუნქციები სხვადასხვაგვარია. ასეთი ფუნქციებია: მიღება შეტყობინებებისა საბორტო სისტემების გადამწოდებისგან: მანიპულაციური, გადაადგილების, ტექნიკური მხედველობის, კავშირის, ენერგეტიკული, თვით ინფორმაციულ-გამზომი და მართვის სისტემები. აღნიშნული სისტემების კვანძებისა და ელემენტების მდგომარეობის შესახებ; კავშირის სისტემების მეშვეობით რობოტის მართვის პულტიდან სამართი ბრძანებების მიღება, მათი დეშიფრაცია და ბრძანებების ფორმირება მობილური ბორბლებიანი რობოტის საბორტო სისტემების მართვისათვის; რობოტის საბორტო სისტემების მართვისას ადგილობრივი უკუკავშირების განხორციელება; მობილური რობოტის სამუშაოდ მომზადებისათვის საბორტო სისტემების სტატიკური კონტროლი და რეგლამენტირებული სამუშაოების შესრულება; მუშა ორგანოს კოორდინატების გაანგარიშება სენსორული ქვესისტემების გადამწოდებისგან მოსული სიგნალების მიხედვით, რომლებიც გვაწვდიან ინფორმაციას მანიპულაციური სისტემის შუალედური კვანძების მდგომარეობის შესახებ; საბორტო ენერგეტიკული რესურსების კონტროლი, მიმდინარე სამუშაოს დროულად შეწყვეტისათვის. მტყუნებამდგრალობის უზრუნველყოფა და საბორტო სისტემების რეკონფიგურაცია აპარატურის გარე და შიდა შემოფოთების ზემოქმედებით გამოწვეული მტყუნების დროს.

თანამედროვე რობოტტექნიკურ კომპლექსებში არსებობს ტენდენცია აღნიშნული ფუნქციების გაერთიანებისა და კომპლექსური ანალიზი რობოტების ტაქტიკო-ტექნიკურ მახასიათებლებზე მათი გავლენისა. საბორტო მოწყობილობების ინფორმაციულ-გამზომ და მმართველ სისტემად ინტეგრაციის არქიტექტურული ასპექტები ელემენტური ბაზის ნაკლებობის კომპენსირებისა და მაღალეფექტური რობოტტექნიკური კომპლექსის შექმნის საშუალებას იძლევა.

მმართველი ქვესისტემა წარმოადგენს წრედს მიკროკონტროლერებისა და/ან ცენტრალური საბორტო ეზმ-ისა, მიერთებულს კავშირის სისტემასთან, რომელიც ცენტრალურ მართვის პულტიდან ინფორმაციის მიღება-გაცემის საშუალებას იძლევა.

მოდულთაშორისი კავშირები ხორციელდება საბორტო კაბელური წრედით. მმართველი სისტემის ძირითად ამოცანას წარმოადგენს სხვა საბორტო სისტემების მართვის ფუნქციების შესრულება, მასაზე, ფასზე, მოხმარებულ ენერჯიაზე და საიმედოობაზე მკაცრი შეზღუდვების პირობებში. სენსორული ქვესისტემის განზოგადოებული სქემა მოცემულია ნახ.2-ზე.



ნახ.2 სენსორული ქვესისტემის განზოგადოებული სქემა

სენსორული ქვესისტემის გადამწოდები მოზილურ რობოტში დაჯგუფებულია N ჯგუფებად ისეთნაირად, რომ გადამწოდების k-ური ჯგუფი $\{E_{k1}, \dots, E_{kM(k)}\}$ აწარმოებს ინფორმაციის შეგროვებას მოზილური რობოტის რომელიმეც ლოკალურ სივრცეში. გადამწოდი ზომავს რომელიმეც პარამეტრს და გაზომვის შედეგის გადაცემა ხდება საბორტო კაბელური წრედით მმართველ ქვესისტემაში. ზოგიერთი ტექნიკური გადაწყვეტა ითვალისწინებს გადამწოდთა ჯგუფიდან მიღებული სიგნალების წინასწარ დამუშავებას წინასწარდამუშავების ბლოკის მეშვეობით, რომელიც საბორტო სივრცის იმავე არეშია განლაგებული, სადაც გადამწოდები.

მოზილური რობოტის სხვადასხვა მოდიფიკაციაში გადამწოდების სიგნალები განიცდის შემდეგ გარდაქმნებს: სიმძლავრის გაზრდას, ანალოგურ და/ან ციფრულ ფილტრაციას, ანალოგურ-ციფრულ გარდაქმნას, ანალოგურ ან ციფრულ მულტიპლექსირებას, მიმდევრობითი კოდის ფორმირებას.

მოზილური რობოტის გარემოსა და საბორტო სისტემების მდგომარეობის შესახებ ინფორმაცია ფორმირდება სენსორული ქვესისტემების გადამწოდთა მეშვეობით და მმართველი ქვესისტემის საბორტო ემპ-ში იქნება შეყვანილი, სადაც ალგორითმულად მულტიპლექსირდება კავშირის სისტემით ცენტრალურ პულტზე გადასაცემად. ცენტრალური პულტის ემპ-ში, რომელსაც გააჩნია ინფორმაციის ასახვის საშუალებები, მულტიპლექსირებული სიგნალი გაიშიფრება, გარდაიქმნება გრაფიკებად, დიაგრამებად, ხელსაწყოთა ჩვენებებად, რომლებიც ასახავენ საბორტო სისტემების მდგომარეობებს მონიტორზე. ოპერატორი ღებულობს გადაწყვეტილებას და შეჰყავს შესაბამისი ბრძანებები ემპ-ში, რომელშიც ბრძანებები მულტიპლექსირდება და კავშირის სისტემების მეშვეობით გადაეცემა მოზილურ რობოტს, სადაც დემულტიპლექსირებისა და დამატებითი გარდაქმნის შემდეგ გარდაიქმნება საბორტო სისტემების მმართველ ბრძანებებად.

მოზილური რობოტის მართვის სისტემა

დ. შურცხვანიძე

რეზიუმე

ნაშრომში განხილულია მოზილური ბორბლებიანი რობოტის მართვისათვის ელექტრული ძრავის გამოყენების უპირატესობა. დამუშავდა მოზილური რობოტის ფუნქციონალური სქემა, სენსორული ქვესისტემის განზოგადოებული სქემა. მოყვანილია

მობილური რობოტის ინფორმაციულ-გამზომი და მმართველი ქვესისტემების პროექტირების საკითხები.

MOBILE ROBOT CONTROL SYSTEM

D. PURTSKHVANIDZE

Summary

The article considers advantages of use of an electric motor in the operation of the mobile wheel robot. The function chart of the mobile robot, the general scheme of a sensor subsystem is developed. The issues of design for informational-measuring and operational subsystems are discussed.

СИСТЕМА УПРАВЛЕНИЯ МОБИЛЬНЫМ РОБОТОМ

Д. ПУРЦХВАНИДЗЕ

Резюме

В статье рассмотрены преимущества использования электрического двигателя для управления мобильным колёсным роботом. Разработана функциональная схема мобильного робота, обобщённая схема сенсорной подсистемы. Приведены вопросы проектирования информационно-измерительной и управляющей подсистемы.

ლიტერატურა – REFERENCES – ЛИТЕРАТУРА

1. ფურცხვანიძე დ. განადგომითი ოპერაციებისათვის საჭირო რობოტის დაგეგმარება. ა. ელიაშვილის მართვის სისტემების ინსტიტუტის შრომათა კრებული. თბილისი 2011წ. გვ. 160 – 162.
2. ფურცხვანიძე დ. კორექტირებული უკუმოდელის გამოყენება ადაპტურ მართვის სისტემაში. ა. ელიაშვილის მართვის სისტემების ინსტიტუტის შრომათა კრებული. თბილისი 2009წ. გვ. 141 – 147.

ინფორმეტიკა

INFORMATICS


ИНФОРМАТИКА

ქართული წინადადების როლბორივი სტრუქტურა

ბ. გიგჩიკიძე


gogichikoidze@yahoo.com

“როლბორივი სტრუქტურაში” იგულისხმება წინადადების წევრების სემანტიკური როლების დადგენა. თავის მხრივ, წინადადების წევრებით ასახულია ფუნქციები (როლები), რომლებსაც ისინი წინადადებით გადმოცემულ სიტუაციაში, ანუ პროცესში ან მდგომარეობაში ასრულებენ. მაგალითად, პროცესის “წამყვანი” წევრი, “მოავარი შემსრულებელი” არის AG (აგენსი), რომელიც უშუალო “ზემოქმედებას” ახდენს მეორე ძირითად მონაწილეზე – ობიექტზე (OB) და ასახავს ცენტრალური როლების განაწილებას პროცესში (PROC). პროცესის ინდივიდუალური ხასიათის დასახულებლად აუცილებელია იმ (ზმნური) ლექსემის დადგენა, რომელიც ამ კერძო შემთხვევაში პროცესის თავისუფლებას გამოხატავს: წინადადების შესაბამისი კომპონენტის შინაარსის სრული სურათის მისაღებად ყოველი როლისთვისაც უნდა დაკმაყოფილდეს ანალოგიური მოთხოვნა. ასე, მაგალითად, ე.წ. “რეგულარული” სუპერ-პარადიგმის შემთხვევაში მისი ცენტრალური კომპონენტი ხასიათდება შემდეგი როლბორივი სტრუქტურით (ნახ. 1):



ნახ. 1

თუმცა, იმისთვის, რომ სქემა შინაარსის გამოხატვას უფრო მიუახლოვდეს, აუცილებელია მასში სათანადო ლექსიკური ერთეულების ასახვაც (ნახ. 2):




ნახ. 2

მეორე ნახაზზე V, N1 და N2 სიმბოლოები შესაბამისად ზმნურ და სახელურ ლექსემებს გულისხმობს. ამავე დროს სემანტიკური როლების მახვენებლები (AG, OB) გადაიქცნენ იმ რკალების ჭლებად, რომლებიც ასახავენ როლების მიმართებას სქემის “ბირთვთან” (NUCL) ანუ ზმნასთან (V). ამ შემთხვევაში ზმნის ძირითადი მახასიათებელი არის PROC, რომელიც მიუთითებს სუპერ-პარადიგმაში ზმნური პარადიგმის ადგილზე, მის “სემანტიკურ როლზე”. ნახ. 1-2-ის კონკრეტული მაგალითია წინადადება:


პეტრემ აქო/ლანძღა პავლე,

სადაც შემადგენელი ლექსემები (ქება, პეტრე და პავლე) ავსებს ნახ. 1-ის სქემას:



თუკი პროცესი უკვე დასრულდა და რეალიზებულია, დამატებითი სემანტიკური ნიუანსები (“როდის?”, “პროცესი დასრულდა?”, “მოხდა/მოხდეს/მომხდარიყო(ს) ის?” და ა.შ.) მიუთითებს წევრების მწკრივზე (*აქო/ლანძღა*). ეს არჩევანი, თავის მხრივ,

განსაზღვრავს მონაწილეთა (პეტრე, პავლე) ბრუნვას, რომელთა ხასიათი (მხოლოდითი რიცხვი, მე-3 პირი) მიუთითებს ზმნის მწკრივის კონკრეტულ წევრზე, რაც ჯამში გვაძლევს სქემას:



მაგალითი მარტივად და ნათლად აჩენს სემანტიკური როლების (AG და OB) წვლილს სიტუაციის შინაარსში და შესაბამისად მის ენობრივ გამოხატულებაში: მხოლოდ იმის ცოდნა, რომ მიმდინარე/მომხდარი პროცესის (ქება) მონაწილეები არიან კონკრეტული პირები (პეტრე და პავლე) არ არის საკმარისი არც შესაბამისი გამონათქვამის აგებისათვის, არც არსებული წინადადების შინაარსის სრული ამოკითხვისთვის, რადგანაც ამ ორივე პროცედურის (სინთეზი/ანალიზი) დასასრულებლად აუცილებელია ცოდნა

“ვინ-ვის?” (ამ შემთხვევაში) აქებს?

იგივე პრაგმატიკულადაც ამოუხსნელი გამოცანა ახლავს თან სხვა პროცესების გამოხატვასაც, რომელშიც ისეთი სემანტიკურად “თანაბარი” მოქმედი პირები მონაწილეობენ, როგორც “პეტრე” და “პავლე”:

გალანძლა, გაიციხა, დალოცა, აკურთხა, შეაგინა, სცემა და ა.შ.

თუმცა იმ შემთხვევაშიც, როცა პრაგმატიკული მოსაზრებები მიუთითებს სიტუაციაში მოცემული მონაწილის “წვლილზე”, სემანტიკური როლი უფრო ნათლად და ცალსახად გამოხატავს ამ მახასიათებლებს. სახელდობრ, მოცემულ სიტუაციაში ის პირდაპირ მიუთითებს მონაწილის ადგილზე და ამით ამართლებს “შინაარსის” ინტუიციურ გაგებას, რომელიც აკლია ტრადიციულ სინტაქსურ მახასიათებლებს (ქვემდებარე, პირდაპირი დამატება და ა.შ.) ერთობლიობის ცალკეულ წევრებში. ამას მოჰყვება სუპერ-პარადიგმის ფარგლებში ის “მდგრადობა”, სტაბილურობა, რომელიც (ისევე ტრადიციული სინტაქსისგან განსხვავებით) დამახასიათებელია სემანტიკური როლებისთვის.

ეს სტაბილურობა გულისხმობს იმას, რომ სემანტიკური როლი უცვლელად გამოხატავს ერთსა და იმავე მონაწილეს სუპერ-პარადიგმის ნებისმიერი პარადიგმის კონტექსტში. ანუ ნებისმიერ პარადიგმას, რომელიც არის ნაწარმოები ერთი და იმავე ზმნური ლექსემისაგან და ამგვარად არის იმ სიმრავლის წევრი, რომელიც წარმოადგენს სუპერ-პარადიგმას [1], [2]. მეტიც, შეიძლება ითქვას, რომ სუპერ-პარადიგმა ერთობლივ ვირტუალურ პროცესს ასახავს, რომლის ცალკეული ასპექტები, ეტაპები, სტადიები აისახება ერთობლიობის ცალკეულ წევრ-პარადიგმებში. მაგალითად, რეგულარული სუპერ-პარადიგმის შემთხვევაში გლობალური ვირტუალური პროცესის დაწყება “სტარტი” უკავშირდება მის ვირტუალურ სტიმულირებას კაუზატორის (CAUS) მხრიდან:

CAUS: *გააკეთებინა (მან (CS) მას (AG), ის (OB) მიხთვის (AD))*,

სადაც CS კაუზატორია, AG აგენსი, OB ობიექტი და AD ადრესატი, რაც გულისხმობს, რომ CS სტიმულს აძლევს AG-ს იმისთვის, რომ მან შეასრულოს პროცესი (PROC), რომელიც წარმოადგენს მოცემული ლექსემის ბირთვის, მის ძირითად შინაარსს (კეთება). პროცესის (PROC) შესრულების არსი კი მდგომარეობს AG-ის ზემოქმედებაში OB-ზე. ამ ზემოქმედების შედეგი (RES) კი გამოიწვევია AD-ისთვის. ჯამში ვიღებთ ჯაჭვს:

$$CS \rightarrow AG \rightarrow OB \rightarrow AD,$$

სადაც გამოსახულია გავლენა, რომელსაც ჯაჭვის ყოველი რგოლი ახდენს თავის მარჯვენა “მეზობელზე”.

ანალოგიური ჯაჭვი შეიძლება აისახოს სუპერ-პარადიგმას გლობალური პროცესის ეტაპების გამომხატველი პარადიგმების თანამიმდევრობითაც:

$$CAUS \rightarrow PROC \rightarrow RES.$$

ამ ჯაჭვის მე-2 და მე-3 რგოლს ახასიათებს ასეთი როლებრივი სტრუქტურა:

PROC: *გა(ა/უ)კეთა (მან (AG) ის (OB) მიხთვის/მას (AD))*;

RES: *გა(/უ)კეთდა (ის (OB) მიხთვის/მან (AD))*.

ასეთი მიდგომა, თავის პირველწყაროსგან [3] განსხვავებით, დიდ მნიშვნელობას ანიჭებს როლების გაფორმებას ამა თუ იმ პარადიგმის კონტექსტში. კერძოდ, როლების ძირითად სიმრავლეში, პირველ რიგში, ჩაირიცხება მხოლოდ ისეთი როლი, რომელსაც ესა თუ ის პარადიგმა თავისი აფიქსებით მიმართავს ექსპლიციტურად. მაგალითად, CAUS მიმართავს CS-ს და AG-ს, PROC – AG-ს და OB-ს ან AD-ს, RES – OB-ს და (შესაძლოა) AD-ს. თუმცა ეს არ გამოირიცხავს იმას, რომ ზოგი პარადიგმა ამა თუ იმ როლს ექსპლიციტური “ყურადღების” გარეშე ტოვებს (მაგ. OB და AD CAUS-თან, OB ან AD – PROC-თან და ა.შ.). ამავე დროს არსებობს მორფოლოგიური საშუალებები, რომელთა მეშვეობით შესაძლებელია ნებისმიერი ძირითადი როლის ექსპლიციტური გამოჩენა სუპერ-პარადიგმის ნებისმიერი რგოლის კონტექსტში. გარკვეულ გამონაკლისს წარმოადგენს მხოლოდ CS, რომლის მოხსენება PROC-ის და RES-ის კონტექსტში შესაძლებელი ხდება მხოლოდ ზოგადი კაუზაციის ერთგვარი დაკონკრეტების შედეგად:

პეტრემ თავისი განკარგულებით/თხოვნით/დახმარებით/ ... გააკეთებინა ეს საქმე →

პეტრეს განკარგულებით/თხოვნით/დახმარებით/ ... გააკეთე ეს საქმე →


პეტრეს განკარგულებით/თხოვნით/დახმარებით/ გაკეთდა ეს საქმე ...

მაგალითიდან ჩანს ისიც, რომ პირველი ან მეორე პირის ზმნური აფიქსები ჩაენაცვლებიან შესაბამისი როლების ექსპლიციტურ გამოხატვას. სახელდობრ, უმეტეს შემთხვევაში ამ ნაცვალსახელების ექსპლიციტური ხსენება სასურველი ხდება მათზე აქცენტის გადატანის დროს:

ეს საქმე მე გააკეთე (და არა “პეტრემ”, “პავლემ” და ა.შ.).

როლების სემანტიკურ სტაბილურობას მათი მორფოლოგიური გაფორმების ასეთივე უცვლელობა არ შეესაბამება. ამ თვალსაზრისით სტაბილურობა ვლინდება უფრო ფორმების კანონზომიერ ცვლილებებში. კანონზომიერება განსაკუთრებით მკაცრად დაცულია როლების იმ პოზიციაში, რომელსაც ზმნა მიმართავს თავისი აფიქსებით. ასე, მაგალითად, AG როლის გაფორმება CAUS პარადიგმის კონტექსტში უცვლელია – ობიექტური წყობა, მიცემითი ბრუნვა, ან PROC პარადიგმაში: სუბიექტური წყობა, სახელობითი ბრუნვა I სერიაში, მოთხრობითი ბრუნვა II სერიაში. ამ შემთხვევაში გაფორმების ხასიათს განსაზღვრავს თვით სუპერ-პარადიგმის შინაგანი სტრუქტურა ანუ მისი რგოლები (CAUS, PROC) და არა შესაბამისი ზმნური ლექსემის სემანტიკური სპეციფიკაცია. სიტუაცია იცვლება RES პარადიგმის კონტექსტში, რომლის აფიქსები “იგნორირებას უკეთებენ” AG როლს. ასეთ კონტექსტში ჩნდება დამოკიდებულება როგორც ზმნის, ისე თავად AG-ის სემანტიკურ მახასიათებლებზე: სულიერი AG, როგორც წესი, გაფორმებას მოითხოვს “მიერ” თანდებულებით; ზმნა, რომელიც მოასწავებს დადებით, “სასურველ” შედეგს, იგუებს გაფორმებას სიტყვით – “წყალობით” და საპირისპირო შემთხვევაში უფრო გამართლებულად მიიჩნევს “გამო”-ს ხმარებას ან ზოგჯერ ორივე ვარიანტში არაუადგილოდ ჟღერს “შედეგად”.

თუკი მივმართავთ [4]-ის ტერმინოლოგიას, შეიძლება ითქვას, რომ ზმნური აფიქსებით მოხსენებულ როლებს უფრო მჭიდრო კავშირი უნდება წინადადების “შუაგულის” (Core) ბირთვთან (Nucleus), ანუ ზმნასთან, რაც შეიძლება “შუაგულის” ფენოვან სტრუქტურაში (layered structure) აისახოს, თუმცა ეს უკანასკნელი ცნება მის პირველწყაროში “შუაგულის” (Core) შინაგან სტრუქტურაზე არ ვრცელდება. ასეთ მიდგომას შეიძლება მივცეთ შემდეგი გრაფიკული ასახვა:



ნახ. 3

სადაც I₁ სიმბოლოები მონიშნავენ შესაბამის “ფენებს” და ამგვარად აღნიშნავენ სათანადო როლის “დისტანციას” ცენტრალური სტრუქტურის (Core) ბირთვითან (გაკეთდა). ამავე დროს, მე-3 პირის მონაწილეთა გამოტოვება აჩენს ელიპსის შთაბეჭდილებას, პირველ რიგში, იმ კონტექსტში, სადაც ზმნა თავისი აფიქსებით ექსპლიციტურად მიმართავს მონაწილეს:

ააშენა სახლი: აუშენდა [სახლი] ...

ზემოთ მოყვანილი ნახაზები (ნახ. 1-3) მარტივი წინადადების “შუაგულ” სტრუქტურას ასახავს. კერძოდ, ბოლო ნახაზში (ნახ. 3) ეს კომპონენტი დაყოფილია “ფენებად” – I₀, I₁, I₂. ამგვარი “ფენოვანი” სტრუქტურა წინადადების “პერიფერიაშიც” (ცენტრალურ “გარემოებებში”) ჩნდება, თუკი შევეცდებით პერიფერიული როლების დახარისხებას როლებრივი სტრუქტურის ცენტრალურ (Core) კომპონენტთან მათი დამოკიდებულების დონის და სიახლოვის მიხედვით. როლების თვალსაზრისით ორ კომპონენტს (“შუაგული”, “პერიფერია”) შორის დისტანცია ფასდება იმის მიხედვით, რამდენად შესაძლებელია ამა თუ იმ პერიფერიული როლის გადანაცვლება ცენტრალურ სტრუქტურაში, ანუ სინონიმური წინადადების ჩამოყალიბება, რომელშიც პერიფერიული როლი თავისი სემანტიკური არსის შენარჩუნებით ცენტრალური როლის სტატუსს იძენს:

ამ დანით (I) პური (OB) კარგად დაიჭრა → ამ დანამ (AG) კარგად დაჭრა პური (OB).
სიმბოლო I – “ინსტრუმენტი” პერიფერიულ როლს გულისხმობს. ანალოგიური, ან ყოველ შემთხვევაში, კვაზისინონიმური გარდაქმნები შესაძლებელია ისეთი პერიფერიული როლებისთვისაც, როგორცაა “მიზეზი/საბაბი” (C) და “მიზანი/შედეგი” (R):

მან შეწვევტა ვარჯიში (OB) ტრამვის გამო (C) → ტრამვამ (CS) შეაწვევტინა მას (AG) ვარჯიში (OB);

მიუეახლოვდით გამარჯვებას/წარმატებას (AD) → ახლოს ვართ გამარჯვებასთან/წარმატებასთან (R).

ბოლო ნიმუში წარმოდგენილია კვაზი-სინონიმური გარდაქმნით, თუმცა, ფორმალური განსხვავების მიუხედავად, AD და R როლების შინაგანი სემანტიკური მსგავსება ეჭვს არ უნდა იწვევდეს. სწორედ ეს შინაგანი მსგავსება, როგორც ჩანს, განაპირობებს ზემოთ მოყვანილ ნიმუშში გამოვლენილ მჭიდრო კავშირს წინა ორი წყვილის წევრებს შორის, სახელდობრ, R-სა და AD-ს, ერთი მხრივ, და I-სა და AG-ს შორის, მეორე მხრივ.


ამ მიმართებების შესაბამისად შეიძლება დავადგინოთ გარკვეული კორელაცია უკვე განხილულ პერიფერიულ როლებს (C, I, R) და ზემოთ ჩამოყალიბებულ მონაწილეთა ჯაჭვს (Actor Chain) შორის, რის შედეგადაც მივიღებთ შესაბამისი პერიფერიული როლების შემდეგ ჯაჭვს:

$$C \rightarrow I \rightarrow R,$$

დომელიც, საწყისი (ცენტრალური) როლების ჯაჭვის მსგავსად, ასოცირდება სუპერ-პარადიგმის ვირტუალური გლობალური პროცესის დასაწყისთან, ანუ მის მიზეზთან (CS, R), განვითარებასთან (AG, I) და დასასრულთან, ანუ მიზანთან (AD, R).

ცენტრალური სტრუქტურის როლებთან სწორედ ამისთანა სიდრმისეული შინაარსობრივი კორელაციის არარსებობა “აქვეითებს” ორი დანარჩენი, თავისთავად საკმაოდ მნიშვნელოვანი, პერიფერიული როლის დონეს, ეს როლებია “დრო” (T) და “ადგილი” (L), რომლებიც განსაზღვრავენ “როდის” და “სად” აქვს/ჰქონდა/ექნება ადგილი სიტუაციას, გლობალურ ვირტუალურ პროცესს/მდგომარეობას, რომელსაც გამოსატყვევ მსცემული სუპერ-პარადიგმას წევრი პარადიგმები.

ზემოთ აღნიშნული მოსაზრებების საფუძველზე პერიფერიას შეიძლება მივანიჭოთ ზოგადი “ფენოვანი” სტრუქტურა:



ნახ. 4

კონსტრუქციასთან წინააღმდეგობაში არ მოდის, რომ ზოგ კონტექსტში T და L თითქოს ენაცვლებიან, პირველ რიგში, OB როლს:

*მახსენდება ის დილა;
მომწონს შატელი.*

ორივე შემთხვევაში სიდრმისეული თვალსაზრისით საქმე გვაქვს არა დროისა და ადგილის პუნქტების ხსენებასთან, არამედ ამ პუნქტებთან დაკავშირებულ რაღაცასთან, რაც ამ კონტექსტში წარმოადგენს მათ შინაარსს, მათ სიდრმისეულ სემანტიკას: კერძოდ, მოცემულ ნიმუშებში ეს უნდა იყოს “მოგონებებისა” და “შთაბეჭდილებების” მეტაფორები და არა “ქრონომეტრული გეოდეზიური” მონაცემები, რომლებიც კონტექსტში ვლინდება:

გუშინ (T) ვერის ბაღში (L) შემხვდა ერთი ძველი ნაცნობი (OB).

ბოლო ორი სქემის (ნახ. 3,4) ჯამი იძლევა მარტივი წინადადების როლებრივი სტრუქტურის “შიშველ ჩონჩხს”. მისი “ხორცშესხმა” იმის გათვალისწინებას მოითხოვს, რომ ამ სქემის კვანძები სინამდვილეში შევსებული უნდა იყოს არა V, N_i სიმბოლიკით, არამედ – VP, NP_i. ანუ რეალურად ისინი შესაბამისი ზმნური (VP) თუ სახელური (NP_i) ფრაზებია, რომლებსაც საკუთარი როლებრივი სტრუქტურა გააჩნიათ.

ეს სტრუქტურები წინადადების ზოგადი როლებრივი სტრუქტურის განუყრელი ნაწილია. ამის მიუხედავად, ამ ასპექტს დღემდე ნაკლები ყურადღება ექცეოდა, რაც, შესაძლოა, საკითხის სირთულით იყოს გაპირობებული. უკანასკნელი გარემოების გამო პრობლემის გადასაწყვეტად შევეცდებით მხოლოდ გარკვეული ვარაუდების ჩამოყალიბებას.

[4]-ის თანახმად, “ფრაზების” (VP, NP) სტრუქტურას გარკვეული ანალოგია გააჩნია მარტივი წინადადების მთლიან სტრუქტურასთან და, პირველ რიგში, მის “ჩონჩხთან”, რომელიც წარმოდგენილია (ნახ. 3, 4)-ით. მათი სტრუქტურის “ბირთვის”, ანუ “თავს” (Head) ამ შემთხვევაში წარმოადგენს (V, N) კომპონენტი, რომელიც უშუალოდ ჩართულია “ჩონჩხის” სქემაში, სადაც რომელიმე სემანტიკურ როლს (CS, AG, OB, AD) ასრულებს.

ფრაზების ყველაზე ზოგად სემანტიკური თვისებაა მისი კომპონენტების მიერ “ბირთვის” ამა თუ იმ მახასიათებლის გამოხატვა და ამგვარად მისი ატრიბუტების (A) როლის შესრულება. ასე, მაგალითად, ამ მიმართების უმარტივეს ნიმუშს წარმოადგენს სიტყვაშენაერთები:

ღამაზი გოგო/მალაღი ბიჭი / საინტერესო წიგნი/ახალი ფეხსაცმელი და მრ. სხვა.

სიტყვაშენაერთების სინონიმურ კონსტრუქციებად გვევლინება:

გოგო ღამაზია/ბიჭი მალაღია/ ...

რომლებიც დასრულებულ გამონათქვამებს წარმოადგენენ.

ამგვარი სინონიმური ტრანსფორმაციების საშუალებით შესაძლებელია გავაფართოვოთ და ამავე დროს გავამარტივოთ ისეთი გამონათქვამის სტრუქტურა, როგორიცაა, მაგალითად:

გუშინ (T) [მე (AG)] გავიცანი ღამაზი (A) გოგო (OB) → გუშინ (T) გავიცანი [მე (AG)] გოგო (OB) + გოგო (OB) ღამაზია (A).

ეს ძირითადი კომბინაცია

ზედსართავი + არსებითი,

ყოველთვის ექვემდებარება ასეთ ტრანსფორმაციას, მაგრამ სხვა გაფორმების შემთხვევაში ზოგჯერ გარკვეული გართულებები ჩნდება.

ასე, მაგალითად,

N_გ+N

ანუ არსებითი ნათესაობით ბრუნვაში (N_გ) და სხვა არსებითი ნებისმიერ ბრუნვაში (N) ხშირად ქმნის “ფრაზას” (NP), რომელიც “არაცალსახა” მიმართებას გამოხატავს მის წევრებს შორის, რასაც მოჰყვება სხვადასხვა სახის ტრანსფორმაციების აუცილებლობა:


ვიყიდე ხის სახლი; გავაქირავე მამის სახლი; აღვადგინე კულტურის სახლი; ...

პირველ შემთხვევაში მიმართება შეიძლება დავახასიათოთ როგორც “მასალა” (“ხის მასალით აშენდა”), მეორე ნიმუშში – როგორც “კუთვნილება” (“მამას ეკუთვნოდა”), ბოლო მიმართება კი არის “დანიშნულება” (კულტურისთვის დანიშნული/გამიზნული).

მიმღეობა უშუალოდ საწყის ტექსტშიც შეიძლება იყოს ასახული:

... ღია ფანჯარასთან (L) დვას ძვირფასი ბეწვის ქურქში ჩაცმული ქალბატონი;

ამ ნაწევრის სტრუქტურა შეიძლება ავსახოთ სქემით:



ნახ.5

- S₁: ... აცვია ქურქი (→ S₂);
- S₂: ... შეკერილია ბეწვისგან (→ S₃);
- S₃: ... ძვირფასია;
- S₄: ... ღიაა;

შინაარსის ასეთ დანაწევრებულ წარმოდგენას ის უპირატესობა გააჩნია, რომ მან შეიძლება უზრუნველყოს საფუძველი ამ შინაარსის სხვადასხვა სინონიმური ან კვაზი-სინონიმური წარმოდგენისთვის. კერძოდ, ისეთი წარმოდგენისთვისაც, რომელიც იმეორებს სიტუაციის ყველა დეტალს, თუმცა თითოეულ მათგანს ასახავს ცალკე გამოყოფილ დამოუკიდებელ გამონათქვამში:

ფანჯარასთან დგას ქალი (S₀). ფანჯარა ღიაა (S₄). ქალს აცვია ქურქი (S₂). ქურქი ბეწვისაა (S₃) [თანაც] ძვირფასი ბეწვისა (S₃).

ქართული წინადადების როლებრივი სტრუქტურა

ბ. ჩიკოიძე

რეზიუმე

ნაშრომში მოცემულია ქართული მარტივი წინადადების როლებრივი სტრუქტურის განსაზღვრა. სტრუქტურის მთავარი კომპონენტებია წინადადების ცენტრალური სტრუქტურა (Core) და პერიფერია, რომლებიც, ამავე დროს, დაყოფილია “ფენებად” (layers). მათი თანმიმდევრობა ასახავს შესაბამის სემანტიკურ კავშირს, ანუ მათ “სიახლოვეს” სტრუქტურის ბირთვთან, რომელსაც ზმნა წარმოადგენს.

როლებრივი სტრუქტურის მთავარ ღირსებად (სინტაქსურ სტრუქტურასთან შედარებით) უნდა ჩაითვალოს მისი უფრო მჭიდრო კავშირი შინაარსთან.

THE ROLE STRUCTURE OF GEORGIAN SENTENCE

G. CHIKOIDZE

Summary

The paper presents some schemes of role structure for Georgian simple sentence. The main components of this scheme are its core with its Nucleus (verb) and the Periphery, which includes such characteristics of situation, expressed by the utterance, as Instrument, Time, Place and so on. The both main components have the “layered structure”, and the order of these layers is defined by the degree of “nearness” to the verb, that is to the Nucleus of the Core.

The essential advantage of the role structure is its immediate relative unite the meaning of utterance differently from traditional and syntax, it defines the semantic functions of meaning components and unites there in one system.

РОЛЕВЫЕ СТРУКТУРЫ ГРУЗИНСКОГО ПРЕДЛОЖЕНИЯ

Г. ЧИКОИДZE

Резюме

Представлен набросок ролевой структуры простого грузинского предложения. Основными ее составляющими являются центральный компонент (Core) и «периферия», разделенные на слои (layers), последовательность которых зависит от степени близости к ядру центрального компонента к глаголу.

Достоинством этой структуры является то, что она (по сравнению с синтаксисом) представляет собой дополнительный шаг к сближению с содержанием, смыслом высказывания.

ლიტერატურა – REFERENCES - ЛИТЕРАТУРА

1. Чикойдзе Г. 2010. Систематизация значений некоторых классов языковых единиц. Институт Систем Управления им. Элиашвили, Тбилиси (монография);
2. Chikoidze G. The “Regular” Type of Georgian verbal super-paradigm. Bulletin of the Georgian National Academy of Sciences, vol. 6, no. 3, pp.145-153, 2012;
3. Fillmore 1968. The Case for Case. In “Universals of Linguistic Theory”, Edited by Emmon Bach and Robert T. Harris, University of Texas at Austin;
4. Van Valin et al. 1997. Co-author: R.J. Lapolla. Syntax. Structure, Meaning and Function. Cambridge University Press.

საერთაშორისო სტანდარტი EAGLES ქართული ტექსტური კორპუსის ანოტირებისთვის

ლ. ლორთქიფანიძე, ნ. ჯავაშვილი

L_lordkipanidze@yahoo.com, ninojavashvili@yahoo.com

ტექსტური კორპუსები. თანამედროვე ენათმეცნიერებაში კომპიუტერული ლინგვისტიკის სფეროში მტკიცედ დამკვიდრდა ახალი დარგი – კორპუსის ლინგვისტიკა, რომლის ძირითადი ცოდნის ბაზა არის ტექსტური კორპუსი. კორპუსი არის დიდი მოცულობის ელექტრონულ ტექსტებზე დაფუძნებული სტრუქტურირებული საინფორმაციო-საცნობარო სისტემა. მსოფლიოს მრავალ ქვეყანას უკვე შექმნილი აქვს თავისი ნაციონალური კორპუსები. საყოველთაოდ ცნობილია ბრიტანული ნაციონალური კორპუსი British National Corpus (BNC) [1], რომელზეც ორიენტირებულია ბევრი თანამედროვე კორპუსი: ჩეხური – The Czech National Corpus (CNC) [2], რუსული – Национальный корпус русского языка [3] და სხვა ენის კორპუსები. პირველი ნაბიჯებია გადადგმული ქართული კორპუსების შესაქმნელად. დღეისთვის არსებობს: TITUS-ARMAZI [4], თანამედროვე ქართული ენის კორპუსი – GEKKO [5], საქართველოს ლინგვისტური პორტრეტი – ქართული დიალექტური კორპუსი [6].

ნაციონალური კორპუსების მთავარი დანიშნულებაა ენის ლექსიკასა და გრამატიკაში სამეცნიერო კვლევების უზრუნველყოფა, ასევე ენაში უწყვეტად მიმდინარე პროცესების შესწავლა-დაფიქსირება. კორპუსის ერთ-ერთი ძირითადი ამოცანაა, აგრეთვე, ენის შესახებ ყოველგვარი (ლექსიკური, გრამატიკული, ისტორიული) ცნობების წარმოდგენა. სხვა ელექტრონული ტექსტებისაგან განსხვავებით, კორპუსი შეიცავს მნიშვნელოვან განმარტებით, ლინგვისტურ ინფორმაციას მასში შემავალი ტექსტების შესახებ.

კორპუსის ანოტირება. ზოგადად, ანოტაცია მოიცავს ტექსტის ენის შესახებ ნებისმიერი სახის ანალიტიკურ ინფორმაციას. ცნობილია ანოტაციის რამდენიმე ტიპი: მორფოსინტაქტიკური, სინტაქსური, სემანტიკური, დისკურსული და ლემატური. უფრო ხშირად გამოიყენება მორფოსინტაქტიკური (თითოეული სიტყვის გრამატიკული კლასის განმსაზღვრელი) და სინტაქტიკური (წინადადების სინტაქსური სტრუქტურის განმსაზღვრელი) ანოტაციები. კორპუსის ანოტირება ტექსტური კორპუსისთვის განმარტებით, განსაკუთრებით ლინგვისტური, ინფორმაციის დამატებას წარმოადგენს, რომელიც კოდირების საშუალებით თვით ტექსტის ელექტრონულ აღწერას ემატება. კორპუსის ანოტირების ტიპურ შემთხვევაში მორფოსინტაქტიკური ანოტაციის (მას ასევე გრამატიკულ ტეგირებასაც უწოდებენ) საშუალებით იარლიყი ან ტეგი დაკავშირებულია ტექსტში თითოეული სიტყვის ტოკენტან მისი გრამატიკული კლასიფიკაციის აღსანიშნად. ანოტირების მარტივი მაგალითია ტექსტის ტეგირება მეტყველების ნაწილების ან გრამატიკული კატეგორიების მიხედვით, სადაც თითოეულ სიტყვასთან პირველ შემთხვევაში მითითებულია ინფორმაცია მეტყველების ნაწილის შესახებ (სახელი, ზმნა, ზედსართავი სახელი და ა.შ.), მეორე შემთხვევაში კი გრამატიკული კატეგორიის შესახებ (ბრუნვა, პირი, რიცხვი, გვარი და ა.შ.). ანოტირების შედეგად შესაძლებელია ტექსტზე ნებისმიერი ტიპის ანალიტიკური ინფორმაციის მიღება.

სტანდარტიზაცია. არსებობს მრავალი საერთაშორისო პროექტი, რომელთა მიზანია ენობრივი კორპუსების კოდირებისა და დამუშავებისთვის სტანდარტებისა და ინსტრუქციების ჩამოყალიბება, აგრეთვე, ამ სტანდარტების განსახორციელებლად ენობრივი რესურსების, ტექსტური კორპუსების და სხვა საშუალებების განვითარება. ფართოდ გავრცელებულია კოდირების საერთაშორისო სტანდარტები: Text Encoding Initiative (TEI) (ბრიტანული კორპუსი კოდირებულია ამ სტანდარტით), The Corpus Encoding Standard (CES), International Organization for Standardization (ISO), Expert Advisory Group on Language Engineering Standards (EAGLES), Multilingual Text Tools and Corpora (Multext) და სხვ. სტანდარტიზაციის მთავარი შედეგი არის კომპიუტერისთვის გასაგები ტექსტის კოდირების მეთოდების განმსაზღვრელი პრინციპების ჩამოყალიბება.

გარკვეული სახის სტანდარტიზაცია გადაუდებელი ამოცანაა, განსაკუთრებით მორფოსინტაქტიკური ანოტაციის სფეროში. ამ მხრივ ბევრი სამუშაოა ჩატარებული და მორფოსინტაქტიკური ტეგირება უკვე მრავალი ენისთვის არსებობს. ანოტირებული კორპუსების ურთიერთთავსებადობისა და მათი განმეორებითი გამოყენების ინტერესებიდან გამომდინარე, უფრო კი მრავალენოვანი კორპუსების განვითარებისთვის, მნიშვნე-

ლოვანია ტეგირების პროცესში თავისუფალი ჩართულობის პრაქტიკის თავის არიდება. მეორე მხრივ, მკაცრი სტანდარტიზაცია დიდ სიფრთხილეს მოითხოვს, ვინაიდან ანოტირებისას სხვადასხვაგვარი სახის მოთხოვნები და შეზღუდვები ჩნდება. სტანდარტული სპეციფიკატორების შეთავაზება მნიშვნელოვანია, თუ ენაში მისი მიღება-შეთვისება შესაძლებელია და სტანდარტის უარყოფის მიზეზი არ არსებობს.

გასათვალისწინებელია მიღებული სტანდარტის გვერდის ავლის აუცილებლობაც. ზოგჯერ ენის სპეციფიკა მოითხოვს მახასიათებლების გაფართოებას და ერთი და იმავე მნიშვნელობის განსხვავებული კუთხით წარმოჩენას. ანოტირების სტანდარტებისთვის ძალიან მკაცრი ნორმატიული რეცეპტები არ არსებობს, ხშირად შეიძლება მხოლოდ მითითება სტანდარტზე. ანოტატორს კონკრეტული მიზნებისთვის შეუძლია მიზანშეწონილად მიიჩნიოს და გააფართოოს მახასიათებელთა სიმრავლე.

სტანდარტი EAGLES (Expert Advisory Group on Language Engineering Standards) [7]

ეს სტანდარტი ლინგვისტური კვლევებისა და ტექნიკური პროგრამის ფარგლებში ევროპული კომისიის ინიციატივაა, რომლის მიზანია სტანდარტების წარმოდგენა უზარმაზარი ტექსტური რესურსებისთვის, როგორცაა მაგალითად, კომპიუტერული ლექსიკონები, ტექსტური და სამეტყველო კორპუსები.

ანოტაციის ყველაზე ჩვეულებრივი ასპექტი არის ამა თუ იმ ენობრივი მოვლენის კოდირებული მახასიათებლებით წარმოდგენა. რომელიმე ენობრივი მოვლენის კოდირებისთვის ნებისმიერი მეთოდი არის თავისუფალი და შესაძლებელია მისი ავტომატურად კონვერტირება. აღნიშნები უნდა იყოს კომპაქტური, ადვილად წასაკითხი და იოლად გამოსაყენებელი. თუმცა, სასურველია, ლოკალური ენობრივი მახასიათებლები თავსებადი იყოს EAGLES სტანდარტებთან შუალედური ტეგების საშუალებით.

ლინგვისტური კატეგორიების/სტრუქტურების საერთო სტანდარტების სპეციფიკაცია საკმაოდ რთულია. ეს შეიძლება ნაკლებად პრობლემური იყოს სახელისთვის ან წინდებუდიანი ფრაზებისთვის (Prepositional Phrase), რომლებიც თავისი მოცულობით უზარმაზარი კატეგორიებია. მორფოსინტაქტიკური ტეგირების დონე სტანდარტიზაციის ხარისხებს შორის ერთ-ერთი ყველაზე მოსახერხებელია და მასზე საერთო სტანდარტების დაფუძნება ძალზე საჭირო და მნიშვნელოვანია.

მორფოსინტაქტიკური ტეგების მნიშვნელობის მიხედვით სიტყვის კატეგორიების აღწერაში ცნობილია შეზღუდვების ოთხი დონე:

- სავალდებულო მახასიათებლები/მნიშვნელობები;**
- რეკომენდებული მახასიათებლები/მნიშვნელობები;**
- სპეციალური გაფართოებები** – დამატებითი საერთო მახასიათებლები/მნიშვნელობები;
- სპეციალური გაფართოებები** – ენისთვის სპეციფიკური დამატებითი მახასიათებლები/მნიშვნელობები.

სავალდებულო მახასიათებლები/მნიშვნელობები ნებისმიერი მორფოსინტაქტიკური ტეგების სიმრავლეში უნდა შედიოდეს. ძირითადად, სავალდებულო მახასიათებლები მეტყველების ნაწილებია.

- | | | |
|------------------------------|------------------|----------------------------|
| 1. N [არსებითი სახელი]; | 2. V [ზმნა]; | 3. AJ [ზედსართავი სახელი]; |
| 4. PD [ნაცვალსახს./დეტერმ.]; | 5. AT [არტიკლი]; | 6. AV [ზმნიზედა]; |
| 7. AP [თანდებული]; | 8. C [კავშირი]; | 9. NU [რიცხვითი სახელი]; |
| 10. I [შორისდებული]; | 11. U [უნიკუმი]; | 12. R [განუმარტავი]; |
| 13. PU [პუნქტუაცია]; | | |

პირველი ათი მეტყველების ნაწილი კომენტარს არ საჭიროებს, რაც შეეხება ბოლო სამს: U სიდიდეში (11) იგულისხმება მახასიათებლები, რომლებიც იშვიათად იხმარება ან მხოლოდ მცირე ჯგუფისთვის არის განკუთვნილი; R (12) მოიცავს სიტყვებს, რომლებიც ტრადიციულ გრამატიკულ კლასებს არ მიეკუთვნება (უცხო სიტყვები, მათემატიკური ფორმულები, აკრონიმები, სიმბოლოები, აბრევიატურა და ა.შ.) და რომელთა ტეგირებაც აგრეთვე საჭიროა; PU (13) – პუნქტუაციის ნიშნები აქ განიხილება მორფოსინტაქტიკური ანოტაციის ნაწილად, რადგანაც ტეგების ავტომატურად მონიშნისთვის მათ ხშირად სიტყვის ექვივალენტად აღიქვამენ.

რეკომენდებული მახასიათებლები/მნიშვნელობები ფართოდ გავრცელებული გრამატიკული კატეგორიებია, რომლებიც ყველა ჩვეულებრივ გრამატიკაში გვხვდება (პირი, რიცხვი, სქესი).

შენიშვნა: შეზღუდვებში მოცემული სპეციალური გაფართოებები ფაქტობრივად დამატებითი მახასიათებლებია, რომლებიც მიღებულია ორი შეზღუდვის – საერთო და ენისთვის სპეციფიკური მახასიათებლების – გაერთიანებით. **საერთო მახასიათებლების/ მნიშვნელობების** კოდირება, როგორც წესი, არ ხდება ხოლმე, მაგრამ მოთხოვნილებების გათვალისწინებით შესაძლებელია მათი დამატება. ზოგი მათგანი სცილდება მორფოსინტაქტიკურ გარემოს და უფრო სინტაქსის ან სემანტიკისკენ იხრება. **ენის სპეციფიკური მახასიათებლები** კი შეიძლება კონკრეტული ენისთვის იყოს მნიშვნელოვანი, მაგრამ არა ენათა უმრავლესობისთვის. EAGLES სტანდარტი მხარს არ უჭერს სპეციალურ მახასიათებლებს, მაგრამ წარმოადგენს როგორც საილუსტრაციო სიდიდეებს.

საერთო სურათი უფრო თვალსაჩინო რომ ვახდეს, სტატიაში სპეციალურ გაფართოებებს რეკომენდებულ მახასიათებლებთან ერთად ერთი ხაზის გამოტოვებით წარმოადგენთ სათანადო მითითებებით. ქართულ მორფოლოგიურ მახასიათებლებს, რომლებიც სტანდარტებში, რასაკვირველია, გათვალისწინებული არ არის და ანოტაციისთვის საჭიროდ მიგვაჩნია, EAGLES სტანდარტთან მისადაგებით ცხრილებში დახრილი და მუქი შრიფტით არის მოცემული. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ცხრილებში მოყვანილი ქართული მახასიათებლები მთლიანად ქართულ მორფოლოგიურ მახასიათებლებს არ ამოწურავს. აქ განიხილება მხოლოდ ისინი, რომლებიც გამოყენებულია სტატიის ავტორთა (თანაავტორებთან ერთად) მიერ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინანსებული პროექტის “ავტომატური განმარტებით-კომპინატორული ლექსიკონი როგორც ქართული ენის მოდელირების საფუძველი” ფარგლებში შექმნილი ქართული ენის კომპიუტერული მორფოლოგიური პროცესორისთვის, რომლის საშუალებითაც გაკეთდება ქართული ტექსტების ანოტაცია.

რეკომენდებულ მახასიათებლებში მეტყველების ნაწილთა სახელების ნომრები სავალდებულო კატეგორიებში მითითებულ ნომრებს ეთანადება. თითოეული მახასიათებლის მნიშვნელობები არ წარმოადგენს დახურულ სიმრავლეს და სხვადასხვა ენის თვისებების შესაბამისად შესაძლებელია მათი გაფართოება. ყოველი მახასიათებლისთვის 0 აღნიშნავს კონკრეტულ ენაში ამ სპეციფიკატორის არარსებობას. რეკომენდებული მახასიათებლების/მნიშვნელობებისთვის სტანდარტი არის ის, რომ თუ ეს მახასიათებელი კონკრეტულ ენაში არსებობს, მაშინ სასურველია, ამ ენის ტეგების სიმრავლემ (tagset) მისი კოდირება შექმლოს.

1. Nouns (N) – არსებითი სახელი

| | | | | | | |
|-------|---------|---------------|----------------|-------------|---------------|-------------|
| (i) | ტიპი: | 1. საზოგადო | 2. საკუთარი | | | |
| (ii) | სქესი: | 1. მამრობითი | 2. მდედრობითი | 3. საშუალო | | |
| (iii) | რიცხვი: | 1. მსოფლობითი | 2. მრავლობითი | | | |
| (iv) | ბრუნვა: | 1. სახელობითი | 2. ნათესაობითი | 3. მიცემითი | 4. ბრალდებითი | 5. წოდებითი |

[სპეციფიკური დამატებითი მახასიათებლები/მნიშვნელობები]

| | | | | | | |
|--------|----------------------------|--------------------------|---------------------------|------------------------------|--------------------------------|-----------------------------------|
| (i) | ტიპი: | 3.სულიერი | 4. უსულო | | | |
| (iv) | ბრუნვა: | 6.მოთხრობითი | 7.მოქმედებითი | 8.ვითარებითი | | |
| (v) | თვლადობა: | 1.თვლადი | 2. უთვლადი | | | |
| (vi) | ფუძის ტიპი: | 1.ხმოვან-ფუძიანი კვეცადი | 2.ხმოვან-ფუძიანი უკვეცადი | 3.თანხმოვან-ფუძიანი კუმშვადი | 4. თანხმოვან-ფუძიანი უკუმშვადი | 5. ხმოვან-ფუძიანი კუმშვად-კვეცადი |
| (vii) | სულ.ტიპი | 1.სულიერი | 2. უსულო | | | |
| (viii) | ვინ-რა ჯგ. | 1. ვინ ჯგუფი | 2. რა ჯგუფი | | | |
| (ix) | ჯგუფები შინაარსის მიხედვით | 1. კრებითი | 2.ნივთიერებათა | 3.რელიგიური | 4.გეოგრაფიული | 5.ერთეული პიროვნება |

[დამატებითი საერთო მახასიათებლები/მნიშვნელობები]

| | | | | | |
|------|-----------------|-----------------|------------------|-------------------|------------|
| (vi) | განსაზღვრულობა: | 1. განსაზღვრული | 2. განუსაზღვრელი | 3. არამარკირებული | [დანიურში] |
|------|-----------------|-----------------|------------------|-------------------|------------|

2. Verbs (V) – ზმნა

| | | | | | |
|--------|-------------------|----------------|----------------|---------------|-------------|
| (i) | პირი: | 1. პირველი | 2. მეორე | 3. მესამე | |
| (ii) | სქესი: | 1. მამრობითი | 2. მდედრობითი | 3. საშუალო | |
| (iii) | რიცხვი: | 1. მხოლოდობითი | 2. მრავლობითი | | |
| (iv) | ასპექტი: | 1. სრული | 2. უსრული | | |
| (v) | ზმნის ფორმა/კილო: | 1. თხრობითი | 2. კავშირებითი | 3. ბრძანებითი | 4. პირობითი |
| | | 5. ინფინიტივი | 6. მიმღეობა | 7. გერუნდივი | 8. სუპინუმი |
| (vi) | დრო: | 1. აწმყო | 2. უსრული | 3. მომავალი | 4. ნამყო |
| (vii) | გვარი: | 1. მოქმედებითი | 2. ვნებითი | | |
| (viii) | სტატუსი: | 1. ძირითადი | 2. დამხმარე | | |

(v) სპეციფიკატორი ორი ნაწილისგან შედგება, რადგანაც სხვადასხვა ენაში კილოს ხმარების განსხვავებული ტრადიციებია. 1-4 სრული ზმნებია, 5-8 – უსრული.

(vii) (გვარი) ეხება მორფოლოგიურად კოდირებულ პასივს, მაგ. დანიურში და ბერძნულში. სადაც პასივი ერთზე მეტი ზმნით რეალიზდება, ტეგირება საჭირო არ არის.

იგივე ითქმის რთულ დროზეც (vi). ზოგადად რთული დროები მორფოსინტაქტიკურ დონეზე არ განიხილება, რადგან ერთზე მეტი ზმნის კომბინაცია გაერთიანებულია უფრო დიდ კონსტრუქციაში.

[სპეციფიკური დამატებითი მახასიათებლები/მნიშვნელობები]

| | | | | | |
|--------|---------------|----------------------|---------------------|--------------------|-------------------|
| (vii) | გვარი: | 3. საშუალო | | | |
| (ix) | ასპექტი: | 1. სრული | 2. უსრული | | |
| (x) | გამოყოფადობა: | 1. გამოყოფობადი | 2. გამოყოფადი | | |
| (xi) | რეფლექსურობა: | 1. რეფლექსური | 2. არარეფლექსური | | |
| (xii) | დამხმარე: | 1. Have | 2. Be | | |
| (xiii) | ქცევა: | 1. საარვისო | 2. სათავისო | 3. სახხვისო | 4. საზედაო |
| (xiv) | კონტაქტი: | 1. უშუალო | 2. შუალობითი | | |
| (xv) | წყობა: | 1. სუბიექტური | 2. ობიექტური | | |

(vii) მახასიათებელი ქართულისთვის შეიძლება გაიყოს მედიოაქტივად და მედიოპასივად.

(ix) მახასიათებელი, ისევე როგორც ქართულისთვის, სხვა ენებისთვისაც არის საჭირო. მაგ. სლავური ენებისთვის, ბერძნულისთვის.

(x) რეფლექსურობა გერმანული რთული ზმნებისთვის, ასევე დანიურსა და ინგლისურში ფრაზული ზმნებისთვის.

(xiii) მახასიათებელს ვერსიის სახელითაც მოიხსენებენ. ქცევა ქართულში მნიშვნელოვანია სუბიექტსა და ობიექტს, ან ობიექტებს შორის კუთვნილება-დანომუხულებს მიხედვით ურთიერთობის გამოხატვის თვალსაზრისით.

(xiv) მახასიათებელი ქართულში გვინგენებს სუბიექტური პირი პირდაპირ ობიექტზე უშუალოდ მოქმედებს თუ სხვა პირის საშუალებით. შუალობით კონტაქტს კაუზატივსაც უწოდებენ. (xiii) და (xiv) მარკერები წარმოქმნის კატეგორიებს მიეკუთვნება.

(xv) დამოკიდებულია იმაზე, მოქმედი პირი სუბიექტურია თუ ობიექტური.

[დამატებითი საერთო მახასიათებლები/მნიშვნელობები]

(xiii) მახასიათებელს შეიძლება დაემატოს მოდალური და დამხმარე ზმნები, ნახევრად-დამხმარე ზმნა, (v)-ში კი – ინგლისური ენისთვის ing-ანი ფორმები.

3. Adjectives (AJ) – ზედსართავი სახელი

| | | | | | |
|-------|----------|----------------|----------------|---------------|---------------|
| (i) | ხარისხი: | 1. დადებითი | 2. უდარებითი | 3. აღმატებითი | |
| (ii) | სქესი: | 1. მამრობითი | 2. მდედრობითი | 3. საშუალო | |
| (iii) | რიცხვი: | 1. მხოლოდობითი | 2. მრავლობითი | | |
| (iv) | ბრუნვა: | 1. სახელობითი | 2. ნათესაობითი | 3. მიცემითი | 4. ბრალდებითი |

[სპეციფიკური დამატებითი მახასიათებლები/მნიშვნელობები]

| | | | | | |
|--------|----------------|-------------------------|----------------------------|----------------------|--------------------|
| (iv) | ბრუნვა: | 6. მოთხრობითი | 7. მოქმედებითი | 8. ვითარებითი | |
| (v) | ფლექსიის ტიპი: | 1. სუსტი-ფლექსია | 2. ძლიერი-ფლექსია | 3. შერეული | |
| (vi) | გამოყენება: | 1. ატრიბუტული | 2. პრედიკატული | | |
| (vii) | NP ფუნქცია: | 1. ცვლილებამდე | 2. ცვლილების მერე | 3. მეთაური ფუნქცია | |
| (viii) | ფუძის ტიპი: | 1. ხმოვანფუძიანი | 2. თანხმოვანფუძიანი | 3. კეცვალი | 4. კუმშვალი |

(v) მახასიათებლის ძლიერი და სუსტი ნიშანი დანიურის, ჰოლანდიურის და გერმანიკული ენებისთვის ზედსართავობრივი ფლექსიის გამომხატველი სიდიდეებია.

(vi) სინტაქსური ატრიბუტი განასხვავებს, მაგალითად ინგლისურში, *main* (ატრიბუტული) და *asleep* (პრედიკატული) მნიშვნელობებს.

(viii) ფუძის ტიპებს ქართულში დიდი მნიშვნელობა აქვს სახელთა ბრუნებისთვის.

4. Pronouns and Determiners (PD) – ნაცვალსახელები და დეტერმინატორები

იმის გამო, რომ ნაცვალსახელებისა და დეტერმინატორების ფუნქციონალური და ფორმალური თვისებები ნაწილობრივ ემთხვევა ხოლმე ერთმანეთს, EAGLES სტანდარტი გარკვეული მოსაზრებების გამო მათ ერთ კატეგორიაში აერთიანებს.

| | | | | | |
|--------|-------------------|-------------------|-----------------|-----------------|----------------|
| (i) | პირი: | 1. პირველი | 2. მეორე | 3. მესამე | |
| (ii) | სქესი: | 1. მამრობითი | 2. მდედრობითი | 3. საშუალო | |
| (iii) | რიცხვი: | 1. მხოლოდობითი | 2. მრავლობითი | | |
| (iv) | კუთვნილება: | 1. მხოლოდობითი | 2. მრავლობითი | | |
| (v) | ბრუნვა: | 1. სახელობითი | 2. ნათესაობითი | 3. მიცემითი | 4. ბრალდებითი |
| | | 5. არანათესაობითი | 6. ირიბი ბრუნვა | | |
| (vi) | კატეგორია: | 1. ნაცვალსახელი | 2. მსაზღვრელი | 3. ორივე | |
| (vii) | ტიპი: | 1. ჩვენებითი | 2. განუსაზღვრ. | 3. კუთვნილებითი | 4. უარყ/რელატ. |
| | | 5. პირის/რეფლექ. | | | |
| (viii) | მსაზღვრელის ტიპი: | 1. ჩვენებითი | 2. განუსაზღვრ. | 3. კუთვნილებითი | 4. უარყ/რელატ. |
| | | 5. მაცალკეებელი | | | |

[სპეციფიკური დამატებითი მახასიათებლები/მნიშვნელობები]

| | | | | | |
|-------|---------|---------------|-------------------------|-----------------|-------------------|
| (v) | ბრუნვა: | 6. მოთხრობითი | 7. მოქმედებითი | 8. ვითარებითი | |
| (vii) | ტიპი: | 6. კითხვითი | 7. კითხვით-კუთვნილებითი | 8. ურთიერთობითი | 9. განსაზღვრებითი |
| | | 10. უარყოფითი | 11. მიმართებითი | | |

[დამატებითი საერთო მახასიათებლები/მნიშვნელობები]

| | | | | |
|------|----------------|--------------|----------------|-------------|
| (ix) | სპეც. ტიპი: | 1. პირის | 2. რეფლექსიური | 3. შერეული |
| (x) | Wh-ტიპი: | 1. უარყოფითი | 2. მიმართებითი | 3. კითხვითი |
| (xi) | ზრდილობიანობა: | 1. თავაზიანი | 2. ფამილარული | |

(xi) მახასიათებელი მეორე პირის ნაცვალსახელებით შემოიფარგლება. იმ ენებში, სადაც თავაზიანობის გამოხატველი ნაცვალსახელები არსებობს (ჰოლანდ. *u* და ესპანური *usted*), დამატებითი მახასიათებელი მოითხოვება.

5. Articles (AT) – არტიკლი

| | | | | | |
|-------|---------|-----------------|------------------|-------------|---------------|
| (i) | ტიპი: | 1. განსაზღვრული | 2. განუსაზღვრელი | | |
| (ii) | სქესი: | 1. მამრობითი | 2. მდედრობითი | 3. საშუალო | |
| (iii) | რიცხვი: | 1. მხოლოდობითი | 2. მრავლობითი | | |
| (iv) | ბრუნვა: | 1. სახელობითი | 2. ნათესაობითი | 3. მიცემითი | 4. ბრალდებითი |

6. Adverbs (AV) – ზმნიზედა

| | | | | |
|-----|----------|-------------|---------------|---------------|
| (i) | ხარისხი: | 1. დადებითი | 2. შედარებითი | 3. აღმატებითი |
|-----|----------|-------------|---------------|---------------|

[სპეციფიკური დამატებითი მახასიათებლები/მნიშვნელობები]

| | | | | | |
|-------|-----------------------------|---------------------|------------------------|------------------------|-----------------------|
| (ii) | ტიპი: | 1. ზოგადი | 2. ხარისხი | | |
| (iii) | საწინააღმდეგო: | 1. Wh-ტიპი | 2. არა-wh-ტიპი | | |
| (iv) | Wh-ტიპი: | 1. უარყოფითი | 2. მიმართებითი | 3. კითხვითი | |
| (v) | ჯგუფები შინაარსის მიხედვით: | 1. ადგილის | 2. დროის | 3. განუსაზღვრ. | 4. კითხვითი |
| | | 5. მიმართებითი | 6. მითითებითი | 7. მიზეზის | 8. რიგობით-ჯერობის |
| | | 9. უარყოფითი | 10. ვითარების | | |
| (vi) | ჯგუფები ფორმის მიხედვით: | 1. მიცემითის ფორმით | 2. ნათესაობითის ფორმით | 3. მოქმედებითის ფორმით | 4. ვითარებითის ფორმით |
| | | 5. სახელის ფუძით | 6. საკუთარი წარმოებით | | |

(ii) მახასიათებელი ზმნიზედის ხარისხის განსხვავების საშუალებას იძლევა, რომელსაც სხვადასხვა სინტაქსური ფუნქცია აქვს (მაგ. *very, so, too*), (iv) მახასიათებელი კი – **Wh-** ან **Qu-** ტიპის (უარყოფითი, მიმართებითი ან კითხვითი) ზმნიზედების მონიშნისა (ინგლისური *when, where, how* და *why*).

(v) და (vi) მარკერები ქართულში ზმნიზედებს განსაზღვრავენ ფორმისა და ფუნქციის მიხედვით.

7. Adpositions (AP) – თანდებული

| | | |
|-----|-------|--------------|
| (i) | ტიპი: | 1. წინდებული |
|-----|-------|--------------|

პრაქტიკულად, უმრავლეს შემთხვევაში, ევროპულ ენებში Adpositions, ანუ ე.წ. მიერთებული პოზიციები, არის თანდებულები. ამიტომ რეკომენდებულ მახასიათებლებში მხოლოდ ეს სიდიდეა მითითებული. დანარჩენები, როგორცაა პოსტპოზიციური (Postpositions) და ცირკუმპოზიციური (Circumpositions), დამატებით მახასიათებლებში განიხილება.

8. Conjunctions (C) – კავშირი

| | | | |
|-----|-------|---------------|---------------------|
| (i) | ტიპი: | 1. მაერთებელი | 2. მაქვემდებარებელი |
|-----|-------|---------------|---------------------|

[დამატებითი საერთო მახასიათებლები/მნიშვნელობები]

| | | | | | |
|------|--------------|--------------------|----------------|------------------|----------------|
| (ii) | მაერთ.-ტიპი: | 1. მარტივი | 2. კორელაციური | 3. საწყისი | 4. მომდევნო |
| | | 5. მაპირისპირებელი | 6. მაჯგუფებელი | 7. მაცალკევებელი | 8. მაიგივებელი |

ეს მახასიათებელი მაერთებელ კავშირს ჰყოფს ქვეჯგუფებად. უფრო ადვილია დაინიშნოს ერთ სიტყვაზე ერთი ტეგი და მერე მოინიშნოს დანარჩენი: მარტივი გამოიყენება რეგულარული ტიპისთვის, მაგ. გერმანული *und*. როდესაც იგივე სიტყვა დგას პირველი კავშირის წინ, მაგ. ფრანგ. *ou...ou...*, წინა მოცემულია როგორც კორელაციური სიდიდე, და მომდევნო – როგორც მარტივი. შესიტყვებაში, როგორცაა გერმანული *weder...noch...*, პირველს ენიჭება საწყისი (Initial) სიდიდე, მეორეს – მომდევნო (Non-initial).

| | | | | | | |
|-------|----------------|----------|------------|---------------|------------------|-------------|
| (iii) | მაქვემდ.-ტიპი: | 1. სრული | 2. უსრული | 3. შედარებითი | [გერმანულისთვის] | |
| | | 4. დროის | 5. მიზეზის | 6. მიზნის | 7. პირობის | 8. დათმობის |

ორივე ტიპის კავშირს (მაერთებელსაც და მაქვემდებარებელსაც) ქართულისთვის დაემატა ქვეჯგუფები. მაქვემდებარებელ კავშირებად ხშირად გამოიყენება მიმართებითი ზმნიშედები და ამიტომ, შესაბამისად, ზმნიშედებივით აქაც შინაარსის მიხედვით იქმნება ქვეჯგუფები.

9. Numerals (NU) – რიცხვითი სახელი

| | | | | | |
|-------|----------|-----------------|----------------|--------------------|---------------|
| (i) | ტიპი: | 1. რაოდენობითი | 2. რიგობითი | 3. წილობითი | |
| (ii) | სქესი: | 1. მამრობითი | 2. მდედრობითი | 3. საშუალო | |
| (iii) | რიცხვი: | 1. მხოლობითი | 2. მრავლობითი | | |
| (iv) | ბრუნვა: | 1. სახელობითი | 2. ნათესაობითი | 3. მიცემითი | 4. ბრალდებითი |
| | | 5. მოთხრობითი | 6. მოქმედებითი | 7. ვითარებითი | 8. მოთხრობითი |
| (v) | ფუნქცია: | 1. ნაცვალსახელი | 2. მსაზღვრელი | 3. ზედსართავი სახ. | |

ზოგ ენაში (მაგალითად პორტუგალიურში) ეს კატეგორია არ განიხილება, როგორც ცალკე მეტყველების ნაწილი, რადგანაც მისი მიკუთვნება შესაძლებელია სხვა მეტყველების ნაწილისადმი (მაგ. რაოდენობითი რიცხვითი სახელი იქცევა ისე, როგორც ნაცვალსახელი, რიგობითი – როგორც ზედსართავი სახელი). EAGLES სტანდარტი აღიარებს, რომ ტეგების ზოგ სიმრავლეში რიცხვითი სახელი შეიძლება მოხდეს როგორც რომელიმე მეტყველების ნაწილის ქვეკატეგორია. ამავე დროს, შესაძლებელია რიცხვითი სახელის კატეგორიაში მისი გამოყენება ზედსართავი სახელის ფუნქციით.

10. Interjections (I) – შორისდებული

EAGLES სტანდარტით რეკომენდებულ მახასიათებლებში ეს ქვეკატეგორია არ არის. ქართულ შორისდებულებს, რომლებიც ჯგუფებად არის დაყოფილი შინაარსის მიხედვით, დამატებით მახასიათებლებში წარმოვადგენთ.

[სპეციფიკური დამატებითი მახასიათებლები/მნიშვნელობები]

| | | | | | |
|-----|-----------------|---------------------------|--------------------------|--------------|-------------------|
| (i) | გრძობათა ჯგუფი: | 1. სიხარული, აღტაცება | 2. მწუხარება | 3. მოწონება | 4. წყენა |
| | | 5. გაკვირვება, გაოცება | 6. ნატვრა | 7. დანანება | 8. გაჯავრება |
| | | 9. გაბრაზება | 10. შეცოდება | 11. ზიზღი | 12. ნიშნის მოგება |
| | | 13. წაქეზება, გამხნეება | 14. ფიცელი | 15. აკრძალვა | 16. შებახილი |
| | | 17. მოკითხვა-გამოთხოვების | 18. სააღერსო, სამადლობლო | 19. მოწოდება | |

11. Unique/Unassigned (U) – უნიკუმი

ქვეკატეგორიები რეკომენდებული არაა, თუმცა, მოსალოდნელია, რომ ტეგების სიმრავლებს ინდივიდუალური ენებისთვის დასჭირდეს ერთწევრიან სიტყვათა ისეთი კლასების ტეგირება, როგორცაა: უარყოფითი ნაწილაკი, ინფინიტივის მარკერი და ა.შ.

12. Residual (R) – დარჩენილი სიტყვები

| | | | | | | |
|-------|---------|-----------------------|---------------|------------|-------------|----------------|
| (i) | ტიპი: | 1. უცხო სიტყვები | 2. ფორმულა | 3. სიმბოლო | 4. აკრონიმი | 5. აბრევიატურა |
| | | 6. არაკლასიფიცირებული | | | | |
| (ii) | რიცხვი: | 1. მსოლობითი | 2. მრავლობითი | | | |
| (iii) | სქესი: | 1. მამრობითი | 2. მდედრობითი | 3. საშუალო | | |

არაკლასიფიცირებულ კატეგორიებში გამოიყენება ტექსტის სიტყვისმაგვარი ნაწილები, რომლებიც ძნელია მიაკუთვნო ზემოაღნიშნულ სიდიდეებს. მიუხედავად იმისა, რომ ამ კატეგორიის სიტყვები ლექსიკონის ბოლოსაა, მათ შეუძლიათ მიიღონ სახელის ზოგი გრამატიკული მახასიათებელი. მაგ. აბრევიატურა *IBM* საკუთარი სახელის მსგავსია; ანბანის ასოები შეიძლება ვარირებდეს რიცხვში (მაგალითად, *How many Ps are there in 'psychopath'?*) და ამით ის საზოგადო სახელს წააგავს. ზოგ ენაში (პორტუგალიურში) ასეთ სიმბოლოებს აქვთ სქესი. სრულიად მართებულია, რომ ტეგირების ზოგ სქემაში სიტყვათა ეს კლასები კლასიფიცირდეს რომელიმე მეტყველების ნაწილის მიხედვით.

13. Punctuation marks (PU) – პუნქტუაციის ნიშნები

თუ მორფოსინტაქტიკური ტეგირებისთვის პუნქტუაციის ნიშნებს სიტყვებად განვიხილავთ, მაშინ თითოეული ძირითადი პუნქტუაციის ნიშნისთვის ზოგჯერ ინიშნება ცალკეული ტეგი.

| | | | | |
|-----|------------------------|----------|-------------------|-----------------|
| (i) | 1. დამთავრ. წინადადება | 2. მძიმე | 3. კითხვის ნიშანი | ... და სხვა ... |
|-----|------------------------|----------|-------------------|-----------------|

ალტერნატიული ვარიანტია პუნქტუაციის ნიშნების პოზიციურ კლასებად დაჯგუფება:

| | | | | |
|-----|----------------|-----------------|---------------------|---------------------|
| (i) | 1. წინად. ბოლო | 2. წინად. შუაში | 3. მარცხენა ფრჩხილი | 4. მარჯვენა ფრჩხილი |
|-----|----------------|-----------------|---------------------|---------------------|

პირველში დაჯგუფებულია ნიშნები: . ? !. მეორეში – , ; : -. მესამეში გაერთიანებულია პუნქტუაციის ნიშნები, რომლებიც მიუთითებენ შემადგენელი ნაწილის დასაწყისს, როგორებიცაა ([და ესპანური ¿. მეოთხეში დაჯგუფებულია დასრულების მიმთითებელი ნიშნები:)] და ესპანური ?. EAGLES სტანდარტი ბოლო ორი სიმრავლისთვის რეკომენდაციას არ იძლევა.

შუალედური ტეგების სიმრავლე

EAGLES სტანდარტის პრინციპები არ ზღუდავს გრამატიკული კატეგორიების წარმოდგენას, მაგრამ მნიშვნელოვანია, რომ ტეგების სიმრავლე მახასიათებლებისთვის/ მნიშვნელობებისთვის ადვილად დასანახი და აღსაქმელი იყოს (თუ შესაძლებელია, ავტომატურადაც), სხვაგვარად რომ ვთქვათ, რუქასავით უნდა იყოს. ეს შესაძლებლობა უნდა ვრცელდებოდეს დამატებით საერთო და ენისთვის სპეციფიკურ მახასიათებლებზეც. ეს თვისება ანოტატორს საშუალებას აძლევს მორფოსინტაქტიკურად ტეგირებულ კორპუსში ინფორმაცია გადასცეს ლექსიკონის მორფოსინტაქტიკურ კომპონენტს.

ტეგების სიმრავლის თვალსაჩინოებისთვის და მისი ქმედუნარიანობის შესამოწმებლად EAGLES სტანდარტი გთავაზობს შუალედური ტეგების სიმრავლეს (Intermediate Tagset). ის გამოიყენება როგორც მახასიათებლების/მნიშვნელობების სიმრავლის შუამავალი ენა, რომელიც სიტყვის კატეგორიზაციას ეყრდნობა. იგი შუალედური ეტაპით არის კორპუსის ანოტაციაში სიტყვისთვის დანიშნულ ტეგსა და ლექსიკონში სიტყვისთვის დანიშნულ ჭდეს შორის. შუალედური ტეგების სიმრავლის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ფუნქცია ისიცაა, რომ ის იყოს გაცვლის ბაზისი სხვადასხვა ლოკალური ტეგების სიმრავლეს შორის გარკვეული ენებისა და გარკვეული კორპუსებისათვის.

შუალედური ტეგების სიმრავლის წარმოდგენა მოსახერხებელია ხაზოვანი მეთოდით, რომელიც შემდეგნაირად არის ჩამოყალიბებული:

1) პირველ ადგილას ლათინური დიდი ასოთი მეტყველების ნაწილის მახასიათებელია წარმოდგენილი ისე, როგორც ეს სავალდებულო მახასიათებლებშია აღნიშნული. მაგ. N (არსებითი სახელი), V (ზმნა), AJ (ზედსართავი სახელი) და ა.შ.

2) მთელი ტეგი წარმოდგენილია როგორც მახასიათებლების რიგი. ყოველი მახასიათებელი (რომაული ციფრებით აღნიშნული (i), (ii), (iii), (iv), ...) ციფრების რიგში გვიჩვენებს პირველ, მეორე, მესამე, მეოთხე, ... ადგილს.

3) თითოეული მახასიათებლის თითოეული მნიშვნელობა წარმოდგენილია არაბული ციფრებით, რომლებიც გამოყენებულია მახასიათებლებში/მნიშვნელობებში. ამგვარად, ციფრების ხაზოვანი ინტერპრეტაცია მეტყველების ნაწილების კატეგორიების მიხედვით იცვლება.

მაგალითები:

- არსებითი სახელი – საზოგადო, მდედრობითი, მრავლობითი, თვლადი – წარმოდგენილი იქნება ასეთი სახით: N122010
- ზმნა – III პირი, მსოფლიოთი რიცხვი, სრული, თხრობითი კილო, წარსული დრო, მოქმედებითი გვარი, არადაამხარე, არაფრაზული, არარეფლექსური – V3011141101200
- ზედსართავი სახელი – შედარებითი ხარისხი – AJ2000000

მახასიათებლის ადგილი 0-ით აღინიშნება მაშინ, თუ ტეგების სიმრავლეში ამ სიტყვისთვის შესაბამისი მნიშვნელობა არ არსებობს. უფრო მარტივად რომ ვთქვათ, სიტყვას ასეთი მახასიათებელი არ აქვს. შესაძლებელია რიგში ბოლო ნულების გამოტოვებაც. მაგ. ზემოთ ნაჩვენები ზედსართავი სახელი მარტივად შეიძლება ასეთი სახით წარმოჩნდეს: AJ2. თუმცა, სიცხადისთვის, ნულების დამატება სასურველია.

ხარვეზი და ორაზროვნობა ტეგირების დროს. ორაზროვნობა და ხარვეზი ორი არასრული მოვლენაა, როდესაც რაღაც გარკვეული ინფორმაცია, რომელიც ტეგების სიმრავლეს შეუძლია გაითვალისწინოს, არ არის გათვალისწინებული. მაგრამ ამ ინფორმაციის არქონის მიზეზი ორივე შემთხვევაში ძალიან განსხვავებულია და მკაფიოდ უნდა განისაზღვროს.

ხარვეზი. ხარვეზი არის მოვლენა (მას ზოგჯერ ნეიტრალიზაციასაც ეძახიან), რომელიც შუალედურ ტეგებში წარმოდგენილია 0-ის გამოყენებით. ეს ნიშნავს, რომ მოცემულ შემთხვევაში მახასიათებლის სხვადასხვა მნიშვნელობებს შორის განსხვავება

არარელევანტურია. ასევე შეიძლება ითქვას, რომ 0-ით მონიშნული კონკრეტული ატრიბუტი განხილვას არ ექვემდებარება. ამისთვის სამი მიზეზი არსებობს:

ენობრივი ხარვეზი:

ენაში მეტყველების ნაწილებთან არ გამოიყენება მახასიათებელი. მაგალითად, ინგლისურში არსებით სახელთან სქესი არ განიხილება. ფრანგულში კი ზედსართავ სახელებთან – ბრუნვა.

ტეგების სიმრავლის ხარვეზი:

მიუხედავად იმისა, რომ არსებობს მეტყველების ნაწილის მახასიათებელი, მის წარმოსადგენად ტეგების სიმრავლე არ არის საკმარისად სტრუქტურირებული. მაგალითად, ინგლისურში კონკრეტულმა ტეგების სიმრავლემ შეიძლება გამოტოვოს ნაცვალსახელებისთვის სქესის (he, she) გამოხატვა.

სიტყვის ხარვეზი:

მახასიათებელი ენაში განიხილება და ტეგების სიმრავლეშიც არის წარმოდგენილი, მაგრამ ის კონკრეტულ სიტყვაზე არ არის მონიშნული, ნეიტრალიზებულია. მაგალითად, ფრანგულში სქესისთვის არ არის განსაზღვრული მრავლობითის არტიკლი les, ასევე გერმანულში ზედსართავი prima განუსაზღვრელია სქესის, ბრუნვისა და რიცხვისთვის.

არსებობს სხვადასხვა თვალსაზრისი, რომ მორფოლოგიურმა დაუნაწევრებლობამ (სინკრეტიზმმა) შეიძლება მიგვიყვანოს სიდიდეების გამოტოვებასთან, ანდა მონაცემები, თუნდაც ისინი მორფოლოგიურად არ იყოს მარკირებული, უნდა განისაზღვროს კონტექსტზე დაყრდნობით. ასევე არსებობს აზრთა სხვადასხვაობა იმის შესახებ, რომ ბინარული მახასიათებლის არამარკირებული სიდიდე მიმართული უნდა იქნეს მარკირებული სიდიდის არქონაზე (მაგალითად, დანიურში ყველა ზმნა, რომელიც არ არის ვნებითი, უნდა მოინიშნოს როგორც მოქმედებითი?).

და მაინც, მნიშვნელოვანია, რომ ხარვეზი, როგორც წესი, ტეგების სიმრავლეში მახასიათებლის ნებისმიერი ინდიკატორის არარსებობით მარტივად მოინიშნება. სხვაგვარად, როგორც შუალედური ტეგების სიმრავლეში, 0 გამოიყენება მახასიათებლის უქონლობის დასადასტურებლად.

ორაზროვნობა. ხარვეზისგან განსხვავებით, ორაზროვნობა ინფორმაციის არქონის მოვლენაა, სადაც არსებობს გაურკვეველობა ორ ან მეტ ალტერნატიულ აღწერას შორის. მორფოსინტაქტიკური ტეგირებისას შეიძლება გამოიყოს ორაზროვნობის ოთხი სხვადასხვა მნიშვნელობა:

გრამატიკული ომონიმია. (ჩამოთვლაში ან სხვა შრიფტი ან რიცხვი ან ორიწერტილი) მაგალითად, ინგლისურ სიტყვას აქვს ხუთი შესაძლებელი ტეგი: თანდებული, ზმნიზედა/ნაწილაკი, ზედსართავი სახელი, არსებითი სახელი ან ზმნა. როგორც წესი, ორაზროვნობის ეს ტიპი ანოტირებულ კორპუსში ვერ მოხვდება, სანამ ორაზროვნობის საკითხი არ გადაიჭრება.

შერეული, კრებითი ტეგები.

დიდ კორპუსებში ტეგირება ავტომატურად ხდება და მთელი კორპუსის რელაქტირების შემდგომი ეტაპის ხელით დამუშავების საჭიროება არ მოითხოვება. ეს შეიძლება პრაქტიკული იყოს იმ შემთხვევაში, როდესაც ერთზე მეტი ტეგის შენახვა ხდება ანოტირებულ კორპუსში, სადაც ავტომატური ტეგირების ალგორითმებში მკაფიოდ არ არის დადასტურებული ორაზროვნობა. მაგალითად, ბრიტანულ კორპუსში ასეთი ტეგების სიმრავლე გამოიყენება ორაზროვნობის ჩასაწერად. ერთ-ერთია ტეგი VVD-VVN, რომელიც აღნიშნავს – ზმნის “ან წარსული დრო, ან წარსული დროის მიმდებარეობა”. შერეული ტეგი გაურკვეველობის ნიშანს იძლევა სათანადო ტეგის შესახებ იმის გამო, რომ ავტომატური დამუშავებისას შეცდომის დაშვება შესაძლებელია. ივარაუდება, რომ მომზადებულ პოსტ-რელაქტორს არ გაუჭირდება ორაზროვნობის საკითხის გადაჭრა.

ორაზროვნობა არაავტომატური ტეგირების დროს.

ორაზროვნობის კიდევ ერთი ტიპი ჩნდება მაშინ, როდესაც ანოტატორი ვერ ირჩევს შესაფერის ტეგს. ამის მიზეზი შეიძლება იყოს:

- ორაზროვნობის მოსახსნელად ვერ შეირჩეს სათანადო კრიტერიუმები;
- ერთსა და იმავე ფაქტზე ორ ან მეტ ანოტატორს განსხვავებული თეორიული შეხედულებები ან მოსაზრებები ჰქონდეთ;

- კატეგორიები არ იყოს მკაფიოდ განსაზღვრული არა ანოტატორის პოზიციიდან გამომდინარე, არამედ თვითონ ლინგვისტური კატეგორიების გამო.

მორფოსინტაქტიკური ტეგების განვითარების თანამედროვე ეტაპზე ასეთი სახის ორაზროვნობის მოხსნას დიდი მნიშვნელობა არ ენიჭება, მაგრამ მომავალში ეს შეიძლება ძალიან მნიშვნელოვანი გახდეს.

წმინდა ტექსტური ორაზროვნობა. იგულისხმება ისეთი შემთხვევები, სადაც ორ ან მეტ მკაფიოდ განსაზღვრულ კატეგორიებს შორის ორაზროვნობის მოსახსნელად ტექსტი საკმარის ინფორმაციას არ იძლევა. მაგალითად, წამოძახილში – Fire! – არ ჩანს ეს სიტყვა ზმნაა თუ სახელი. ასეთ შემთხვევაში ტექსტურ სიტყვას უნდა დაერთოს ერთზე მეტი ტეგი.

მორფოსინტაქტიკურ ანოტაციებში ორაზროვნობის მარკირებას ნაკლები ყურადღება ექცეოდა. EAGLES სტანდარტი რეკომენდაციებს არ იძლევა, მაგრამ საჭიროდ მიიჩნევა, რომ ორაზროვნობის ზემოთ ჩამოთვლილი ყველა ტიპი დამატებითი მარკირებით განსხვავდებოდეს.

მრავალჯერადი ტეგირების პრაქტიკა: ფორმა-ფუნქცია და ლემბატიზაცია. ორაზროვნობა ერთ-ერთი მოვლენაა, რომლისთვისაც ტექსტში ერთი და იმავე სიტყვაფორმისთვის მრავალჯერადი ტეგირება არის საჭირო.

1. ტეგების ფორმა-ფუნქცია:

ზოგჯერ ერთსა და იმავე სიტყვას უნდა დაენიშნოს ორი განსხვავებული ჭდე: ერთი ფორმალური კატეგორიებისთვის, მეორე – ფუნქციონალურისთვის. მაგალითად, სიტყვა ნამყო მიმდებარის ფორმით, მაგრამ ზედსართავი სახელის ფუნქციით; სიტყვა ზედსართავის ფორმით, მაგრამ ზმნიზედის ფუნქციით. შეიძლება დასაბუთება, რომ თითოეულ ამ სიტყვას უნდა დაენიშნოს ორი ტეგი და მკაფიოდ უნდა განისაზღვროს. პრაქტიკულად, აქამდე პრიორიტეტი რატომღაც ენიჭებოდა ერთ-ერთს, ანუ ფუნქციას ეძლეოდა უპირატესობა ფორმასთან შედარებით, ან პირიქით. მოცემული ტეგებისთვის კორპუსმა მკაცრად უნდა განსაზღვროს ასეთი კრიტერიუმების გამოყენება.

2. ლემების ტეგირება:

მორფოსინტაქტიკურად ტეგირებულმა კორპუსმა ტექსტში სიტყვის გრამატიკული ფორმა ლემის აღდგენის ნაცვლად უნდა განსაზღვროს. თუმცა, ლექსიკონსა და კორპუსს შორის ინფორმაციის გაცვლის დროს უფრო მნიშვნელოვანი ლემბატიზაციის ალგორითმი იქნება. ასევე, ანოტაციის ტიპისთვის (განსაკუთრებით სემანტიკური და სინტაქსური წინასწარი ანოტაციების დროს) არის შემთხვევები, რომლებიც თითოეული სიტყვისთვის ტექსტში განსაზღვრავენ ლემას, როგორც გრამატიკულ ფორმას. ლემების ტეგირება, თუ ამ პროცესს ასე შეიძლება დაერქვას, ადრე არ იყო ფართოდ გავრცელებული. საჭიროება თავად განსაზღვრავს ლემის ტეგირებისა და გრამატიკული ფორმის ტეგირების წარმოდგენის საშუალებებს.

მრავალჯერადი მარკირების ორივე შემთხვევაში, ისევე, როგორც ორაზროვნობის ორაზროვნობის დროს, აუცილებელია ერთსა და იმავე სიტყვას დაენიშნოს ერთზე მეტი ტეგი. კორპუსის მრავალჯერ ტეგირების წარმოდგენის შემთხვევაში უპირატესობა ენიჭება ვერტიკალურ ფორმატს. ერთ ანოტირებულ კორპუსში სიტყვის ტეგირების სხვადასხვა კომბინაცია ადვილად გამოსაყენებელია, როდესაც თითოეული ტეგი ვერტიკალურ ტექსტში სხვადასხვა სივრცეში ან სვეტშია განლაგებული.

დასასრულ, ნიმუშად წარმოდგენილია შუალედური ტეგების სიმრავლის საშუალებით აღწერილი ინგლისური და ქართული სიტყვები.

| ტეგი | სიტყვის კატეგორიის აღწერა | მაგალითები | შუალედური ტეგები |
|------|--------------------------------------|------------|------------------|
| AJT | აღმატებითი ხარისხი, ზედსართავი | biggest | AJ30000000 |
| APR | თანდებულები | at, of | AP1 |
| ATD | განსაზღვრული არტიკლი | the | AT1000 |
| CSC | მაკვებდებარებელი კავშირი, შედარებითი | than | C203 |
| DDs | მხოლოდითი, ჩვენებითი ნაცვალსახელი | this, that | PD001002010000 |

| | | | |
|------|--|-------------|------------------|
| DV2 | კუთვნილებითი ნაცვალსახელი, II პირი | your | PD200002030000 |
| NCs | მხოლოდითი, ზოგადი, არსებითი სახელი | book, man | N101000 |
| NPs | მხოლოდითი, საკუთარი სახელი | Mary | N201000 |
| RSYs | სიმბოლო, მხოლოდითი რიცხვი | A, b | R310 |
| UI | ინფინიტივის მარკერი | to (eat) | UI |
| VPM | აწმყო, I პირის ნაცვ., მს.რ. | am | V101111020001 |
| VVN | ნამყო მიმღეობა, ძირითადი ზმნა | eaten, left | V0002640100000 |
| NCs | არს.სახ.,სახოგადო, მს.რ. ნათ.პრ., თვლადი, ხმოვანფუძიანი კვეცადი, უსულო, რა ჯგ. | კაბის | N1012112200000 |
| VP | ზმნა, III პირი, მრ.რ, სრული ასპ., თხრ.კილო, ნამყო, მოქმ.გვ., სასხვ.კცევა, უშუალო კონტ., სუბიექტური წყობა | დაუხატეს | V302114100000311 |

საერთაშორისო სტანდარტი EAGLES ქართული ტექსტური კორპუსის ანოტირებისთვის

ლ. ლორთქიპანიძე, ნ. ჯავაშვილი

რეზიუმე

ტექსტური კორპუსების მთავარი დანიშნულებაა ენის ლექსიკასა და გრამატიკაში სამეცნიერო კვლევების უზრუნველყოფა. კორპუსის ანოტირების შედეგად შესაძლებელია ტექსტის შესახებ ნებისმიერი ტიპის ანალიტიკური ინფორმაციის მიღება. არსებობს მრავალი საერთაშორისო პროექტი, რომელთა მიზანია ენობრივი კორპუსების კოდირებისა და დამუშავებისთვის სტანდარტებისა და ინსტრუქციების ჩამოყალიბება. ერთ-ერთი მათგანია სტანდარტი EAGLES (Expert Advisory Group on Language Engineering Standards), რომელიც ლინგვისტური კვლევებისა და ტექნიკური პროგრამის ფარგლებში ევროპული კომისიის ინიციატივით შეიქმნა. მისი მიზანია სტანდარტების წარმოდგენა უზარმაზარი ტექსტური რესურსებისთვის, როგორცაა კომპიუტერული ლექსიკონები, ტექსტური და სამეტყველო კორპუსები.

ნაშრომში აღწერილია EAGLES სტანდარტის მორფოსინტაქტიკური მახასიათებლები. მოცემული სტანდარტის მიხედვით განხილულია ქართული ტექსტური კორპუსის ანოტირებისთვის საჭირო ქართული მორფოსინტაქტიკური მახასიათებლებიც.

INTERNATIONAL STANDARD “EAGLES” FOR ANNOTATION OF A GEORGIAN TEXT CORPUS

L. LORTKIPANIDZE, N. JAVASHVILI

Summary

The main purpose of text corpora is to provide scientific researches in vocabulary and grammar of language. As a result of corpora annotation, it is possible to get any analytical information about the text. There is a set of the international projects that develop standards and instructions for coding and development of language corpora. One of them is EAGLES standards (Expert Advisory Group on Language Engineering Standards), which is an initiative of the European commission within Linguistic Research and Engineering program. Its aim is to accelerate the provision of standards for very large-scale language resources (such as text corpora, computational lexicons and speech corpora).

Morphosyntactic features of EAGLES standard are described in this article. According to the standard, the Georgian morphosyntactic features, which are necessary for annotation of a Georgian text corpus, are submitted.

МЕЖДУНАРОДНЫЙ СТАНДАРТ EAGLES ДЛЯ АННОТАЦИИ ГРУЗИНСКОГО ТЕКСТОВОГО КОРПУСА

Л. ЛОРТКИПАНИДЗЕ, Н. ДЖАВАШВИЛИ

Резюме

Главное назначение текстовых корпусов обеспечивать научные исследования в лексике и грамматике языка. В результате аннотирования корпуса, возможно, получить любую аналитическую информацию о тексте. Существует множество международных проектов, целью которых является разработка стандартов и инструкций для кодирования и разработки языковых корпусов. Один из этих стандартов EAGLES (Expert Advisory Group on Language Engineering Standards), который был создан по инициативе Европейской комиссии в рамках лингвистических исследований и технической программы. Его цель представить стандарты для огромных текстовых ресурсов, какими являются, например, компьютерные словари, текстовые и речевые корпусы.

В работе описаны морфосинтаксические характеристики стандарта EAGLES. В соответствии с данным стандартом, рассмотрены грузинские морфосинтаксические характеристики, которые необходимы для аннотирования грузинского текстового корпуса.

ლიტერატურა – REFERENCES – ЛИТЕРАТУРА

1. <http://www.natcorp.ox.ac.uk>;
2. <http://ucnk.ff.cuni.cz>;
3. <http://www.ruscorpora.ru>;
4. <http://armazi.uni-frankfurt.de/indexe.htm?index.htm#georgian>;
5. <http://iness.uib.no/gekko/overview?session-id=231054467571963>;
6. <http://www.mygeorgia.ge/gdc/Default.aspx>;
7. <http://www.ilc.cnr.it/EAGLES/home.html>.

დროის დეიქსისი ქართულში

ა. ჩუტკერაშვილი

annachutkerashvili@yahoo.com

ენასა და კონტექსტს შორის მიმართების ასახვა ენის სტრუქტურაში ყველაზე უფრო ნათლად დეიქსისის ფენომენის სახით არის წარმოდგენილი. ეს ტერმინი (დეიქსისი) წარმოიქმნა ბერძნული სიტყვიდან, რომელიც ნიშნავს მითითებას ან აღნიშვნას.

დეიქსისი წარმოადგენს ენის იმ საშუალებებს, რომლითაც კოდირებულია (გამოხატულია) გამონათქვამის ან საუბრის კონტექსტის გარკვეული ნიშნები. დეიქსისის პროტოტიპური მაგალითებია ჩვენებითი და პირის ნაცვალსახელები, დროისა და ადგილის სპეციფიკური ზმნიზებები (მაგ., ‘ახლა’ ან ‘აქ’) და სხვა გრამატიკული ნიშნები, რომლებიც პირდაპირ ებმის სამეტყველო ვითარებას. მაგალითად, ნაცვალსახელი ‘ეს’ მისი გამოყენების ყოველ ჯერზე რომელიმე ერთსა და იმავე კონკრეტულ ერთეულზე (საგანზე) კი არ მიგვანიშნებს, არამედ იგი წარმოადგენს ცვლადს ან “ადგილს” კონტექსტში მოცემული ერთი გარკვეული სახის ერთეულისათვის.

დეიქტური ინფორმაციის მნიშვნელობა გამონათქვამის ინტერპრეტაციისათვის კარგად ჩანს ჩ. ფილმორის შემდეგი მაგალითიდან: წარმოდგინეთ, რომ ოფისის კარზე დაგხვდათ ფურცელი ასეთი მინაწერით: “მოვალ ერთ საათში”. იმის გამო, რომ ჩვენ არ ვიცით როდის იყო დაწერილი ეს ბარათი, არც ის ვიცით, თუ როდის მოვა ამ ბარათის ავტორი, რადგან ამ ტექსტს აკლია აუცილებელი (საორიენტაციო) ინფორმაცია.

დეიქსისის მრავალი ფაქტი ისეთი გამჭოლია და ისე დრმად არის ჩამჯდარი ენის გრამატიკაში, რომ ისინი სემანტიკის თავისთავად ცხადი და არსებითი მახასიათებლებია. მაგრამ დეიქსისი არის პრაგმატიკის შესწავლის საგანი, რამდენადაც იგი პირდაპირ კავშირს გამოხატავს კონტექსტსა და გამონათქვამს შორის.

დეიქსისის დესკრიპციული აღწერა

დეიქსისის ტრადიციული კატეგორიებია პირის, ადგილის და დროის კატეგორიები.

პირის დეიქსისი გადმოსცემს საუბრის მონაწილეთა როლებს მეტყველების დროს: პირველი პირი წარმოადგენს მოლაპარაკის მიერ თავისი თავის გრამატიკულ აღნიშვნას; მეორე პირი - მოლაპარაკის მიერ ერთი ან მეტი მსმენელის აღნიშვნას; მესამე პირი გადმოსცემს პირებს ან ერთეულებს, რომლებიც არც მოლაპარაკეა და არც მსმენელი მოცემული გამონათქვამის წარმოთქმის დროს.

საუბრის მონაწილეთა ამ როლების კოდირება ენაში, ჩვეულებრივ, ნაცვალსახელებითა და მათთან დაკავშირებული პრედიკატული შეთანხმებით ხდება.

ადგილის დეიქსისი შეეხება საუბრის დროს სივრცული განაწილების (ლოკაციის) აღნიშვნას საუბრის მონაწილეთა ადგილის მიმართ. როგორც ჩანს, ყველაზე გავრცელებული გრამატიკული ფორმა სივრცული დეიქსისისთვის არის განსხვავება პროქსიმალური (მოლაპარაკესთან ახლოს) და დისტალური (არა-პროქსიმალური, ზოგჯერ ადრესატთან ახლოს) მდგომარეობას შორის სივრცეში. თუმცა, უნდა ითქვას, რომ არსებობს სივრცული განაწილების ბევრად უფრო რთული და დახვეწილი გამოხატვაც. ეს განსხვავებები, ჩვეულებრივ, გამოიხატება ჩვენებითი ნაცვალსახელებით (მაგ., “ეს” და “ის”; ან ინგლისური *this* და *that*), ასევე ადგილის დეიქტური ზმნიზებები (მაგ., “აქ” ან “იქ”, ან ინგლისური: *here* ან *there*).

დროის დეიქსისი შეეხება დროით მომენტებსა და მონაკვეთებს იმ დროსთან მიმართებაში, რომელშიც ხდება გამონათქვამის წარმოთქმა (ან როდესაც იქმნება წერილობითი შეტყობინება). დროს, როდესაც შეიქმნა გამონათქვამი, ვუწოდებთ კოდირების დროს (*coding time* or *CT*), რომელიც შეიძლება განსხვავდებოდეს მიღების დროსგან (*receiving time* or *RT*). დროის დეიქსისი, დროს აღნიშნავს იმ კოორდინატებზე, რომელიც მიბმულია საუბრის მომენტთან. დროის დეიქსისის გრამატიკული ასახვა ჩვეულებრივ ხდება დროის გრამატიკული ზმნიზებებით (მაგ., “ახლა” ან “მერე”; “გუშინ”, “შარშან”, “გაისად” და სხვა).

ამ ტრადიციულ კატეგორიებს ს. ლევისონი უმატებს (ჯ. ლაიონზისა და ჩ. ფილმორის მსგავსად) დისკურსის (ტექსტის) დეიქსისსა და სოციალურ დეიქსისს [4].

დისკურსის დეიქსისი ახდენს ტექსტის (ან დისკურსის) დანაწილების აღნიშვნას ტექსტის გაშლის, განვითარების დროს. ლევისონს მოჰყავს შემდეგი მაგალითები:

მაგ., *Puff puff puff: that is what it sounded like.*

This is what phoneticians call creaky voice.

გამოყოფილი სიტყვები სწორედ ტექსტის დანაწევრების აღმნიშვნელი სიტყვებია [3].

სოციალური დეიქსისი ეხება სოციალური განსხვავებების აღნიშვნას, რომლებიც ფარდობითაა მოსაუბრეთა როლებსათვის. განსაკუთრებით აღინიშნება ხოლმე მოლაპარაკისა და მსმენელის, ან მოლაპარაკისა და საუბრის ობიექტის სოციალური მიმართებები.

მრავალ ენაში მოლაპარაკისა და მსმენელის სოციალური მიმართების ფარდობითი ხარისხის აღნიშვნა ხდება რეგულარულად, მაგალითად, მორფოლოგიურ სისტემაში, ამას ჰქვია ონორიფიკი; მაგრამ ასეთი განსხვავებები აგრეთვე გამოიხატება ნაცვალსახელთა არჩევაში, დაძახების ფორმებში ან წოდებით ფორმებში.

დეიქსისის გრამატიკულ ფორმებსა და ლექსიკურ ფორმებს კარგად განსხვავებს ჯ. ლაიონზი:

“დეიქსისის გრამატიკალიზაცია და ლექსიკალიზაცია ყველაზე კარგად იხსნება გამონათქვამის ე.წ. კანონიკურ სიტუაციასთან მიმართებაში, რომელიც შედგება კომუნიკაციის დროს ბგერითი შეტყობინების გადაცემით სახმო და სასმენ არხში, როდესაც ყველა მონაწილე არსებობს ერთსა და იმავე რეალურ სიტუაციაში; მათ შეუძლიათ ერთმანეთის დანახვა და ამდენად, შეუძლიათ არავერბალური, პარალინგვისტური ნიშნების აღქმა. კომუნიკაციის ყოველ მონაწილეს შეუძლია შეასრულოს ხან მოლაპარაკისა და ხან მსმენელის როლი. მრავალი რამ ენის სტრუქტურაში შეიძლება აიხსნას მხოლოდ იმის საფუძველზე, რომ მოცემული მახასიათებელი წარმოიშობა და ვითარდება პირისპირ, კომუნიკაციის დროს. ეს არის სწორედ დეიქტური მნიშვნელობის წარმოქმნის საფუძველი” [4].

საზოგადოდ, მიჩნეულია, რომ დეიქსისი აწყობილია ეგოცენტრულად. მაშასადამე, თუ მართალია, რომ დეიქსისი მიბმულია საკომუნიკაციო ვითარების სპეციფიკურ მომენტებზე, მაშინ დეიქტური ცენტრის არამარკირებული ბმის წერტილები დაკავშირებულია მოლაპარაკესთან, კერძოდ, ეს გამოიხატება შემდეგში:

1. საკომუნიკაციო ვითარების ცენტრალურ ფიგურას წარმოადგენს მოლაპარაკე;
2. ცენტრალური დრო არის ის დრო, როდესაც მოლაპარაკე წარმოქმნის გამონათქვამს;
3. ცენტრალური ადგილი (ლოკაცია) ის ადგილია, სადაც მოლაპარაკე იმყოფება გამონათქვამის წარმოქმნის დროს;
4. დისკურსის (ანუ ტექსტის) ყურადღების ცენტრს ის ქმნის, რასაც მოლაპარაკე ამბობს თავისი გამონათქვამის წარმოქმნის მოცემულ მომენტში;
5. სოციალური ცენტრი კი არის მოლაპარაკის სოციალური სტატუსი და რანგი, რომელთა მიმართ მსმენელის სოციალური სტატუსი ან რანგი მხოლოდ ფარდობითია;

ამასთან ერთად, უნდა ითქვას, რომ არსებობს ამ კანონზომიერებიდან სხვადასხვა სახის გადახრებიც. მაგალითად, ზოგ ენაში არსებობს ჩვენებითი სიტყვები, რომლებიც ნაწილობრივ თავს იყრის (ორგანიზებულია) არა მოლაპარაკის, არამედ სამეტყველო სიტუაციის სხვა მონაწილეთა ირგვლივ (ვთქვათ, მსმენელის ირგვლივ). არსებობს, აგრეთვე, ისეთი შემთხვევები, როდესაც დეიქტური გამონათქვამები ისე გამოიყენება, რომ დეიქტური ცენტრები გადაინაცვლებს სამეტყველო სიტუაციის სხვა მონაწილეებზე, ან ნაამბობის სხვა საინტერესო ობიექტზე.

ჯ. ლაიონზი ამ მოვლენას დეიქტურ პროცესიას (გადანაცვლებას) უწოდებს, ჩ. ფილმორი კი – თვალსაზრისის (თვალთახედვის) გადანაცვლებას. პროცესები, რომლებიც ასეთ გადანაცვლებაში მონაწილეობს, არსებით ინტერესს წარმოადგენენ სხვადასხვა დეიქტური სიტყვების დიაქრონიული შესწავლის დროს, აგრეთვე არაფორმალური საუბრის ანალიზის დროს [4].

ზემოთქმულის მიხედვით, მოლაპარაკე შეიძლება წარმოვიდგინოთ არამარკირებული დეიქტური ცენტრის შუაგულში, სადაც წარმოდგენილია სამი სივრცული განზომილება პლუს ერთი დროითი ღერძი. აქვე შეიძლება წარმოვიდგინოთ კონკრეტული წრეხაზები, რომლებიც სივრცულ სიახლოვეს გამოხატავენ მოლაპარაკის მიმართ.

დროით ღერძზე, რომელიც გაივლის მოლაპარაკეზე, შეიძლება წარმოვიდგინოთ მოვლენათა წინსწრება ან მომდევნობა მოლაპარაკის საუბრის მომენტის მიმართ. ამავე დროითი ღერძის გასწვრივ ვითარდება თვით დისკურსიც (ტექსტი).

სოციალური დეიქსისის გადმოსაცემად ამ სქემას კიდევ ერთი განზომილება მაინც უნდა დავამატოთ, სადაც წარმოდგენილია მოლაპარაკის უფრო მაღალი, უფრო დაბალი

ან თანაბარი სოციალური რანგი მსმენელის ან სხვა პირთა მიმართ. ასეთ დეიქტურ შინაარსს, რა თქმა უნდა, ექნება ფარდობითი მნიშვნელობა.

როდესაც მოლაპარაკე და მსმენელი იცვლიან როლებს, კოორდინატთა მთელი ეს სტრუქტურა გადაინაცვლებს ყოფილი მსმენელის (ახლა კი მოლაპარაკის) სივრცულ-დროით-სოციალურ კოორდინატებზე. დეიქტური ტერმინების ასეთი ცვლილებების აღქმა (და ტექსტის სწორი აღქმაც) რაღაც სასწაულს ჰგავს. ბავშვისთვის ენის ათვისების დროს ამაში გარკვევა ხშირად პრობლემატურია ხოლმე (ბავშვი კარგა ხანს საუბრობს თავის თავზე მესამე ან მეორე პირში, გვიან ითვისებს მოვლენათა დროში თანმიმდევრობის ფარდობით ხასიათს, სივრცულ დანაწევრებას და ა.შ.).

დეიქტური გამონათქვამების ხმარება შეიძლება სხვადასხვა იყოს: უესტიკულაციით გამოხატული და სიმბოლური (წმინდა ენობრივი), ამავე დროს დეიქტური სიტყვების ხმარება შეიძლება იყოს ანაფორული და არაანაფორული.

დროის დეიქსისი

დროისა და ადგილის დეიქსისის გაგება ძლიერ რთულდება დროისა და ადგილის დეიქტური ღერძებისა და მათი არადეიქტური, კონცეპტუალური წარმოდგენების (მნიშვნელობების) მიმართების გამო. დეიქსისის ამ ასპექტების ღრმად გაგებისათვის აუცილებელია კარგად გვესმოდეს ადამიანის ცნობიერებაში სივრცისა და დროის სემანტიკური დალაგება (ორგანიზაცია), რაც განხილული აქვთ ჯ. ლინჩს, ჩ. ფილმორს, ჯ. ლაიონზსა და სხვებს. ენათა უმრავლესობაში დროის გააზრებისა და აზომვის ბუნებრივ საფუძველს ქმნის დღისა და ღამის ბუნებრივი და ადვილად აღსაქმელი ციკლები, მთვარის თევები, წელიწადის დროები და წლები. ასეთი ერთეულები გამოიყენება კომუნიკაციისათვის საინტერესო რომელიმე ფიქსირებული მომენტის (მაგალითად, დეიქტური ცენტრის) მიმართ ფარდობის გამოსახატავად ან ისინი შეიძლება გამოვიყენოთ კალენდრის მიხედვით მოვლენების განსათავსებლად. დროის დეიქსისს ამ ფარდობით ან კალენდარულ ერთეულებთან აქვს მიმართება.

ყველა დეიქტური მნიშვნელობის მსგავსად დროის დეიქსისი უკავშირდება კომუნიკაციის მონაწილეთა როლს. ასე, მაგალითად, “ახლა” შეიძლება განიმარტოს, როგორც ‘დრო, როდესაც მოლაპარაკე წარმოთქვამს გამონათქვამს.’ მნიშვნელოვანია გამონათქვამის წარმოთქმის (ან დაწერის) დრო ანუ კოდირების დრო (CT) განგასხვავოთ გამონათქვამის მიღების დროისგან (RT). შეიძლება გამონათქვამის მიღების დრო დაემთხვეს მისი წარმოთქმის დროს – ამას ლაიონზი უწოდებს დეიქტურ ერთდროულობას (deictic simultaneity).

სირთულეები თავს იჩენს მაშინ, როდესაც დროის ფორმების გამოყენება, დროის ზმნიხედების და სხვა დროის დეიქტური მორფემების ხმარება არ დაემთხვევა ამ ამოსავალ დებულებას, მაგალითად, როგორც ხდება წერილის წერის დროს: წერილი იწერება ერთ დროს, ხოლო იკითხება სხვა, ზოგჯერ CT-სგან სრულიად განსხვავებულ დროს, ან სატელევიზიო ან სხვა მედიის პროგრამების წინასწარი ჩაწერის დროს. ამ შემთხვევაში უნდა გადაწყდეს, რომელია დეიქტური ცენტრი – მოლაპარაკისა და კოდირების დრო, ან მოხდეს დეიქტური პროცესია და დეიქტურ ცენტრად ჩათვლება მსმენელისა და გამონათქვამის მიღების დრო. ჩ. ფილმორს [2] მოჰყავს შემდეგი მაგალითები:

a. This programme is being recorded today, Wednesday April 1st, to be relayed next Thursday.

b. I write this letter while chewing an apple.

და

a. This programme was recorded last Wednesday April 1st, to be relayed today.

b. I wrote this letter while chewing an apple.

გამონათქვამის მიღების დრო არ ემთხვევა კოდირების დროს ლათინურში, როდესაც მაგალითად, “ეპისტოლარულ დროებში” მოვლენების აღსაწერად კოდირების დროის ჩათვლით გამოიყენებოდა წარსული დროები, პლუპერფექტი კი ამ მოვლენებისათვის, რომლებიც წინ უსწრებდნენ კოდირების დროს, ანუ დეიქტური ცენტრი მოთავსებული იყო მომავალზე, გამონათქვამის მიღების დროზე.

ახლა განვიხილოთ სიტყვები: დღეს, ხვალ, გუშინ. ეს სიტყვები გამოიყენება იმისათვის, რომ დრო დაიყოს რუტინულ, დროით მონაკვეთებად ჩვეულებრივი მოქმედებების შესრულებისათვის, ან დღის მონაკვეთებად; “დღეს” აღნიშნავს დროის მონაკვეთს კოდირების მომენტის ჩათვლით; “გუშინ” არის დროის მონაკვეთი, რომელიც წინ უსწრებს კოდირების დროს, და ა.შ.

ზემოთ ჩამოთვლილი სიტყვების ხმარება არასაჭიროდ ხდის კალენდარული დღეების აბსოლუტურ ხმარებას, მაგალითად, თუ ხუთშაბათს ვიტყვით – გნახავ ხუთშაბათს – ეს იმას ნიშნავს, რომ შეხვედრა შეიძლება შედგეს მხოლოდ შემდეგ ხუთშაბათს (ან კიდევ უფრო მოშორებულ რომელიმე ხუთშაბათს), სხვა შემთხვევაში ვიტყვით: “დღეს”. ასევე, თუ ოთხშაბათს ვამბობთ, გნახავ ხვალ, ეს მიუთითებს ხვალინდელ ხუთშაბათზე და აქ ზედმეტია კალენდარული ტერმინის დასახელება, რადგან ამას ცხადს ხდის დეიქტური “ხვალ”.

ენები ერთმანეთისგან განსხვავდება იმით, თუ დღის რამდენი ასეთი დეიქტური აღსანიშნები აქვთ: ჩინანტის ამერიკულ ენაში არის ასეთი ოთხი სიტყვა: ორ-ორი დღის მოცემული კოდირების მომენტის აქვთ და იქით; იაპონურში შეიძლება დასახელდეს სამი დღე “დღევანდლამდე” და ორი დღე “დღეის შემდეგ”; ჰინდიში არის ერთი და იგივე სიტყვა (ნიშანი) გუშინდელი და ხვალინდელი დღის აღსანიშნად, იგი ნიშნავს ‘რელევანტური’ დღე, რომელიც უშუალო სიახლოვეს არის საკომუნიკაციო დღესთან კოდირების მომენტის ჩათვლით.

ქართულში გვაქვს: დღეს, ხვალ, ზევ, მაზევ და გუშინ, გუშინწინ, გუშინწინისწინ; წელან, ამაღამ, წუხელ. ასეთივე დეიქტური სიტყვები არსებობს ქართულში წელიწადისა და მასთან დაკავშირებული დროის ფარდობითი მონაკვეთების აღსანიშნავად: წელს, შარშან, შარშანწინ, გაისად, კვლავ. ასევე, შეიძლება ენაში იყოს შედგენილი დროის ზმნიხედებიც: ამ წელს, ამ დილას, ამ ხუთშაბათს, სადაც ამ არის დეიქტური მსახდრელი, რომელსაც შეიძლება დამატოს არადეიქტური სიტყვა, მაგალითად, დილა, ხუთშაბათი. იგივე ითქმის თვეების საკუთარ სახელებზე: იანვარი, ოქტომბერი, დეკემბერი და სხვა. ამ აგვისტოს ნიშნავს იმ კალენდარული წლის აგვისტოს, რომელშიც შედის კოდირების დრო და ა.შ.

აქვე მოკლედ უნდა ითქვას ენობრივი დროის შესახებ, რომელიც სპეციფიკურია. ზოგადად, დრო – tense – უზრუნველყოფს იმას, რომ თითქმის ყველა წინადადება ‘დაბმულია’ გამონათქვამის კონტექსტზე.

ჯ. ლაიონზი განასხვავებს დროის სემანტიკურ ან თეორიულ კატეგორიას, რომელსაც შეიძლება ვუწოდოთ მეტალინგვისტური გრამატიკული დრო – metalinguistic tense (M-tense) და ენობრივ ფლექსიებს, რომლებსაც მოცემული ენის ტრადიციული გრამატიკა უწოდებს გრამატიკულ დროებს, ენის დროებს – language tenses (L-tenses). მეტალინგვისტურ დროებს შეიძლება მიეცეს წმინდა დეიქტური, მკაცრად დროითი ინტერპრეტაცია, მაგრამ ენის დროითი მნიშვნელობებისთვის ეს ყოველთვის არ არის ასე. ლოგიკური აზროვნება გვიჩვენებს, რომ მეტა-დრო და ენის დრო ხშირად ერთმანეთს ძალიან სცილდება და მეტა-დროზე მსჯელობა არ არის ბევრის მომტანი დროითი მნიშვნელობების დახასიათებისათვის ენაში. მეტა-დრო განარჩევს წარსულს (მოვლენები, რომლებიც ხდება CT-ზე ადრე), აწმყოს და მომავალს. ასევე შეიძლება ერთმანეთისგან განვასხვავოთ დროის მომენტები, დროის მონაკვეთები და სხვა. მაგრამ ასეთი მეტა-დროები არ ეთანადება ხოლმე ენის დროებს, რადგან ენის დროები დამატებით ყოველთვის გამოხატავენ ასპექტურ და მოდალურ შინაარსსაც. მაგალითად, ენის მომავალი დროები თითქმის ყოველთვის მოიცავს მოდალურ ელემენტს. ყველაზე მიახლოებული თანაფარდობა მეტა-ენასა და ენის დროებს შორის შეიძლება გამოჩნდეს ოპოზიციაში – წარსული/არაწარსული.

ზოგჯერ წერენ, რომ არსებობს ენები, რომლებშიც არ არსებობს ნამდვილი დროები, მაგალითად ჩინურში. ეს სწორიც არის იმ აზრით, რომ დროები არ არის სისტემატურად მორფოლოგიურად მარკირებული, მაგრამ დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ არ არსებობს ენები, რომლებშიც მეტა-დროების სისტემა არ იყოს ასახული, თუნდაც დროის ზმნიხედების დონეზე, ან აწმყო მეტა-დროის იმპლიციტური მნიშვნელობით, როდესაც არ არის წარმოდგენილი სხვა დროითი სპეციფიკაცია.

ბოლოს უნდა აღვნიშნოთ, რომ დროის დეიქსისი რელევანტურია ენის სხვა დეიქტური ელემენტების შესწავლის დროს. მაგალითად, მისაღება არის ყოველთვის დროში შეზღუდული: ‘დილა მშვიდობისა’ ყოველთვის გამოიყენება მხოლოდ დღით. უცნაურია, მაგრამ ‘ღამე მშვიდობისა’ არ ნიშნავს მისაღებას არამედ დამშვიდობებას, ისე, რომ აქ ერთმანეთს თანხვდება დროისა და დისკურსის დეიქსისი (საღამო მშვიდობისა კი არის მისაღება).

დროის დეიქსისი ქართულში

ა. ჩუტკერაშვილი

რეზიუმე

ენასა და კონტექსტს შორის მიმართების ასახვა ენის სტრუქტურაში ყველაზე უფრო ნათლად დეიქსისის ფენომენის სახით არის წარმოდგენილი. ეს ტერმინი (დეიქსისი) წარმოიქმნა ბერძნული სიტყვიდან, რომელიც ნიშნავს მითითებას ან აღნიშვნას. დეიქსისის ტრადიციული კატეგორიებია პირის, ადგილის და დროის კატეგორიები. დროის დეიქსისი შეეხება დროით მომენტებსა და მონაკვეთებს იმ დროსთან მიმართებაში, რომელშიც ხდება გამონათქვამის წარმოქმნა (ან როდესაც იქმნება წერილობითი შეტყობინება). დროს, როდესაც შეიქმნა გამონათქვამი, ეწოდება კოდირების დრო (coding time or CT), რომელიც შეიძლება განსხვავდებოდეს მიღების დროსგან (receiving time or RT). დროის დეიქსისის გრამატიკული ასახვა ჩვეულებრივ ხდება დროის გრამატიკული ზმნიზედებით (მაგ., “ახლა” ან “მერე”; “გუშინ”, “შარშან”, “გაისად” და სხვა).

DEIXIS OF TIME IN GEORGIAN

A. CHUTKERASHVILI

Summary

The relation between language and context in a language structure is most clearly represented by the phenomenon of deixis. The term (deixis) is of the Greek origin and it means indicating, denoting. The traditional ones are personal, place and time categories of deixis. Deixis of time describes time moments or sections with respect to the time on which an expression is uttered. The time when the expression is created is called Coding Time (CT) that is different from Receiving Time. Deixis of time is generally expressed by adverbs of time.

ДЕИКСИС ВРЕМЕНИ В ГРУЗИНСКОМ

A. ЧУТКЕРАШВИЛИ

Резюме

В языковой структуре связь между языком и контекстом лучше всего представлена феноменом деиксиса. Этот термин происходит от греческого слова и означает ссылку, обозначение. Традиционные категории деиксиса - категории лица, места и времени. Деиксис времени касается временных моментов и отделов относительно с тем временем, в котором происходит произношение высказывания. Время, в котором создается высказывание, называется временем кодирования, которое может отличаться от времени принятия. Грамматическое отражение деиксиса времени, как обычно, происходит грамматическими наречиями (напр. «сейчас» или «потом», «завтра»).

ლიტერატურა – REFERENCES – ЛИТЕРАТУРА

1. შენგელაია ნ., არასრული სიტყვები და ტექსტის სემანტიკური მთლიანობა თბილისი, 2000.
2. Fillmore Ch. J. Types, of Lexical Information. Studies in Syntax and Semantics. Dordrecht – Holland, 1970.
3. Levinson S.C. Pragmatics. Cambridge University Press, 1987.
4. Lyons J. Deixis and Anaphora. The Development of Conversation and Discourse. Edinburgh, 1977.

კოდირების სტანდარტული სისტემა CES და ქართული ლინგვისტური კორპუსი

ნ. ამირეზაშვილი, ლ. სამსონაძე
ninomaskh@yahoo.com, liasams@yahoo.com

თანამედროვე კომპიუტერული ტექნოლოგიების საშუალებით გაცილებით მარტივი და დანქარებული გახდა დიდი მოცულობის ტექსტების ლინგვისტური დამუშავება.

ტექსტური მასივების დასამუშავებლად და მათგან მრავალმხრივი საჭირო ინფორმაციის მისაღებად შეიქმნა სხვადასხვა სახის ლინგვისტური კორპუსები, ანუ ტექსტების კოლექცია, რომელიც სპეციალურად იქნა შერჩეული, ანოტირებული სხვადასხვა ლინგვისტური პარამეტრებით და უზრუნველყოფილი საძიებო სისტემებით.

კორპუსი არის საინფორმაციო-საცნობარო სისტემა, რომელიც დაფუძნებულია სპეციფიკურ ელექტრონულ ფორმატში ჩაწერილ დიდი რაოდენობის ტექსტებზე. იგი შეიცავს განსაკუთრებულ დამატებით ინფორმაციას მასში შემავალი ტექსტების შესახებ (ე.წ. ანოტირებული ტექსტები). ანოტირება კორპუსის ძირითადი მახასიათებელია. ელექტრონული ბიბლიოთეკისაგან განსხვავებით, კორპუსი არ არის მხოლოდ საინტერესო ტექსტების ნაკრები. იგი ისეთი ტექსტების ერთობლიობაა, რომლებიც საინტერესო და გამოსადეგია ენის შესწავლისათვის. რაც უფრო მდიდარი და მრავალფეროვანია ენის ანოტირების საშუალებები, მით უფრო მაღალია კორპუსის მეცნიერული ღირებულება.

ქართული ენის ნაციონალური კორპუსის არქონა ართულებს კვლევების წარმართვას ქართველოლოგიის მიმართულებით და ქართული ენობრივი მასალის გადრმავებულ შესწავლას მსოფლიოში აღიარებული სტანდარტებისა და მეთოდების გამოყენებით.

კორპუსი, როგორც წესი, უნდა იძლეოდეს მისი ფართოდ და მრავალჯერადად გამოყენების საშუალებას. სხვადასხვა ტიპის კორპუსებთან მუშაობის უნიფიკაციისათვის, იმისათვის, რომ კორპუსის მონაცემები არ იყოს დამოკიდებული კონკრეტული პროგრამის რეალიზაციაზე და კორპუსთან მუშაობის ინტერფეისზე, მუშავდება ტექსტური კორპუსების ანოტირების სტანდარტები. არსებობს კარგად ცნობილი კოდირების სისტემები: კორპუსის კოდირების სტანდარტი – The Corpus Encoding Standard (CES), ტექსტის კოდირების ინიციატივა (პირველი მცდელობა) – Text Encoding Initiative (TEI), EAGLES-ის სახელმძღვანელოები (Expert Advisory Group on Language Engineering Standards (EAGLES)), და ა.შ., რომლებიც მონაცემთა კოდირების – მონიშვნის უნივერსალურ ენას SGML (Standard Generalized Markup Language) იყენებენ. იგი წარმოადგენს (ISO 8879 - International Organization for Standardization) საერთაშორისო სტანდარტს, რომელიც საშუალებას გვაძლევს ტექსტის კოდირების სქემა ელემენტებისა და ატრიბუტების და ტექსტში მათი განლაგების საშუალებით წარმოვადგინოთ.

კოდირების ეს სისტემები შექმნილია კორპუსზე ისეთი მარტივი ოპერაციების შესასრულებლად, როგორიცაა: რომელიმე კონკრეტული ქვეკორპუსის ამოღება, ტექსტში საჭირო საძიებო საშუალებების განხორციელება და უკან დაბრუნება, რომელიმე სიტყვის კონკორდანსის მოძებნა და ა.შ.

კოდირება გულისხმობს ტექსტის ნებისმიერი სახის ზუსტ ახსნა-განმარტებას.

მარკირება ანუ მონიშვნა არის ტექსტის კოდირების საშუალება, რომელიც ტეგირებული ანუ მარკირებული ტექსტის სეგმენტების თანამიმდევრობას წარმოადგენს.

ინფორმაციის სამი ფართო კატეგორია გამოიყოფა: ინფორმაცია ტექსტის შესახებ, მისი შინაარსი, მისი კოდირება. პირველად მონაცემებში შეიძლება გამოვყოთ ორი სახის ინფორმაცია, რომელიც კოდირებული უნდა იქნას:

1. დიდი მოცულობის სტრუქტურა, რომელიც შეიძლება შეიცავდეს:

ა) ტექსტის სტრუქტურულ ერთეულებს როგორცაა ტომი, თავი და ა.შ. ასევე პარაგრაფი, ჩამოტანილი შენიშვნები და კომენტარები, სათაურები, ცხრილები, ფიგურები და ა.შ.

ბ) ტიპოგრაფიულ მახასიათებლებს;

გ) არატექსტურ – გრაფიკულ ინფორმაციას.

2. ქვეპარაგრაფების სტრუქტურა. მასში შედის ორთოგრაფიული წინადადებები, ციტატები; ორთოგრაფიული სიტყვები; აბრევიატურები, სახელები, თარიღები, საზგასმული სიტყვები.

The Corpus Encoding Standard (CES) სისტემით დოკუმენტში ყველა ელემენტი ტეგების საშუალებით არის განსაზღვრული. CES-სტანდარტულ სისტემაში ტექსტის შესახებ ზოგადი ინფორმაციის ანოტირების რამდენიმე მაგალითი:

ელემენტის დასაწყისი და ბოლო აღინიშნება ტეგებით: "<" და ">". ის შეიცავს ელემენტის სახელს `xi` – generic identifier – ზოგადი იდენტიფიკატორი, რომელიც შედგება როგორც დიდი, ასევე პატარა ასოებისა და ციფრებისაგან 0-დან 9-მდე. თუ ტეგის სახელი ორსიტყვიანია, მეორე სიტყვა დიდი ასოთი იწყება. მაგ., `<fileDesc>`. ეს ელემენტი შეიცავს კორპუსის ან ტექსტის სრულ ბიბლიოგრაფიულ აღწერას; ყოველი ელემენტის დასრულება აღნიშნულია "/" ნიშნით და მისივე სახელის გამეორებით: `</fileDesc>`. ყველა მახასიათებელს აქვს დაახლოებით ასეთი ფორმა:

"attributeName=value".

კოდირებული ელექტრონული ტექსტის შესახებ ინფორმაცია მოცემული გვაქვს ე.წ. ჰედერში. `<cesHeader>` ელემენტი შეიცავს შემდეგ ოთხ მთავარ ელემენტს:

```
<cesHeader>
<fileDesc></fileDesc>
<encodingDesc></encodingDesc>
<profileDesc></profileDesc>
<revisionDesc></revisionDesc>
</cesHeader>
```

`<fileDesc>` – შეიცავს კორპუსის ან ტექსტის სრულ ბიბლიოგრაფიულ აღწერას;

`<encodingDesc>` – აღნიშნავს კავშირს ორიგინალურ ტექსტსა და მის ელექტრონულ ვერსიას შორის.

`<profileDesc>` – გვაძლევს უფრო ფართო ინფორმაციას ტექსტის ვერსიის შესახებ, აღწერს ენის სპეციფიკას, მისი გამოცემისდროინდელ სიტუაციას და თარიღს, გვაძლევს ინფორმაციას გამოცემაში მონაწილეების შესახებ.

`<revisionDesc>` – აღწერს ფაილის რევიზიის ისტორიას.

კორპუსში თითოეულ ტექსტს აქვს თავისი ჰედერი (header) (`<cesDoc>` ელემენტი), ასევე მთლიან კორპუსსაც აქვს თავისი ჰედერი corpus header, რომელიც შეიცავს ინფორმაციას მთელი კორპუსის შესახებ. ორივე კორპუსის და ტექსტის ჰედერი წარმოდგენილია (`<cesDoc>` element) ელემენტებით.

`<cesHeader>` შეიცავს შემდეგ მახასიათებლებს:

`type` – განსაზღვრავს დოკუმენტის ტიპს არის ის კორპუსი თუ ტექსტი: `CORPUS` აღნიშნავს, რომ საქმე გვაქვს კორპუსთან, ხოლო `TEXT` – ტექსტთან.

`creator` – აღნიშნავს დაწესებულებას, რომელიც მოცემული ჰედერის შექმნის პასუხისმგებელია.

`version` – გვიჩვენებს იმ CES header.elt-ის ვერსიას, რომელიც გამოყენებულია მოცემული ჰედერის კოდირებისას.

`status` – გვიჩვენებს ჰედერის სტატუსს – ახალია თუ ძველი:

`NEW` – ჰედერის პირველი ვერსია;

`UPDATE` – განახლებული ვერსია.

`date.created` – მიუთითებს როდის არის შექმნილი.

`date.updated` – როდის არის განახლებული.

ამას მოჰყვება კორპუსის სათაურის წარმოდგენა – Title statement.

ეს ელემენტი შედგება `<h.title>` ელემენტისაგან, რომელსაც მოჰყვება 0 ან `<respStmnt>` ის ელემენტები.

<h.title>-ში წარმოდგენილია ელექტრონული ფაილის სათაური ქვესათაურების ჩათვლით.

<respStmt> – შეიცავს ინფორმაციას ნებისმიერი პიროვნების ან დაწესებულების შესახებ, რომელიც პასუხისმგებელია ტექსტზე, გამოცემაზე ან ელექტრონულ ვერსიაზე. თავის მხრივ <respStmt> შეიცავს შემდეგ ელემენტებს:

<respType> – აღწერს პიროვნების ან დაწესებულების ინტელექტუალურ პასუხისმგებლობას.

<respName>-ში წარმოდგენილია კორპუსის გამომცემის პიროვნების გვარი და სახელი, ადგილი და დაწესებულების სახელი.

<extent> ელემენტი აღწერს სიტყვების რაოდენობას მთელ კორპუსში ან კონკრეტულ ტექსტში. იგი შეიცავს:

<wordCount> – სიტყვების რაოდენობა ტექსტში;

<byteCount> – ბაიტების რაოდენობა ტექსტში.

units – გვიჩვენებს რა ერთეულებით იზომება ბაიტები:

BYTES bytes

KB kilobytes

MB megabytes

GB gigabytes

<extNote> – შეიცავს ნებისმიერ დამატებით ინფორმაციას კორპუსის ან ტექსტის შესახებ.

<publicationStmt> – ელემენტი შეიცავს შემდეგ ქვეელემენტებს:

<distributor> – ტექსტის ან კორპუსის დისტრიბუტორის სახელი;

<pubAddress> – დისტრიბუტორის საფოსტო მისამართი;

<telephone> – დისტრიბუტორის ან დაწესებულების ტელეფონის ნომერი;

<fax> – ფაქსის ნომერი;

<eAddress> – პიროვნების ან დაწესებულების ელექტრონული მისამართი;

type გვაძლევს ელექტრონული მისამართის ტიპს (email address, web site, ftp site etc.).

<availability> – აღწერს ტექსტის ხელმისაწვდომობას, მაგალითად მისი გამოყენების ნებისმიერი აკრძალვა ან გადაწერა და ა.შ.

region – აღწერს იმ ტერიტორიას, სადაც შეიძლება გამოყენებულ იქნას მოცემული ტექსტი. მაგალითად,

WORLD – the text is freely available – ტექსტი ხელმისაწვდომია ყველასათვის;

EU – European Union only – მხოლოდ ევროგაერთიანებაში;

status გვიჩვენებს მიმდინარე პერიოდში ტექსტის ხელმისაწვდომობას:

RESTRICTED – the text is not freely available – არ არის თავისუფლად ხელმისაწვდომი;

UNKNOWN – the status of the text is unknown – სტატუსი უცნობია.

<sourceDesc>-ში წარმოდგენილია წყაროების აღწერა. იგი შეიცავს ორ ქვეელემენტს:

<biblStract> – სტრუქტურირებული ბიბლიოგრაფიული ციტირებები გარკვეული რიგით;

<biblFull> – ბიბლიოგრაფიული ციტატები იმ ტექსტისათვის, რომელიც წინასწარ იქნა კოდირებული ელექტრონულ ფორმაში. ეს ელემენტი შეიცავს იგივე მნიშვნელობას, რასაც <fileDesc> ელემენტი.

თუ ელექტრონული ტექსტი მიღებულ იქნა წინა ელექტრონული ვერსიისაგან, წყაროების აღწერაში გვექნება <biblFull> ელემენტი, ხოლო თუ იგი მიღებულია ნაბეჭდი წყაროდან – <biblStract> ელემენტი.

ჰედერის მეორე მთავარი კომპონენტია კოდირების აღწერა, რომელიც შეიცავს ინფორმაციას კოდირებულ ტექსტსა და მის წყაროს შორის დამოკიდებულების შესახებ და კორპუსში განხორციელებულ რედაქტირების პრინციპებს აღწერს.

<encodingDesc> ელემენტს აქვს შემდეგი 6 კომპონენტი:

<projectDesc> დეტალურად აღწერს მიზანს, რისთვის იქნა კოდირებული ელექტრონული ფაილი;

<samplingDecl> შეიცავს ლოგიკურ ახსნას იმ მეთოდებისა, რომლებიც გამოყენებულია კორპუსის მოცემულ ტექსტში;

<editorialDecl> აღწერს რედაქტირების პრინციპებს, რომლებიც გამოყენებულია ტექსტის კოდირებისას;
<tagsDecl> გვაძლევს დეტალურ ინფორმაციას ტეგირების შესახებ SGML დოკუმენტის მიხედვით;
<refsDecl> გვიჩვენებს თუ როგორ უნდა აიგოს კანონიკური მიმთითებლები მოცემული ტექსტისათვის;
<classDecl> შეიცავს <category>-ის ელემენტებს, აღნიშნავს კლასიფიკაციის კოდებს, რომლებიც კორპუსის შიგნით გამოიყენება.

დაბოლოს, დასკვნის სახით აღვნიშნავთ, რომ ნაშრომის მიზანია (CES) და (TEI) კოდირების სტანდარტულ სისტემებზე დაყრდნობით ქართული ლინგვისტური კორპუსისათვის შესაბამისი ანოტირების სისტემის შექმნა, რომელიც საერთაშორისო სტანდარტების გამოყენებით ქართულ ენაზე შესრულებული ნებისმიერი ელექტრონული ტექსტის აღწერის შესაძლებლობას მოგვცემს.

კორპუსის CES სტანდარტული სისტემა და ქართული ლინგვისტური კორპუსი

6. ამირეზაშვილი, ლ. სამსონაძე

რეზიუმე

ტექსტური მასივების დასამუშავებლად და მათგან მრავალმხრივი საჭირო ინფორმაციის მისაღებად შეიქმნა სხვადასხვა სახის ლინგვისტური კორპუსები. განსხვავებული ტიპის კორპუსებთან მუშაობის უნიფიკაციისათვის, იმისათვის, რომ კორპუსის მონაცემები არ იყოს დამოკიდებული კონკრეტული პროგრამის რეალიზაციაზე და კორპუსთან მუშაობის ინტერფეისზე, მუშავდება ტექსტური კორპუსების ანოტირების სტანდარტები.

ნაშრომში აღწერილია CES სტანდარტის მორფოსინტაქსური მახასიათებლები.

ჩვენი მიზანია კოდირების სტანდარტულ სისტემებზე დაყრდნობით შევქმნათ ქართული ლინგვისტური კორპუსისათვის შესაბამისი ანოტირების სისტემა, რომელიც შესაძლებლობას მოგვცემს საერთაშორისო სტანდარტების გამოყენებით აღვწეროთ ქართულ ენაზე შესრულებული ნებისმიერი ელექტრონული ტექსტი.

CES ENCODING STANDARD SYSTEM AND A GEORGIAN LINGUISTIC CORPUS

N. AMIREZASHVILI, L. SAMSONADZE

Summary

Different kinds of linguistic corpora have been created to work on large amount of texts and take out the necessary information. For working unification with different kinds of corpora, and for the fact, that the data of a corpus were not depended on the realization of a certain program and on the interface of working with the corpus, standards of annotation of textual corpora are being developed.

In this article morphosyntactic features of CES standard are described.

Our goal is to create a corresponding annotation system for Georgian linguistic corpus on the basis of encoding standard systems, which enables us to describe any electronic text, written in Georgian language by international standards.

**СТАНДАРТНАЯ СИСТЕМА КОДИРОВАНИЯ CES И ГРУЗИНСКИЙ
ЛИНГВИСТИЧЕСКИЙ КОРПУС**

Н. АМИРЕЗАШВИЛИ, Л. САМСОНАДЗЕ

Резюме

Для обработки текстовых массивов и для получения из них необходимой информации, было создано множество лингвистических корпусов. Для унификации работы с разными типами корпусов, для того, чтобы данные корпусы не были зависимы от реализации конкретной программы и от интерфейса работы с корпусом, разрабатываются стандарты аннотирования текстовых корпусов.

В работе описаны морфосинтаксические характеристики CES стандарта.

Наша цель на основе стандартных систем кодирования создать для грузинского лингвистического корпуса соответствующую систему аннотирования, которая даст возможность, используя международные стандарты, описать любой электронный текст, написанный на грузинском языке.

ლიტერატურა – REFERENCES – ЛИТЕРАТУРА

1. <http://www.cs.vassar.edu/CES/>;
2. <http://nl.ijs.si/et/talks/essli99/erjavec/node42.html>;
3. <http://citeseerx.ist.psu.edu/viewdoc/download?doi=10.1.1.82.734&rep=rep1&type=pdf>.

ნანოელექტრონიკის მოლეკულური ბაზამრთველების შესახებ

მ. სურბულაძე

sfm12@mail.ru

მიკროელექტრონიკის ტრანზისტორთა წრფივი ზომები კვლავაც მცირდება, მაგრამ ზღვარი უკვე ჩანს – სილიციუმის თხელი ფენების გამტარ და იზოლირებულ მონაკვეთებს შორის გაუონვები ძალიან შესაძინევი ხდება, რის გამოც ვერც სატაქტო სისშირის ზრდა და ვერც მინიატურიზაცია ვეღარ გაგრძელდება უსასრულოდ.

თუ ჩვენ მომავალშიც გვსურს სწრაფქმედების გაზრდა, მაშინ სხვა გზები უნდა ვეძიოთ. იმართება კვლევითი სამუშაოები როგორც კვანტურ კომპიუტრებთან დაკავშირებით, რომლებიც მუშაობის სულ სხვა პრინციპზეა აგებული, ისე ოპტიკურ მოწყობილობებთან დაკავშირებითაც, სადაც ინფორმაციის გადაცემა არა ელექტრონების, არამედ ფოტონების მეშვეობით ხდება. თუმცა, ამ პერსპექტიული ტექნოლოგიებიდან თითოეულს თავისი ნაკლი აქვს.

თანამედროვე კომპიუტრების ტრადიციული საელემენტო ბაზის შესაძლებლობები სულაც არაა უსაზღვრო. წარმოების ყველაზე დახვეწილმა ტექნოლოგიებმაც კი, რომლებიც ახალ მასალებს იყენებენ, თავის პიკს მიაღწიეს. სილიციუმის ტრანზისტორის კრიტიკული ელემენტია სილიციუმის ოქსიდის მაიზოლირებელი ფენის სისქე საკეტსა და გამტარ ფენას შორის. მიუხედავად იმისა, რომ სილიციუმის ოქსიდის მაიზოლირებელი ფენის წარმოების ტექნოლოგიები იხვეწება და ის სულ უფრო თხელი ხდება, მას მაინც აქვს 2 ნანომეტრის (ანუ 8-10 მოლეკულის) რიგის ფიზიკური ზღვარი. უფრო თხელ ფენებში იწყება ელექტრონების ტუნელირების არაკონტროლირებადი პროცესები, რომლებიც ხელს უშლიან გამოთვლითი სისტემის მუშაობას. კვანტური კანონების გამო ტრანზისტორთა ნაკლები ზომის მქონე ინტეგრალური სქემების ფორმირება ფოტოლითოგრაფიის სტანდარტული ტექნიკის ბაზაზე შეუძლებელია. სწრაფქმედების ზრდა ტრადიციული ტრანზისტორების ზომების შემცირების ხარჯზე გაჩერდება. მიკრონიპების მწარმოებლურობის მომდევნო ზრდისათვის საჭირო გახდება პრინციპულად ახალი ტექნოლოგიების დანერგვა. აი, რატომ აბანდებენ ინვესტიციებს სუპერკომპიუტრთა შემქმნელი კომპანიები პერსპექტიული ტექნოლოგიების კვლევებში, ეძებენ რა წინასწარ ალტერნატივას.

პრობლემის გადაჭრის ერთ-ერთი ვარიანტი შეიძლება გახდეს ტრადიციულ ტრანზისტორებზე უარის თქმა მოლეკულური ბაზამრთველების სასარგებლოდ. მომავალი მოლეკულური ტრანზისტორის ზომები ორი რიგით ნაკლები იქნება, ვიდრე ყველაზე მინიატიურული სილიციუმის ტრანზისტორებისა. მწარმოებლურობაში მოგება შეიძლება უზარმაზარი იყოს, თუ ტრანზისტორების ზომები ერთი ნანომეტრის რიგის მოლეკულურ ზომამდე შემცირდება.

მაშინ ინტეგრალური სქემის ფართობის ერთეულზე მილიონჯერ მეტი ტრანზისტორი დაეტევა. უფრო მეტიც, თუ გამოძახილის დრო ფემტოწამებამდე შემცირდება (ანუ ექვსი რიგით – სწორედ ასეთია ქიმიური რეაქციის ელემენტარული სტადიის მიმდინარეობის დრო), მაშინ მოლეკულური კომპიუტრის ეფექტიანობა შეიძლება 100 მილიარდჯერ მეტი აღმოჩნდეს, ვიდრე სილიციუმის საელემენტო ბაზაზე აგებული თანამედროვე კომპიუტრის წარმადობა. უფრო რთული მოლეკულური მოწყობილობების სამშენებლო ბლოკის სახით ასეთი მოლეკულის გამოსაყენებლად აუცილებელია მოლეკულური სისტემების ღრმა გაგება. მასიური პარალელიზმის მქონე სუპერკომპიუტრებზე მაღალი სირთულის პროცესების მოდელირებას შეუძლია იწინასწარმეტყველოს ურთულესი ნანოსისტემების ქცევა.

მოდელირების პრობლემები

მოლეკულური ელექტრონული მოწყობილობების შექმნა, რომლებიც შეიძლება გადაირთოს მაღალი და დაბალი წინაღობების მქონე მდგომარეობებს შორის, წარმოადგენს მოლეკულური ელექტრონიკის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მიმართულებას. საინტერესოა თვით იმ უმცირესი ფიზიკური სისტემების იდენტიფიკაციისა და გაგების ფუნდამენტური პრობლემა, რომლებსაც აქვს გადამრთველი ქცევის უნარი. ერთეული მოლეკულები, რომლებსაც გადააქვთ ელექტრონული დენი ლითონის ელექტროდთა წყვილს შორის, შეიძლება გამოყენებულ იქნეს როგორც ელექტრონული კომპონენტები. ეს შეიძლება იყოს ლოგიკური საკეტები, მეხსიერების ელემენტები, ტრანზისტორები ან

გადამრთველები. მოლეკულური სისტემების მოდელირებისათვის ფართოდ გამოიყენება სუპერკომპიუტერები. ამრიგად, ტექნოლოგიური პროცესების და მოწყობილობების სუპერკომპიუტერული მოდელირება ახალი ტექნოლოგიების შექმნისა და თავად სუპერკომპიუტერების დახვეწის პროცესის აუცილებელი ნაწილი ხდება.

მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამოთვლითი მათემატიკისა და კიბერნეტიკის ფაკულტეტზე მიმდინარე სამუშაოები ეძღვნება „პირველი პრინციპების“ ექსპერიმენტების კვანტურ-მექანიკურ მოდელირებას. ესაა ნაფტალოციანინის მოლეკულაში მასკანირებელი ტუნელური მიკროსკოპის (STM) დენის ზეგავლენით მიმდინარე გამტარობის მოლეკულური გადართვის ექსპერიმენტები. დასაკვირვებელი ეფექტების თეორიული კვლევების სამუშაოები და გადართვის პროცესის ოპტიმიზირება მიმდინარეობს ციურისში არსებულ IBM-ის კვლევით ლაბორატორიასთან თანამშრომლობით. მოლეკულური გადამრთველების შესწავლის ექსპერიმენტები ამ ლაბორატორიაში 2007 წლიდანაა დაწყებული. ლაბორატორია მსოფლიოში ერთ-ერთი მოწინავე ნანოტექნოლოგიების შექმნის დარგში.

„პირველი პრინციპების“ მოდელში ნავარაუდევია, რომ მოლეკულური სტრუქტურა დადებითი ბირთვებისა და უარყოფითი ელექტრონებისგან შედგება, რომელთა შორის მოქმედებს ურთიერთობის კულონური ძალები, და მოდელში არ არის რაიმე მორგების პარამეტრები. ეს მოლეკულური სისტემის ევოლუციის პრინციპული მექანიზმებისა და მიმდინარე ქიმიური რეაქციების შესწავლის საშუალებას იძლევა. სუპერკომპიუტერის გამოყენება მრავალნაწილიანი კვანტური პრობლემის მოდელირებისას პრინციპული გახლავთ.

ექსპერიმენტები გვიჩვენებს, რომ მოლეკულური იზომერიზაციის პროცესი შეიძლება გამოყენებული იქნეს მოლეკულის ფარგლებში მისი მოლეკულური გეომეტრიის შეცვლის გარეშე. ნაფტალოციანინის ცალკეული მოლეკულის შიდა არეში ორი წყალბადის ატომის პოზიციებში არსებული ბისტაბილობა ორდონიან სისტემას წარმოადგენს. მოლეკულა შედგება აზოტის, ნახშირბადის და წყალბადის ატომებისაგან (ნახ. 1 (ა,ბ)). წყალბადური იზომერიზაციის რეაქცია იმით ვლინდება, რომ მოლეკულის ცენტრალურ ღრუში არსებული წყალბადის ორი ატომი, STM-ს მიერ შექმნილი გარე პოტენციალის ზემოქმედების ქვეშ აზოტის ერთი ატომებიდან აზოტის სხვა ატომებზე გადადის. გადართვის ასეთი პროცესი მოლეკულის სიბრტყეში მოლეკულისგვე 90 გრადუსით მობრუნების ექვივალენტურია, თანაც მისი გეომეტრია მეორე მდგომარეობაში იგივეა.


იზომერიზაციის პროცესის კომპიუტერული მოდელირებისათვის ვიყენებთ კარპარინელოს მოლეკულურ დინამიკას. მეთოდი რეალიზებულია CPMD (Car-Parrinello Molecular Dynamics) მოლეკულური დინამიკის რიცხობრივ კვანტურ-მექანიკურ კოდში. ბირთვების რხევები იზომერიზაციის ქიმიური რეაქციის გზების მოძებნისას მიიღება მხედველობაში. ძირითადი ყურადღება ენიჭება თავისუფალი 142 ნერგიის ზედაპირზე (FES) არსებული ბარიერის გამოანგარიშებას, რომელიც უნდა იქნეს დაძლეული გადართვის რეაქციის განსახორციელებლად. თავისუფალი ნერგიის დაღარულ ლანდშაფტზე რეაქციის გზის მოძებნა წარმოადგენს მნიშვნელოვან ნაბიჯს იზომერიზაციის რეაქციის მექანიზმის გასაგებად. ქიმიური რეაქციის გზის მოძებნა წარმოადგენს მრავალგანზომილებიან სივრცეში უნაგირა წერტილების მოძებნის რთულ ამოცანას. იბსის თავისუფალი 142 ნერგიის ზედაპირის ანალიზისათვის და რეაქციის ენერგეტიკული ბარიერის მოსაძებნად და ასევე გადართვის მექანიზმის გასაგებად ვიყენებთ მეტადინამიკის მეთოდს.

ანოზომის მოლეკულური სისტემები შეიძლება მოიცავდეს ათასობით ბირთვებსა და ელექტრონებს. გაანგარიშების ხანგრძლივობა სუპერკომპიუტერზე საათებში იზომება, ხოლო ჩვეულებრივ კომპიუტერზე – ასობით წლებში. ამრიგად, მსგავსი კვლევების ჩატარება სუპერკომპიუტერის გარეშე შეუძლებელი იქნებოდა.

მოლეკულური ზომის გადამრთველების პრობლემებს შორის უნდა გამოიყოს პრინციპული ამოცანები, რომლებზედაც მიმართულია ჩვენი კვლევები. ესაა მოლეკულური სისტემის მუშაობის სტაბილიზაცია და ოპტიმიზაცია. გადართვის პროცესის ფიზიკური მექანიზმებისა და მიზეზების დადგენაზე პირდაპირ არის დამოკიდებული მომავალი ტექნოლოგიების ღირებულება.

რეალურ მოწყობილობებში გადართვები უნდა რეალიზებულ იქნეს მოლეკულური ფენის დიდ მატრიცაზე, რომელიც გარკვეულ კრისტალურ ფუძემდებზეა განლაგებული.

143 ნერგიეს ქცევა მთლიანობაში შეიძლება განსხვავდებოდეს ცალკეულ თავისუფალ მოლეკულაში გადართვისაგან. ფუქემის გავლენა შეიძლება გამოისახოს გადართვის პროცესის მიმდინარეობის შეუძლებლობაში. ასეთი სისტემის მუშაობის სტაბილურობა გამოსაკვლევიანია. ექსპერიმენტები გვიჩვენებს, რომ ერთ მოლეკულაში მიმდინარე გადართვებმა შეიძლება სხვა მოლეკულარულ მატრიცაშიც გამოიწვიოს გადართვები. საჭიროა ასეთი არალოკალური ეფექტების მიზეზების გარკვევა. გარდა ამისა, გადართვის ეფექტურობა დამოკიდებულია იმ ადგილზე, რომელზედაც იმყოფება მიკროსკოპის ნემსი, თუნდაც ერთი მოლეკულის არეში.



ნახ. 1. ნაფტალოციანინის მოლეკულის ოპტიმიზირებული გეომეტრია მეტადინამიკის პროცესების სხვადასხვა სტადიებზე, რომელიც გამოთვლილია CPDM კოდის მეშვეობით:

- ა) ნაფტალოციანინის მოლეკულის საწყისი კონფიგურაცია;
 - ბ) საბოლოო კონფიგურაცია, რომელსაც მეორე იზომერის გეომეტრია აქვს;
 - გ) LUMO მოლეკულური ორბიტალების განაგარიშებული სტრუქტურა (უდაბლესი შეუვსებელი მოლეკულური ორბიტალი);
 - დ) LUMO+1 ორბიტალები.
- თეთრი ბურთულები შეესაბამება წყალბადის ბირთვებს, შავები – აზოტის ბირთვებს, ნაცრისფერები – ნახშირბადის ბირთვებს.

კვანტურ-მექანიკური მოდელის გამოთვლითი სირთულე და პარალელური განაგარიშების პრინციპული აუცილებლობა.

კვლევები ტარდებოდა ორი მოდელისა და მათი შესაბამისი რიცხობრივი კოდების საფუძველზე. პირველი, ვრცელი სტატისტიკური მოდელი დაფუძნებულია CPMD კოდზე და გამოიყენება თერმოდინამიკური წონასწორობისა და თავისუფალი 143 ნერგიეს მოძებნაზე. მეორე მოდელს, რომელიც ჩვენ მიერაა შემუშავებული, ეწოდება მრავალ-მასშტაბიანი მოდელი და აერთიანებს თავის თავში პირველ ეტაპზე მიღებული თავისუფალი 143 ნერგიეს პროფილებს და აღზნებული ორბიტალების საფუძველზე მომუშავე სისტემის მდგრადობის კვლევებს.

„პირველი პრინციპების“ მოლეკულური დინამიკის მოდელის აგებისას ამოდიან შრედინგერის განტოლებიდან და დამუხტული ნაწილაკების კულონური ურთიერთქმედებიდან. ჩვენ ვიყენებთ კარ-პარინელის მოლეკულური დინამიკის მათემატიკურ მოდელს ბორნ-ოპენჰაიმერის მიახლოების საფუძველზე. ბორნ-ოპენჰაიმერის მიახლოებაში ითვლება, რომ მასიური ბირთვების მოძრაობის აღწერა კლასიკურ მიახლოებაში შეიძლება. ელექტრონების მხრიდან ბირთვებზე მოქმედი ძალები იანგარიშება ძირითად მდგომარეობაში მყოფი ელექტრონებისათვის არსებული შრედინგერის განტოლების საფუძველზე. თითოეული მოლეკულისათვის ელექტრონული სტრუქტურა მიიღება ბირთვთა კლასიკური მოლეკულური დინამიკის თითოეული ნაბიჯისთვის შრედინგერის სტაციონარული განტოლების ამოხსნით. ჩვენ ვიყენებთ კვანტურ-მექანიკურ ფორმულირებას, რომელიც სიმკვრივის ფუნქციონალის განტოლებებზეა (DFT) დაფუძნებული.

ტალღური ფუნქციები – შრედინგერის განტოლების ამონახსნები – წარმოდგენილია ბრტყელი ტალღების მიხედვით განშლის სახით.

პარალელური ალგორითმები და ასეთი მრავალნაწილიანი კვანტურ-მექანიკური ამოცანის ამოსახსნელად არსებული პროგრამები სუპერკომპიუტერებზე მათი რეალიზაციის ერთადერთ შესაძლებლობად იქცევა. მრავალპროცესორულ გამოთვლით სისტემას IBM Blue Gene/P, აქვს 2048 პროცესორული კვანძი, რომელთაგან თითოეული 4 ბირთვისაგან შედგება. ასეთი სისტემის პიკური მწარმოებლურობა 27,8 ტერაფლოპს უდრის.

გაანგარიშებები ტარდებოდა 82, 130 და 178 ატომებისაგან შემდგარი მოლეკულური სისტემებისათვის. 82 ატომისათვის ერთი გაანგარიშება პროცესორული დროის 20 საათს საჭიროებდა 512 კვანძზე, 97 საათს 130 ატომისათვის 512 კვანძზე და 94 საათს 178 ატომისათვის 1024 კვანძზე. 82 ატომისგან შემდგარი მოლეკულური გადამრთველის მცირე სისტემაში, გაანგარიშებისას მხედველობაში მიიღებოდა 129 ელექტრონული ორბიტალი, 540000 ბრტყელი ტალღა თითოეული ორბიტალისათვის. მოლეკულური დინამიკის რეგულარული გაანგარიშებები ტარდებოდა 0,1125 ფემტოწმ დროით ნაბიჯით, ელემენტარული უჯრედის სივრცითი ბადე შეიცავდა 320x320x192 კვანძს.

გაანგარიშების ხანგრძლივობა განისაზღვრება არა მარტო ატომთა ოდენობით, არამედ ასევე თერმოდინამიკური წონასწორობის მიღწევის დროით და გადართვის პროცესით.

ნანოელექტრონიკის მოლეკულური გადამრთველების შესახებ

მ. სურგულაძე

რეზიუმე

აღწერილია ერთ-ერთი ექსპერიმენტი მომავლის კომპიუტერული მოწყობილობების საელემენტო ბაზის შესაქმნელად. წარმოდგენილია ნანოელექტრონული სქემების მოდელირების პრობლემები. მითითებულია მოლეკულური ელექტრონიკის ელემენტების მოდელირებისას სუპერკომპიუტერების გამოყენების აუცილებლობის ფაქტორები.

ABOUT THE MOLECULAR SWITCHES OF NANOELECTRONICS

M. SURGULADZE

Summary

One experiment for creation of basic element of the future computing devices is described in the work. Problems of modeling of nanoelectronic circuits are presented. The factors needed for using supercomputers for modeling the elements of molecular electronics are considered in the paper.

О МОЛЕКУЛЯРНЫХ ПЕРЕКЛЮЧАТЕЛЯХ НАНОЭЛЕКТРОНИКИ

M. СУРГУЛАДЗЕ

Резюме

Описан один из экспериментов для создания элементной базы будущих компьютерных устройств. Представлены проблемы моделирования нанoeлектронных схем. Указаны факторы необходимости использования суперкомпьютеров при моделировании элементов молекулярной электроники.

ლიტერატურა - REFERENCES - ЛИТЕРАТУРА

1. Белоцерковский О. М. Математическое моделирование на суперкомпьютерах (опыт и тенденции). Вычисл. матем. и матем. физ., 2000, т. 40, № 8, с. 1221–1236,
2. Сборник докладов международной научной конференции, посвященной 70-летию со дня рождения академика В. А. Мельникова, г. Москва, 1999 год, стр. 13-32.

**ღრუბლოვანი გამოთვლების განვითარების პერსპექტივები
საბანკინათო სფეროში**

მ. გემეშვილი, ვ. ბახტაძე, თ. ლომინაძე, მ. არჩუაძე, მ. ოლიაძე
merigeg@gmail.com, verona64@mail.ru

სამეცნიერო-კვლევით და სასწავლო პროცესში თანამედროვე ინფორმაციული ტექნოლოგიების (იტ) დანერგვისას მოსალოდნელი შედეგების მიღწევა მხოლოდ მთელი იტ ინფრასტრუქტურის საიმედო, უსაფრთხო და ნაყოფიერი მუშაობის პირობებშია შესაძლებელი. დასამუშავებელი ინფორმაციის მოცულობის მუდმივი ზრდის, იტ რესურსებისადმი საგანმანათლებლო-სამეცნიერო დაწესებულებებისა და კომპანიების ცვალებადი მოთხოვნების პარალელურად იზრდება მოთხოვნა იტ ინფრასტრუქტურის მწარმოებლურობაზე, საიმედოობაზე და მის ადაპტურობაზე, ამასთან მისი განვითარებისათვის საჭირო ხარჯების შემცირებაზე. ამ მოთხოვნების დაკმაყოფილების ყველაზე ეფექტური საშუალებაა ღრუბლოვანი გამოთვლებზე (Cloud Computing) დამყარებული იტ-ს განვითარება სწავლებასა და სამეცნიერო კვლევებში. დღეისათვის, ღრუბლოვანი გამოთვლები, რომლებიც გამოირჩევიან თავიანთი მასშტაბურობით, საძიებო მოთხოვნების დამუშავების სისწრაფით, მოქნილობით, მდგრადობით და უსაფრთხოებით, სერვისული იტ განვითარების ერთ-ერთ ყველაზე პერსპექტიულ ინოვაციურ მიმართულებას წარმოადგენს.

ღრუბლოვანი გამოთვლების არსი მდგომარეობს იმაში, რომ გამოთვლების ორგანიზება და მონაცემების დამუშავება პერსონალური კომპიუტერიდან მსოფლიო ქსელის სერვერებზე გადაიტანება. კომპიუტერული რესურსები და სიმძლავრეები მომხმარებელს მიეწოდება ინტერნეტ-სერვისების სახით ნებისმიერ დროს და ნებისმიერ ადგილზე. მომხმარებელს შეუძლია მუდმივად მიწვდეს საკუთარ ინფორმაციას (რომელიც მუდმივად ინახება ვებ-სერვერებზე), მხოლოდ როგორც ინტერნეტ-სერვისების კლიენტს. ამასთან, შეუძლია განათავსოს ინფორმაცია და მისი დამუშავების შედეგები ნებისმიერ მოწყობილობაზე (პერსონალური კომპიუტერები, ნოუთბუქები, სმარტფონები და ა.შ.). ღრუბლოვანი გამოთვლების კონცეფცია ეფუძნება რწმენას, რომ ინტერნეტ ქსელს შეუძლია დააკმაყოფილოს მომხმარებლის ფართო მოთხოვნები მონაცემების გენერირებასა და დამუშავებაში [3].

დღეისათვის გამოყოფენ რამდენიმე ძირითად ტექნოლოგიას (მოდელს), რომლებიც შესაძლებელია წარმატებით იქნეს გამოყენებული მეცნიერებასა და განათლებაში. კერძოდ:

- ინფრასტრუქტურა როგორც მომსახურება (Infrastructure as a Service, IaaS);
- პლატფორმა როგორც მომსახურება (Platform as a Service, PaaS);
- მონაცემები როგორც მომსახურება (Data as a Service, DaaS);
- პროგრამული უზრუნველყოფა როგორც მომსახურება (Software as a Service, SaaS);
- სამუშაო ადგილი როგორც მომსახურება (Workplace as a Service, WaaS);
- ყველაფერი როგორც მომსახურება (All as a Service, AaaS).

ეს ტექნოლოგიები მოიცავენ ინსტრუმენტების ფართო ნაკრებს (საკომუნიკაციო საშუალებები, შეფასების ინსტრუმენტები, კონტენტი), რომლებიც ჩაენაცვლებიან ან ავსებენ სასწავლო და სამეცნიერო დაწესებულებებში უკვე არსებული სისტემების ფუნქციებს (ელექტრონული ფოსტა, კალენდარული გეგმის შედგენა, პერსონალური დოკუმენტების შექმნა და შენახვა, Web-საიტების შექმნა და სხვა). ისინი საშუალებას იძლევიან [1]:

- შეიქმნას ვებ-ორიენტირებული ლაბორატორიები (ხაბები) კონკრეტული საგნობრივი სფეროსთვის (მოდელირების ინსტრუმენტებისადმი ინტერაქტიური წვდომა, ახალი რესურსების დამატების მექანიზმი, საინფორმაციო რესურსები, შედეგების ვიზუალიზაცია და სხვა);
- შეიქმნას პრინციპულად ახალი შესაძლებლობები მკვლევარებისთვის გამოყენებითი მოდელების წვდომის ორგანიზებაში, დამუშავებასა და გავრცელებაში;
- შეიქმნას ცოდნის - ლექცია, სემინარი (პრაქტიკული მეცადინეობები), ლაბორატორიული სამუშაოები და სხვა - გადაცემის პრინციპულად ახალი შესაძლებლობები.

მნიშვნელოვანია ისიც, რომ ღრუბლოვანი ტექნოლოგიების ისეთი მოდელების გამოყენებისას, როგორცაა IaaS, PaaS, DaaS, SaaS და WaaS, დაიზოგება მომხმარებლების სახსრები და რესურსები. არ იქნება კორპორატიული აღჭურვილობისა და პროგრამული უზრუნველყოფის შექმნის, მომსახურების და მოდერნიზაციის აუცილებლობა; მომხმარებელი კი არ შეიძენს პროგრამულ პროდუქტს, არამედ გამოიყენებს მას დროებით, საჭიროების შემთხვევაში; დამკვეთს ექნება შესაძლებლობა შეაჩეროს ან განაახლოს პროგრამული პროდუქტი საჭიროების მიხედვით და გადაიხადოს არა მისი ფლობის, არამედ მხოლოდ მისი არენდის და მოხმარების შემთხვევაში. ვინაიდან ღრუბლოვანი პროვაიდერების რესურსები იაფია, ამიტომ დანახარჯები იქნება უმნიშვნელო და პერიოდული, სააბონენტო გადასახადის სახით. იტ პერსონალი (რომელიც იტოვებს ტექნიკური მხარდაჭერის ფუნქციას) უზრუნველყოფს მომხმარებელს აუცილებელი სერვისებით, სერვერების მართვისთვის საჭირო დროისა და ძალდონის დახარჯვის გარეშე.

საგანმანათლებლო და სამეცნიერო დაწესებულებებმა, რომლებიც გეგმავენ ღრუბლოვანი გამოთვლების გამოყენებას და ახალ ინფრასტრუქტურაზე გადასვლას, უპირველეს ყოვლისა უნდა გაიარონ შემდეგი ეტაპები:

- შეაფასონ საჭირო დანართები;
- მოახდინონ კლასიფიცირება;
- განსაზღვრონ ღრუბლოვანი გამოთვლების ყველაზე უფრო ხელსაყრელი ტიპი (IaaS, PaaS ან SaaS);
- დაადგინონ პლატფორმის არქიტექტურა;
- დაადგინონ კონტროლის ტექნოლოგიები;
- დაადგინონ კონფიდენციალობის დონე. [2]

აგრეთვე გაითვალისწინონ ღრუბლოვანი გამოთვლების ნაკლოვანი მხარეები და ის რისკები, რომლებიც შეიძლება მოყვეს ღრუბლოვანი სერვისების გამოყენებას. მაგალითად: ღრუბლოვანი ტექნოლოგიების უსაფრთხოებისთვის საყოველთაოდ მიღებული სტანდარტები დღეისათვის არ არსებობს; ახალ ინფრასტრუქტურაზე გადასვლისას დამკვეთი დამოკიდებული ხდება მხოლოდ ერთადერთ მომწოდებელზე, სამომხმარებლო მონაცემების დაცულობა კი პროვაიდერულ კომპანიაზე; პროვაიდერის არასტაბილურმა მუშაობამ, შეიძლება ჩაშალოს ხანგრძლივი პროექტების დაგეგმვა და დამუშავება; მომხმარებელს, რომელიც არ არის ამ ტექნოლოგიების მფლობელი, არ ექნება შიდა ღრუბლოვანი ინფრასტრუქტურაზე წვდომის საშუალება; ხარისხიანი მომსახურების მიღებისათვის აუცილებელი წინაპირობა იქნება ინტერნეტ ქსელში სწრაფი და საიმედო წვდომის შესაძლებლობა [4].

ზემოაღნიშნული ნაკლოვანებებისა და რისკების მიუხედავად ჩვენ ვფიქრობთ, რომ ღრუბლოვანი ტექნოლოგიებს გააჩნია გამოყენების ფართო პერსპექტივები განათლებასა და მეცნიერებაში. მათი გამოყენების საფუძველზე გაიზრდება სასწავლო-სამეცნიერო დაწესებულებების ფუნქციონირებისა და განვითარების ეფექტურობა, მათი კონკურენტუნარიანობა, ამაღლება სამეცნიერო პერსონალის, ასპირანტებისა და სტუდენტების მომზადების დონე.

ღრუბლოვანი გამოთვლების განვითარების პერსპექტივები საგანმანათლებლო სფეროში

მ. გემუჯვორი, ვ. ბახტაძე, თ. ლომინაძე, მ. არჩუაძე, მ. ოდილაძე

რეზიუმე

ნაშრომში განხილულია ღრუბლოვანი გამოთვლების განვითარების პერსპექტივები განათლებასა და მეცნიერებაში. ნაჩვენებია ღრუბლოვანი გამოთვლების გამოყენების შესაძლებლობები სასწავლო და სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაში.

**ПЕРСПЕКТИВЫ РАЗВИТИЯ ОБЛАЧНЫХ ВЫЧИСЛЕНИЙ В СФЕРЕ
ОБРАЗОВАНИЯ**

М. ГЕГЕЧКОРИ, В. БАХТАДЗЕ, Т. ЛОМИНАДЗЕ, М. АРЧУАДЗЕ, М. ОДИЛАДЗЕ

Резюме

Рассмотрены перспективы развития облачных вычислений в сфере образования и науки. Показаны возможности применения облачных вычислений в учебной и научно-исследовательской деятельности.

PERSPECTIVE OF DEVELOPMENTS OF CLOUD COMPUTING IN EDUCATION

M. GEGECHKORI, V. BAKHTADZE, T. LOMINADZE, M. ARCHUADZE, M. ODILADZE

Summary

Perspective of development of Cloud Computing in the fields of education and sciences are considered in the work. Innovative potential of Cloud Computing are shown.

ლიტერატურა – REFERENCES - ЛИТЕРАТУРА


1. Нил Склейтев. Облачные вычисления в образовании: Аналитическая записка/Пер. с англ. Институт ЮНЕСКО по информационным технологиям в образовании. - Москва, 2010.-12 ст.
2. Рихтер К. Chris Richteron Cloud Computing Security and Compliance. blog.savvis.net.
3. И.П. Клементьев, В.А. Устинов. Введение в облачные вычисления. <http://www.intuit.ru/department/se/incloudc/0/>.
4. Ковалева Н. А. Тезисы конференции "Новые информационные технологии в образовании". "Использование облачных сервисов в преподавании специальных дисциплин направления 230700 "Прикладная информатика". 2012г.

ელექტრონული სახელმწიფოს შესახებ
ო. ბახტაძე, ი. მარბალიტაძე, მ. ბებეჟაძე

ინფორმაციული ტექნოლოგიების განვითარებას უამრავი ბენეფიტი ახლავს, მათ შორის ელექტრონული სახელმწიფოს (ელ-სახელმწიფოს) კონცეფციის ფორმულირება.

ელექტრონული სახელმწიფო განიხილება, როგორც XXI საუკუნის სახელმწიფოს სინონიმი, რომელსაც შეუძლია გლობალიზაციისა და გაურკვევლობის მაღალი რისკების პირობებში უზრუნველყოს საზოგადოების მდგრადი სოციალურ-ეკონომიური განვითარება.

სახელმწიფო ინფორმაციის ან სახელმწიფო სერვისების მიწოდება მოქალაქეებისთვის World-Wide-Web-ის საშუალებით განიმარტება, როგორც ელ-სახელმწიფო. ელ-სახელმწიფო – ეს არის სახელმწიფო საქმიანობის ინფორმაციული ასპექტების განხორციელების საშუალება, რომელიც დაფუძნებულია ინფორმაციული და საკომუნიკაციო (ისტ) სისტემების გამოყენებაზე და ასევე ახალი ტიპის სახელმწიფო, რომელიც ემყარება ამ ტექნოლოგიების გამოყენებას. ელ-სახელმწიფოს მნიშვნელობა დამოკიდებულია ზოგადად, სახელმწიფოს განვითარების დონეზე და მისი მოქალაქეების დაინტერესებაზე სახელმწიფოსთან იქონიონ ურთიერთობა ელექტრონული ფორმით. ელექტრონული ფორმით სახელმწიფოსთან ურთიერთობა ბევრად ეფექტურია და ბევრად ეკონომიური სხვა მეთოდებთან შედარებით. ძირითადი დაინტერესება ელ-სახელმწიფოს ფორმირებაში აუცილებლად უნდა მოდიოდეს უშუალოდ სახელმწიფოს მხრიდან, რადგანაც ეს უკანასკნელი წარმოადგენს იმ ინსტანციას, რომელიც ფლობს, იღებს და გასცემს მნიშვნელოვან ინფორმაციას. ისტორიული კონტექსტით ელ-სახელმწიფო შეიძლება ჩაითვალოს, როგორც სახელმწიფოს განვითარების შემდეგი ეტაპი. ელ-სახელმწიფოს არსებობა ეფუძნება ელექტრონულ სერვისებს (ელ-სერვისებს) რომელიც სახელმწიფოს სააგენტოების მიერ არის რეალიზებული და გარკვეული ფორმატით მიწოდებული.



ნახ. 1. ელ-სერვისები

ელ-სახელმწიფოს არსებობისთვის უმნიშვნელოვანესია ელ-სერვისები აკმაყოფილებდნენ შემდეგ კრიტერიუმებს:

1. ეფექტურობა

სახელმწიფო მუდამ უნდა იყოს ეფექტური მისი სტრუქტურისგან დამოუკიდებლად. ნებისმიერი სერვისი უნდა იყოს მაქსიმალურად სწრაფი გამოყენებაში. უნდა იყოს შესაძლებელი საკმაოდ მცირე დროის მონაკვეთში სასურველი სერვისის გამოძახება და საკმაოდ მცირე დროის მონაკვეთში სასურველი შედეგის მიღებაც.


2. მოქნილობა

სახელმწიფო სტრუქტურის პერიოდული ცვლილება გარდაუვალია. ცვლილებას მოყვება ახალი კანონები, რეგულაციები და დებულებები, რომელიც პირდაპირ ან ირიბად აისახება ელ-სერვისების სტრუქტურაზე და/ან ნატურაზე. მოქნილობის

რეალიზაცია საუკეთესოდ არის შესაძლებელი სერვისების ვერსირებით ან ადაპტირებადი მონაცემთა სტრუქტურით.

3. უსაფრთხოება

ერთ-ერთი ყველაზე კრიტიკული ამოცანა სახელმწიფოსთვის როგორც ელ-სერვისების მომწოდებლისთვის არის მოწოდებული ინფორმაციის უსაფრთხოების კონტროლი. სხვადასხვა რეგულირების მექანიზმით შესაძლებელია ელ-სერვისების წვდომის და ელ-სერვისებზე დაშვების რეგულირება. შესაძლებელია მოწოდებული ინფორმაციის ელექტრონული არხის (ელ-არხის) დაცულობის ამაღლებაც.



ნახ. 2. ელ-სერვისის კრიტერიუმები


სახელმწიფო ელ-სერვისები განსხვავდება ნატურით. არსებობს ორი ნატურის სერვისები:

1. სინქრონული

სერვისის მომხმარებელი მოთხოვნიდან წამებში იღებს პასუხს. ეს მიუთითებს მაღალი დონის ავტომატიზაციაზე. როგორც წესი მსგავსი ნატურა გააჩნიათ სერვისებს რომელსაც ესაჭიროება ინფორმაცია გარკვეული (უკვე არსებული) მონაცემთა ბაზიდან.

2. ასინქრონული

სერვისის მომხმარებელი მოთხოვნიდან რამდენიმე საათიდან რამდენიმე დღის ინტერვალში იღებს პასუხს. ეს მიუთითებს ადამიანური რესურსის გამოყენებაზე სერვისების მიერ მოთხოვნილი შედეგების მისაღებად. თვით პერიოდი რომლის განმავლობაშიც უნდა იყოს მიღებული პასუხი შესაძლოა რეგულირდებოდეს გარკვეული კანონით.




ნახ. 3. ელ-სერვისების ნატურა

შესაძლებელია სერვისების კომპოზიციაც გარკვეული შედეგების მისაღწევად. ანუ, გარკვეული ელ-სერვისი შესაძლოა მოიცავდეს როგორც ასინქრონულ ასევე სინქრონულ ელ-სერვისებს.

ელ-სერვისებთან ინტერაქციის პროცესი და პროცედურა საჭიროებს საკმაოდ დელიკატურ მიდგომას. სახელმწიფო უწყებების რაოდენობის სიდიდის გამო რთულია ყოველი უწყების შესაბამისი ელ-სერვისის ფორმალის დამახსოვრება და ყოველდღიურ ცხოვრებაში გამოყენება წინასწარი გაცნობის და ტრენინგის გარეშე. სირთულეს ფორმატების და ინტერფეისების სიმრავლე წარმოადგენს. რეგულაციების და სტანდარტების არარსებობის პირობებში ელ-სახელმწიფოსთან ინტერაქცია რთულდება და უკიდურეს შემთხვევებში შეუძლებელი ხდება. როდესაც მომხმარებელს ურთულდება

სახელმწიფო უწყების ელ-სერვისების ინტერფეისებთან მუშაობა ეს პირდაპირ აისახება ელ-სახელმწიფოს ეფექტურობაზე და წარმადობაზე. პრობლემის თავიდან აცილების მიზნით აუცილებელია სტანდარტების შემუშავება ყველა უწყების მასშტაბით და მათი რეგულარული დაცვა. მოქალაქეები სახელმწიფოს ელ-სერვისებით სარგებლობენ ელექტრონული ფორმების (ელ-ფორმების) მეშვეობით (ნახ. 4).



ნახ. 4. ელ-ფორმები

ელ-ფორმა, როგორც ტერმინი აღწერს იმ ელექტრონულ ინტერფეისს, რომელიც ტიპურად მონაცემების შეტანა/გამოტანის ველეებისგან შედგება. ელ-ფორმები მოქალაქეებთან ინტერაქციის საუკეთესო საშუალებაა. მათი სტანდარტიზაცია და რეგულაცია გაცილებით მარტივი პროცესია. შესაძლებელია ფორმის ზომების, ველეების განლაგების, ტერმინების დაშიფრების სტანდარტიზაცია. სტანდარტიზაცია, მაქსიმალური მიმსგავსება, მცირედი განმარტებითი ველეების დამატება უკვე საკმაოდ ამარტივებს მოქალაქისთვის ინტერაქციას ელ-სერვისებთან.

ელ-სერვისების ელექტრონული მდგენელი სახელმწიფოს ეძლევა ძალიან დიდი შესაძლებლობა რეალურად და სრულიად უტყუარად გაზომოს თავისი ეფექტურობა. გარდა უშუალო სტატისტიკისა, აუცილებელია მოქალაქეების აზრის მოსმენა, მისი გაანალიზება და გათვალისწინება სამომავლოდ. მოქალაქის აზრს ძალიან დიდი და გადაამწყვეტი წონა აქვს ელექტრონული მმართველობის (ელ-მმართველობის) მომავლისთვის.

ელექტრონული სახელმწიფოს შექმნას ზოგადად ძალიან ბევრი ბარიერი ახლავს. მათი უმეტესობა გადალახვადია მცირე დროის პერიოდში, მაშინ როდესაც სხვებს გაცილებით მეტი დრო სჭირდება. ტიპური ბარიერებია:

1. ელ-სერვისის პროვაიდერების იდენტიფიკაცია.

ნებისმიერ ელ-სერვისს ესაჭიროება პროვაიდერი. ანუ იურიდიული ერთეული, რომელიც იქნება ამ სერვისის მიერ წარმოებულ ოპერაციებზე პასუხისმგებელი. სირთულე მეტწილად კანონშია, რომელიც შესაძლოა არ იყოს ცალსახა განმსაზღვრელი სერვისის მფლობელის. ასეთ პირობებში აუცილებელია პრობლემის მიტიგაცია სარეგულაციო დადგენილებებით.

2. ინფორმაციული ინფრასტრუქტურის ნორმალიზაცია მთელი სახელმწიფოს მასშტაბით.

ხშირია განმეორებადი ან დუბლირებადი ინფორმაციის პრობლემა. ინფორმაციის დუბლირება საკმაოდ დიდი სირთულეების წყარო შეიძლება გახდეს. ამიტომაც, უნდა არსებობდეს მონიტორინგი და კონტროლი სახელმწიფო ინფრასტრუქტურის მასშტაბით, რომელიც მსგავსი პრობლემების მიტიგაციას ან სრულად არიდებას შეუწყობს ხელს. ნორმალიზაცია, როგორც წესი საკმაოდ რთული ამოცანაა, ამიტომაც აუცილებელია განმეორებადი საქმიანობის წინასწარ თავიდან აცილება მთელი სახელმწიფოს მასშტაბით.

3. მენეჯმენტი.

ელექტრონული სახელმწიფო ეფუძნება ერთ გარკვეულ კურსს ან ხედვას, რომელიც საწყის ეტაპებზე განისაზღვრება და რომელიც პერიოდულად განიცდის ევოლუციას. ამ პროცესის კონტროლი საკმაოდ რთული ამოცანაა თუ არ არსებობს შესაბამისი მენეჯმენტის ინფრასტრუქტურა. ყოველი სიახლე ან ცვლილება უნდა იყოს საკმაოდ მკაფიოდ სინქრონიზებული, დოკუმენტირებული და შეთანხმებული მთელი ელ-სახელმწიფოს მასშტაბით. ცვლილება ერთ რგოლში შესაძლოა კასკადურად აისახოს ყველა დამოკიდებულ რგოლზე, რაც პარალიზების საკმაოდ მაღალი რისკის შემცველია.

დღეს შესაძლოა მკაფიო კონცეფცია არ გამოიხატებოდეს, მაგრამ მეტისმეტად ბევრი ბენეფიტის ფონზე ელ-სახელმწიფოს იდეას დიდი გამოყენება და მომავალი აქვს. მის რეალიზაციას ძალიან დიდი დრო სჭირდება და ეს დრო პირდაპირპროპორციულია არსებული სახელმწიფოს სირთულისა და ეფექტურობისა. ელ-სახელმწიფოს პირველი ხელშემწყობი ერთეული მოქალაქეა. ნებისმიერ მოქალაქეს სჭირდება ეფექტური სახელმწიფო, რომელიც მცირედი დაყოვნებებით და ხარჯებით ემსახურება მას და სთავაზობს დიდ კომფორტს. ასეთი სახელმწიფო ხელს უწყობს მოქალაქეთა ნდობის აღდგენას სახელმწიფო მართვის ინსტიტუტებისადმი და საზოგადოების დემოკრატიულ განვითარებას ანიჭებს ახალ იმპულსს. ამიტომაც მსოფლიოს განვითარებულ ქვეყნებში მმართველი ორგანოები და საზოგადოება დაინტერესებულნი არიან შექმნან ელ.სახელმწიფო.

ელექტრონული სახელმწიფოს შესახებ

თ. ბახტაძე, ი. მარგალიტაძე, მ. გეგეჩკორი

რეზიუმე

ნაშრომში ზოგადად განხილულია ელ-სერვისების ის უმნიშვნელოვანესი კრიტერიუმები, რომელიც აუცილებელია ელექტრონული სახელმწიფოს არსებობისთვის. შემოთავაზებულია ელექტრონული სახელმწიფოს შექმნისას თანხმდები ბარიერების მოხსნის მეთოდები.

ОБ ЭЛЕКТРОННОМ ГОСУДАРСТВЕ

Т. БАХТАДЗЕ, И. МАРГАЛИТАДЗЕ, М. ГЕГЕЧКОРИ

Резюме

В работе рассмотрены важнейшие критерии электронных сервисов, необходимых для существования электронного государства.

Предложены методы снятия барьеров, сопутствующих созданию электронного государства.

ABOUT ELECTRONIC STATE

T. BAKHTADZE, I. MARGALITADZE, M. GEGECHKORI

Summary

The most important criteria of e-services that are necessary for e-states to exist are considered in the paper. The methods how to move away barriers that accompany the process of e-state creating are given in the work.

ლიტერატურა – REFERENCES - ЛИТЕРАТУРА

1. <http://en.wikipedia.org/wiki/E-Government>
2. http://usatoday30.usatoday.com/tech/columnist/ericjsinrod/2004-06-30-sinrod_x.htm
